

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2011



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:

ელ. ბაბუნაშვილი, ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ჯ. გიუნაშვილი,
დ. თვალთვაძე, ბ. უტიე, ჰ. ფენრიხი, მ. შანიძე, კ. ჰ. შმიდტი,
ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:

E. Babunashvili, W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert,
J. Giunashvili, A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, K. H. Schmidt, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),
რ. ენუქიძე, ი. ლეჟავა (პასუხისმგებელი მდივანი), დ. მელიქიშვილი,
ი. მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ე. სოსელია,
ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),
M. Jikia, I. Kobalava, N. Kutelia, **I. Lezhava** (Executive Secretary),
D. Melikishvili, **I. Melikishvili** (Deputy Editor-in-Chief), E. Soselia

*ქუთაისი ლაარსკეპულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012

ISSN 1512-0473



*კრებული ეძღვნება ჯემშიდ გიუნაშვილის
დაბადებიდან 80 წლისთავს*

ჯემშიდ ბიუნაშვილის რჩეულ შრომათა ბიბლიოგრაფია¹

წიგნები:

1962

1. სპარსული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, I, წინასიტყვაობა, თარგმანი და შენიშვნები ნ. ბექაურის და ჯ. გიუნაშვილისა, „მეცნიერება“, თბილისი, 1962, 100 გვ.
რეც.: თ. გორელიშვილი, თსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 485-489.

1964

2. Фонетика персидского языка (звуковой состав), издательство "Мецни-ереба", Тбилиси, 1964, 226 с. (Соавтор Гаприндашвили Ш.Г.).
რეც.: Эдельман Дж.И., "Народы Азии и Африки", № 6, Москва, 1965, с. 190-193.
Kramsky J., "Archiv orientalni", 34, 1966, Praha, pp. 217-219 and pp. 459-463.
Кобидзе Д.И., "Иранская филология в Грузии", Тбилиси, 1971, с. 16-17, 20-21.

1971

3. Dar bāreye noskheye khattiye Tārikhe Sistān (moujud dar Teflis), Teflis, 1971, 72 s. (,თარბ-ე სისტანის თბილისური ნუსხა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1971, 72 გვ.).
რეც.: Makhalski F., "Folia Orientalia", 14, Cracow, 1972/ 3, p. 327.
Bečka J., "Archiv Orientalni", 42, Praha, 1974, p. 258.
Yarshater E., A Foreword to the English Translation of "Tārikh-e Sistān", Rome, 1976, pp. 19-21.
4. ქართულ-სპარსული და სპარსულ-ქართული ჯგბის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1971, 263 გვ.
5. სპარსული ზღაპრები, შედგენა, წინასიტყვაობა, შენიშვნები (მთარგმნელთა კოლექტივი), გამომცემლობა „ნაკადული“, 1971, 300 გვ.

1972

6. სპარსული ისტორიული ტექსტები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1972, 389 გვ. (დ. კაციტაძის თანაავტორობით), [Персидские исторические тексты, издательство ТГУ, Тбилиси, 1972, 389 с. (соавтор Кацитадзе Д.В.)].
რეც.: Makhalski F., "Folia Orientalia", 14, Cracow, 1972/ 3, p.327
Bečka J., "Archiv Orientalni", 45, Praha, 1977, p. 85
Siddikov G., "Sado-i Sharq", 5, Dushanbe, 1973, s. 26.
7. Bānovāne iranshenāse Gorǧī, Teflis, 1972, 39s. (,ქართველი ირანისტი ქალები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972, 39 გვ.).

¹ ნაშრომებთან წარმოდგენილია შესაბამისი რეცენზიები.

1974

8. Краткий русско-персидский технический словарь, издательство "Мецниереба", Тбилиси, 1974, 477 с.

1978

9. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II ტ. (ბიბლიოგრაფიული ცნობარი, შემდგენელთა ჯგუფი, გვ. 325-332, ლ. მენაბდის რედაქტორობით), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1978, 461 გვ.
10. *Idem*, 1978, 55s. („ქართველი ირანისტი ქალები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978, 55 გვ.).
რეც.: Machalski F., "Folia Orientalia", 15, Cracow, 1978, p. 282.
Gignoux Ph., "Studia Iranica", Supplement, 1979, p. 4.
11. Филологические заметки, издательство "Мецниереба", Тбилиси, 1978, 96 с.
რეც.: დ. კობიძე, გაზეთი „თბილისი“, 23. 01. 1979.
Lazard G., "Studia Iranica", Supplement 2, 1979, p. 142.
Bečka J., "Archiv Orientalni", 50, Praha, 1982, p. 69.

1980

12. საკითხავი წიგნი სპარსულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980, 313 გვ.
რეც.: მ. კვაჭაძე, თსუ შრომები, № 273, 1987, თბილისი, გვ. 142-144.

1986

13. სპარსული ენა (დაწყებითი კლასებისათვის), გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986, 80გვ. (ლ. ჟორჟოლიანის თანაავტორობით).

1987

14. სპარსული ენის სახელმძღვანელო, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987, 336 გვ.

1997

15. Georgian-Iranian Studies (Collected Articles in English, Italian, French and Persian), Publications of the Georgian-Iranian Society for Scientific-Cultural Relationship and Collaboration, with the assistance of the Embassy of Georgia at Islamic Republic of Iran, Tbilisi, Tehran, 1997, 179 p.

2003

16. ფერეიდნელის ოროველა, ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი, მედია ჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“, თბილისი, 2003, 68 გვ.

სტატიები და რეცენზიები:

1957

1. Словообразовательная функция причастия настоящего времени на *-ande* в литературном персидском языке, Труды Среднеазиатского Гос. Университета, №105, Ташкент, 1957, с. 39-44.

2. Заметки о морфологическом составе инфинитива в персидском языке. Труды Среднеазиатского гос. Университета, № 105, Ташкент, 1957, с. 39-44.

1958

3. Тенденция фонетического упрощения и вопросы словообразовательного анализа в персидском языке, Сборник аспирантских работ Среднеазиатского Гос. Университета, № 5, Ташкент, 1958, с. 389-309.
4. რეც. კრებულზე „რუდაქი“, თსუ გამომცემლობა, გაზეთი “Узбекистон маданияти” 08.07.1958 (უზბეკურ ენაზე).

1960

5. Глагольный компонент детерминативных именных образований в литературном персидском языке, Труды Института языкознания АН ГССР (востоковедческая серия), 3, Тбилиси, 1960, с. 225-246.
6. О прозношении "ghayn"-а и "qāf"-а в литературном персидском языке, Труды ТГУ, № 91, 1960, с. 63-73.
7. სონანტ რ-ს რეფლექსები სპარსულ ზმნა „კარდან“-ში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 2, 1960, გვ. 238-245.

1962

8. К толкованию одного бейта "Голестана", Труды ТГУ, № 99, Тбилиси, 1962, с. 63-67.

1965

9. Система фонем литературного персидского языка, Труды ТГУ, № 116, 1965, с. 87-141.
რეც.: Machalsky F., "Przeglad Orientalistyczny", 1, Warszawa, 1967, p. 81.
Кобидзе Д.И., "Иранская филология в Грузии", Тбилиси, 1971, с. 16-17, 20-21.
Lazard G., "Indo-Iranian Journal", XIII, № 2, Brill, 1971, pp. 154-158.
Provasi E., "Iranica, Naple", 1979, p. 257.

1967

10. „ჩაპარ მაყალეს“ ერთი ადგილის გაგებისათვის, თსუ შრომები, № 118, თბილისი, 1967, გვ. 73-77.

1969

11. О сочетаниях типа ССС в современном персидском языке, Сборник "Тбилисский Университет Гиоргию Ахвледиани", 1969, с. 406-414.

1970

12. VI Всесоюзная конференция по актуальным проблемам иранской филологии, журнал "Народы Азии и Африки", № 6, Москва, 1970, с. 202-207.

13. К толкованию термина "бистгани", "Грузинское источниковедение", 3, Тбилиси, 1971, с. 106-114.

1971

14. Further Note on "Tāriḫ-i Sistān" Manuscripts, *East and West*, vol. 21, 3-4, Rome, 1971, pp. 345-346/ *idem*, *Journal Afghanistan*, 15, Kabul, 1973, pp. 73-74 (in Dari language).
15. Dar bārey-e adabiyāte fārsi dar Gorġestān , maġaley-e "Sokhan", № 2, Tehrān, 1971, ss. 178-181 (სპარსული ლიტერატურის შესახებ საქართველოში, ჟურნალი "Sokhan", თეირანი, 1971, გვ. 178-181).

1972

16. რეც. კრებულზე "Восточная Филология", I, Тбилиси, 1969, журнал "Народы Азии и Африки", 5, Москва, 1972.
17. რეც. წიგნზე Абдусаматов М.А., Персидский язык, Ташкент, 1971, Труды амаркандского Гос. Ун-та, № 225, 1972, с. 217-218.
18. რეც. შრომაზე Рубинчик Ю.А., Персидско-русский словарь, I-II, Москва, 1970, журнал "Народы Азии и Африки", №3, Москва, 1972, с. 206-207.
19. რეც. შრომაზე Османов М.Н., Частотный словарь Унсури, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 3, 1972, გვ. 190-191.
20. Étude et propagation de l'œuvre scientifique et littéraire de Said Naficy en URSS, *Mélange d'iranologie en mémoire de feu Said Naficy*, rassemblé par Madame Parimarz Naficy, Téhéran, 1972, p. 100-104 /*idem*, *Georgian-Iranian Studies*, pp. 64-70.
21. XI æm æნუსყ პერსაყნაგ პოეტ ალანტყ თყყყაყ, "Фидиуаг", XI, Цхинвол, 1972, („XI საუკუნის სპარსელი პოეტი ალანების სამჭედლო ხელოვნების შესახებ“, ჟურნალი "Фидиуаг", XI, 1972 ცხინვალი).
22. რეც. წიგნზე – Amin-Madani S., *Persische Grammatik*, Heidelberg, 1972, კრებულში „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბილისი, 1973, გვ. 346.

1975

23. ტერმინ „ამირბარის“ მნიშვნელობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის სერია), 4, 1975, გვ. 95-101.
24. რეც. შრომაზე – Abu Bakr ibn al-Zakiy al-Quyavi, *Rowzat al-kotāb*, Tabriz, 1970 (აბუ ბაკრ იბნ ალ-ზაკი ყუნავი, „მწერალთა ბაღნარი“), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის სერია) 2, 1975, გვ. 163-165.
25. Dar bārey-e vāzhey-e "estekān", maġaley-e "Rāhnamāy-e ketāb", № 4-6, Tehrān, 1975, ss. 291-292. (ტერმინ „სტაქანის“ წარმომავლობისათვის“ ჟურნალი "Rāhnamāy-e ketāb", 4-6, თეირანი, 1975, გვ. 291-292)/*idem*, *Georgian-Iranian Studies*, pp. 64-67.

1976

26. რეცენზია წიგნზე – Shāh ‘Abbās (Maǧmu’ey-e asnād), I-II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის სერია), 3, 1976, გვ. 149-155, (თანაავტორი მ. სვანიძე).
27. რეც. წიგნზე – Hasan Rumlu, Ahsan al-Tavārikh, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის სერია), 4, 1976, გვ. 180-182.
28. ტერმინ „ნარიყალას“ მნიშვნელობისათვის, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1976, გვ. 313-318.
29. Заметки о происхождении термина "Адмирал", Известия АН ГССР (серия истории), 4, Тбилиси, 1976, с. 96-99.
30. О происхождении слова "стакан", Сборник "Иранское языкознание", история, этимология, типология (К 75-летию Абаева В.И.), Москва, 1976, с. 186-189.
31. Иранское языкознание в Грузии, Международный симпозиум лингвистов социалистических стран "Теоретические вопросы восточных языков", I, Москва, 1977, с. 55-56.

1978

32. О форманте *-kade* в персидском, "Вопросы иранской филологии", Сборник посвященный профессору Абаеву В.И., издательство "Мецниереба", Тбилиси, 1978, с. 342-343 (соавтор Чхеидзе Т.Д.).
35. О русском и английском переводах "Тарих-е Систан", Известия АН ГССР (серия истории), 1, Тбилиси, 1978, с. 203-207.

1979

36. ფერეიდნული კილოს შესწავლისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ XXI, 1979, გვ. 82-106 (თ. უთურგაიძისა და დ. ჩხუბიანიშვილის თანაავტორობით).

1980

37. О топониме "*Šāhrud*" в поэме "Хосров и Ширин", Сообщения АН ГССР, 98, № 3, 1980, с. 745-748.
38. Из истории древнего Мерва, Сообщения АН ГССР, 100, № 3, 1980, с. 753-756.
39. О таджикско-персидской научной терминологии в сочинениях Ибн Сины, Известия АН Таджики. ССР, 3, 1980, с. 37-40 (соавтор Чхеидзе Т. Д.).
40. Ba zabōni Rudaki, "*Moarif va madaniyat*", 01.05.1980. „რუდაქის ენაზე“, „ვეფხისტყაოსნის“ ტაჯიკური თარგმანის შესახებ, გაზეთი "*Moarif va madaniyat*" (ლ. მენაბდის თანაავტორობით).

1981

41. დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში, „ქართველურ ენათა სტრუქტურა“, V, 1981, გვ. 110-115 (თ. უთურგაიძისა და დ. ჩხუბიანიშვილის თანაავტორობით).

1982

43. Историческая география Ирана и вопросы текстологии, Известия АН ГССР (серия истории), 1, Тбилиси, 1982, с. 83-91.
44. О термине "Остовар" в персидском, Известия АН ГССР (серия истории) 2, Тбилиси, 1982, с. 441-443.

1983

45. Dar bāray-e yak bayti Rudaki, "Sado-i Šarq", № 9, Dushanbe, 1983, s. 120-124. „რუდაქის ერთი ბეითის შესახებ“, ჟურნალი "Sado-i Šarq", № 9, ლუშანბე, 1983, გვ. 120-124 (ტავჯიკურ ენაზე).

1984

46. Об одном сведении Низами Гянджеви, "Проблемы осетинского языкознания" I, Орджоникидзе, 1984, с. 17.
47. ისტორიზმის პრინციპი და ტექსტოლოგიური ანალიზის საკითხები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია) 2, 1984, გვ. 58-69.
48. არქაული მოვლენებისათვის ფერეიდნულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 4, 1984, გვ. 123-129 (თ. უთურგაიძისა და დ. ჩხუბიანიშვილის თანაავტორობით).
49. Об изменении диалекта в историческом аспекте (на материале ферейданского говора кахетинского диалекта грузинского языка) "Вопросы диалектологии и истории языка", Душанбе, 1984, с. 110-115 (соавторы Утургаидзе Ф.Г., Чхубианишвили Д.З.).

1985

50. ფერეიდნული ტექსტები, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 23, 1985, გვ. 180-221 (თ. უთურგაიძისა და დ. ჩხუბიანიშვილის თანაავტორობით).
51. On the Centenary of the First Edition of "Visramiani", *Georgica*, I, Rome, 1985, pp. 119-125 (co-author Mamatsashvili M.) /idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 42-57.
52. О значении принципов исторического анализа в персидско-таджикской текстологии, "Актуальные проблемы иранской филологии", Душанбе, 1985, с. 260-265.
53. О персидских надписях боржомской "Фирузы", "Историки-ведческие исследования", Тбилиси, "Мецნიერება", 1985, с. 244-248.
54. О статусе фонемы /q/ в персидском, Сборник "Ирано-Афразийские языковые контакты", Москва, 1987, с. 52-55.

1987

55. სიტყვა *každom* („მორიელი“) სპარსულში, თსუ შრომები 273, 1987, გვ. 12-17.

1988

56. Восковедение в Грузии, Востковедные центры в СССР/Азербайджан, Армения, Грузия, Украина/, Москва, 1988, с. 73-87 (соавтор Т.В. Гамкрелидзе).

57. სიტყვათა სემანტიკური ცვლილება ისტორიულ ასპექტში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXVIII, 1989, გვ. 156-163 (თ. უთურგაიძისა და დ. ჩხუბიანიშვილის თანაავტორობით).

1989

58. Об одной конъектуре Пауля Хорна, Сборник "Источиковедение и текстология средневекового Ближнего Востока", Москва, 1989, с. 83-86.

1990

59. Tahlili dar matnshenāsiy-e manzumey-e "Vis o Rāmin-e" Fakhred-Dine Gorgāni, *Irānshenāsi*, II, №1, Bethesda, MD, 1990, ss. 125-134 (ფახრედდინ გორგანის „ვის ო რამინის“ ტექსტოლოგიური ანალიზის შესახებ“, ჟურნალი *Irānshenāsi*, II, № 1, Bethesda, MD, 1990, გვ. 125-134) /idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 9-16.

1991

60. Su un verso di Rudaki, "Yad Nama" in memoria di Alessandro Bausani, II, Rome, 1991, pp. 371-377/idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 5-16.

1992

61. Abkhaz, *Encyclopaedia Iranica*, I, №2, New-York-London, 1992, pp. 222-224.
62. Concerning Georgian-Persian Bilingualism, *Symposium "Bilingualism in Iranian Culture"*, Bamberg, 1992 (Papers)/ idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 58-63.

1993

63. რეც. გამოცემაზე Abu'l-Qāsem Ferdowsi, *The Shāhnāme*, edited by Djalal Khaleghi-Motlagh with an introduction by Ehsan Yārshāter, Volume I, *Bibliotheca Persica*, New York, 1988, *Archiv Orientalni*, 1993, 61, pp. 93-96/idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 17-31.

1995

64. "Ābkhāz" dar manābe' va ma'ākheze mo'alefān-e mosalmān, *Motāle'āt-e Āsiyāy-e Markazi va Qafqāz*, IV, № 9, Tehrān, 1995, ss. 47-54 („აბხაზი“ მუსლიმ ავტორთა წყაროებში“), *Central Asia and the Caucasus Review*, IV, № 9, Tehran, 1995, pp. 47-54.
65. Из истории чешско-грузинских научно-культурных связей, "Ex Oriente" – *Collected Papers in Honour of Jiří Bečka*, Prague, 1995, с. 51-52, (соавтор Гиунашвили Л.С.).
66. Concerning the Textological Value of Evidence of the Historical Geography of Iran, *Proceedings of the Second European Conference of Iranian Studies*, Rome, 1995, pp. 207-211/idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 32-41.
67. Irānshenāsi dar Gorḡestān, *Nashr-e Dānesh*, XV, № 3, Tehrān, 1995, ss. 17-28 („ირანისტიკა საქართველოში“, ჟურნალი "Nashr-e Dānesh", XV, № 3, თეირანი, 1995, გვ. 17-28)/idem, *Georgian-Iranian Studies*, pp. 67-95.

2002

68. ისლამური რეგლამენტაცია ირანის რესპუბლიკაში, ჟურნალი „ომეგა“, 6, 2002, გვ. 16-22.

2003

69. Talāsh-e Gorġestān ġahat-e tazmin-e sobāt va amniyat-e melliye pāydār, *Motāle‘āt-e Āsiyāye Markazi va Qafqāz*, №42, Tehrān, 2003, ss. 41-72 („საქართველოს ძალისხმევა სტაბილურობისა და მტკიცე ეროვნული უსაფრთხოების მისაღწევად“), *Central Asia and the Caucasian Review*, № 42, Tehran, 2003, pp. 41-72.

2004

70. ფერეიდნელ ქართველებთან კულტურული ურთიერთობების გაშლა-გაღრმავების აქტუალური საკითხები, გაზეთი „24 საათი“, 09.07.2004.

2005

70. ფერეიდნელ ქართველებთან კულტურული კავშირის გაღრმავებისათვის, გაზეთი „მეგობრობის მაცნე“, 4, 2005.
71. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში, „ქართულ-ირანული ურთიერთობა“, II (საერთაშორისო კონფერენცია), ქუთაისის უნივერსიტეტი, 2005, გვ. 38-44.
72. Bād "wind" and nasim "light breeze" in Persian Poetry, *ASPS Third Biennial Convention on Iranian Studies*, Tbilisi, 2007, pp. 60-61.

2008

73. ერთი მოვლენა (სერგი ჯიქიასა და დავით კობიძის შესახებ), საიუბილეო კრებული „დავით კობიძე – 100“, თსუ, 2008, გვ. 25-26.
74. On the Significance of *abkhāznešin* in the Verse by Khāqāni, International Conference – Iran and Caucasus: Unity and Diversity, June 06.08.2008, Yerevan, Armenia, p. 40.

2009

75. On the significance of Historical-Geographical Data for Persian Lexicological Studies, *Fourth Biennial Convention of the Association for the Studies of Persianate Societies*, Lahore, 2009, pp.77-78.
76. Средневековые арабоязычные и персоязычные авторы о топониме и этнониме "Абхаз", Сборник "Псевдоконфликты и квазимиротворчество на Кавказе", издание "Грузинского национального комитета Хельсинской гражданской ассамблеи" и "Южно-Кавказского института региональной безопасности", Тбилиси, 2009, с. 215-222.

რელაქტირება:

1. "Персидские народные сказки", перевод Розенфельда А.З., Ташкент, 1958.
2. ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ (სპარსული თარგმანი მორთეზა ფათემის, წინასიტყვაობა), თბილისი, 1966.
რეც. Raxim Xoshim, "Sado-i Sharq", Dushanbe, 1967.
3. დ. კობიძე, „სპარსული ქრესტომათია“, II, 1967.
4. ზ. შარაშენიძე, „ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“, თბილისი, 1969.
5. Чхеидзе Т.Д., "Именное слообразование в персидском", Тбилиси, 1969.
6. Кобидзе Д.И., "Иранская филология в Грузии", Тбилиси, 1971.
7. ო. თედევი, „მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურ ენაში“, თბილისი, 1975.
8. თ. ჩხეიძე, „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“, თბილისი, 1975.
9. დ. კობიძე, „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა“, III, თბილისი, 1978.
10. ო. თედევი, „დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი“, თბილისი, 1979.
11. დ. კობიძე, „სპარსული ქრესტომათია“, ტ. I, მეორე გამოცემა, თბილისი, 1981.
12. ო. თედევი, „ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობებიდან“, თბილისი, 1983.
13. ო. თედევი, „პირველი ოსური ხელნაწერების ენა“, თბილისი, 1985.
14. მ. კვაჭაძე, მასალები გომბორელ ლაჰიჯთა მეტყველების შესწავლისათვის, თბილისი, 1988, გვ. 191.
15. Ruin Metreveli, Gorgestān, targomeye Bahrām Āmīrahmadyān, Tehrān, 1375 (როინ მეტრეველი, „საქართველო“, თარგმნა ბაჰრამ ამირაჰმადიანმა, თეირანი, 1996).
16. რჩეული საადის „ბუსთანიდან“, დ. კობიძის თარგმანი, სპარსულ-ქართული ტექსტები, თბილისი-თეირანი, 1997.
17. „ვეფხისტყაოსანი“ – შოთა რუსთაველის შედევრი, პოემის გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადის, თეირანი, 1998.
რეცენზიები და გამოხმაურებები:
გაზეთი "Farhang-e afarinesh", Tehrān, 22.09.1998.
გაზეთი "Iran News", Tehran, 01.03.1999.
ლ. მენაბდე, „საქართველოს რესპუბლიკა“, 21.05.1994
ლ. ჩლაიძე, „საქართველოს რესპუბლიკა“, 15.09.1998
გაზეთი „კავკასიონი“, 21-27.08.1998
გ. ლობჯანიძე, გაზეთი „სამშობლო“, 4, 1998.
ნ. ბართაია, „დილის გაზეთი“, 22. 10. 98.
Комисаров Д.С., журнал "Восток", N3, Москва, 1999.
Bečka J., Archiv Orientalni, 67, Praha, 1999.
18. Edvārd Shevārdnādze, ġāddeye bozorge abrisham, targomeye Roqiye Behzād, Tehrān, 1380 (ედუარდ შევარდნაძე, „დიდი აბრეშუმის გზა“, თარგმნა ინგლისურიდან როყიე ბეჰზადიმ, თეირანი, 2001).

19. Alefbāye Gorǧī , Tehrān, 1381 („ქართული ანბანი“ სპარსულენოვანთათვის რ. სატისკაცის ვიდეოფილმის მიხედვით), თეირანი, 2002).
20. Hezār o yek zarbolmasale Gorǧī, pazhuhesh va targomeye Teā Shurghāyā va Farshid Delshād, Tehrān, 1381 („ათას ერთი ქართული ანდაზა“ – თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს თეა შურღაიამ და ფარშიდ დელ-შადმა, ქართულ-სპარსული ტექსტები, თეირანი, 2002).
21. Ровесник века. Василию Ивановичу Абаеву 100 лет, Сборник "Актуальные проблемы иранистики и теория языкознания", Владикавказ, 2002, с. 70-76.
22. მ. კვაჭაძე, მასალები წუთისოფლის მიტოვების ცნების ამსახველი ლექსემებისა და ფრაზელოგიზმების შესწავლისათვის სპარსულ ენაში, თბილისი, 2005.
23. იმამ ხომეინი, სიყვარულის ღვინო, სპარსულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა, თბილისი, 2005.
24. Квачадзе М.Ш., Два этюда по лексемам и фразеологическим единицам персидского языка, выражающим понятие "оставления преходящего мира", Тбилиси, 2005.
25. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა სპარსულენოვანთათვის (ფარდინ ქომაის თარგმანი), რაშთი, 2004.
რეც. გ. ლობჯანიძე, გაზეთი „24 საათი“, 21.01.2005.
26. გ. შაყულაშვილი, ეტიუდები ძველი თბილისის ლექსიკიდან, თბილისი, 2006.
27. ლ. ჟორჟოლიანი, მხატვრული დროის პრობლემისათვის ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, თბილისი, 2008.
28. Edvārd Shevārdnadze, Ta'amol dar gozashte va āyande (khāterat), targomeye Alirezā Aslāni, Parvin Tavāzo', Tehrān 1388 (ე. შევარდნაძე, „ფიქრები წარსულზე და მომავალზე – მოგონებები“, ქართულიდან თარგმნეს ალირეზა ასლანიმ და ფარვინ თავაზომ, თეირანი, 2009).

ბიბლიოგრაფია შეადგინა *ელენე გიუნაშვილმა*

**საქართველოს სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული
საბუთები: ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის ასპექტები**

ქართული სიძველეთსაცავების კოლექციებში დაცული სპარსული და ქართულ-სპარსული საისტორიო დაკუმენტები განეკუთვნება სეფიანთა, ავშართა, ზენდების, ყაჯართა დინასტიების მმართველობის პერიოდებს და XVI-XIX საუკუნეებით თარიღდება. ეს მასალა აერთიანებს 1700-ზე მეტ საბუთს – დენებს და პირებს. სპარსული ისტორიული დოკუმენტები, ძირითადად, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ფონდი Pd, 511 ერთეული) და იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში (ფონდები №1452 და №1450, 1237 ერთეული), აგრეთვე საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (4 ერთეული).

ეს იურიდიული აქტები მრავალმხრივია საინტერესო – როგორც უმნიშვნელოვანესი წერილობითი პირველწყაროები საქართველოს, კავკასიისა და ირანის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესასწავლად; როგორც ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენს ისლამური ხელნაწერი წიგნის შემკობის თანადროულ ტრადიციასთან და ასევე, როგორც კონკრეტული ისტორიული ეტაპის სპარსული მდივანმწიგნობრული ენის თავისებურებების, ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობების ამსახველი მასალა.

ქართულ კოლექციებში წარმოდგენილი სპარსული და ქართულ-სპარსული საბუთები მოიცავს ირანის შაჰების მიერ ქართველი მეფეების, ვალიების, სასულიერო პირების, არისტოკრატების, ქალაქის ზედა ფენების წარმომადგენლებისა და მოხელეების მიმართ გაცემულ ფირმანებსა და ჰოქმებს, ნასყიდობის, წყალობის, ქორწინების სიგელებს, არზებს შაჰისა და საქართველოს მეფეთა რეზოლუციებით; უხვადაა წარმოდგენილი სავაჭრო გარიგებათა საბუთები, ბარათები, სავაჭრო და საგადასახადო ხელშეკრულებები. საბუთების ნაწილი გაცემულია აზერბაიჯანის, დაღესტნის, სომხეთის მაღალი რანგის მოხელეებისა და მამასახლისებისადმი.

კოლექციებში მოიპოვება საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელებიც, რომელთა არსებობა განპირობებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ირანზე ვასალური დამოკიდებულებით, ზოგადად, ირანული ელემენტის მომძლავრებით საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

ზოგადი დიპლომატიკის ისტორიაში თავისი არსით სრულიად უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს ორენოვანი – ქართულ-სპარსული – დოკუმენტების არსებობა, რომლებიც ასახავს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამეფოს, ქართლის მეფის ფორმალურ დამოკიდებულებას ირანის ხელისუფლებაზე.

სპარსული და ქართულ-სპარსული აქტების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია მ. ხუბუას (ხუბუა 1949), ვლ. ფუთურიძის (ფუთურიძე 1961-1965), მ. თოდუას (Тодуа 1989), ნ. დუნდუას (დუნდუა 1984; 2010) მიერ. განსაზღვრულია ამ მასალის რაობა და ისტორიული ღირებულება. ბოლო წლებში ხელ-

ნაწერთა ეროვნულ ცენტრში (www.manuscript.ge) მომზადდა ამ სიძველეთსაცავში დაცული სპარსული საისტორიო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი გამოკვლევით (www.persian-doc.org.ge), ასევე მონათული სპარსული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი (www.illuminateddocument.ge) და გამოიცა მონოგრაფია „მონათული ისტორიული დოკუმენტები“ (კლდიაშვილი 2011). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალის გარკვეული ნაწილი დღემდე არაა გამოქვეყნებული.

მიუხედავად ჩატარებული დიდი სამუშაოებისა, სპარსული და ქართულ-სპარსული დოკუმენტები, როგორც ენობრივი მოვლენა, არ ყოფილა კომპლექსურად შესწავლილი. ეს ძეგლები იძლევა უაღრესად მდიდარ მასალას ქართული და სპარსული დიპლომატიკური ენის, სტილისა და არქიტექტონიკის, სემანტიკის, ლექსიკური ინტერფერენციისა და ენობრივ ურთიერთობათა ამსახველი სხვა მოვლენების შესწავლის კუთხით. დოკუმენტური მასალის ამ მიმართულებით შესწავლა წარმოადგენს ერთ აუცილებელ ეტაპს ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობების გაღრმავებული კვლევისათვის.

დიპლომატიკის ენა, მიუხედავად მისი მკაცრად დაკანონებული ნორმებისა, ნათლად აირეკლავს კონკრეტული ისტორიული პერიოდის პოლიტიკურსა და კულტურულ თავისებურებებს; ამასთან, ის იცვლება გამოყენების არეალისა და ფუნქციის მიხედვით და, ამდენად, ასახავს როგორც, ზოგადად, ენის განვითარების თავისებურებებს, ისე კულტურათა ურთიერთშერწყმის სურათს.

ზემოთქმულის მკაფიო მაგალითია სეფიანური ხანის საისტორიო დოკუმენტები. სეფიანთა თურქული წარმომავლობის დინასტია, დამახასიათებელი სპარსულ-შიიტური კულტურით, არსებობის პირველ ეტაპზე, ფაქტობრივად, ორენოვან სახელმწიფოს მართავდა: სამეფო კარის, სასამართლოს, სამხედრო არისტოკრატის ენა თურქული იყო; ადმინისტრაციის, დიპლომატიკის, ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ენა კი სპარსული. თუმცა, ისტორიული დოკუმენტების ენობრივი კუთხით შესწავლა, ლექსიკა-სემანტიკის, ინტერფერენციის მაგალითებისა და სხვა მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფართო კომუნიკაციის ენა ზემოქმედებს დიპლომატიკის ენაზე, განსაკუთრებით ისტორიული საბუთების ისეთ სახეობებზე, როგორიცაა სავაჭრო გარიგებათა საბუთები, საქორწინო კონტრაქტები და სხვ.

სპარსული საისტორიო დოკუმენტების ტექსტის თითოეული თემა გადმოცემულია ამ იურიდიული აქტების შესაბამისი ენობრივ-სტრუქტურული მოდელით, რომელიც უცვლელი ტექსტობრივი ელემენტებისაგანაა შედგენილი. მათი განხილვა გულისხმობს ტექსტის შესწავლას ლექსიკურ-სემანტიკურ და სტილისტურ-ფრაზეოლოგიურ დონეზე, სათანადო მახასიათებლების და თავისებურებების გამოკვეთას საბუთის სახეობისა და ისტორიულ-კულტურული კონტექსტის მიხედვით.

ირანის შაჰების მიერ გაცემული ფირმანების მკაცრად დაკანონებული თემები: *ღვთაებრივი ნება* (ინვოკაციო), *წინაპართა ხსენება*, *შესავალი ფორმულა*; *საბუთის ძირითადი თემა* – *შედგენის მიზანდასახულება*, *გარიგების იურიდიული მხარეები*, *ობიექტის თემა*, *ძირითადი თემით გამოხატული სამართლებრივი ურთიერთობების დაცვა*. თითოეულ თემას საგანგებო ლექსიკა-ფრაზეოლოგია შეესა-

ბამება, კერძოდ: *ღვთაებრივი ნება და ინვოკაციო* სათანადო, ძირითადად, უცვლელი ფორმულებითაა გამოცემული. ძირითადი თემით გამოხატულ ნაწილებს შორის კი დიდი სხვაობაა როგორც სტილის, ისე ლექსიკის თვალსაზრისით – განსაკუთრებით მაღალფარდოვანი სტილით, ამდლებული ეპითეტებით არიან შემკული საბუთის გამცემი შაჰები და ადგილობრივი მმართველები, ასევე ადრესატებიც, თუ ისინი უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე იმყოფებიან – *ვალი, კათალიკოსი, ბეგლარბეგი* და სხვ. საქმიანი, დაწურული სტილითა და სადა ლექსიკური საშუალებებითაა გადმოცემული ტექსტის ის ნაწილები, სადაც საუბარია დოკუმენტის *შეღვენის მიზანდასახულებაზე, ობიექტის თემასა და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების დაცვაზე*.

სპარსული დოკუმენტების იდეურ და მხატვრულ-კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს ტექსტის თავზე, საბუთის ცენტრში დასმული ბეჭედი, რომელიც ხშირად მდიდრულ მონატულობაშია ჩასმული, ფერადოვანია და აქცენტირებული. მასში გამცემი შაჰის სახელია ჩაწერილი მარტივი ან რთული ტიტულატურით, რომელსაც გარს უვლის უზენაესი მბრძანებლის ეპითეტები ან სხვა, უფრო რთული წარწერები, მაგ.: თორმეტი იმამის სახელი, ალისადმი მოწიწების გამომხატველი წარწერა (ზოგჯერ ლექსად) სეფიანი შაჰების ბეჭდებში და სხვ. საბუთის შესავალი თემების მსგავსად, ბეჭდის წარწერებიც უცვლელი ფორმულებითაა წარმოდგენილი ცალკეული დინასტიის მმართველობის პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, ზოგიერთი შაჰის, მაგალითად, შაჰ-სულთან ჰუსეინის ბეჭდებს რამდენიმე სახის ზედწერილი აქვს.

ზურგი დამოწმებისა და სარეგისტრაციო ჩანაწერებისთვისაა გამოყენებული. ეს ტექსტები მშრალი საკანცელარიო ენითაა შესრულებული, თუმცა აქაც ვხვდებით უმაღლესი მოხელეების, მაგ.: პირველი ვეზირის ეთემად ად-დოღლეს საგანგებო ეპითეტებით – „სახელმწიფოს *ნდობა*“, „მარჯვენა *კეზირი*“, „წყალობით *გამორჩეული ბეჭდის მცველი*“ და სხვ. მოხსენიებას. ამ ჩანაწერებისთვის ხშირად საბუთის ძირითადი ხელისაგან განსხვავებული კალიგრაფიაცაა გამოყენებული.

ენობრივი გავლენების, ლექსიკური ინტერფერენციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული სპარსული ადმინისტრაციული და სოციალური ტერმინული ერთეულები, მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ლექსიკა. ირანისა და საქართველოს მმართველობის აპარატის იერარქიული სურათის და ფეოდალურ ურთიერთობათა ამსახველი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულები დამკვიდრებულია XVI-XVIII საუკუნეების ქართულ საქმისწარმოებაშიც, ქართულ, ქართულ-სპარსულ ისტორიულ დოკუმენტებსა და სხვა ნარატიულ წყაროებში. ამ ტერმინთა დიდი ნაწილი განხილულია ქართველ მეცნიერთა – მ. ხუბუას, ვლ. ფუთურაძის, მ. თოდუას, ი. დოლიძის, ნ. ბერძენიშვილის (ბერძენიშვილი 1940), ალ. ვაჩიშვილის (ვაჩიშვილი 1963), ვ. გაბაშვილის (გაბაშვილი 1958), დ. კაციტაძის (კაციტაძე 1972:131-145; კაციტაძე 2009), კ. კუციას (1965:89-92), თ. აბაშიძის (აბაშიძე 1963:63-81) და სხვათა შრომებში. ენობრივი ინტერფერენციის მაგალითები – *აზნავარი/აზნაური* (დიდგვაროვანი), *ბათილი* (ანულირებული), *ბაჰრა* (გადასახადი), *გორბაკალი* (მოხელე, *აგენტ*), *დამლა* (ბეჭედი, *გადასახადი სავაჭრო საქონელზე*) და სხვ. ნათლად წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთის კულ-

ტურულ არეალში შემაგალი ქვეყნების ენობრივ ურთიერთობათა სურათს, განპირობებულს გეოგრაფიული სიახლოვით, მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირებით.

ისტორიული საბუთების ენობრივი ასპექტები და ქართულ-სპარსულ ენობრივ ურთიერთობათა კვლევასთან დაკავშირებული საკითხები მეტ სიცხადეს იძენს სპარსული და ორენოვანი – ქართულ-სპარსული დოკუმენტების ენისა და არქიტექტონიკის პარალელური შესწავლის შედეგად. ამ საბუთების ქართული, ამოსავალი ტექსტი ქართული სამდივანმწიგნობრო ტრადიციითაა შესრულებული. მისი თარგმანი – სპარსული ტექსტი კი, რომელიც ქართულის რეზიუმეა (მოთავსებულია დოკუმენტის ზურგზე ან პირველ გვერდზე ქართული ტექსტისადმი შვეული ან ირიბი სტრიქონებით), მნიშვნელოვნად სხვაობს ანალოგიური შინაარსის სპარსული საბუთების ტექსტისგან, თუმცა, დროთა განმავლობაში ზოგიერთი კლაუზულა, ფორმულა და ტერმინი, მათი არქიტექტონიკა იცვლებოდა სპარსული სამწერლობო ტრადიციის გავლენითა და საქართველო-ირანს შორის არსებული ურთიერთობის კონკრეტული ეტაპის თავისებურებების მიხედვით.

ამრიგად, სპარსული და ქართულ-სპარსული ორენოვანი სიგელების ენობრივი ასპექტების კვლევა საკითხთა ფართო წრეს მოიცავს: იგი უშუალოდ უკავშირდება დოკუმენტური წყაროების ლექსიკურ-სემანტიკურ და სტილურ თავისებურებებს და ამასთან, ისტორიული და კულტურული კონტექსტით განპირობებულ ურთიერთობებს ასახავს. ისტორიული საბუთების, როგორც ენობრივი მოვლენის, კომპლექსური და ინტერდისციპლინარული კვლევა სწორედ ამ ჭრილში უნდა მოხდეს. ამ მიმართულებით კვლევა დაწყებულია.

ლიტერატურა

აბაშიძე 1974: თ. აბაშიძე, ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების დიპლომატიკური თავისებურებანი, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 2, გვ. 63-81.

ბერძენიშვილი 1940: ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, თბილისი.

გაბაშვილი 1958: ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბილისი.

დუნდუა 1984: ნ. დუნდუა, ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.), თბილისი.

დუნდუა 2010: ნ. დუნდუა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბილისი.

ვაჩეიშვილი 1963: ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. 3, თბილისი.

კაციტაძე 1972: დ. კაციტაძე, XVII-XVIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ (ზოგადი მიმოხილვა), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. 2, თბილისი, გვ. 131-145.

კაციტაძე 2009: დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები, თბილისი.

კლდიაშვილი 2011: მონათული ისტორიული დოკუმენტები, დ. კლდიაშვილის რედაქციით, თბილისი.

ფუთურიძე 1955: ვლ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბილისი.

ფუთურიძე 1961-1965: ვლ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტ. 1, ნაწილი 1-3, თბილისი.

ზუბუა 1949: მ. ზუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, თბილისი.

Куция 1965: Куция К., Тиюль и бахрече по данным грузино-персидских двуязычных документов, Народы Азии и Африки, №2, Москва, с. 89-92.

Тодуа 1989: Тодуа М.А., Шамс И.К., Тбилисская коллекция персидских фирманов, в 2-х томах, Тбилиси.

Tamar Abuladze, Helen Giunashvili

Persian and Georgian-Persian Historical Documents of Georgia: Aspects of Linguistic-Philological Studies

Summary

Among the rich collections preserved at the Georgian national antiquities depositories, XVI-XVIII cc. Persian historical documents present the most important records for the study of Iranian-Georgian (Caucasian) cultural relations. The documents are kept at the National Center of Manuscripts (fund PD, 511 units), the National Archive of the Ministry of Justice (funds N 1452 and N 1450,1237 units) and the Museum of Art of Georgia (4 units). They are absolutely unique from the point of view of their content, completeness, historical and artistic significance.

The collections comprise Persian firmans (deeds), hoqms, books of grants and purchases, letters of appeal (petitions) of Iranian shahs and Georgian governors, who adopted Islam, with the resolutions of shahs or kings of Georgia. The deeds of trade transactions, notes, trade and taxation receipts, wedding contracts, etc. are represented in abundance. They refer to both Georgia and other parts of Caucasus as well. The documents are addressed to Georgian feudals, catholicoses, Armenian meliks and others. The Safavid documents preserved at the Georgian depositories – firmans and hoqms issued by Shah-Thahmas, Shah Sepi I, Shah-Abbas I, Shah Suleiman, Shah Sultan Husein, Shah Abbas II and some others – are important original sources clearly illustrating political, social and economic aspects of Iranian-Georgian interrelations. Their language, lexis, semantics, style and phraseology reveal the literary language development tendencies of that common cultural area. From this point, these documents have not been studied properly up to the present.

Researches of the linguistic aspects of Persian historical documents are of special interest from the viewpoint of the phenomenon of lexical interference expressed, first of all, in social terminology. This is a bilateral phenomenon conditioned by geographical proximity, close political and cultural relations.

The Persian documents require complex, interdisciplinary research, which will enable us to discuss the problems of cultural-linguistic interference in a wider aspect and to highlight comprehensively and deeply one important segment of the Iranian-Georgian relations.

პარინა ალექსიძე

**პირდაპირი ნათქვამის როგორც შინაგანი მეტყველების
გამოსახვის ფორმათა ნაირსახეობა**

პერსონაჟის შინაგანი მეტყველება მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც „სხვათა სიტყვა“. ენათმეცნიერებაში „სხვათა სიტყვას“ უწოდებენ მეტყველებას, „რომელიც არ ეკუთვნის მოლაპარაკეს და მხოლოდ მის მიერ არის გადმოცემული შესაძლო მითითებით მიზანზე, წყაროსა და სიტუაციაზე, რომელშიც იგი განხორციელდა“ (რუსული გრამატიკა 1980: 485).

სხვათა სიტყვის აგება გულისხმობს ავტორის პლანის, ანუ მოლაპარაკე პირის (ავტორის, მთხრობელის) პლანის არსებობას, რომლის ფონზეც იგი გამოიყოფა. ლ. მურზინის აზრით, სხვათა სიტყვისა და ავტორისეული მეტყველების ცნებათა განსაზღვრას საფუძვლად უდევს შეტყობინების შექმნისა და გადაცემის მომენტების გამოჯენა (მურზინი 1969: 49-50). თუ გამონათქვამის შექმნის მომენტი ემთხვევა შეტყობინების მომენტს, იგი ეკუთვნის ავტორისეულ მეტყველებას, თუ არ ემთხვევა – სხვათა სიტყვას. ამასთან ერთად იგულისხმება გამონათქვამის ორივე სახეობის აუცილებელი თანხვედრა ურთიერთობის ერთ სამეტყველო აქტში. აქედან გამომდინარე, სხვათა სიტყვის ძირითადი ნიშანია უკვე შექმნილი გამონათქვამის კვლავწარმოება ურთიერთობის სხვა აქტებში.

არსებითად, სხვათა სიტყვა წარმოადგენს მეტყველებას მეტყველებაში, ეს არის რომელიმე პირის მეტყველება შეყვანილი სხვა პირის მეტყველებაში, რის შედეგადაც წარმოიქმნება ორი ხაზის ერთიანობა: „თავისი“ („ავტორის“) და „სხვისი“ („არა-ავტორის“). მ. ჩუმაკოვის აზრით, სხვათა სიტყვის შეფარდებითი ხასიათი არის მისი „განუყრელი კონსტიტუციური თვისება, რომელიც განსაზღვრავს სხვათა სიტყვის შემცველი აგებულებების ბინარულ ხასიათს და განაპირობებს მთლიანად ამ მოვლენის სპეციფიკას“ (ჩუმაკოვი 1975: 15).

სხვათა სიტყვა გადმოიცემა გარკვეული ენობრივი ხერხებისა და ფორმების მეშვეობით. რუსულ ენაში ტრადიციულად გამოიყოფა სხვათა სიტყვის გადმოცემის სამი საშუალება: პირდაპირი, ირიბი და არასაკუთრივ პირდაპირი. ერთმანეთისაგან ისინი განსხვავდებიან იმით, თუ როგორ არის ორგანიზებული ავტორისეული პლანი – არსებობს ცალკე სხვათა სიტყვისგან, თუ ერწყმის მას; და იმით, თუ როგორ შეეფარდება ეს პლანი ფორმალურად სხვათა სიტყვას – იმორჩილებს მას თუ არა. თუ ავტორის პლანი არსებობს სხვათა სიტყვის პლანისგან ცალკე და სინტაქსურად არ არის მასთან დაკავშირებული, ჩვენ წინაშე პირდაპირი მეტყველებაა. თუ ავტორის პლანი არსებობს სხვათა სიტყვის პლანისგან ცალკე, მაგრამ სინტაქსურად იმორჩილებს მას, საქმე გვაქვს ირიბ მეტყველებასთან. თუკი ავტორის პლანი არ არსებობს სხვათა სიტყვის პლანის გარეშე და შერწყმულია მასთან, ადგილი აქვს არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებას. შდრ.:

“Самое большое, – думал он, – будет то, что не примут и что-нибудь нехорошее обо мне подумают или, пожалуй, и примут, да станут смеяться

в глаза... Э, ничего!" (И); Одни из них даже думали, что всех их немедленно спустят с лестницы (И); Злоба накопала в нем все сильнее и сильнее, и если бы теперь встретился с ним господин Лужин, он, кажется, убил бы его! (ПиН).

პერსონაჟის შინაგანი მეტყველების გამოსახვა მხატვრულ ლიტერატურაში ხორციელდება ენაში არსებული სხვათა სიტყვის გადმოცემის ხერხებისა და ფორმების ჩარჩოებში.

ჩვენ განვიხილავთ შინაგანი მეტყველების გადმოცემის ერთ-ერთი ხერხის – პირდაპირი მეტყველების – ნაირსახეობას თ. დოსტოევსკის რომანების – „იდიოტი“ და „დანაშაული და სასჯელი“ – მასალაზე.

პირდაპირ მეტყველებას უწოდებენ „სხვათა სიტყვის გადმოცემის ისეთ საშუალებას, რომლის დროსაც მოლაპარაკე მთლიანად ინარჩუნებს მის ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებებს და არ ურგებს თავის მეტყველებას“ (რუსული ენა 1979: 241). პირდაპირი მეტყველების გარეგან ნიშნებს მიეკუთვნება: 1) ავტორისეული შემყვანი კომპონენტის არსებობა, რომელიც შეიცავს სამეტყველო ან აზრობრივი ქმედების აღმნიშვნელ სიტვას ან მის შემცველს; 2) მითითება ავტორისეულ თხრობაში იმაზე, რომ პერსონაჟი იმყოფება სამეტყველო, მენტალურ ან ემოციურ მდგომარეობაში; 3) იმ დიალოგსა თუ მოქმედების შემცველ კონტექსტში ჩართულობა, რომელშიც მონაწილეობს მოლაპარაკე. პირდაპირი ნათქვამის გარეგანი ნიშნებია: 1) „მე – აქ – ახლა“ პერსონაჟის სიტუაციის ასახვა (პირის ნაცვალსახელების, ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმების თავისუფალი გამოყენება, კილოს ფორმების პირდაპირი გამოყენება, მათ შორის ბრძანებითის, და ასევე ისეთი დროის ფორმების გამოყენება, რომლებიც ქმნიან პერსონაჟის ინდივიდუალურ დროს); 2) გამოსახვის ინდივიდუალური სტილური თავისებურებანი (ემოციურად შეფერილი და კოლორიტის შემქმნელი ლექსიკის გამოყენება); 3) სინტაქსური წყობის თავისებურებანი (პირდაპირი ნათქვამის გაფორმება დამოუკიდებელი წინადადების სახით, საკუთარი ინტონაციის შენარჩუნება, ბრძანებითი, კითხვითი და ძახილის წინადადებების და მიმართვის გამოყენება).

პირდაპირი ნათქვამის ამოცანაა სხვისი მეტყველების არა მარტო საგნობრივი შინაარსის გადმოცემა, არამედ მისი შენარჩუნება და ზუსტი კვლავწარმოება მისთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული, ინტონაციური თუ სტილური თავისებურებებითურთ – მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა არის ნათქვამი, და ისიც, თუ როგორ არის ნათქვამი. ამის წყალობით გადმოიცემა მოლაპარაკის ინდივიდუალური სტილი და პირდაპირი ნათქვამი „სიტყვასიტყვით აღდგენილის შთაბეჭდილებას ტოვებს“ (მილინი 1956: 136).

პირდაპირი მეტყველების შემცველი გამონათქვამების თავისებურებაა მათში ორი შემადგენელი ნაწილის გამოყოფა: ავტორისეული შემყვანი კომპონენტისა და საკუთრივ პირდაპირი მეტყველების. ისინი გამოსახავენ ორ სამეტყველო პლანს – ავტორის და პერსონაჟის და ქმნიან ერთ მთლიანობას. შემყვანი კომპონენტი გამოდის როგორც გარდამავალი რგოლი ავტორისეული თხრობიდან სხვათა სიტყვაზე და ემსახურება ავტორისეულ თხრობაში ახალი სამეტყველო პლანის პირდაპირი მეტყველების სახით შეყვანას. ამრიგად, გამონათქვამში „წამ-

ყვანი ნაწილია ავტორის რემარკა, მას შემოჰყავს პირდაპირი ნათქვამი, ტექსტის მიმართ კი ის დამხმარე ელემენტია“ (მილიხი 1961: 142)

პირდაპირი მეტყველების შემცველი გამონათქვამების გრამატიკულ ფორმართული უკავშირო წინადადებაა. ავტორისეული პლანი ფორმდება როგორც შედარებით დამოუკიდებელი წინადადება, რომელშიც სტრუქტურულ-სემანტიკური ცენტრის როლში გამოდის აზრისა და მეტყველების აღმნიშვნელი ზმნური სიტყვა, სხვათა სიტყვა კი წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი წინადადება. პირდაპირი მეტყველების კომპონენტთა ავტონომიური ხასიათი და შეუღწევობა თავს იჩენს ავტორისეული შემყვანი კომპონენტის თავისუფალ ორგანიზებაში – მას შეუძლია თავისი პოზიციის ვარირება სხვათა სიტყვის მიმართ: ის შეიძლება მოთავსდეს მის წინ, შემდეგ ან შუაში.

რეალობის ხარისხის მიხედვით შინაგანი მეტყველება შეიძლება იყოს რეალური და წარმოსახვითი.

რეალურია ისეთი პირდაპირი შინაგანი მეტყველება, რომელსაც, ავტორის დახასიათების თანახმად, ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მართლა „მიედინებოდა“ პერსონაჟის ცნობიერებაში, იგი ღიაა „ყოვლისმჭვრეტელი“ ავტორის მზერისათვის და წარმოადგენს მისი დაკვირვებისა და გამოსახვის ობიექტს. ამ შემთხვევაში მწერალმა ნამდვილად იცის, რას ფიქრობს და რას გრძნობს მისი გმირი, და გამოხატავს ამას პირდაპირი მეტყველების სახით.

წარმოსახვითია ისეთი პირდაპირი შინაგანი მეტყველება, რომელსაც ან არ აქვს ადგილი სინამდვილეში და იგი შესაძლებელია მხოლოდ მომავალში, ან იგი დამალულია „ყოვლისმჭვრეტელი“ ავტორის მზერისათვის და მიუწვდომელია დაკვირვებისა და გამოხატვისათვის. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც ხდება აღწერილი მოვლენები, მწერალს რაღაც გარეგანი ნიშნების მიხედვით შეუძლია ივარაუდოს, თუ რას ფიქრობს პერსონაჟი, და გამოხატოს ეს პოტენციურად შესაძლო, წარმოსახვითი პირდაპირი მეტყველების სახით. არარეალობის მაჩვენებლების როლში რუსულში, ჩვეულებრივ, გვევლინება სიტყვები *как будто, как бы*, მოდალური სიტყვები და ზმნის მომავალი დროის ფორმები. მაგ.:

– *Да вы точно... из-за границы?* – *как-то невольно спросил он, наконец, и сбился; он хотел, может быть, спросить: "Да вы точно князь Мышкин?"* (И).

გრაფიკული გაფორმების მიხედვით პირდაპირი შინაგანი მეტყველება შეიძლება იყოს გრაფიკულად გაფორმებული და გრაფიკულად გაუფორმებელი. თ. დოსტოევსკის რომანებში უმეტესად პერსონაჟის პირდაპირი მეტყველება გაფორმებულია ბრჭყალებით. იშვიათად გვხვდება ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც პერსონაჟთა პირდაპირი მეტყველება გრაფიკულად გაფორმებული არ არის. ასეთ პირდაპირ მეტყველებას უწოდებენ „ნახევრად პირდაპირ მეტყველებას“ (ახმანოვა 1969), „თავისუფალ პირდაპირ მეტყველებას“ (ჩუმაკოვი 1975). ისეთი პირდაპირი მეტყველების სპეციფიკა, რომელიც არ არის გრაფიკულად გაფორმებული, დაკავშირებულია მისი შინაარსისა და სტრუქტურის თავისებურებებთან. სემანტიკური თვალსაზრისით, აქ, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია სხვათა სიტყვის ორიგინალობა, სიზუსტე, მოდალობა და ემოციურობა, მეორე მხრივ, აღინიშნება სიმოკლე, სხვათა სიტყვის ცალკეული ელემენტების შემცირება ან შეცვლა (ამიტომ მას უწოდებენ თავისუფალს და არ სვამენ ბრჭყალებში). სტრუქტურული

თვალსაზრისით, ამგვარი გამონათქვამებისათვის დამახასიათებელია შემყვანი კომპონენტის არსებობა, გარკვეული მოდელის შესაბამისობა, სხვათა სიტყვის გრამატიკული ფორმების შენარჩუნება (ამიტომ მას უწოდებენ პირდაპირს). როგორც გ. ჩუმაკოვი აღნიშნავს, „თავისუფალი პირდაპირი მეტყველება – მისი ბუნებიდან გამომდინარე – არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს ბრჭყალებით: ეს არის პუნქტუაციური ნიშანი, რომელიც გამოხატავს სხვათა გამონათქვამების ნამდვილ თუ პირობითპორიგინალობას და რომელიც ემსახურება ამგვარი გამონათქვამების მხოლოდ ერთ ტიპს – პირდაპირ მეტყველებას“ (ჩუმაკოვი 1975: 78). ასეთ გრაფიკულად გაუფორმებელ შინაგან მეტყველებას ჩვენ განვიხილავთ როგორც პირდაპირი მეტყველების ვარიანტს.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებში ძირითადად გვხვდება გამონათქვამები, სადაც წარმოდგენილია გრაფიკულად გაუფორმებელი კითხვითი ხასიათის პირდაპირი მეტყველება, რომელიც თავისებური დიალოგიზებული რეპლიკაა. ისინი შეიცავენ პერსონაჟის კითხვებს თავის თავის მიმართ, რომლებშიც ასახულია მისი შინაგანი ფიქრებისა თუ მსჯელობების პროცესი. ეს რეპლიკები ხშირად პასუხგაუცემელი რჩება და წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ყურადღების აქცენტირება ხდება აზრის ყველაზე მთავარ მომენტებზე. ზოგჯერ კი პასუხი გაეცემა და მაშინ იქმნება კითხვა-პასუხის თავისებური კომპლექსები. ამასთან როგორც კითხვები, ასევე პასუხები მოკლეა და მათი სემანტიკა განზოგადებული ხასიათისაა. მაგ.:

Сначала, – впрочем, давно уже прежде, – его занимал один вопрос: почему так легко отыскиваются и выдаются почти все преступления и так явно обозначаются следы почти всех преступников? (ПиН); Но когда она еще читала письмо, ей вдруг пришло в голову: неужели этот самонадеянный мальчишка и фанфаронщика выбран князем в корреспонденты и, пожалуй, чего доброго, единственный его здешний корреспондент? (И).

რომანში „იდიოტი“ აღნიშნულია არასაკუთრივ პირდაპირი მეტყველების შიგნით მოთავსებული შინაგანი პირდაპირი მეტყველების უჩვეულო გაფორმების შემთხვევა – ფრჩხილების მეშვეობით. მაგ.:

Теперь же становилось ясно: князь Щ., конечно, толковал событие ошибочно, но все бродил кругом истины, все-таки понял тут – интригу (Впрочем, может быть, и совершенно про себя понимает, – подумал князь, – а только не хочет высказаться и потому нарочно толкует ошибочно). Яснее всего было то, что к нему теперь заходили (и именно князь Щ.) в надежде когда-нибудь дождаться разъяснений: если так, то его прямо считают участником в интриге (И).

მხატვრულად გამოსახული შინაგანი მეტყველების მარტივ ფორმას წარმოადგენს რეპლიცირებული პირდაპირი შინაგანი მეტყველება.

გ. ჩუმაკოვი, გამოყოფს რა რეპლიკას როგორც სხვათა სიტყვის რეალიზაციის ფორმას, ახასიათებს მას როგორც მონოლოგურს და აერთიანებს მასში იზოლირებულ და დიალოგურ რეპლიკებსაც (ჩუმაკოვი 1975: 61-62). თუმცა, შეიძლება ამ ორი ცნების ტერმინოლოგიური გამიჯვნა: ტერმინით „მონოლოგური რეპლიკა“ განისაზღვროს პერსონაჟის ცალკეული, იზოლირებული გამონათქვამი, რომელიც შედარებით მოკლეა და არ შედის დიალოგის შემადგენლობაში;

ტერმინით „დიალოგური რეპლიკა“ კი – პერსონაჟის გამონათქვამი, რომელიც ჩართულია დიალოგში მისი შემადგენელი ნაწილის სახით.

შინაგანი რეპლიკები პერსონაჟის უშუალოდ შიდასამეტყველო რეაქციაა როგორც გარესამყაროში, ასევე საკუთარ შინაგან სამყაროში მომხდარზე ლოგიკური, მოდალური თუ ემოციური შეფასებების სახით. შინაგანი რეპლიკები გამოხატავენ პერსონაჟის სუბიექტურ რეაქციებს და, როგორც წესი, შეიცავენ ემოციურად და მოდალურად მარკირებულ ელემენტებს. რეპლიკა-რეაქცია მჭიდროდ არის ხოლმე დაკავშირებული სიუჟეტთან და ხელს უწყობს მის განვითარებას. მაგ.:

Скоро проскользнул на террасу вдруг откуда-то явившийся Коля. "Стало быть, его принимают здесь по-прежнему", – подумал князь про себя (И).

რეპლიკას, როგორც შინაგანი პირდაპირი მეტყველების ფორმას, ახასიათებს მცირე მოცულობა, სტრუქტურული სიმარტივე და შესაბამისი გრაფიკული გაფორმება. რეპლიკა ადვილად გამოიყოფა ტექსტში. მის ქვედა ზღვარს წარმოადგენს ერთსიტყვიანი წინადადებების შემცველი გამონათქვამები, ზედა ზღვარს კი – გამონათქვამები, რომლებიც შეიცავენ ორ (ჩვეულებრივ, მარტივ) წინადადებას. ტიპური შინაგანი რეპლიკა კი მარტივი ან მცირე მოცულობის რთული წინადადებაა. მაგ.:

"Ну, так и есть!" – подумал он (ПиН); "От этого ничего не узнаешь, потому что ему все равно", – подумал Раскольников (ПиН).

იმის მიხედვით, თუ როგორ შეეფარდება რეპლიცირებული პირდაპირი შინაგანი რეპლიკა მეტყველების სახეობებს, გამოიყოფა: 1) მონოლოგური რეპლიკა, 2) დიალოგიზებული რეპლიკა, 3) კომბინირებული რეპლიკა.

მონოლოგური რეპლიკები იზოლირებული გამონათქვამებია, რომლებსაც აქვთ მონოლოგური მეტყველების გარეგანი ნიშნები, მცირე მოცულობა და რომლებიც არ შედიან დიალოგის შემადგენლობაში. მათთვის დამახასიათებელია შინაარსის მრავალფეროვნება. ისინი, მაგალითად, აფიქსირებენ პერსონაჟის ცნობიერებაში მისი თვალთახედვის არეში არსებულ საგნებსა და მოვლენებს:

"А ведь они точно боятся меня", – подумал сам про себя Раскольников, исподлобья глядя на мать и сестру (ПиН).

ამგვარ რეპლიკებში კონსტატაციის მნიშვნელობა შეიძლება გართულებული იყოს სუბიექტურ-მოდალური შეფასებით, რომლის მაჩვენებელია მოდალური მნიშვნელობის მქონე ჩართული სიტყვები და უარყოფითი სიტყვები (*конечно, очевидно, стало быть, должно быть, кажется, может быть, верно, невозможно, нельзя, нет*):

"Заочно, кажется, так ведь любил их", – промелькнуло в его голове (ПиН); – Это очень интересно! – заметил вслух Евгений Павлович. "Стало быть, знает дело!" – подумал князь (И).

ზოგჯერ მონოლოგური რეპლიკა შეიცავს პერსონაჟის თვალთახედვის არეში მომხდარი საგნებისა თუ პიროვნებების თვისებრივ დახასიათებას. ამ მნიშვნელობის გამოხატველ ტიპურ კონსტრუქციას წარმოადგენს ორშემადგენლიანი წინადადება (ხშირად არასრული) სახელადი შემასმენლით (ბაბაიციკვა 2000). მაგ.:

"Илья Петрович – болван!" – решил он окончательно (ПиН); "Да, я человек без сердца и трус!" – повторял он мрачно и порывисто двинулся идти, но... опять остановился... (И).

მონოლოგური რეპლიკა შეიცავს რომელიმე მოვლენის, საგნის, პიროვნების, ვინმეს სიტყვების მოკლე შინაგან კომენტარს, რომელსაც პერსონაჟი აკეთებს იმისათვის, რომ კარგად გაიგოს და შეითვისოს ამ მომენტისათვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი:

– Нет-с, это ведь я так только интересуюсь, собственно, для уразумения вашей статьи, в литературном только одном отношении-с...

"Фу, как это явно и нагло!" – с отвращением подумал Раскольников (ПиН).

მონოლოგური ტიპის რეპლიკა შეიძლება შეიცავდეს პერსონაჟის განზრახვას, გადაწყვეტილებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს რომელიმე მოქმედება. ასეთ გამონათქვამებს აქვს მკვეთრად გამოხატული მოდალური ხასიათი. მათ შემადგენლობაშია მოდალური სიტყვები (*не надо, (не) нужно, невозможно, нельзя*, ზმნები მომავალი დროის ფორმაში ან ინფინიტივი. მაგ.:

"Войду, стану на колена и все расскажу..." – подумал он, входя в четвертый этаж (ПиН); Главнейшая суть дела была решена в его голове и решена окончательно: "Не бывать этому браку, пока я жив, и к черту господин Лужина!" (ПиН).

მონოლოგური რეპლიკა-სურვილი შეიცავს პერსონაჟის სურვილს, საკუთარი ინტერესების შესაბამისად შეცვალოს საქმეთა არსებული მდგომარეობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო მას აღარ აკმაყოფილებს. ამგვარი გამონათქვამები ასევე მკვეთრად გამოხატულ მოდალურ ხასიათს ატარებს: წარმოადგენენ რა მოქმედებას როგორც სასურველს, ისინი გამოხატავენ ირეალურ მოდლობას. არარეალური სურვილის მნიშვნელობას გადმოსცემენ ნაწილაკები *бы, только бы, лишь бы, хотя бы, если бы*, ხშირად ინფინიტივთან ერთად:

"Вот бы куда подбросить и уйти!" – вздумалось ему вдруг (ПиН); "Хоть бы он-то случился и что-нибудь сказал", – говорила о нем Лизавета Прокофьевна (И).

პერსონაჟის უშუალო, წმინდა ემოციური რეპლიკები, რომელიც გამოწვეულია გარეშე, „მატერიალური“ ან შინაგანი, ფსიქოლოგიური, მიზეზებით, შეიცავენ რეპლიკა-შეგრძნებას. როგორც წესი, ამგვარი რეპლიკები გამოხატავენ უარყოფით ემოციებს (გალიზიანება, გაბრაზება, სასოწარკვეთილება) და წარმოადგენენ სიტყვა-წინადადებებს, რომლებიც რეალიზდებიან შორისდებულის ან ნაწილაკის სახით. მაგ.:

Увидев Ганю, он ядовито улыбнулся и прошептал про себя: "Вишь!" (И); Показалось ему вдруг тоже, что ужасно ему теперь отвратительно проходить мимо той скамейки, на которой он тогда, по уходе девочки, сидел и раздумывал, и ужасно тоже будет тяжело встретить опять того усаца, которому он тогда дал двугривенный: "Черт его возьми!" (ПиН).

მონოლოგური რეპლიკის შინაარსს შეიძლება შეადგენდეს პერსონაჟის ფიქრი მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. განხილული მაგალითებისაგან განსხვავებით, რეპლიკა-ფიქრი ატარებს ანალიტიკურ ხასიათს, გამოხატავს უფრო რთულ შინაარსს და აქვს უფრო რთული აგებულება. მაგ.:

"Ведь вот, – подумала про себя Лизавета Прокофьевна, – то спит да ест, не растолкаешь, а то вдруг подыметя раз в год и заговорит так, что только руки на нее разведешь" (И).

ხშირ შემთხვევაში მონოლოგურ რეპლიკებს მკვეთრად გამოხატული ემოციური შეფერილობა აქვთ, რადგან ისინი წარმოადგენენ პერსონაჟის უშუალო და სუბიექტურ რეაქციას მომხდარზე, როდესაც არ არის საჭირო საკუთარი გრძობების და განცდების დამალვა. ამას ხელს უწყობენ ძახილის ნაწილაკები, შორისდებულები, გამეორებები, წინადადების განსაკუთრებული წყობა, ინტონაცია, რომლის გრაფიკული მაჩვენებელია ძახილის ნიშანი. მაგ.:

"И я мог хоть на мгновение ожидать чего-нибудь от этого грубого злодея, от этого сладострастного развратника и подлеца!" – вскричал он невольно (ПиН); "И он, он – тоже ослепленный и неверующий, – он тоже сейчас услышит, он тоже уверует, да, да! сейчас, теперь", – мечталось ей, и она дрожала от радостного ожидания (ПиН).

დიალოგიზებული რეპლიკები შეიცავს პერსონაჟების ემოციურ ან ინტელექტუალურ რეაქციებს, ასახავს მათ მისწრაფებას, მიიღოს რაღაც ინფორმაცია გარე სამყაროს შესახებ ან შეცვალოს მასში რამე საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად. სემანტიკურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით დიალოგიზებული რეპლიკები წარმოდგენილია რეპლიკა-შეკითხვით და რეპლიკა-წაქეზებით.

რეპლიკა-შეკითხვა ქმნის დიალოგიზებული რეპლიკების ყველაზე მრავალრიცხოვან ვარიანტს. თ. დოსტოევსკის გმირების შინაგანი მეტყველება გაჯერებულია შეკითხვებით. კითხვითი წინადადება თავის პირველად და ძირითად ფუნქციაში – დიალოგიური მეტყველების ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია. „საერთოდ, კითხვითი წინადადების ფუნქცია ინფორმაციის ნაკადის ორ ან მეტ მოსაუბრეებს შორის განაწილება“ (ვაინრიხი 1978: 379).

კითხვითი წინადადების შინაგანი მეტყველებაში, გარეგანი მეტყველებისგან განსხვავებით, დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ის არ არის ორიენტირებული მსმენელზე. შინაგანი მეტყველების სიტუციაში ხდება კომუნიკაციის სხვადასხვა მონაწილის – მოლაპარაკისა და მსმენლის – გაერთიანება ერთ პირში, რაც იწვევს მოლაპარაკის ინტენციისა და კომუნიკაციური აქტის შინაარსის ტრანსფორმაციას. თუ გარეგანი მეტყველებაში კითხვითი წინადადებები ვარაუდობს საპასუხო რეაქციას უცნობი ინფორმაციის მისაღებად, შინაგანი მეტყველებაში ისინი წარმოგვიდგებიან როგორც მაჩვენებლები პერსონაჟის გარკვეული მდგომარეობისა, როდესაც მისი (პერსონაჟის) ცნობიერება კონცენტრირებულია რაღაც უცნობზე. შინაგანი მეტყველებაში კითხვითი წინადადების მიზანია – აჩვენოს პერსონაჟის აზროვნების პროცესის აქტივიზაცია, მიიპყროს ყურადღება აზრის ამა თუ იმ ელემენტზე, მონიშნოს მსჯელობის თემა ან დააფიქსიროს გადასვლა ერთი თემიდან მეორეზე.

ცალკეული კითხვითი წინადადებები გამოყენებულია თ. დოსტოევსკის რომანებში ან როგორც რეპლიკა გარე სამყაროში მომხდარ მოვლენებზე, ან როგორც იმპულსი მოქმედების შემდგომი განვითარებისათვის. მათი დიალოგიზებული ხასიათი იმაში ვლინდება, რომ ამგვარი რეპლიკები გამოხატავს პერსონაჟის პოზიციას, რომელიც საწინააღმდეგოა გარშემო კონტექსტში ასახული პოზიციისაგან. ასეთი რეპლიკები თითქოსდა თავისებური პასუხებია სხვა ადამიანის მიერ დას-

მულ კითხვაზე, ან სხვა პერსონაჟის კითხვითი რეპლიკის გამეორებაა. მათი დანიშნულებაა – აზრის განვითარების სტიმულირება, აზროვნების ასოციაციური ხასიათის და შინაგან მეტყველებაში ამა თუ იმ თემის გამოჩენის სპონტანურობის ასახვა.

პერსონაჟისთვის უცნობი ინფორმაციის მოცულობისა და ხასიათის მიხედვით საკუთრივ-კითხვით წინადადებებს შეიძლება ჰქონდეს ზოგად- და კერძოშეკითხვითი ხასიათი. პირველ შემთხვევაში შეკითხვა მიმართულია სიტუაციის გააზრებაზე მთლიანობაში, მეორე შემთხვევაში კი – რომელიმე ფაქტის, მოვლენისა თუ საგნის ცალკეული მხარის გააზრებაზე. გაანალიზებულ რომანებში ძირითად მასას ქმნის კერძოშეკითხვის ტიპის წინადადებები. თ. ღოსტოვესკის გმირები ჩვეულებრივ იმყოფებიან ნაცნობ, კონკრეტულ, მოსალოდნელ სიტუაციებში, როდესაც უცნობია მხოლოდ მათი ცალკეული, მაგრამ მნიშვნელოვანი, ელემენტები: უმეტეს შემთხვევაში ეს არის მიზეზი და მიზანი. ნაწარმოების გმირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის გარკვევა, საკუთარი და სხვისი საქციელის მოტივის შეცნობა, საკუთარი და სხვისი მოქმედების მიზეზის დადგენა.

"Да с чего они берут, что я презираю генералов и генеральство?" – саркастически думал про себя Ганя (И).

საკუთრივ-კითხვით წინადადებებში კითხვითი მნიშვნელობა შეიძლება იყოს გართულებული ისეთი მოდალური მნიშვნელობებით, როგორიცაა მერყეობა, ეჭვიანობა, გაუბედავი ვარაუდი, უნდობლობა, გაოცება, რომელსაც გადმოცემს კითხვით-მოდალური ნაწილაკები *ли, не...ли, что ли, разве, неужели, что если* და სხვ. მაგალითად, *ли* ნაწილაკი აფორმებს კითხვით წინადადებას, რომელიც ითხოვს დადებით ან უარყოფით პასუხს; ამასთან კითხვის მნიშვნელობა გართულებულია ყოყმანის, ეჭვის ელფერით, რომელსაც განიცდის პერსონაჟი კითხვის არსის მიმართ. მაგ.: *Поднимаясь в свою квартиру, он заметил, что Настасья, оторвавшись от самовара, пристально следит за ним и провожает его глазами. "Уж нет ли кого у меня ? " – подумал он (ПиИ).*

რეპლიკა-წაქეზების ძირითადი დანიშნულებაა – შეგულიანების გამოხატვა, რომელიც მომდინარეობს პერსონაჟისგან და მიმართულია რომელიმე ადრესატისაკენ და რომელიც შეიძლება დაკონკრეტდეს როგორც ბრძანება, მოწოდება, თხოვნა, მუდარა. ამასთან, შეგულიანება-წაქეზების ადრესატად გამოდის ან თვითონ პერსონაჟი, ან რეალური ან წარმოსახვითი მოსაუბრე, ან ღმერთი როგორც უმაღლესი ძალა:

И вот ей именно захотелось теперь еще больше поднять перед ними голову, затмить всех вкусом и богатством своего наряда, – "пусть же кричат, пусть свистят, если осмелятся!" (И); "Господи! – молил он, – покажи мне путь мой, и я отрекаюсь от этой проклятой мечты моей!" (ПиИ).

გარდა ზემოთ განხილული რეპლიკა-შეკითხვისა და რეპლიკა-წაქეზებისა, გამოვლენილია აგრეთვე ერთეული შემთხვევები დიალოგიზებული რეპლიკებისა, რომლებიც ერთ გამონათქვამში აერთიანებენ კითხვას და წაქეზებას. ასეთი რეპლიკები, როგორც წესი, კითხვისა და შეგულიანების მნიშვნელობებთან ერთად გამოხატავს სხვადასხვა მოდალურ თუ ემოციურ ელფერს და ატარებს მკვეთრად გამოხატულ ექსპრესიულ ხასიათს. მაგ.:

"Ну, говори же, говори, – как будто так и хотело выпрыгнуть из сердца Раскольников. – Ну, что же, что же ты не говоришь?" (ПиН) – გამონათქვამის პირველ ნაწილში გამოხატულია შეგუილიანება გართულებული მოუთმენლობის ელფერით, მეორე ნაწილში კი – შეკითხვა, რომელიც გაკვირვების, აღშფოთების, მოუთმენლობის ელფერით არის გართულებული; მთლიანობაში გამონათქვამის ექსპრესიულობას აძლიერებს აქცენტირებული ლექსიკური გამეორება.

რეპლიცირებული პირდაპირი შინაგანი მეტყველება შეიძლება შეიცავდეს ერთ გამონათქვამში მონოლოგური და დიალოგური მეტყველების ელემენტებს. ამგვარი რეპლიკების ერთი ჯგუფი გამოირჩევა მის მიერ გამოხატული მნიშვნელობების სტანდარტულობით. გამონათქვამის პირველი ნაწილის სახით მათში წარმოდგენილია რეპლიკა-კონსტატაცია, სადაც პერსონაჟი აფიქსირებს ამ მომენტისათვის შექმნილ „საქმეთა ვითარებას“. გამონათქვამის მეორე ნაწილი გაფორმებულია როგორც საკუთრივ შეკითხვა სხვადასხვა მოდალური ელფერით. მაგ.:

"А в злобе-то и проговорюсь! – промелькнуло в нем опять. – А зачем они меня мучают!" (ПиН).

მეორე ჯგუფის რეპლიკები უფრო მრავალფეროვანია შინაარსის მიხედვით. გამონათქვამის პირველ ნაწილად მათში გამოყენებულია, როგორც წესი, რეპლიკა, რომელიც შეიცავს პერსონაჟის შეკითხვას მეორე პერსონაჟის მიმართ. გამონათქვამის მეორე ნაწილი ჩვეულებრივ შეიცავს კონსტატაციას, პერსონაჟის დახასიათებას, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია შეკითხვის შინაარსთან, მაგრამ არ არის მასზე პასუხი. ასე რომ, დიალოგიზებულ-მონოლოგური გამონათქვამის პირველი ნაწილის შეკითხვა არის აზრის მნიშვნელოვან ელემენტებზე პერსონაჟის ყურადღების მიქცევის საშუალება. მაგ.:

Впрочем, он ее беспокоил: "хоть и расторопный и добрый, да в состоянии ли исполнить, что обещает? В таком ведь он виде!.." (ПиН); *"Зачем тут салон? – подумал он, – ведь его прежде не было..."* (ПиН).

უმეტეს შემთხვევაში, რეპლიცირებული შინაგანი მეტყველება მხატვრული ტექსტის ფრაგმენტში წარმოდგენილია ერთი რეპლიკა-ჩართვით, რომელიც ავტორისეულ თხრობაში თავსდება და ასახავს პერსონაჟის ერთეულ შიდასამეტყველო რეაქციას რომელიმე გარე მოვლენაზე. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ფრაგმენტში შეიძლება იყოს რამდენიმე იზოლირებული რეპლიკა, რომელიც ასახავს პერსონაჟის რეაქციას სხვადასხვა მოვლენაზე. მაგალითის სახით მოვიყვანო რასკოლნიკოვის რეპლიცირებულ შინაგან მეტყველებას, რომელიც ასახავს მკვლელობის წინ მოხუცთან ვიზიტის დროს არსებული გარემოს მისეულ აღქმასა და დახასიათებას:

<...> "Если о сию пору я так боюсь, что же было бы, если б и действительно как-нибудь случилось до самого дела дойти?.." – подумал он невольно, проходя в четвертый этаж. <...> "Может, впрочем, она и всегда такая, да я в тот раз не заметил", – подумал он с неприятным чувством (о старухе). <...> "И тогда, стало быть, так же будет солнце светить!" – как бы невзначай мелькнуло в уме Раскольникова, и быстрым взглядом окинул он все в комнате, чтобы по возможности изучить и запомнить расположение. <...> Все было очень чисто: и мебель и полы были оттерты под лоск; все блестело. "Лизаветина работа", – подумал молодой человек. <...> "Это у злых и старых вдовиц бывает такая чистота", – продолжал про себя Раскольников..." (ПиН).

ამრიგად, პირდაპირი შინაგანი მეტყველება მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟის შინაგანი სამეტყველო-აზრობრივი მოქმედების გამოსახვის ძირითადი საშუალებაა. იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რეპლიცირებული და გაშლილი სახით. რეპლიცირებული პირდაპირი შინაგანი მეტყველების ფორმების განხილვამ თ. დოსტოევსკის რომანების მიხედვით გვიჩვენა, რომ ამ სინტაქსური მოვლენისათვის დამახასიათებელია სტრუქტურისა და შინაარსის მრავალსახეობათა სიმდიდრე.

ლიტერატურა

- ახმანოვა 1969:** Ахманова О.С., Словарь лингвистических терминов, Сов. энциклопедия, Москва.
- ბაბაიჯევა 2000:** Бабайцева В.В., Явления переходности в грамматике русского языка, Дрофа, Москва.
- ვაინრიხი 1978:** Вайнрих Х., Текстовая функция французского артикля // Новое в зарубежной лингвистике, Лингвистика текста, Прогресс. Вып. 8. С. 370-387, Москва.
- მილიხი 1961:** Милых М.К., Конструкция с прямой речью как синтаксическая единица // ФН. № 4. С. 136-145.
- მურზინი 1969:** Мурзин Л.Н., Чужая речь и ее типология // Лексика. Грамматика: Материалы и исследования по русскому языку / Уч. зап. Пермск. ун-та, №192. С. 49-61, Пермь.
- ჩუმაკოვი 1975:** Чумаков Г.М., Синтаксис конструкций с чужой речью, Вища школа, Киев.
- რუსული გრამატიკა 1980:** Русская грамматика, В 2-х т. Т. II, Наука, Москва.
- რუსული ენა 1979:** Русский язык, Энциклопедия, Сов. энциклопедия, Москва.

Marina Aleksidze

Direct Speech as a Type of Expression of Inner Speech

Summary

Artistically expressed inner speech of characters in fiction literature is represented as a speech of an external person expressed by means of certain devices and forms. The main form of expression of inner speech and thought activity of characters in a literary text is direct speech. The direct speech retains the autonomous nature of a character, therefore, it is the most objective form of external speech. The inner speech expressed by means of direct speech has a large perspective of direct expression of immediate formation and development of thought, the perspective of utmost convergence between the inner speech and its psychological analogue. As a means of speech characteristics, it contains a much broader perspective of expressing all the individual features of the speech of a character. Direct speech as a form of expression of the inner speech of characters plays an important role in the works of Dostoevsky and is characterized by significant structural and semantic diversity. The paper focuses on the types of direct inner speech, namely the real and imaginary inner speech, graphically formulated and unformulated inner speech, replicated direct inner speech in Dostoevsky's novels "Crime and Punishment" and "The Idiot".

ზატი ანთაქმ-მალაშხია

ქართულში უმომსული სამი ორიენტალიზმის უმსახე
(„ზირაპ||ძირაპ“||„ზირა“||„ძირა“; „აბაუნ“-ი; „მანძილ“-ი)

ახლო აღმოსავლურ ენებთან ხანგრძლივმა და მჭიდრო ურთიერთობამ ქართულში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ამ ენათაგან შემოსულ ნასესხობათა სახით. სპარსული, რომელსაც ყველაზე უფრო ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებდა ქართულთან¹, გვევლინებოდა როგორც უშუალო, ასევე შუამავალი გამსესხებლის როლში. მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანწილად შესუსტდა და თანდათანობით გაწყდა ქართულის უშუალო შეხება არაბულთან, დიდად გაიზარდა სპარსულის, როგორც შუამავალი ენის როლი არაბული წარმომავლობის ერთეულთა დასამკვიდრებლად ქართულში. ამგვარ ერთეულთა აღსანიშნად გაჩნდა პირობითი ტერმინი „არაბულ-სპარსული სიტყვები“ (ანდრონიკაშვილი 1965: 297-330; ანდრონიკაშვილი 1966: 8), რომელიც მოიაზრებს სპარსული გზით შემოსულ არაბიზმებს მათი გამოცალკევების საფუძველზე უშუალოდ არაბულიდან ნასესხებ სიტყვათაგან როგორც ქრონოლოგიურ, ასევე ფონეტიკურ კრიტერიუმთა მოხმობით (ანდრონიკაშვილი 1965). შევნიშნავთ, რომ რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება არაბიზმთა ქართულში შემოსვლის გზა, ეს ძირითადად ეხება იმ სიტყვებს, რომელთა ეტიმონებში არ დასტურდება ის სპეციფიკური ფონემები (ვთქვათ, **ჭ – q, უ – t** ან დიფთონგები), რომლებიც სხვადასხვაგვარად გადმოიცემა ქართულში უშუალოდ არაბულიდან და სპარსულიდან გაშუალებული გზით შემოსვლისას. ამგვარ შემთხვევებში ქრონოლოგიურთან ერთად მოსაშველიებელია სემანტიკური კრიტერიუმი, კერძოდ, შესაპირისპირებელია ქართულში დამკვიდრებული ნასესხობის მნიშვნელობა არაბულ და სპარსულ მნიშვნელობებთან.

სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად, უმართებულთა XI საუკუნის შემდგომ ქართულში არაბიზმთა შემოსვლის ერთადერთ წყაროდ სპარსულის, ზოგჯერ თურქულის მიჩნევა (სილაგაძე 2008: 218) და არაბულ-ქართული ცოცხალი ენობრივი ურთიერთობების შეწყვეტის ფონზე ქართულისათვის საკუთრივ არაბულიდან სესხების შესაძლებლობის გამორიცხვა იმ სიტყვებისათვის, რომლებიც სპარსულშიც ან თურქულშიც დამკვიდრდნენ. ქართულში უშუალო და გაშუალებული გზით შემოსულ არაბიზმთა გასამიჯნად საჭიროა კომპლექსური მიდგომა (სილაგაძე 2008: 221), კერძოდ, ერთობლივადაა გასათვალისწინებელი ზემოხსენებული ქრონოლოგიური, ფონეტიკური და სემანტიკური ფაქტორები. ამგვარ მრავალფაქტორულ მიდგომას საჭიროებს ასევე უშუალოდ სპარსული წარმომავლობის ნასესხობათა ანალიზიც. ეს დაგვეხმარება ამ ნასეს-

¹ სავარაუდოდ, ქართულის სპარსულთან შეხება მხოლოდ საშუალო და ახალი ენობრივი პერიოდებით არ შემოიფარგლებოდა და ძველ სპარსულსაც მოიცავდა (ანდრონიკაშვილი 1966:8, 20). შესაბამისად, XX საუკუნის დასაწყისამდე გავრძელებულ სპარსულ-ქართულ ენობრივ კონტაქტებს, ისევე როგორც ქართულის ურთიერთობას ზოგადად ირანულ ენობრივ სამყაროსთან, დასაბამი ჩვ.წ. V საუკუნემდე მიეცა.

ნობათა შემოსვლის წყაროსა და პერიოდის, ასევე შეთვისების თავისებურებათა დადგენაში.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ სპარსული წარმომავლობის „ზირაკი||დირაკი“ || „ზირა“||„ძირა“ და არაბული წარმომავლობის „ძაბუნ“ და „მანძილ“ ნასესხობებს. ისინი შერჩეულია ფონეტიკური შეთვისების თავისებურებებით, კერძოდ, სპარსულ და არაბულ მჟღერ სპირანტ **Z**-ს აფრიკატიზაციითა და შესაბამისად, ქართულში ძ-დ გადმოსვლით, გათვალისწინებულია ასევე განსახილველ ნასესხობათა მორფოლოგიურ-სემანტიკური ადაპტაცია.

სპარსულ წინაენისმიერ სპირანტ **Z**-ს ამა თუ იმ სახით ქართულში შეთვისებას ქრონოლოგიური ფაქტორებით ხსნიან. საშუალო ირანულ ენობრივ ეპოქაში¹ სპარსული **Z** ქართულში ორგვარად გადმოიცემოდა: **ზ**-თი [იხ. საშ. სპარს. **zohr** „მსხვერპლი“ > ქართ. „ზორვა“ – „მსხვერპლის შეწირვა კერპთა მიმართ“; საშ. სპარს. **zumuruxt** „ზურმუხტი“ > ქართ. „ზურმუხტი“; საშ. სპარს. **marzapan** „საზღვრის მცველი“ > ქართ. „მარზაპანი“ – „მეფისნაცვალი, წარმომადგენელი“, ანდრონიკაშვილი 1966: 213) ან ძ-თი (იხ. საშ. სპარს **frazan(ak)** „სწავლული, ბრძენი“ > ქართ. „ბრძენი“ – „მეცნიერი, დიდად ჭკვიანი“; საშ. სპარს. **handarz** „რჩევა, დარიგება“ > ქართ. „ანდერძი“ – „მოკვდავთაგან დარიგება“ (საბა); საშ. სპარს. **barzin** „მალაღი“ > ქართ. „ბარძიმი“ – „მალაღენიანი სასმისი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 213-214)].

ფარსის, ანუ ახალი და თანამედროვე სპარსულის პერიოდში (მოიცავს მონაკვეთს ჩვ.წ. X საუკუნიდან დღევანდლამდე, აქედან საკუთრივ კლასიკური სპარსულის პერიოდი გულისხმობს X-XV საუკუნეებს. ОСНОВЫ... 1982: 5) შემოსულ ნასესხობებში სპარსული **ზ**-ს შესატყვისად მხოლოდ ქართული **ზ** ითვლება (იხ. ახ. სპარს. **nouruz** „სპარსული ახალი წელი“ > ქართ. „ნავროზი“ – „სპარსული ახალი წელი“; ახ. სპარს. **zārkāš** „ოქრომკედით ნაქსოვი ქსოვილი“ **ქ** > ქართ. „ზარქაში“ – „ოქრომკედით ნაქსოვი ქსოვილი, ოქროქსოვილი“; ახ. სპარს. **zāngi** „ზანგი, შაკანინი“ > ქართ. „ზანგი“) (ანდრონიკაშვილი 1996: 44). ახალი სპარსული **Z**-ს ქართული ძ-თი გადმოცემის ერთადერთ მაგალითად მ. ანდრონიკაშვილს მხოლოდ ახ. სპარს. **zir** „ქვედა ნაწილი, ძირი, ფსკერი“ > ქართ. „ძირი“ მოჰყავს (ანდრონიკაშვილი 1996: 44), თუმცა „ძირ“-ის ამოსავალ ფორმად თავისი მონოგრაფიის პირველ ტომში თვითონვე საშ. სპარს. (**a**)**zir**||**zir-s** („ძირი“, „ქვედა ნაწილი“) ასახელებს (ანდრონიკაშვილი 1966: 44), რითაც ადასტურებს საკუთარ მოსაზრებას ახალსპარსული **Z**-ს ქართულში მხოლოდ **ზ**-დ გადმოცემის შესახებ.

ძირულ ქართულ ფიტონიმ „კვლიავ“-ს მოეპოვება სინონიმი სპარსულიდან შემოსული ნასესხობის სახით. ეს ნასესხობა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი როგორც წინა პერიოდის ქართულ ტექსტებსა და ლექსიკონებში, ასევე თანამედროვე ნორმატიულ ქართულში წარმოდგენილია პარალელური არააფრიკატიზებული და აფრიკატიზებული ფორმებით: „ზირაკი“||„ზირა“||„ძირაკი“ (ორბელიანი 1991-1993); „ზირა“||„ძირაკი“ (ჩუბინაშვილი 1961); „ზირა“||

¹ დადასტურებული წერილობითი ძეგლების მიხედვით, საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა მოიცავს ახ. წ. III-VII-VIII საუკუნეებს, სავარაუდოდ კი ძვ.წ. IV და ახ.წ. VII-VIII საუკუნეებს (ОСНОВЫ 1981:6).

„ზირაკი“ (ნეიმანი 1978); „ზირა“||„ზირაკი“||„ძირა“||„ძირაკი“ (ქეგლ 1950-1964). სხვა ნასესხობებში ამგვარი პარალელიზმი ან მხოლოდ ადრინდელ ძეგლებში დასტურდება (იხ. ქვემოთ), ან მოიცავს ნორმატიული ენისა და დიალექტის მიმართებას, მაგალითად, ნორმატ. **ბრძენი**||ხევსურ. **ბზენი**; ნორმატ. **ანდერძი**||ხევს. **ანდერზი**.

„ზირა“||„ძირა“-ს პარალელიზმი შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ტექსტებშიცაა წარმოდგენილი: „აიღე **ზირა ქირმანი**, ქარვია, ნიახურის თესლი (უსწორო კარაბადინი 1940: 114, 27); „აიღე **ძირა ქირმანი** ძმრით გაზრდილი და მოხალული და თეთრი საკმელი“ (უსწორო კარაბადინი 1940: 155, 19); „ჯერ გარეცხე, მერმე გაახმე **ზირა ქირმანი**“ (სამკურნალო წიგნი 1950: 131, 19); „აიღე ნიახურის თესლი და **ძირა ქირმანი**“ (სამკურნალო წიგნი 1950: 142, 23).

ზემოთ მოყვანილი „ზირა ქირმანი“||„ძირა ქირმანი“ უთარგმნელი სრული კალკია სპარსული იზაფეთური შესიტყვებისა „zire-ye kermān-i“, გვხვდება ასევე შესიტყვების ნაწილობრივად („ზირა ქირმანული“) და სრულად თარგმნილი („ქირმანული კვლიავი“) კალკები: „აიღე **ძირა ქირმანული**, ნიშადური და ქაფური“ (სამკურნალო წიგნი 1950: 97, 16); „აიღე მაგისგან **ქირმანული კვლიავი**“ (სამკურნალო წიგნი 1950: 225, 32). **ქირმანი**-ს გვერდით გვხვდება **ქირმენი** ფორმაც, მაგალითად, „აიღე... პილპილი და ზანჯაბილი, **ძირა** და **ქირმენი**“ (სამკურნალო წიგნი 1950:228, 16). აქ **ძირა ქირმენი** ჩანაცვლებულია ელიფსური ფორმით **ქირმენი**, იხილეთ ასევე **ქირმენი** ფორმა სხვა მაგალითში: „**ზირა ქირმენითა** ვარია შეუქენით და იგი აჭამეთ“ (სამკურნალო წიგნი 1950: 169, 20). უნდა აღინიშნოს, რომ **ქირმენი** ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ნასესხობაა, სადაც ახალი სპარსული **ā** ქართულში **ე**-დ და არა **ა**-დ გადმოდის.

თავად „zire“ და „zire-ye kermān-i“, მოინის ლექსიკონის მიხედვით, მცენარის სხვადასხვა ჯიშს აღნიშნავენ (Moin 1998). იზაფეთური შესიტყვება „zire-ye kermān-i“ ერთსიტყვიან ფიტონიმ **qorombād**-ის ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებული სინონიმია (Moin 1998). **qorombād** ლათინურად განიმარტება როგორც **Carum carvi** (Рубинчик 1970). **qorombād**-ის პარალელურად „zire-ye kermān-i“-ს სინონიმად „kämmun-e kermān-i“ სახელდება (Moin 1998). ქართულ ძეგლებში ეს შესიტყვებაც უთარგმნელი კალკის სახითაა დადასტურებული განმარტებითურთ: „**ქამუნი ქირმენი**, რომელ არს **ძირა**“ (სამკურნალო წიგნი 1950:418, 11). თავად **kämmun** განმარტებულია როგორც **zire**-ს სინონიმი, რომლის ლათინური სახელწოდებაა **Cuminum** (Moin 1998). ქართული „ზირა“||„ძირა“||„ზირაკ“||„ძირაკ“ განიმარტება **Cuminum cyminum**-ად (ქეგლ 1950-1964). „ძირა“-სა და „ძირა ქირმენი“-ს შორის განსხვავება დასტურდება ქართულ ძეგლებშიც: „აიღე **ძირა ქირმენი** და **ძირა მეორე**“ (სამკურნალო წიგნი 1950:244, 21).

ქირმანული ძირას პოპულარობა საფუძვლად უდევს სპარსულ ფრაზეოლოგიზმს, რომლის ზმნური კომპონენტი მონაცვლე ვარიანტებითაა წარმოდგენილი: **zire be-kermān āvārdān**||**bordān**||**ferestādān**||**kāšidān** „ქერმანს ზირას/კვლიავის ჩამოტანა|| წალება||გაგზავნა||ზიდვა.“ ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაა „ფუჭად გარჯა, არასაჭირო საქმის კეთება.“ მის ქართულ შესატყვისად „ტყეში ფიჩხის ზიდვა“ გვეგულება.

„ზირა“||„ძირა“-ს ეტიმონი „zirä“ (კლასიკ. სპარს.)||„zir-e“ (თანამედრ. სპარს.) **zir**-დან („ძირი, ქვედა ნაწილი“) ნაწარმოებ დერივატს წარმოადგენს. მწვანილის სახეობის ამ მიმართებით სახელწოდებაში აქტუალიზებულია „ძირს, ქვემოთ მყოფობ“-ის სემანტიკური კომპონენტი. რაც შეეხება „ზირაკ“||„ძირაკ“-ს, ის საშუალო სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული. მის ეტიმონად საშუალო სპარსულში დაუდასტურებელ, ასევე **zir**-დან ნაწარმოებ დერივატ ***zir-ak**-ს მოვიაზრებთ, რომელსაც ისტორიულ-ფონეტიკური კანონზომიერების შესაბამისად უნდა მოეცა კლასიკ. სპარს. **zir-ä**|| თანამედრ. სპარს. **zir-e** (ОСНОВЫ... 1982:204). ხსენებული კანონზომიერება გულისხმობს საშუალო სპარსული პოსტოკალური **k**-ს (გვიანდელი ფორმით **g**-ს) კარგვას სიტყვის ბოლოში, მაგალითად, საშ. სპარს. **varrak** (გვიანდელი **varrag**) „ბატკანი“ > კლას. სპარს. **bärrä**||თანამედრ. სპარს. **bärre**. ხმოვნის შემდგომი ბოლოკიდური **k**||**g**-ს კარგვა მრავალფუნქციურ **ak** (გვიანდ. **ag**) საშუალო სპარსულ სუფიქსს კლასიკ. სპარს. **ä**||თანამედრ. სპარს. **e** სუფიქსად გარდაქმნის, იხ. საშ. სპარს. **bandak** (გვიანდ. **bandag**) > კლასიკ. სპარს **bändä** > თანამედრ. სპარს. **bände** „მონა“. შესაბამისად, **zirä**||**zire**-ს წინარე ფორმა ***zirak** უნდა იყოს, რომელიც ჩვენ ხელთ არსებულ წყაროებში (MacKenzie 1971; Nyberg 1974) ვერ მოვიძიეთ.

zirak**-ის რეალობას თვალნათლივ ადასტურებს ქართული „ზირაკ||ძირაკ“ ფორმები, რადგან ახალ სპარსულ-ქართულ ბგერათშესატყვისობათა თანახმად, „**zira**||**zire**“ ვერ გადმოვიდოდა „ზირაკ||ძირაკ“ ფორმით. ამგვარ ფორმათა ეტიმონად მხოლოდ „zirak**“ მოიაზრება, რადგან საშუალო სპარსული უკანაენისმიერი **k** ქართულში რეგულარულად **ქ**-თი გადმოიცემა (ანდრონიკაშვილი 1966: 196)¹ და შესაბამისად „**ak**“ სუფიქსიც „აკ“-ად გადმოიღის, მაგალითად, საშ. სპარს. **spetak** „თეთრი“ > ქართ. „სპეტაკ“-ი. „**ak**“ იძლევა „აკ“-საც, ამგვარი ფორმები გვიანდელი ნასესხობები ჩანს, ისინი საშუალო სპარსულის იმ საფეხურზე უნდა იყოს შემოსული, როცა ბოლოკიდური **k** გამჟღერდა, რის შედეგადაც „**ak**“ გარდაიქმნა „**ag**“-ად. იხ. საშ. სპარს. **hamxanak** „თანამოსახლე“ > ქართ. „ამხანაგი“. გვაქვს პარალელური ფორმებიც (საშ. სპარს. **X'astak** „ქონება“, „სიმდიდრე“ > „ხოსტაკი“||„ხვასტაკი“ – „ქონება სიმდიდრე“), რაც ასახავს საშუალო სპარსულის ადრინდელ და გვიანდელ ფორმათა გავლენას ნასესხობებზე, ანუ ნასესხობათა მიმართებას გამსესხებელ ენაში მიმდინარე ცვლილებებთან. „ზირაკ||ძირაკ“ ადრინდელი ნასესხობა ჩანს, რადგან არ მოგვეპოვება მისი პარალელური გამჟღერებული ფორმები ***ზირაკ**||***ძირაკ**.

ზემოთ მოტანილი მოსაზრების საპირისპიროდ, რომლის თანახმად **ზ**-ს აფრიკატიზაცია არ ხდება ახალი სპარსულიდან შემოსულ ნასესხობებში, **ზ**>**ძ** გადასვლა დასტურდება როგორც საშუალო სპარსულიდან მომდინარე **ძირაკ**, ასევე ახალი სპარსული წარმომავლობის **ძირა** ფორმებში. **ზ**-ს **ძ**-თი ჩანაცვლება განპირობებულია ქართულის ბუნებრივი ფონეტიკური ტენდენციით, კერძოდ, სპირანტთა აფრიკატიზაციით. ეს ტენდენცია მოიცავს როგორც ძირეულ, ასევე

¹ შეადარეთ ახალი სპარსული უკანაენისმიერი ყრუ ფშვინვიერი ხშული **k** (**kh**), რომელიც ქართულში ყველა პოზიციაში **ქ**-დ გადმოიღის (ანდრონიკაშვილი 1996: 38), მაგალითად, „ზირაკ“-ის პარონიმი „ზირაკ“-ი – „ფროთხილი, გონიერი“ < ახ. სპარს. **zirāk** (**kh**) „ფროთხილი, გონიერი“ (ანდრონიკაშვილი 1996:99).

ნასესხებ ერთეულებს, მაგალითად, ზემოთ მოტანილი ნასესხობანი: „ბრძენი“, „ანდერძი“, „ბარძიმი“ ან საკუთრივ ქართული „ბზე“-ზე დაფუძნებული „სა-ბზელი“ > „საბძელი“; „ზოდ“ > „ძოდი“ (იმერ); „საგზალი“ > „საგძალი“ (კახური); „საზღვარი“ > „სამძღვარი“|| მეგრ. „სანძღვარი“; ასევე „ზრახვა“ > „(და)ძრახვა“ ანუ „საყვედური“, „მხილება“ და მისით მოტივირებული „სა-ძრახ-ის“-ი ან „უმძრახად, ანუ უბრად ყოფნა“, ეს უკანასკნელი პოლისემანტ „ზრახვ“-ის¹ (1. „ლაპარაკი, საუბარი“, 2. „ფიქრი“, 3. ადრე „დაბრალება“) პირველ მნიშვნელობას („ლაპარაკი, საუბარი“) ეფუძნება.

რიგ შემთხვევებში ქართველურ ენებსა და დიალექტებში წარმოდგენილ **ზ** > **ძ** გადასვლას პოზიციური განპირობებულობით, კერძოდ, **ზ**-ს ხმულთან მეზობლობით ხსნიან, მაგალითად, **ზ** ხშირად ნაცვლდება **ძ**-თი **გზ**, **ბზ**, **მზ**, **ნზ**, **ლზ**, **რზ** და **ღზ** კომპლექსებში (ლომთაძე 1999:232), მაგრამ რამდენადაც ამგვარი ჩანაცვლება პრაქტიკულად ყველა პოზიციაში გვხვდება, პოზიციურობით მისი ახსნის მომხრენიც რიგ შემთხვევებში გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის კვლადაკვალ, აფრიკატიზაციის მიზეზად სუბსტიტუციას ასახელებენ (ლომთაძე 1999: 217; 232) და მის ნიმუშად პრეეოკალურ და ინტერეოკალურ პოზიციაში **ზ**-ს **ძ**-თი ჩანაცვლების დიალექტური, ძირითადად იმერული მაგალითები მოჰყავთ: „ძის“ < „ზის“, „ვეძირი“ < „ვეზირი“, „ძეწარი“ (მეგრ. „ძეწწარი“) და სხვ. სუბსტიტუციის შედეგია ჩვენ მიერ განხილული „ზირაკ“ > „ძირაკ“ და „ზირა“ > „ძირა“ შემთხვევებიც, რომლებიც განპირობებულია (**a**)zir-დან მომდინარე, ასევე სუბსტიტუციურად აფრიკატიზებულ „ძირ“-თან ანალოგიით.

პარალელურ აფრიკატიზებულ „ზირაკ“|| „ზირა“ ფორმათა არსებობა უკავშირდება ქართულის, კერძოდ, თბილისური მეტყველების მჭიდრო შეხებას სპარსულთან. გამსესხებელ ენასთან ურთიერთობის სიმჭიდროვე ბუნებრივად განაპირობებს მაქსიმალურ ფონეტიკურ მსგავსებას ეტიმონსა და ნასესხობას შორის. ნატურალიზაციის პროცესში ნასესხობა ხშირად ემორჩილება მსესხებელი ენისათვის ბუნებრივ ფონეტიკურ ტენდენციებს („ზირაკ“ > „ძირაკ“; „ზირა“ > „ძირა“-ს შემთხვევებში სპირანტთა აფრიკატიზაციას), ჩნდება ეტიმონთან უფრო ახლო მდგომი და მისგან დაშორებული პარალელური ფორმები. ხშირად მსესხებელი ენისათვის უფრო ბუნებრივი ფორმა განდევნის მეორეს, პარალელური ფორმების შენარჩუნება განპირობებული უნდა იყოს მსესხებელ და გამსესხებელ ენათა ურთიერთობის სიმჭიდროვითა და კონკრეტული ნასესხობისა და მისი ეტიმონის გამოყენების სიხშირით ორივე ენაში.

ამგვარი სიხშირით გამორჩეულია ყოფითი ლექსიკის მთელი შრეები, ვთქვათ, პოპულარული საკვებისა და მისი ინგრედიენტების სახელწოდებები. ზირა, ანუ კვლიავი ძველ თბილისში გავრცელებულ ადმოსავლურ კერძებში გამოიყენებოდა, იხ. „ზირა“ – „სუნოვანი თესლი, რომელსაც საჭმელში ხმარობენ“ (გრიშაშვილი 1997). ეთნიკურად ჭრელ თბილისში, სადაც სპარსული თემი არცთუ მცირერიცხოვნად იყო წარმოდგენილი (ალექსიძე 2009: 72-73), ხშირად

¹ მ. ანდრონიკაშვილი „ზრახ“-საც ირანული წარმომავლობის ფუძელ მიიჩნევს და მის ეტიმონად წარმოადგენს რეკონსტრუირებულ ფორმას *zurah>zrax (ანდრონიკაშვილი 1966: 326-327).

გაისმოდა სპარსული წარმომავლობის ეს სახელწოდება. ამ გარემოებამ ქალაქური მეტყველებიდან გამოდევნა ძირეული ქართული „კვლიავი“, რომელიც დღემდე აქტიურად გამოიყენება თბილისის გარეთ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში. საკვლევი ფიტონიმის ხშირი გამოყენებითვე აიხსნება ეტიმონთან ახლო მდგომი „ზირა“ ფორმის შემორჩენა ქართულში.

ზემოთქმულის თანახმად, „ზირაკ“||„ძირაკ“||„ზირა“||„ძირა“-ს განვიხილავთ როგორც ციკლურ ნასესხობას, რომელიც ორგზის – სპარსულის ორ სხვადასხვა (საშუალო და ახალ) მონაკვეთთან ურთიერთობისას შემოვიდა ქართულში. ამით აიხსნება „ზირაკ“-ისა და „ძირაკ“-ის პარალელურ „ზირა“ და „ძირა“ ფორმათა არსებობა. რაც შეეხება ზ|ძ-ს პარალელიზმს, ის, ერთი მხრივ, უკავშირდება სპირანტთა აფრიკატიზაციის საკუთრივ ქართულ ტენდენციას, მეორე მხრივ კი, ქართულის, კერძოდ, ძველთბილისური მეტყველების კოლექტიურ დონეზე მჭიდრო შეხებას სპარსულთან.

ზ|ძ პარალელიზმი ნაკლები ინტენსივობით დასტურდება არაბული წარმომავლობის „ძაბუნ“-სა და „მანძილ“-ში, რომელთა არააფრიკატიზებული ვარიანტები „ზაბუნ“ და „მანზილ“ კანტიკუნტადაა წარმოდგენილი გვიანი შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში. არაბულ Z-სთან ქართული ზ-ს საკმაო ფონეტიკური მსგავსების გამო, ქართულში არაბული Z გადმოიცემა ზ-თი. „ზ“-ს აფრიკატიზაცია ხდება ორად ორ არაბიზმში, ესაა ზემოთ მოყვანილი „ძაბუნ“ და „მანძილ“ (ლექსიკონი 1992:64).

ქართულში „ძაბუნ“-ი განიმარტება როგორც 1. „ძალას მოკლებული, უძლური, უნიათო||მწირი, უნაყოფო.“ 2. „სიმხნევეს მოკლებული“ (ქეგლ 1950-1964); 1. „ჯაბანი“. 2. „ლაჩარი“ (ნეიშანი 1978). საბასეული განმარტებით „ძაბუნ“-ი არის „სიმყარისაგან (სიმყარლისაგან) მოშლილი“ (ორბელიანი 1991-1993). **zäbun**-ის მნიშვნელობები არაბულში არის: 1. „სასტიკი“ (ითქმის ბრძოლაზე); 2. „ბრიყვი, სულელი“ (Баранов 1977), დასტურდება ასევე ომონიმი **zäbun** მნიშვნელობით „მყიდველი, კლიენტ“ (Баранов 1977). არაბულ განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ მნიშვნელობა „ბრიყვი, სულელი“ არაა წარმოდგენილი კლასიკურ არაბულში, რადგან ის (იგულისხმება მნიშვნელობა ფ.ა.) სპარსული წარმომავლობისაა (al-munjid 1986), თუმცა ჩვენ ხელთ არსებულ სპარსულ ლექსიკონებში **zäbun** „ბრიყვ“-ისა და „სულელ“-ის მნიშვნელობით ვერ მოვიხილეთ.

სპარსულში „**zäbun**“ მოიცავს შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს: 1. „სუსტი, უსუსური“; 2. „უძლური, დალეული“; 3. „უმაქნისი, არარად ჩასადები“; 4. იშვიათად „დამარცხებული“ (Рубинчик 1970); განმარტებით ლექსიკონებშიც ეს მნიშვნელობებია წარმოდგენილი (Moin 1998; änväri 1993, äfšar, häkämi 1994). გაფაროვთან მითითებულია ასევე „დატყვევებულ“-ის მნიშვნელობა და მასზე დაფუძნებული შედგენილი ზმნა **zäbun gereftän** „დატყვევება, ტყვედ აყვანა“ (Гаффаров 1974). საილუსტრაციო მაგალითები მოტანილია ნასერ ზოსროვისა და საადის შემოქმედებიდან: „ei mä-rä gerefte bot-e xošzäbän **zäbun** (ნასერ ზოსროვი) – „ჰოი, დაუტყვევებავარ ტკბილმოუბარ მზეთუნახავს“; „**zäbun** kârd o dâr kâr-e gel dâšt-âš (საადი) – „დაატყვევა და მიწის სამუშაოებზე ჰყავდა“ (Гаффаров 1974). „დატყვევებულ“-ის მნიშვნელობით „ძაბუნ“

დასტურდება „ვისრამიანშიც“: „ღიაცი რაზომცა ფრთხილი და გონიერი იყოს, ეგრეცა ჰამოისა კაცის ენითა **დაბუნ** იქმნების,“ შდრ. სპარს. ორიგინალს: *zān ārce zirāk vā hošiyw̄r bāsād , zābun-e mārđ-e xošgoftīRr bāšād* „ღიაცი, რაც არ უნდა მოხერხებული და გონიერი იყოს, ტკბილმოუბარი კაცის დატყვევებული (**დაბუნ**) იქნების“ (კობიძე 1983:318).

ქართულში დამკვიდრებული „**დაბუნ**“-ის სემანტიკური სტრუქტურის შეპირისპირებით არაბულ და სპარსულ შესატყვისებთან ჩანს „**დაბუნ**“-ისა და სპარსული **zābun**-ის პირველ და მეორე მნიშვნელობათა (იხ. ზემოთ) შინაარსობლივი იგივეობა, რაც ქართულში „**დაბუნ**“-ის სპარსული გზით შემოსვლას მიუთითებს. ზედსართავ „**დაბუნ**“-ს ეფუძნება არსებითი სახელი „**დაბუნ-ობა**“ – „დაბუნად შექმნა“ (ორბელიანი 1991-1993), „დაბუნის თვისება, უძღურება, უნიათობა“ (ქეგლ 1950-1964). სპარსულში „**დაბუნ-ობა**“-ის ანალოგი არის ასევე დერივატიული არსებითი **zābun-i**: 1. „უძღურება, სისუსტე“; 2. „ჩაგრულობა“ (Рубинчик 1970); ასევე „დამარცხებულობა“ და „ხელქვეითობა“ (Moin 1998). **zābun** > **დაბუნ**-ის ანალოგიურად **zābun-i** > **დაბუნ-ობა** დაფუძნებულია სპარსულისათვის ამოსავალ პირველ მნიშვნელობაზე „უძღურება, სისუსტე“, ამრიგად, ნასესხობაში შემცირებულია სპარსული შესატყვისის სემანტიკური მოცულობა.

ნასესხობის ადაპტაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად, გამოყენების სიხშირის გარდა, მის დერივატიულ შესაძლებლობათა ამოქმედებას მივიჩნევთ. „**დაბუნ**“-ით მოტივირებულ დერივატთა არსებობა ამ ნასესხობის ქართულში ადაპტაციის ხარისხზე მიუთითებს: „**სა-დაბუნ-ობა**“ – „დაბუნად გასახადი“, „**ნადაბუნები**“ – „დამავნებული“ (ორბელიანი 1991-1993).

თანამედროვე ქართულში „**დაბუნ**“-ს „დაუძღურებულ“-ის, „მოტეხილ“-ის მნიშვნელობით უმეტესად ანაცვლებს ენებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობა „**და-დაბუნ-ებ-ულ-ი**“, რომელიც უკვე „ვისრამიანში“ დასტურდება: „მე ნებეირობისგან ვჩიოდი, მე ნაზობითა ვიტყოდი ამას, სნეული ვარ და უსუსურად მყოფი, მიჯნურობისგან **დადაბუნებული**“ (ქართული მწერლობა III 1988:241, 7). შესაბამის ადგილას ორიგინალის ტექსტში გვხვდება არა **zābun**, არამედ **xār**: 1. „მდაბალი, არარა“; 2. „დამცრობილი, შეურაცხყოფილი“ (Рубинчик 1970); "*tān-ām ān-gāh dorost-i bud nāzān, ke mi-goftām ke bimār-āst o nalān/gāhi goftām ke mān dār ešq zār-ām, gāhi goft-ām ke mān dār mehr xār-ām*" (Gorgāni 1970:409). „სხეული იმ დროს მრთელი იყო და ნარნარი, როცა ვამბობდი, რომ სნეულია და მკვნესარი, // ზოგჯერ ვიტყოდი, რომ მიჯნურობაში დასევდიანებული ვარ, ზოგჯერ ვიტყოდი, რომ სიყვარულში დამცრობილი ვარ“. სპარსულში **zābun**-ს აქვს „დამცრობილ“-ის, „არარა“-ს მნიშვნელობაც, რომელიც **zābun**-ის სალექსიკონი ბუდეებში სწორედ ზემო მაგალითში წარმოდგენილი სინონიმური **xār**-ით გადმოიცემა (Moin 1998). მოყვანილი მაგალითი ტიპურია „ვისრამიანისათვის“, სადაც ხშირად გვხვდება ისეთი აღმოსავლური სიტყვები, რომელიც დედნის შესაბამის ადგილას არაა დამოწმებული (მამაცაშვილი 1977:149-150). „**დაბუნ**“-ის ხმარება „დამცრობილ“-ის ან „დატყვევებულ“-ის (იხ. ზემოთ) მნიშვნელობით მიუთითებს, რომ სესხების პირველ ეტაპზე სპარსული **zābun**-ის პოლისემია შედარებით სრულად აისახა ქართულში. მოგვიანებით ნასესხობის სემანტიკური სტრუქტურა

შევიწროვდა და ქართულ „დაბუნ“-ს მიმართება სპარსული **zäbun**-ის მხოლოდ საბაზისო შინაარსთან („სუსტი, უსუსური, უძლური“) შერჩა.

zäbun-ით მოტივირებული რთული ზმნის **zäbun kârdän**-ის მნიშვნელობებია: 1. „დაუძლურება, დადაბუნება“ (აუძლურებს, ადაბუნებს); 2. „დამციდება“, „არარად ჩაგდება“ (ამცირებს, არარად აგდება). შესაბამისი ქართული ფორმისათვის „**ადაბუნებს**“ ამოსავალია პირველი მნიშვნელობა, იხ. ასევე **zäbun kârdän**-ის ვნებით შესატყვისი **zäbun šodän**-ის („სუსტდება, უძლურდება, **დაბუნდება**“) ქართული პარალელი „დაბუნდება“.

როგორც „ვისრამიანიდან“ მოტანილი მაგალითი („ჰამოსა კაცისა ენითა **დაბუნი** იქმნების“) ადასტურებს, **zäbun kârdän** და **zäbun šodän** რთული ზმნები ქართულში ზოგჯერ კალკირებული ფორმით რთულ ზმნებადვე გადმოდიოდა, იხ. ასევე „ესე მოგნდომიათ რომე, თქვენი **დაბუნი** შევიქნა“ (შაჰ-ნამე II. 1934:405, 16). ამგვარ კალკირებას სპონტანური ხასიათი ჰქონდა, რადგან ეს ზმნები ადრიდანვე ადაპტირდა საბოლოოდ დამკვიდრებული ნასახელარი ზმნის ფორმით, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული „**დავდაბუნდი**“, „**დამიდაბუნეს**“, „**დადაბუნდეს**“ (ვეფხისტყაოსანი 1956:556, 3; 603, 3; 740, 4) ან „ვისრამიანიდან“ „ჰაი, ჰაი, ოდითგანია ჩემნი ჭირნი ოდითგან **დამიდაბუნა** მიჯნურობამან“ (ქართული მწერლობა 1988:31-32). სპარსული წარმომავლობის სხვა ქართულ ნასახელარ ზმნათა მაგალითებიც ცხადყოფს, რომ ქართულისათვის **kârdän**-ითა და **šodän**-ით ნაწარმოები ზმნების შეთვისება უფრო ბუნებრივია ნასახელარი ზმნის ფორმით, იხ. **sost kârdän** > „ასუსტებს“ (დაასუსტა)“, **sost šodän** > „სუსტდება (დასუსტება)“; **dârd kârdän** > „დარდობს (დარდიანობა)“.

საბოლოოდ აფრიკატიზებული ფორმით დამკვიდრებული „**დაბუნ**“-ის პარალელურად სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება „**ზაბუნ**“ ფორმაც: „მაჰისა ქვეყანასა მიწით ჰლომობ და სხვაგან მელიცა **დაგიზაბუნებს**“¹ (ქართული მწერლობა 1988: 104,25), შდრ. სპარს. „hâmi širi koni dâr kešvâr-e mâh//zu râfte **zäbun** dârd-ât rubâh (Gorgâni 1970: 192,67). „მაჰის ქვეყანაში ლომობ, იქიდან წასულს კი, მელაც **დაბუნად** (უძლურად, დაბეჩავებულად) გიყოლიებს“. იხ. „**ზაბუნ**“ ვარიანტის გამოყენების სხვა მაგალითებიც: „წი, წყეულო დევო, ჩემში რა **ზაბუნობა** ნახე, რომ შენის სიტყვით საბაოთ ღმერთი ვგმო და ბუთს თაყვანი ვსცეო“ (შაჰ-ნამე III 1974: 356,17); „კაჭაჭითა დაბურვილი შარა ცხენმან **იზაბუნა**“ (შაჰ-ნამე III. 1974: 3563:8)

zäbun > „**დაბუნ**“-ში თავკიდური „**Z**“-ს აფრიკატიზაცია **zirä||zire** > „**ძირა**“-ს მსგავსად სუბსტიტუციითა განპირობებული. როგორც ჩანს, ქართულში თავიდანვე დამკვიდრდა და ფეხი მოიკიდა აფრიკატიზებულმა „**დაბუნ**“ ფორმამ, „**ზაბუნ**“

¹ აღსანიშნავია, რომ „ვისრამიანის“ მთარგმნელი ყოველთვის იყენებს „**დაბუნ**“ და იშვიათად „**ზაბუნ**“ ფორმას, თუ ორიგინალში „**zäbun**“ არის მითითებული. ამის გამო, „ვისრამიანის“ აღმოსავლური ლექსიკის კლასიფიკაციისას მ. მამაცაშვილი „**დაბუნ**“-ს მიაკუთვნებს ნასახლობათა იმ ჯგუფს, რომელსაც თავისი შესატყვისი გააჩნია სპარსულ დედანში და იმავედროულად თარგმანის შესრულების ეპოქაში უკვე ჰარმონიულადაა შეზავებული ქართული ენის ლექსიკურ ფონდს და, თავისი წარმომავლობის მიუხედავად, ქართულში დისონანსი არ შეაქვს (მამაცაშვილი 1977:140-142).

კი სპონტანურად ჩნდებოდა თარგმნის პროცესში წერილობით ტექსტთან უშუალო შეხებისას როგორც ორიგინალთან მაქსიმალური მიმსგავსების მცდელობის შედეგი. მეტწილად წერილობით და არა სასაუბრო დონეზე „zäbun“-თან შეხებაში განაპირობა „ზაბუნ“-ის ნაცვლად უფრო გაქართულებული „ძაბუნ“ ფორმის გავრცელება, მაშინ როცა „ძირა“-ს პარალელურად დღესაც აქტიურად გამოიყენება „ზირა“, როგორც მჭიდრო ზეპირმეტყველებითი ურთიერთობის ნაშთი.

„ზ“ „ძ“ მონაცვლეობის მაგალითს ასევე წარმოადგენს „მანზილ“ „მანძილ“. ამ შემთხვევაშიც საბოლოოდ დამკვიდრებულია აფრიკატიზებული ფორმა „მანძილ“. არაბულში manzil-ის მნიშვნელობებია: 1. „სადგომი, საცხოვრისი, ბინა“; 2. „მოვარის მღებარეობა“ (Баранов 1977); 3. „შესაჩერებელი, მოსასვენებელი, ბანაკი“ (al-munjid 1986). რაც შეეხება mänzel-ის მნიშვნელობებს სპარსულში, ისინი ყველაზე უფრო ფართოდ ანვარის ლექსიკონშია წარმოდგენილი – 1. „საცხოვრისი, სახლი, სადგომი“; 2. სასაუბრო „ცოლი, ცოლ-შვილი ან ქმარი, ქმარ-შვილი“; 3. „ეტაპი, სტადია“; 4. „დანიშნულების ადგილი“; 5. მოძველებული „შესაჩერებელი, მოსასვენებელი ადგილი, დროებითი სადგომი“; 6. მოძველებული „მანძილი, გასავლელი მონაკვეთი ორ სადგომს შორის“; 7. მოძველებული სადგომი (ასტრონომიული ცნება); 8. „სამყარო, ქვეყნიერება“; 9. „ადგილი, ადგილსამყოფელი“; 10. მოძველებული „ღირსება, ჩინი, რანგი“ (änväri 1993). აფშარი-სა და ჰაქამის ლექსიკონებში დასტურდება mänzel-ის კიდევ ერთი სადღეისოდ მივიწყებული მნიშვნელობა: „დაახლოებით 36 კილომეტრის ტოლფარდი მანძილის საზომი ერთეული“ (äfsär 1994).

თანამედროვე ქართულში „მანძილ“-ის ძირითადი მნიშვნელობაა „ორ პუნქტს შორის მოქცეული სივრცე“ (ქეგლ 1950-1964), რომელიც გადააზრებულია კიდევ ორ სიტყვათმნიშვნელობაში „დროის მონაკვეთი“ (მაგალითად: „ადამიანის ცხოვრებაში წელიწადიც დიდი მანძილია“) (ქეგლ 1950-1964) და „განსხვავება“ (მაგალითად: „სად შენ და სად ის – თქვენ შორის დიდი მანძილია“) (ქეგლ 1950-1964). „მანძილ“-ის თანდებულებიანი ფორმა „მანძილზე“ – გამოიყენება ზმნიზედის ფუნქციით, რომლის მნიშვნელობაა „სივრცეზე, გაყოლებაზე“, მაგალითად: „მთელი ცხოვრების მანძილზე“ (ქეგლ 1950-1964). „მანძილზე“ სიტყვაფორმის ზმნიზედის ფუნქციით დატვირთვა მიუთითებს ამ ნასესხობის გრამატიკულ-დერივაციული შესაძლებლობის ამოქმედებასა და, შესაბამისად, მისი ადაპტაციის მაღალ ხარისხზე ქართულში.

„მანძილ“-ის შედარება მის არაბულ და სპარსულ შესატყვისებთან ცხადყოფს ქართულში ამ ნასესხობის სპარსულიდან შემოსვლას. ქართული ვარიანტის შინაარსი ეფუძნება და იმეორებს mänzel-ის არქაულ, სადღეისოდ მივიწყებულ სიტყვათმნიშვნელობას სპარსულში – „მანძილი (მონაკვეთი) ორ სადგომს შორის“ (änväri 1993). „მანძილ“-ის სპარსულიდან და არა უშუალოდ არაბულიდან შემოსვლას სემანტიკურთან ერთად ქრონოლოგიური ფაქტორიც ადასტურებს. რუსთაველის კომისიის დათარიღებულ მასალათა მიხედვით, ეს სიტყვა ქართულ ძეგლებში მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან (XVII-XVIII) ჩნდება. აღსანიშნავია, რომ „მანძილ“ არაა ასახული სულხან-საბას ლექსიკონში, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულის თანახმად, ის არცთუ იშვიათად გვხვდება

მისი ეპოქის ქართულ ტექსტებში. სავარაუდოდ, ეს ნასესხობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებდა აქტიურად ქართულში და არ იყო გათავისებულები, რის გამოც ვერ პოვა ასახვა პირველი ქართველი ლექსიკოგრაფის ნაშრომში.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, ქართულში „მანძილ“-ის სემანტიკური სტრუქტურა თავდაპირველად შეესაბამებოდა სპარსულში პოლისემანტიის სახით წარმოდგენილ **mänzel**-ის არა მხოლოდ ერთ („მანძილი, მონაკვეთი ორ სადგომს შორის“), არამედ კიდევ სამ მნიშვნელობას. ესაა სადღეისოდ ხმარებიდან გამოსული „დაახლოებით 36 კილომეტრის ტოლფარდი მანძილის საზომი ერთეული“, სპარსული ენის ყველა მონაკვეთზე აქტიურად ფუნქციონირებად და დომინანტურ „საცხოვრის“-თან ახლო მდგომი და ასევე უკვე არქაიზებული სიტყვათმნიშვნელობა „დროებითი სადგომი, შესაჩერებელი ადგილი“ და „სადგომი, როგორც ასტრონომიული ტერმინი“. იხილეთ მაგალითები: „იმ საზარო მხეცმა ერთი ისრის მანძილზე (მონაკვეთზე ფ.ა.) მოაღწია“ (ყარამანიანი 1965:198,6); „ჯერ ჩინეთის ქვეყნიდამ ორს მანძილზედა ვართ (საზომი ერთეული ფ.ა.) (შაჰ-ნამე II. 1934: 318,4); „დავდექით მანძილზედა (დროებითი სადგომი ფ.ა.) და ერთმანეთს ვეუბნებოდით: „აქ არა საშიშია, რომ ვზარობთ წამოსვლასაო“ (რუსულდანიანი 1957:412, 10); „მთვარესავით მანზილსა და მანზილს (ასტრონომიული ტერმინი, რომელიც წარმოდგენილია არააფრიკატიზებული „მანზილ“ ფორმით ფ.ა.) მიდგებოდა.“ (ქილილა და დამანა M 53:94). ასტრონომიული ტერმინის მნიშვნელობით „მანზილ“ ასევე გვხვდება „ზიჯის ვარსკვლავთა კატალოგის“ ვახტანგ მეექვსისეულ თარგმანში (ულუღ-ბეგი № 187: 157).

„მანძილ“-ზე, როგორც XVIII საუკუნის საქართველოში გავრცელებულ გზის მონაკვეთის სიგრძის საზომ ერთეულზე მიუთითებს გ. ჯაფარიძე, მაგრამ მას წარმოადგენს არა როგორც 36 კმ-ის (äfsâr 1994), არამედ როგორც სამი ალაჯის, ანუ 15 კმ-ის ტოლფარდ ერთეულს. იმავედროულად იგი აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის არაბული წარმომავლობის მიუხედავად, საზომი ერთეულის მნიშვნელობით „მანზილ“ სპარსულიდან უნდა იყოს ქართულში შემოსული (ჯაფარიძე 1973: 142). მის გამოკვლევაში ეს ნასესხობა არააფრიკატიზებული „მანზილ“ ფორმითაა წარმოდგენილი.

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ძეგლებში „მანძილ“||„მანზილ“ მეტწილად აღნიშნავს „გზის მონაკვეთის საზომ ერთეულსა“ და „დროებით სადგომს“. ეს მნიშვნელობები XIX საუკუნიდან განდევნა „ორ პუნქტს შორის მოქცეული სივრცის“ მნიშვნელობამ, ანუ „მანძილ“ სიტყვა მონოსემიზდა, შემდგომ კი, მოხდა მისი მეორეული პოლისემიზაცია „ორ პუნქტს შორის მოქცეული სივრცის“ მნიშვნელობით მოტივირებულ ახალ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტთა („დროის მონაკვეთი“ და „განსხვავება“) გაჩენით.

აღრინდელ ძეგლებში „ძაბუნ“||„ზაბუნ“-ის მსგავსად, ჭარბობს აფრიკატიზებული ფორმა „მანძილ“, რომელმაც საბოლოოდ ჩაანაცვლა ეტიმონთან ახლო მდგომი არააფრიკატიზებული „მანზილ“ ვარიანტი. „მანზილ“ > „მანძილ“-ის შემთხვევაში აფრიკატიზაციას ხელი შეუწყო ხშულთან სიახლოვემ. ქართული **ბზ, გზ, მზ, ნზ, ლზ, დზ, რზ** ბგერათკომპლექსებისათვის დამახასიათებელი აფ-

რიკატიზაციის ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითია „მანძილ“-ით მოტივირებული ანდაზა: „კატის მანძილი რა არის და საბძელიო“.

ამრიგად, „ზირა“||„ძირა“ (მდრ. საშუალო სპარსული წარმომავლობის „ზირაკ||ძირაკ“); „ზაბუნ“||„ძაბუნ“ და „მანზილ“||„მანძილ“ ნასესხობათა ანალიზით ჩანს, რომ სპარსული Z-ს აფრიკატიზაციას, კერძოდ, მის „ძ“-დ გადმოსვლას ქართულში ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ საშუალო, არამედ ასევე ახალი სპარსულიდან სიტყვათა შესხებისას. სპარსული Z-ს ადაპტაცია ქართულში ერთნაირად აქტუალურია როგორც ირანული წარმომავლობის „ზირაკ“||„ძირაკ“||„ზირა“||„ძირა“-ს, ასევე „ძაბუნ“ და „მანძილ“ არაბიზმებისათვის, რადგან ეს უკანასკნელნი სპარსული გზითაა ქართულში შემოსული. ამ ერთეულთა შეპირისპირებით არაბულ და სპარსულ ეკვივალენტებთან ვლინდება ქართულში მათი შემოსვლის სპარსული გზა, რადგან ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობები გარკვეულწილად ასახავს სპარსულ და არა არაბულ შესატყვისთა სემანტიკას. სპარსულ მეშვეობას ასევე ადასტურებს ქრონოლოგიური ფაქტორი – „ძაბუნ“ და „მანძილ“ ნასესხობათა არარსებობა უშუალო არაბულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა პერიოდში.

ქართულში დადასტურებული „ზირაკ“||„ძირაკ“ პარალელურ ფორმათა საშუალებით აღდგენილია საშუალო სპარსული ეტიმონი *zīrak. „ზირაკ||ძირაკ“-ისა და „ზირა“||„ძირა“-ს შემთხვევაში საქმე გვაქვს ციკლურ ნასესხობასთან, რომელიც სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების ორ სხვადასხვა (საშუალო და ახალი სპარსულის) საფეხურზე შემოვიდა. ეს ხსნის „ზირაკ||ძირაკ“-ის გვერდით „ზირა“||„ძირა“ ფორმათა არსებობას. ამგვარი ფაქტები ადასტურებს ნასესხობათა შესწავლის მნიშვნელობას არა მხოლოდ მსესხებელ, არამედ გამსესხებელ ენათა კვლევისთვისაც.

„ზ“||„ძ“ მონაცვლეობის საფუძველზე „მანძილ“||„მანზილ“ და „ზაბუნ“||„ძაბუნ“ ნასესხობათა „ზირა“||„ძირა“||„ზირაკ||ძირაკ“-თან შეპირისპირებით იკვეთება ზეპირ ენობრივ ურთიერთობათა გავლენა პარალელურ ფორმათა მდგრადობაზე. ზეპირმეტყველებით დონეზე ენობრივ ურთიერთობათა სიმჭიდროვე, ნასესხობისა და მისი ეტიმონის აქტიური ფუნქციონირება საყოფაცხოვრებო მეტყველებაში (იხ. „ზირაკ“||„ზირა“||„ძირაკ“||„ძირა“), გარკვეულწილად განაპირობებს მსესხებელი ენისათვის უფრო ორგანულ (აქ აფრიკატიზებულ) ფონეტიკურ ფორმათა („ძირაკ“||„ძირა“) გვერდით ეტიმონთან ახლო მდგომი ფორმების („ზირაკ“||„ზირა“) პარალელურ და სიმეტრიულ, ანუ თანაბარი სიხშირით გამოყენებას.

მონოსემიური *zīrāk||zīra||zīre ქართულში უცვლელი შინაარსით გადმოდის. zābun-ისა და mānzel-ის სპარსულში წარმოდგენილი პოლისემია შესხების პირველ ეტაპზე გარკვეულწილად მათ ქართულ შესატყვისებშიც აისახება. შემდგომ მკვიდრდება სპარსული პოლისემანტის ერთ-ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტზე დაფუძნებული სიტყვათმნიშვნელობა, ანუ სპარსულ ვარიანტთან შედარებით მცირდება ქართული ნასესხობის სემანტიკური მოცულობა. „მანძილ“-ის შემთხვევაში ხდება მეორეული პოლისემიზაცია, ე.ი. დამკვიდრებული სიტყვათმნიშვნელობის ბაზაზე ჩნდება ახალი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები. ვფიქრობთ, ამგვარი მაგალითები პოლისემიურ ერთეულთა მსესხებელ ენაში ადაპტაციის უფრო ღრმად შესწავლის საჭიროებაზე მიგვანიშნებს.

განხილულ ლექსიკურ ერთეულთა ფუნქციონირება თანამედროვე ქართულში, „ძაბუნ“-ისა და „მანძილ“-ის დერივაციულ შესაძლებლობათა გამოვლენა აფიქსური სიტყვათწარმოებისა და გრამატიკული დერივაციის დონეზე, საკუთრივ ქართულ ნიადაგზე „მანძილ“-ის პოლისემიზაცია ადასტურებს ამ ნასესხობათა ორგანულ შეთვისებას.

ლიტერატურა და წყაროები

- ალექსიძე 2009:** მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი.
- ანდრონიკაშვილი 1965:** მ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, თბილისი.
- ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან I, თბილისი.
- ანდრონიკაშვილი 1996:** მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან II, თბილისი.
- გრიშაშვილი 1997:** ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა), თბილისი.
- კობიძე 1983:** დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი I, თბილისი.
- ლეკიაშვილი 1992:** ვლ. ლეკიაშვილი, ორიენტალიზმები ქართულში (არაბული ლექსიკა), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
- ლომთაძე 1999:** ა. ლომთაძე სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, თბილისი.
- ნეიმანი 1978:** ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
- მამაცაშვილი 1977:** მ. მამაცაშვილი, გორგანის „ვის-ო-რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“, თბილისი.
- ორბელიანი 1991-1993:** სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ. I-1991; ტ. II-1993, თბილისი.
- რუსუდანიანი 1957:** რუსუდანიანი (ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით), თბილისი.
- სამკურნალო წიგნი 1950:** ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი სამკურნალო წიგნი – კარაბადინი (მ. სააკაშვილის რედაქციით), თბილისი.
- სილაგაძე 2008:** ა. სილაგაძე არაბიზმების საკითხისათვის, აღმოსავლეთი და კავკასია, №6, თბილისი.
- ულულ-ბეგი № 187:** ულულ-ბეგის „ზიჯის ვარსკვლავთა კატალოგი“, ვახტანგ VI-ის მიერ შესრულებული თარგმანი, სანკტ-პეტერბურგის სააზიო მუზეუმის ხელნაწერი № 187.
- უსწორო კარაბადინი 1940:** უსწორო კარაბადინი (ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა), თბილისი.
- ქართული მწერლობა 1988:** ქართული მწერლობა ტ. III („ვისრამიანი“), თბილისი.
- ქეკელი 1950-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბილისი.
- ქილილა და დამანა M 53:** ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანი, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი M 53.
- ყარამანიანი 1965:** ყარამანიანი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვასარიამ და ს. ცაიშვილმა), თბილისი.

- შაჰ-ნამე 1934:** ფირდოუსი „შაჰ-ნამე“, ქართული ვერსიები (ტექსტი დაამუშავა და ლექსიკონითურთ დასაბეჭდად მოამზადა იუსტ. აბულაძემ და მეცნიერთა ჯგუფმა), ტფილისი.
- შაჰ-ნამე 1974:** „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიები III (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დ. კობიძემ), თბილისი.
- ჩუბინაშვილი 1961:** ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი (ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით), თბილისი.
- ჯაფარიძე 1973:** გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბილისი.
- Баранов 1977:** Баранов Х.Г., Арабско-русский словарь, Москва.
- Гаффаров 1974:** Гаффаров М., Персидско-русский словарь, т. I- II, Москва.
- Основы... 1981:** Основы иранского языкознания. Среднеперсидские языки, Москва.
- Основы... 1982:** Основы иранского языкознания. Новоиранские языки, Москва.
- Рубинчик 1970:** Персидско-русский словарь (под редакцией Рубинчика Ю.А.), т. I- II, Москва.
- al-munjid 1986:** al-munjid 1986 fi-fluqat wa-la' lami Beirut.
- änväri 1993:** änväri h., färhäng-e fešorde-ye soxän. j I- II, Tehrân.
- äfsâr; häkämi 1994:** äfsâr s.; häkämi n.; häkämi n. färhäng-e moaser-e färsi, Tehrân.
- Gorgâni 1970:** Gorgâni Vis-o-Râmin (täshih-e Mâgâli Toduâ vä Eskânder-e Gvâxâria) Tehrân.
- MacKenzie 1971:** MacKenzie D.N., A Concise Pahlavic Dictionary, London-New-York-Toronto.
- Moin 1998:** Moin M., färhäng-e färsi Tehrân.
- Nyberg 1974:** Nyberg H.S., A Manual of Pahlavic II; Glossary Wiesbaden.

Fati Antadze-Malashkhia

On Three Oriental Loan Words in Georgian

(„ზირაკ||ძირაკ“||„ზირა“||„ძირა“; „ძაბუნ“-ი; „მანძილ“)

Summary

The paper analyzes three orientalisms „ზირაკ||ძირაკ“||„ზირა“||„ძირა“; „ძაბუნ“; „მანძილ“. They are compared with one another with regard to their phonetic and semantic adaptation in Georgian.

Unlike the Arabisms „ძაბუნ“ and „მანძილ“, „ზირაკ||ძირაკ“||„ზირა“||„ძირა“ is a word of Iranian origin based on affixal derivate (Middle and New Persian zir "bottom, lower part" > Middle Persian *zir-ak > New Persian zir-ä||zir-e "caraway"). However, in case of all the three loan words Persian, not Arabic z is adapted in Georgian, as „ძაბუნ“ and „მანძილ“ are borrowed not directly from Arabic, but they have penetrated into Georgian via Persian. The fact that they have penetrated into Georgian via Persian is confirmed by semantic and chronological factors. In Georgian „ძაბუნ“ and „მანძილ“ have Persian and not Arabic meanings. Besides, these borrowings are found in Georgian literary monuments after XI century when Georgian had ceased direct contacts with Arabic.

Based on „ზირაკ||ძირაკ“ forms, Middle Persian etymon *zirak is restored. „ზირაკ||ძირაკ“||„ზირა“||„ძირა“ is a cyclic borrowing which penetrated into Georgian at various stages of Persian-Georgian language contacts. „ზირაკ||ძირაკ“ is borrowed from Middle Persian, whereas „ზირა“||„ძირა“ is borrowed from New Persian.

The meaning of monosemantic zirā||zire “caraway” is transferred to Georgian unchanged. The polysemy of Persian “zābun” and “mānzel” is partly reflected in Georgian on the first stage of borrowing. The word „ძაბუნ“ is found in earlier Georgian texts in the meaning “weak” and “imprisoned”, whereas „მანძილ“ has the following meanings: “distance”, “the unit of measurement of the length of the road” and “temporary residence”. All the above-mentioned meanings have a base form in the semantic structure of the Persian correlate. Later, the semantic volume of borrowing decreases and „ძაბუნ“ retains only the meanings of “weak” and “helpless”, whereas the semantics of „მანძილ“ is restricted to “distance” only.

According to a widespread opinion, New Persian **z** is transferred to Georgian only as ზ, unlike Middle Persian **z**, which is pronounced in Georgian borrowings both as ზ and ძ. Based on the three units in question, affricatization of **z** and its transfer into ძ occurs also in the loan words borrowed from New Persian, which can be explained by natural tendencies of Georgian.

The parallelism of non-affricated and affricated forms is found in all the three analyzed loan words. Non-affricated forms „ზაბუნ“ and „მანზილ“ are rare and are found only in earlier texts. Parallel variants „ზირაკ“||„ზირა“ and „ძირაკ“||„ძირა“ are equally frequent in Middle and contemporary Georgian. Such stable and symmetrical parallelism is the result of the existence of close oral Persian-Georgian language contacts and may be explained by the active functioning of everyday vocabulary. Caraway (ზირა) is an ingredient of oriental food widespread in Tbilisi. Hence, its Persian name was frequently heard among the mixed ethnic population (including the Persians) of Tbilisi. This factor conditioned the equal frequency of occurrence of Georgian „ძირაკ“||„ძირა“ and „ზირაკ“||„ზირა“ which is phonetically close to the etymon.

ნათია არაბული

**კატეგორიზაციის პრინციპები: ხილისა და ბოსტნეულის
კონცეპტუალური კატეგორიები სკოლაგდელი
ასაკის ბავშვების წარმოსახვაში**

კოგნიტიური ლინგვისტიკა სწავლობს მიმართებებს ენასა და ადამიანის გონებაში მიმდინარე შემეცნებით პროცესებს შორის: „როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი, როგორ ლეზულობს ინფორმაციას შეგრძნებების მეშვეობით, როგორ გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, როგორ უდარებს მას ადრინდელ მონაცემებს, ახარისხებს და ინახავს მეხსიერებაში... როგორ ხდება ამ უზარმაზარი ინფორმაციის სტრუქტურირება ჩვენს გონებაში, როგორ მოვიხმართ ამ ინფორმაციას, როდესაც ვფიქრობთ და ვმსჯელობთ“ (ლოებნერი 2010:7).

ენათმეცნიერების ამ მიმართულების კვლევის ძირითადი საგანი არის **კატეგორიზაციის** პროცესი. „მას შემდეგ, რაც აღქმითი სისტემა მიიღებს ინფორმაციას ჩვენ გარემომცველ სამყაროში რაღაც გარკვეული ოდენობის შესახებ, შემეცნებითი სისტემა ამ ოდენობას რომელიღაც კატეგორიას მიაკუთვნებს“ (ბარსალოუ 1992:15). კატეგორიზაცია მჭიდრო კავშირშია კოგნიტიურ უნარებთან – ისეთ კოგნიტიურ პროცესებთან, როგორებიცაა დამანსოვრება, ყურადღების გამახვილება, ფანტაზია და სხვ. – და, როგორც წესი, ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას ეყარება. კატეგორიზაციის უნარის გარეშე ადამიანს, შეიძლება ითქვას, აღუქმელი დარჩებოდა მის გარშემო არსებული მთელი ინფორმაცია. კატეგორიზაცია მუდმივი, ძირითადად გაუცნობიერებელი, პროცესია, მიმდინარეობს აღქმის ნებისმიერ დონეზე და არ არის მხოლოდ ენობრივი მოვლენა. ჩვენ ვახდენთ არა მხოლოდ საგნებისა და მოვლენების, არამედ ფერების, სუნის, გემოს, სხვადასხვაგვარი შეგრძნებებისა თუ ემოციების დიფერენციაციას და მათ კატეგორიზაციას. კატეგორიზაციის ფუნქციები, გარდა სამყაროს აღქმისა, არის შემეცნება, დაგეგმვა, გამოცდილების დაგროვება, სამყაროში უფრო მარტივად ორიენტირება. ჩვენ გარშემო არსებული სინამდვილის კატეგორიზაციით ჩვენ უფრო თავისუფლად და სრულყოფილად ვორიენტირებთ სამყაროში და ვხდებით მისი ნაწილი.

კატეგორიზაციის პროცესზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ ფორმირდება აზროვნება, რა პროცესები მიმდინარეობს ცნობიერებაში, როგორ ალაგებს ადამიანი გარემო მოვლენებსა და საგნებს, რა ლოგიკა, პრინციპები და თანმიმდევრობები სდევს ამ პროცესებს და დავადგინოთ რიგი უნივერსალიები, რაც ამ პროცესებს განაპირობებს.

კატეგორიზაციის პროცესში ნებისმიერი ინდივიდუალური ობიექტი, კონკრეტული გამოცდილება გაიანზრება როგორც რაღაც უფრო აბსტრაქტული ობიექტის დაკონკრეტებული მაგალითი. ასეთ აბსტრაქტულ, წარმოსახვით ობიექტს შეიძლება **კონცეპტუალური კატეგორია** ვუწოდოთ. კონცეპტუალური კატეგორიები განიხილება როგორც შემეცნების მთავარი იარაღი. კატეგორიზაციის შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვაგვარი **კონცეპტები**, რომლებიც ჩვენს გონებაში,

ცნობიერებაში ყალიბდება, როგორც წესი, ენობრივი სტრუქტურების სახით რეალიზდება ენაში და მათზე დაკვირვება, კატეგორიზაციის ძირითადი ნიშნების ამოცნობა-დახასიათება, ძირითადად, სწორედ ამ ენობრივი ფორმების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი.

ენობრივი ცნება (კონცეპტი) არ არის ერთგვაროვნად ორგანიზებული. სემანტიკურ კატეგორიას პროტოტიპული ბუნება აქვს. მასში **ცენტრი** და **პერიფერია** განირჩევა (გამყრელიძე... 2003:467). ცენტრალური კონცეპტები უფრო **ბაზისურია** პერიფერიულთან შედარებით და ისინი კონკრეტული კატეგორიების საუკეთესო ნიმუშებად წარმოგვიდგებიან. კონცეპტი შეიძლება იყოს **ზოგადი** და **კონკრეტული**. მაგალითად, ზოგადი კონცეპტია 'მსახიობი', მისი კონკრეტული ნიმუში კი იქნება, ვთქვათ, *მერლინ მონრო*. საზოგადოდ, ყოველდღიურ აზროვნებასა და მეტყველებაში უფრო ხშირად კონკრეტული კონცეპტი გამოიყენება, ვიდრე ზოგადი. ამასთანავე, კონკრეტული კონცეპტი არ არის საბოლოო კონსტრუქცია და მან შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობის სხვადასხვაგვარი ცვლილება განიცადოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღწერითი გამონათქვამების მეშვეობით არის გადმოცემული.

კონცეპტები შესაძლოა იყოს, ასევე, **დინამიკური** და **სტატიკური**. დინამიკურია კონცეპტები, რომლებიც უფრო მარტივად და ხშირად იცვლიან შინაარსსა და ფორმას, სტატიკური კი ისინი, რომლებიც უფრო მყარად არიან დამკვიდრებული ცნობიერებაში. დინამიკური კონცეპტები სტატიკურთან შედარებით უფრო ყოველდღიური კონცეპტებია და მათ ცვლილებებზე გავლენას ახდენს მათი შედარებით უფრო ხშირი გამოყენება სხვადასხვა სახის კონტექსტში. კონტექსტი, საზოგადოდ, საკმაოდ ხშირად იწვევს შინაარსობრივ ცვლილებებს.

კატეგორიზაციის ფენომენის ასახსნელად არსებობს სხვადასხვა თეორია. კატეგორიის სტრუქტურის **კლასიკური მოდელის** თანახმად, კატეგორიები განისაზღვრება როგორც აუცილებელ და საკმარის ნიშანთა სიმრავლე. ეს ნიშნები აუცილებელია იმიტომ, რომ ისეთი ობიექტი, რომელსაც არ ახასიათებს ამ ნიშანთა სიმრავლე, არ შეიძლება იყოს მოცემული კატეგორიის წევრი; ამავე დროს, ისინი საკმარისია, რამდენადაც, თუკი ობიექტს აქვს ყველა ეს ნიშანი, მაშინ ეს ობიექტი აუცილებლად იქნება ამ კატეგორიის წევრი. კატეგორიზაციის კლასიკური მოდელი ადგენს მკაფიო და ზუსტ საზღვრებს კატეგორიებს შორის; არ გამორიცხავს, ასევე, ერთი კატეგორიის ჩართვას მეორის შემადგენლობაში, არ ითვალისწინებს ცენტრალური და პერიფერიული კონცეპტების ხასიათს და ერთი კატეგორიის შიგნით შემავალ ყველა კონცეპტს ერთ ღონეზე ათავსებს. გარდა ამისა, კატეგორიებს გარეთ ტოვებს უამრავ ისეთ ყოველდღიურ კონცეპტს, რომელთა ადეკვატური განსაზღვრა აუცილებელი და საკმარისი ნიშნების საფუძველზე უბრალოდ შეუძლებელია.

კლასიკური მოდელის პარალელურად არსებობს კატეგორიის სტრუქტურის **პროტოტიპული მოდელი**, რომლის თანახმადაც კატეგორიის ფარგლებში შემავალ ყველა წევრს არ აქვს თანაბარი სტატუსი. ამ მოდელის თანახმად, ნიმუშები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოადგენენ კატეგორიას, შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიის ყველაზე ცენტრალურ, ანუ პროტოტიპულ წევრებად.

თუ კლასიკური მოდელი ზედმეტად ხისტად ადგენს კატეგორიის საზღვრებს, პროტოტიპულ მოდელში კატეგორიის საზღვრები პრინციპში არც არის

მკვეთრად შემოსაზღვრული, რაც მის ნაკლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ეს ხშირად იწვევს კატეგორიების წევრებისა და ქვეკატეგორიების აღრევას. გარდა ამისა, პროტოტიპთა თეორია აბსოლუტურად არ ითვალისწინებს კონტექსტის ფაქტორს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. არა მხოლოდ კატეგორიზაციაზე საუბრისას, არამედ ნებისმიერი ენობრივი პროცესის ახსნისას მნიშვნელოვანია კონტექსტის გათვალისწინება და, ამ კონტექსტის შესაბამისად, სემანტიკური კონცეპტების გააზრება.

საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ კატეგორიზაციის შესახებ არსებული არც ერთი მოდელი არ არის აბსოლუტურად მისაღები და უნაკლო, რაც გამოწვეულია თავად ადამიანის აღქმისა და ენის თავისებურებებით. ხშირად **ინდივიდუალური ცოდნა** და მისი გამონახვა ენაში არ არის იდენტური **კულტურული ცოდნისა** და/ან არ ემთხვევა მეცნიერთა კვლევის შედეგად მოპოვებულ **ენციკლოპედიურ ცოდნას**. ინდივიდუალური ცოდნა უფრო პრივატული სფეროა და მისი შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პირადი დამოკიდებულებები, ემოციები, შეგრძნებები მაშინ, როდესაც კულტურული ცოდნა მხოლოდ ანალიზსა და ფაქტებს ეყრდნობა (ამ ტერმინების განსხვავების შესახებ იხ. ლოებნერი 2010: 45-50).

სამაგიეროდ, ინდივიდუალური წარმოდგენები რიგ საკითხებთან დაკავშირებით, შესაძლოა უფრო ფართო იყოს, ვიდრე კულტურული – მათ აქვთ უფლება იარსებონ თავისუფლად მაშინაც, როცა მათი სანდოობა სათუთაა. ინდივიდუალურ და ენციკლოპედიურ ცოდნას შორის არსებული შეუსაბამობის მარტივი და ნათელი ნიმუშია, მაგალითად, ის, რომ ‘საზამთრო’ და ‘ნესვი’ ზრდასრულთა უმრავლესობისათვის ხილის კატეგორიაშია მაშინ, როდესაც ის ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში განმარტებულია როგორც ბოსტნეული.

ჩვენი კვლევის კონკრეტულ ობიექტად შევარჩიეთ სწორედ ხილისა და ბოსტნეულის კონცეპტუალური კატეგორიები და შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, თუ როგორ ხდება ამ კატეგორიების ჩამოყალიბება ადამიანის ცნობიერებაში და რამდენად არის შესაბამისობაში ჩვენი წარმოდგენები ამ კონცეპტუალური კატეგორიების შესახებ არსებულ მეცნიერულ (ბიოლოგიურ-ბოტანიკურ) ცოდნასთან (ენციკლოპედიური და სამყაროსეული ცოდნის განსხვავებისათვის, იხ., ლოებნერი 2010: 5-47), რასაც ემყარება განმარტებით ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში მოცემული დეფინიციები.

აღსანიშნავია, რომ ქართულენოვანი ლექსიკონები ხილისა და ბოსტნეულის საკმაოდ ზოგად განმარტებებს გვთავაზობენ. საკითხთან დაკავშირებით უფრო ფართო ინფორმაციას იძლევა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, სადაც წარმოდგენილია როგორც ბოსტნეულის (როგორც ზოგადი კატეგორიის) განსაზღვრება, ისე მისი ქვეკატეგორიების დეფინიციები (ქსე 1977:483):¹

ბალახოვანი მცენარეები, რომლებსაც საჭმელად იყენებენ და ბოსტნეულს უწოდებენ. ბოსტნეულ კულტურებს განეკუთვნება 10 ოჯახი:

1. ჯვაროსანნი – კობოსტო, ჭარხალი, თაღვამურა (მიწამხალი), თაღვამი, ბოლოკი, თვის ბოლოკი, პირმუშხა, წიწმატი;

¹ ენციკლოპედიის განმარტებები, თავის მხრივ, მოტანილია გ. კვაჭაძის „მეზოსტნეობაზე“ დაყრდნობით (კვაჭაძე 1965).

2. ქოლგოსანნი – სტაფილო, ოხრახუში, ძირთეთრა, ნიახური, ცერეცო;
3. ვოგრისებრნი – ვოგრა, კიტრი, ნესვი, საზამთრო;
4. ძაღლყურძენასებრნი – პამიდორი, წიწკა, ბადრიჯანი, ფიზალისი;
5. პარკოსნები – ცერცვი, ბარდა, ლობიო;
6. შროშანასებრნი – ხახვი, ნიორი, პრასა, ჭლაკვი, ღანძილი, სატაკური;
7. რთულყვავილოვანნი – სალათა, არდი, ძირშავა, არტიშოკი, ტარხუნა;
8. ნაცარქათამასებრნი – ჭარხალი, ისპანახი;
9. მათიტელასებრნი – რეკანდი, მჟაუნა;
10. მარცვლოვანნი – ტკბილი სიმინდი.

სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით განარჩევენ ერთწლოვან, ორწლოვან და მრავალწლოვან ბოსტნეულ კულტურებს; საჭმელად გამოსაყენებელი ნაწილების მიხედვით კი ბოსტნეული კულტურები იყოფა 4 ჯგუფად:

1. ფოთლიანები – კომბოსტო, კამა, ოხრახუში, სალათა, ისპანახი და სხვ.;
2. ნაყოფიანები – კიტრი, ნესვი, საზამთრო, პამიდორი, ბადრიჯანი, ლობიო, სიმინდი და სხვ.;
3. ძირხვენიები – თაღვამურა, ბოლოკი, თვის ბოლოკი, ჭარხალი, სტაფილო და სხვა;
4. ბოლქვიანნი – ხახვი, პრასა, ნიორი.

საინტერესოა ასევე თავად ბოსტნის განმარტება – ამავე ენციკლოპედიის განმარტებით ბოსტანი არის „მიწის ნაკვეთი, ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად, ჩვეულებრივ გაშენებულია საცხოვრებელი ადგილის მახლობლად ან თვით საკარმიდამო ნაკვეთზე. საბოსტნედ გამოიყოფა როგორც რელიეფის, ისე ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით შერჩეული ადგილი“ (ქსე 1977:482).

ზოგი ბოსტნეული ერთ ქვეკატეგორიად არის გაერთიანებული და საერთო, ზოგადი კატეგორიის, **ბაღჩეულის**, ქვეკატეგორიად მიიჩნევა, თუმცა, ჩვეულებრივ, ზრდასრული ადამიანების უმეტესობა ბაღჩეული კულტურების კატეგორიზაციისას მათ გამოყენებას და გემოს უფრო აქცევს ყურადღებას და ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, საზამთროსა და ნესვს, ამ ნიშნებიდან გამომდინარე, ხილის კატეგორიად მიიჩნევს, ე.ი. არ ითვალისწინებენ ენციკლოპედიურ ცოდნას:

ბაღჩა (სპარს.) – საზამთროს, ნესვის ან ვოგრის ნათესი ყამირ ან სასვენ მიწებზე, თესლობრუნვის მინდორზე, რომელიც ჩვეულებრივ მოშორებულია საცხოვრებელი ადგილიდან. საქართველოში ბაღჩას პატარა ბალსაც უწოდებენ, სადაც რვავენ ყვავილებს ან მოჰყავთ ბოსტნეული (ქსე 1977: 248).

ბაღჩეული კულტურები – მცენარეთა ჯგუფი ვოგრისებრთა ოჯახისა (საზამთრო, ვოგრა, ნესვი). მცენარეები გართხმული ან მცოცავია (ქსე 1977: 248).

საინტერესოა „ხილის“ და მისი სინონიმი ტერმინის „ხეხილი“ მიმართება: შესაძლოა ტერმინი „ხეხილი“ იმ მიზნით გაჩნდა ენაში, რომ ხაზი გაესვა ძირითადი განმასხვავებელი საკატეგორიზაციო ნიშნისთვის: „ხეზე რაც მოდის, ხილია“ და ეს ნიშანი ენციკლოპედიური ცოდნიდან ინდივიდუალური ცოდნის სფეროში გადმოეტანა და გაეაქტიურებინა. სამწუხაროდ, ენციკლოპედიამი 'ხეხილი' განმარტებული არ არის და გვხვდება მხოლოდ მომიჯნავე ცნებების განმარტე-

ბისას: 'ხეხილის გასხვლა', 'ხეხილის დარგვა' და სხვა ამგვარი. ასევე, არ არის განმარტებული 'ხილი', რომელიც ენციკლოპედიაში მოცემულია მხოლოდ ისეთ კომპლექსურ ცნებებთან, როგორებიცაა: 'ხილ-ბოსტნეულის საჭრელი მანქანა', 'ხილეულის წყალი', 'ხილთა ქება', 'ხილიანა', 'ხილის შაქარი', 'ხილ-კენკრისა და ბოსტნეულის წვენი' და სხვ.

ენციკლოპედიაში მოცემული განმარტებების პარალელურად საინტერესოა სხვადასხვა სახის ლექსიკონებში მოცემული განმარტებები, თუმცა ამ მხრივ, სამწუხაროდ, ქართულენოვანი ლექსიკონები დიდ მასალას ვერ იძლევა.

1968 წელს გამოცემულ ბოტანიკური ტერმინების მოკლე ლექსიკონში (ლაჩაშვილი 1968) მოცემულია მხოლოდ ისეთი ტერმინები, რომლებსაც ადამიანი შეიძლება შეხვდეს სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ ლიტერატურაში და მათი გაგება და გამოყენება სპეციალური დამატებითი მინიშნებების გარეშე რთულია. სწორედ ამგვარ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ჩვენთვის საინტერესო ვერც ერთი ტერმინის განმარტება ვერ მოვიძიეთ. 1991 წელს გამოცემულ ბოტანიკურ ლექსიკონში (მაყაშვილი 1991), მართალია, შესულია ადგილობრივ მცენარეთა 2500-მდე დასახელება თავისი სინონიმებითა და დიალექტური ვარიანტებით, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ინფორმაცია იმ კულტურათა შესახებ, რაც საქართველოშია გავრცელებული, თუმცა აქ ზოგადი კონცეპტების განმარტებები წარმოდგენილი არაა. კონცეპტებს – ხილი, ხეხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, მარცვლოვანი კულტურები და ა.შ. – სალექსიკონო ერთეულებად ამ ლექსიკონში ვერ იპოვიეთ. არსებობს ასევე 2004 წელს გამოცემული ბოტანიკური ლექსიკონი (ნიშნაიანიძე 2004), რომელშიც მოცემულია მცენარეთა სახელწოდებები ქართულ-ლათინურ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ და ფრანგულ ენებზე, მაგრამ ეს მხოლოდ სახელწოდებათა ჩამონათვალია და უფრო ვრცელ განმარტებებს ვერც აქ ვხვდებით.

გარკვეულ ინფორმაციას იძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც ასევე მეტად ზოგადი დეფინიციებია მოცემული (ქეგელ 1990:58, 63, 579-580):

ბაღჩა – პატარა ბაღი, სადაც ყვავილებს რგავენ (ზოგჯერ ბოსტნეულსაც თესავენ).

ბაღჩეული – ბაღჩეული კულტურები – ნესვი, საზამთრო, ვოვრა.

ბაღი – შემოკავებული მიწის ნაკვეთი, სადაც სავანგებოდ არის დარგული ხეხილი (თუ სხვა ხეები), ბუჩქები, ყვავილები.

ბოსტანი – კვლავად დაყოფილი მიწის ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ საჭმელ-საკაზმი მცენარეები (კომბოსტო, პომიდორი, კიტრი, ხახვი.) და მწვანილი.

ბოსტნეული – ბოსტანში მოყვანილი მცენარეები.

ხეხილი – ხეები, რომლებიც ხილს იხამს.

ხილი – ზოგი მცენარის საჭმელად ვარგისი ნაყოფი (ჩვეულებრივ ტკბილი და წვნიანი).

კენკრა – ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეების წვრილი, წვნიან ნაყოფთა (მარწყვის, ყოლოს, მაცვლის) საერთო სახელი.

საბოლოოდ, თუ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიაში მოცემულ განმარტებებს განვაზოგადებთ, მივიღებთ შემდეგ დეფინიციებს: „ხილი არის ხის ნაყოფი, ზოგიერთი ბლანხთა და ზოგი მცენარისა. საჭმელად ვარვისი (ჩვეულებრივ ტკბილი და წვნიანი)“; ბოსტნეული კი „ბოსტანში მოყვანილი მცენარეები“¹

აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედიურ-მეცნიერული ცოდნა, ჩვენს შემთხვევაში კონკრეტულად ხილ-ბოსტნეულთან დაკავშირებული, არ ემთხვევა კულტურულ ცოდნას: ადამიანები ყოველდღიური პრაქტიკიდან გამომდინარე იმუშავებენ ინდივიდუალურ ცოდნას, რაც განსაზღვრავს მათი კატეგორიზაციის პროცესს და შემდგომ გარკვეული სოციუმისათვის საერთო ღირებულებას იძენს. გარემოს, სინამდვილის შესწავლა მიმდინარეობს შემეცნებით, რაზეც გავლენას ახდენს ორი ფაქტორი:

- დასწავლა – სოციალურ გარემოში რაიმე მოვლენის შესახებ გამოცდილების შედეგად მიღებული ცოდნა. დასწავლა შეიძლება როგორც ერთჯერადი (მაგ., *ძაღლის კბენა და მისგან გამოწვეული შიში*), ასევე მრავალჯერადი და მიზეზშედეგობრივი (მაგ., *მზე ამოდის, ნათდება*) მოვლენების აღქმის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე;
- სოციალიზაცია – იმ სოციალური ნორმების ერთიანობა, რომლებიც მიღებულია ამა თუ იმ სოციალურ გარემოში და რომელთა ღირებულებაც აღიარებულია პიროვნების მიერ.

ეს პროცესები მიმდინარეობს მუდმივად – ინდივიდუალური ცოდნა იქცევა კულტურულ ცოდნად. ამის ნათელი ნიმუშია, ზემოთ ჩვენ მიერ მოტანილი ‘საზამთროსა’ და ‘ნესვის’ მაგალითი (იხ. გვ. 6) – როგორც ჩანს, ‘ხილის’ ზოგადი კატეგორიის განმსაზღვრელი ცენტრალური, ბაზისური ნიშანი ქვეცნობიერად გემოს შეგრძნებებს ეფუძნება: „*ყველაფერი, რაც ტკბილი და წვნიანია, არის ხილი*“; შემდეგ ინდივიდუალურიდან სოციალურად ღირებულ ნიშნად ყალიბდება და არ ითვალისწინებს ენციკლოპედიურ, მეცნიერულ ცოდნას.

ხილისა და ბოსტნეულის კონცეპტუალური კატეგორიებით დაინტერესება გამოიწვია სწორედ ამ ტიპის შეუსაბამობის ახსნის სურვილმა – კონკრეტულ კონცეპტებზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე გარკვეულიყო კონცეპტუალური კატეგორიების ჩამოყალიბების პრინციპების შესაბამისობა მიღებულ კლასიკურ განმარტებებსა და ამა თუ იმ კატეგორიის შესახებ რეალურად არსებულ წარმოდგენებს შორის; კერძოდ, დაგვედგინა, თუ რა განაპირობებს ენციკლოპედიურ ცოდნაზე დაფუძნებული კატეგორიზაციის განსხვავებას სამყაროს ინდივიდუალურ ცოდნაზე დამყარებული კატეგორიზაციისგან, რაც მთლიანობაში კულტურულ ცოდნას შეადგენს.

საკუთარი გამოცდილებიდან მახსოვს, რომ პატარაობისას მეც გარკვეული პრობლემები მქონდა ამ ორი სახეობის კატეგორიის წევრებად სწორად განაწილებისას და სადაც სკოლის პერიოდამდე მაწუხებდა კითხვა კარტოფილის რაობის შესახებ, უფრო ზუსტად, მაინტერესებდა ხილი იყო ის თუ ბოსტნეული.

¹ ამდენად, სალექსიკონო დეფინიციები ერთგვარად ტავტოლოგიურია, შდრ.: „ის, რაც ბოსტანში მოდის, ბოსტნეულია“ და „ბოსტანი არის ის ადგილი, სადაც ბოსტნეული მოდის“.

კითხვა რატომ დამებადა, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ ხევსურეთში ყოფნისას დავფიქრდი ამ თემაზე. პაპას იქ, სახლთან ახლოს, კარტოფილი ჰქონდა დარგული და ვინაიდან ხევსურეთში, სპეციფიკური ჰავის გამო, არც ისე ბევრი ხილი მოდის, გემრიელი საჭმელებიდან ჩემთვის პირველ ადგილას ზუსტად რომ შემწვარი კარტოფილი იყო. მას ხომ მცენარესავით მწვანე ყლორტები ჰქონდა, მე კი იმ დროს უკვე ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა, მაგალითად, ჟოლო და ძაყვალი. შესაბამისად, მქონდა საბაბი მეფიქრა, რომ კარტოფილიც ხილი იყო, მაგრამ მაეჭვებდა ის, რომ მას სხვა ხილის მსგავსად კომპოტის ქილაში კი არ ყრიდნენ, არამედ ბოსტნეულთან ერთად – ბორშის ქვაბში. შესაბამისად, დილემა გადასაჭრელი მქონდა და, მას შემდეგ, სულ მაინტერესებდა, როგორ ახერხებენ სხვა ბავშვები ხილისა და ბოსტნეულის დიფერენციაციას.

ვინაიდან კოგნიტიური პროცესები, უპირველეს ყოვლისა, შემეცნებასთანაა დაკავშირებული და ცოდნის იმ დონის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც კონკრეტული ინდივიდუალური ცოდნიდან კულტურულ ცოდნამდე თანდათან ფართოვდება, ჩვენ ცდისპირებად ავირჩიეთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები – მათი აღქმა-წარმოდგენები ინდივიდუალურია და ნაწილობრივი, რამდენადაც კატეგორიზაცია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ძირითადად მათთვის უკვე გაცნობიერებული სამყაროს ნაწილის ცოდნას (და არა ენციკლოპედიურ ცოდნას) ეფუძნება და სოციალიზაციის ნაკლები ხარისხით ხასიათდება. კონკრეტულად ხილისა და ბოსტნეულის კატეგორიების შერჩევა იმანაც განაპირობა, რომ ისინი ერთ-ერთი გავრცელებული და ყოველდღიურად გამოყენებადი კონცეპტებია; შესაბამისად, მათზე ადამიანს პატარაობიდანვე აქვს გარკვეული ინფორმაცია და ეს ინფორმაცია იმდენად ორგანულია, რომ შესაძლოა არც არასოდეს გექონდეს ნაფიქრი, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი. ამგვარად დასმულმა საკითხმა თავისთავად განსაზღვრა ჩვენი კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის მიზანია:

- ორი კონკრეტული კონცეპტუალური კატეგორიის, ხილისა და ბოსტნეულის, მაგალითზე კატეგორიის ჩამოყალიბებისა და კატეგორიზაციის ზოგადი პროცესის კვლევა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში და ამ კატეგორიების მახასიათებელი, საერთო და განმასხვავებელი, კონკრეტული ნიშნების გამოვლენა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- კვლევისათვის ღირებული მეთოდოლოგიის შერჩევა და სააანალიზო მასალის მოპოვება;
- მასალის სათანადო თეორიული ანალიზი – კატეგორიზაციის შესახებ არსებული თეორიების (კლასიკური, პროტოტიპური და დინამიკური) კრიტიკული განხილვა, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების წარმოჩენა;
- კატეგორიზაციისას ცოდნა-გამოცდილების (ენციკლოპედიური, სამყაროს ინდივიდუალური და კულტურული) როლის განსაზღვრა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში;
- კატეგორიის იერარქიული დონეებისა და ბაზისური კატეგორიის გამოვლენა;



- განსახილველი კატეგორიებისათვის ცენტრალური და პერიფერიული მახასიათებელი ნიშნებისა და მათ შორის არსებული მიმართებების დადგენა;
- კვლევის შედეგების განზოგადება.

საკვლევად შეირჩა ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც ფსიქოლოგიასა და კოგნიტივისტიკაში მიღებული, ერთ-ერთი გავრცელებული და ეფექტური მეთოდია. ექსპერიმენტი გულისხმობს სხვადასხვა სახის, სპეციალურად საკვლევ თემაზე ორიენტირებული კითხვარებისა და საექსპერიმენტო ამოცანების შედგენას, მათ საფუძველზე ინფორმანტების გამოკითხვას და საანალიზო მასალის ამ გზით მოპოვებას; საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება ექსპერიმენტის სამიზნე ჯგუფიც – ღვინდება მათი რაოდენობა, ასაკი, სოციალური სტატუსი, სქესი და სხვ. ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერიმენტების სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სკოლამდელი ასაკის (4-6 წლის) 10 ბავშვი:

სამიზნე ჯგუფის განსაზღვრის ამოსავალ წერტილად მივიჩნიეთ ის, რომ ამ ასაკის ბავშვები ჯერ კიდევ არ დადიან სკოლაში და არ არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში (ე.ი. მათი ენციკლოპედიური ცოდნა ჯერ ვერ ქმნის კატეგორიზაციისათვის ღირებულ საფუძველს); თუმცა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ურთიერთობებიდან გამომდინარე (საკვები, ბუნება, ბაზარი და სხვ.), ისინი უკვე ცნობენ ხილ-ბოსტნეულს და, სავარაუდოდ, შემჩნეულიც უნდა ჰქონდეთ მათი გამოყენების სპეციფიკაც (ე.ი. სამყაროს ინდივიდუალურ ცოდნაზე დამყარებული გამოცდილება მათ უკვე აქვთ). მიზანშეწონილი ასაკის დასადგენად ჩატარდა წინასწარი საექსპერტო გამოკითხვა, რაც ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რამდენად კარგად იყო შერჩეული ასაკობრივი საზღვრები – გაირკვა რომ ქვედა ზღვარი სწორად იყო არჩეული, ვინაიდან 3 წლის ასაკის ბავშვებს, მართალია, უკვე აქვთ ხილის კონცეპტი, მაგრამ ჯერ კიდევ უჭირთ ბოსტნეულის კატეგორიის გააზრება. ზედა ზღვარი შეიძლებოდა 5 წლის ასაკით შემოგვეფარგლა, რამდენადაც 6 წლის ბავშვებისათვის რამდენიმე ექსპერიმენტი მოსაწყენი და მარტივი აღმოჩნდა, თუმცა საანალიზოდ მათი პასუხები განსაკუთრებით ღირებული და საინტერესო იყო და, ამდენად, ასაკობრივი საზღვრები დარჩა უცვლელი.

ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ექსპერიმენტებს მიეცა თამაშის სახე და შემუშავდა ხუთი **საექსპერიმენტო ამოცანა**:

1. ხილის და ბოსტნეულის ხუთ-ხუთი სახეობის დასახელება:
ინფორმანტებს, ვთხოვთ, დაგვისახელონ ხუთი ხილი და ხუთი ბოსტნეული;
2. შედარებით ნაკლებად ცნობილი ხილის ამოცნობა:
ეუსახელებთ და ლექსიკონიდან ამოღებული საკატეგორიზაციო ნიშნების მიხედვით: არის ტკბილი, კრაწუნა, მომთავო და ა.შ. – ეუხასიათებთ მათთვის, საავარაუდოდ, ნაკლებად ცნობილ ხილს; შემდეგ ვეკითხებით: როგორ ფიქრობ, ეს ხილია თუ ბოსტნეული?
3. ხილისა და ბოსტნეულის ამოცნობა ფოტოების მიხედვით:
ბავშვებს ვაძლევთ ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვაგვარი ხილი თუ ბოსტნეული:




ბავშვებს ვთხოვთ: ცალკე გადაადე ყველა ხილი და ცალკე – ყველა ბოსტნეული.

4. ხილისა და ბოსტნეულის განმასხვავებელი ნიშნების გარკვევა:
 ბავშვებს ვეკითხებით: მითხარი, რას ეძახი ხილს და რას – ბოსტნეულს: როგორი უნდა იყოს, შენი აზრით, ხილი და როგორი – ბოსტნეული ფორმით? რა გემო უნდა ჰქონდეს ხილს და რა გემო – ბოსტნეულს, მჟავე თუ ტკბილი? რა ფერის უნდა იყოს ხილი და რა ფერის – ბოსტნეული? ხილი უფრო დიდია ზომით თუ ბოსტნეული?

5. ფერის როლი კატეგორიზაციის პროცესში:
 ერთნაირი ფერის ხილ-ბოსტნეულის სურათებს ვათავსებთ ერთ ბარათზე:

ყვითელი ფერის ხილ-ბოსტნეული მწვანე ფერის ხილ-ბოსტნეული



ბავშვებს ვთხოვთ ბარათზე გამოხატული ობიექტებიდან ცალკე გადადონ ხილი და ცალკე ბოსტნეული და ვაკვირდებით, არის თუ არა ფერი დამატებითი ფაქტორი კატეგორიზაციის პროცესში.

ექსპერიმენტების შედეგად მოპოვებული მასალა

1. პირველი ექსპერიმენტის შედეგებს წარმოვადგენთ ცხრილების სახით:

ხილი

ინფორმანტები	რიგით პირველად დასახელ. ხილი	რიგით მეორედ დასახელ. ხილი	რიგით მესამედ დასახელ. ხილი	რიგით მეოთხედ დასახელ. ხილი	ბოლოს დასახელ. ხილი
1. აკაკი, 6 წლის	მსხალი	ვაშლი	მარწყვი	მიწის თხილი	ბანანი
2. თეკლა, 4 წლ.	ვაშლი	მსხალი	ატამი	ბანანი	ყურძენი
3. ანა, 6 წლის	ვაშლი	მსხალი	ფორთოხალი	ლიმონი	აღუჭა
4. კესო, 5 წლის	ვაშლი	კარალიოკი	ბანანი	ყურძენი	თეთრი ყურძენი
5. ნინი, 5 წლის	ბანანი	ვაშლი	ყურძენი	მსხალი	ატამი
6. ნიკუშა, 4 წლ.	ბანანი	ლიმონი	მარწყვი	საზამთრო	კვახი
7. თეკლა, 6 წლ.	ბროწეული	ატამი	ვაშლი	მსხალი	ფეიხოა
8. ლუკა, 5 წლის	ვაშლი	სტაფილო	ატამი	ჩურჩხელა	ბანანი
9. გიო, 5 წლის	ფორთოხალი	ვაშლი	საზამთრო	ატამი	ყურძენი
10. მარუსია, 6 წლ.	ბანანი	მსხალი	ვაშლი	ფორთოხალი	აღუბალი

ბოსტნეული

ინფორმანტები	რიგით პირველად დასახელ. ბოსტნეული	რიგით მეორედ დასახელ. ბოსტნეული	რიგით მესამედ დასახელ. ბოსტნეული	რიგით მეოთხედ დასახელ. ბოსტნეული	ბოლოს დასახელ. ბოსტნეული
1. აკაკი, 6 წლ.	კიტრი	პომიდორი	წიწაკა	კარტოფილი	კომბოსტო
2. თეკლე, 4 წლ.	საზამთრო	ნესვი	მარწყვი	კარტოფილი	ბოლოკი
3. ანა, 6 წლ.	სტაფილო	ჭარხალი	კომბოსტო	ყვავილოვანი კომბოსტო	კარტოფილი
4. კესო, 5 წლ.	სტაფილო	ხახვი	მწვანელი	კომბოსტო	კარტოფილი
5. ნინი, 5 წლ.	სტაფილო	კომბოსტო	კიტრი	პომიდორი	მწვანელი
6. ნიკუშა, 4 წლ.	კომბოსტო	შოკოლადი	კვახი	მწვანელი	კიტრი
7. თეკლა, 6 წლ.	კარტოფილი	სტაფილო	სოკო	ხახვი	მარწყვი
8. ლუკა, 5 წლ.	მწვანელი	სიმინდი	კარტოფილი	მარწყვი	ხახვი
9. გიო, 5 წლ.	კომბოსტო	კარტოფილი	ხახვი	საზამთრო	მწვანელი
10. მარუსია, 6 წლ.	კარტოფილი	ხახვი	პომიდორი	მაყვალა	სტაფილო

2. მეორე ექსპერიმენტის შედეგები

ინფორმანტები	<i>თურინჯი:</i> მსხვილი, მწვანე ხორკლიანი კანით, მომჟავო-მოტკბო გემოსი.	<i>მანგო:</i> მწვანე-წითელი, სრიალა კანით, კურკიანი, ტკბილი და სურნელოვანი, ოდნავ მომჟავო გემოსი.	<i>თაღვამი:</i> საჭმელად ვარგისი ნაყოფი მიწაშია, აქვს თესლი, ღია ფერისაა.	<i>ბატატი:</i> საჭმელად გამოყენებული ნაყოფი მიწაშია, მოწითალო ფერისაა, აქვს მოტკბო გემო.
1. აკაკი, 6 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
2. თეკლე, 4 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
3. ანა, 6 წლის	ბოსტნეული	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
4. კესო, 5 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
5. ნინი, 5 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
6. ნიკუშა, 4 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ხილი
7. თეკლა, 6 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
8. ლუკა, 5 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
9. გიო, 5 წლის	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული
10. მარუსია, 6 წ.	ხილი	ხილი	ბოსტნეული	ბოსტნეული

3. მესამე ექსპერიმენტის შედეგები

ინფორმანტები	ფოტოზე გაჭრილი სახით წარმოდგენილ ხილზე ამბობს, რომ...
1. აკაკი, 6 წლის	ბოსტნეულია
2. თეკლე, 4 წლის	ბოსტნეულია
3. ანა, 6 წლის	ხილია
4. კესო, 5 წლის	ბოსტნეულია
5. ნინი, 5 წლის	ხილია
6. ნიკუშა, 4 წლის	ხილია
7. თეკლა, 6 წლის	ხილია
8. ლუკა, 5 წლის	ხილია
9. გიო, 5 წლის	ბოსტნეულია
10. მარუსია, 6 წლის	ხილია

4. მეოთხე ექსპერიმენტის შედეგები

(ცდისპირებს უნდა დაესახელებინათ, რა ფაქტორების გათვალისწინებით ასხვავებენ ისინი ხილსა და ბოსტნეულს ერთმანეთისგან.)

	გემო (ბოსტნეული – მჟავე, ხილი – ტკბილი)	სად მოდის (ხეზე თუ მიწის ზედაპირზე)	ზომა (ბოსტნეული – დიდი, ხილი – პატარა)	ფერი (ბოსტნეული – მწვანე ან სტაფილოფერი, ხილი – წითელი)	არ ვიცი
1. აკაკი, 6 წლ.	✓	✓	-	-	
2. თეკლე, 4 წლ.	-	✓	✓	-	
3. ანა, 6 წლ.	-	-	✓	✓	
4. კესო, 5 წლ.	-	-	✓	✓	

5. ნინი, 5 წლ.	-	-	-	-	
6. ნიკუშა, 4 წლ.	-	-	-	-	
7. თეკლა, 6 წლ.	-	✓	-	-	
8. ლუკა, 5 წლ.	✓	-	-	-	
9. გიო, 5 წლ.	-	-	-	-	
10. მარუსია, 6 წლ.	-	✓	✓	-	

5. მეხუთე ექსპერიმენტი

(დამატებითი ექსპერიმენტი ფერის როლის დასადგენად)

ფერი არ აღმოჩნდა არც გადამწყვეტი და არც მნიშვნელოვანი ფაქტორი კატეგორიზაციისთვის – ცდისპირები უშეცდომოდ არჩევდნენ ხილისა და ბოსტნეულის კატეგორიებს.

მოპოვებული მასალის ანალიზი

პირველმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ: ბავშვებს ჯერ არ აქვთ ნათლად ჩამოყალიბებული ბაზისური კატეგორია. მათთან ნაკლებია სოციალიზაციის ხარისხი და ყოველი ბავშვი ინდივიდუალურად – თავად და თავისთვის – აყალიბებს ბაზისურ კონცეპტს და, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს იმ ხილსა თუ ბოსტნეულს, რომელიც, როგორც ჩანს, მისთვის უფრო ნაცნობი და გემრიელია. აქ გასათვალისწინებელი უნდა იყოს ის ფაქტორიც, რომ გამოკითხვები ჩატარდა ზამთარში და, ამდენად, კონკრეტული სეზონიდან გამომდინარე, ძირითადად სახელდებოდა ზამთარში მეტ-ნაკლებად გავრცელებული ხილ-ბოსტნეული და ნაკლებად სხვა სეზონის კულტურა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხული ბავშვები ქალაქელები არიან და ისინი ნაკლებად ასახელებენ სოფელში მცხოვრები ბავშვებისათვის უფრო ნაცნობ ხილ-ბოსტნეულს: *პანტა, მაყვალი, შინდი* და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საერთო ბაზისური კატეგორიის გამოყოფა ჭირს, თუ მოცემულ პასუხებს რაოდენობრივად გადავამუშავებთ, მივიღებთ გარკვეულ განზოგადებულ მონაცემებს:

რამდენადაც ბაზისური კატეგორიის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თუ რამდენად სწრაფად იხსენებს ცდისპირი ამა თუ იმ სახეობას (ე.ი. პირველად რას ასახელებს), რაოდენობრივი მონაცემები გამოვიყვანეთ ფორმულით, რომლის მიხედვით რიგითობის შესაბამის კოეფიციენტებზე (5-4-3-2-1) მრავლდებოდა ამ ადგილზე დასახელებულ კონკრეტულ კულტურათა რაოდენობა (სულ დასახელდა 17 სახეობის ხილი და 18 სახეობის ბოსტნეული, იყო მოულოდნელი პასუხებიც, მაგ., *შოკოლადი* დასახელდა ბოსტნეულის, ხოლო *ჩურჩხელა* – ხილის ნიმუშად):

5Xპირველად დასახელებული კულტურა +
 4Xმეორედ დასახელებული კულტურა +
 3Xმესამედ დასახელებული კულტურა +
 2Xმეოთხედ დასახელებული კულტურა +
 1Xმეხუთედ დასახელებული კულტურა=
 კულტურის 'ბაზისურობის' განმსაზღვრელი რაოდენობრივი მახასიათებელი

ამ ფორმულით გადათვლილი მონაცემების საფუძველზე ხილის კატეგორიის საბაზისო კონცეპტი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი იერარქიის საფუძველზე: **ვაშლი(38) > ბანანი(22) > მსხალი(21) > ატამი(13) > ყურძენი(11) > ფორთოხალი(11) > ლიმონი/ მარწყვი(6) > ბროწეული/საშამთრო(5) > კარალიოკი/სტაფილო(?!)(4) > მიწის თხილი(?!)/ჩურჩხელა(?!)(2) > ალუჩა/კვახი/ალოუბალი(1)**

ხოლო ბოსტნეულისა – შემდეგი იერარქიით:

კარტოფილი(23) > კომბოსტო(22) > სტაფილო(21) > ხაზვი(14) > მწვანელი(12) > კიტრი/პომიდორი(9) > საშამთრო(7) > ნესვი/ჭარხალი/სიმინდი/შოკოლადი(?!)(4) > წიწაკა/კვახი/სოკო (3)>მაყვალი(2)>ბოლოკი/მარწყვი(1)

ამდენად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვისაც ხილის საბაზისო კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ **ვაშლი**, ხოლო ბოსტნეულისა – **კარტოფილი**.

მეორე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ: მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტში გამოყენებული ყველა სიტყვა ბავშვებისათვის უცნობ ობიექტს უკავშირდებოდა, ამასთანავე, მინიშნებებიც არ იყო იმდენად ზუსტი და ამომწურავი, რომ ამის მიხედვით სწორი დასკვნა გაეკეთებინათ, როგორც ჩანს, მიწოდებული ნიშნები (გემო-ფერი-ადგილი) საკმარისი აღმოჩნდა – ცდისპირებმა, შეიძლება ითქვას, კარგად გაართვეს თავი ამ ამოცანას და მინიმუმამდე დაიყვანეს მცდარი პასუხების რაოდენობა ამ ექსპერიმენტში.

მესამე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ:

- ბარათზე გამოსახული ის ხილი, რომელიც წარმოდგენილი იყო გაჭრილ მდგომარეობაში, რამდენიმე ცდისპირმა მიაკუთვნა ბოსტნეულის კატეგორიას მაშინ, როდესაც იგივე ხილი გაუფრცქვენელ და დაუჭრელ მდგომარეობაში უშეცდომოდ იქნა კვალიფიცირებული ხილის კატეგორიად.
- თუ ფოტოზე ნაყოფი წარმოდგენილი იყო ხეზე, მაშინ მას უპირობოდ აკუთვნებდნენ ხილის კატეგორიას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ხილი მათთვის შედარებით უცნობი იყო (მაგალითად, *მოცხარი, ლეღვი*).

გამოკითხული ცდისპირებიდან მხოლოდ ორმა თქვა, რომ ის, რაც ხეზე იზრდება, ხილია, ხოლო, რაც მიწაზე – ბოსტნეული. ორივე ცდისპირი საშამთროს, ნესვს და კენკროვან კულტურებს ბოსტნეულის კატეგორიაში ათავსებდა როგორც პირველი, ისე მესამე ექსპერიმენტის დროს. ერთ-ერთ მათგანს კატეგორიების ეს „სასაზღვრო“ ნიშანი იმდენად მკაცრად ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომ მეორე ცდის დროს, გარდა იმ საკლასიფიკაციო ნიშნებისა, რომელსაც ჩვენ ვუსახელებდით, ის თვითონ ამატებდა თავის მოცემულობას. ანუ, სწორად გამოცნობის შემთხვევაში, როდესაც ვეკითხებოდით, რის მიხედვით გაგვცა მან პასუხი, ის ასახელებდა ისეთ ნიშნებს, რომელიც არ მიგვიცია, მაგრამ მისთვის, ინდივიდუალურად, ღირებული იყო ამ კატეგორიისათვის; მაგალითად, **4 წლის თეკლესთან, რომელიც დადის ბაღში და იზრდება 4 წლით უფროს დასთან ერთად და დედა ამბობს, რომ მას კარგი ლოგიკა აქვს – გაიმართა საინტერესო დიალოგი:**

- *თეკლე, მანგო იცი რა არის?*
- *არა?*
- *შენი აზრით, როგორ გამოიყურება?*

- არ ვიცი, მწვანე იქნება.
- კარგი, მაშინ მოდი, მე დავიხსნიათ მანვოს და შენ შეეცადე წარმოიდგინო, როგორი უნდა იყოს და მერე მითხარი, ხილი იქნება ის, თუ ბოსტნეული.
- კარგი.
- ესე იგი, მანვო შეიძლება იყოს მწვანე ან წითელი, აქვს სრიალა კანი, კურკა, ტკბილია და სურნელოვანი. ოდნავ მომჟავო გემო აქვს...
- ხილია.
- საიდან მიხვდი?
- შენ ხო თქვი, ხეზე იზრდებაო და რაც ხეზე იზრდება, ხომ ხილია?
- კი მაგრამ, მე არ მითქვამს, რომ ხეზე იზრდება.
- როგორ არა, შენ თქვი რომ ტკბილია, კურკიანი და ხეზე იზრდებაო.

თეკლე ერთ-ერთია გამოკითხულთაგან, რომელიც ხილის და ბოსტნეულის კატეგორიზაციას გააზრებულად ახდენს და საორიენტაციო გამოყოფ ნიშნად აღებული აქვს <ხის ნაყოფობა>, ანუ, მისთვის ძირითადი საკატეგორიზაციო ნიშანია ხეზე მოდის თუ არა რომელიმე კულტურა. როგორც ამ დიალოგმა აჩვენა, მას იმდენად მკაცრად აქვს ეს საკატეგორიზაციო ნიშანი ფორმულირებული და გააზრებული, რომ, მაშინაც კი, როდესაც არ ფლობს ამ სახის ინფორმაციას კონკრეტული ხილის ან ბოსტნეულის შესახებ, თავის წარმოსახვაში ქმნის შესაბამის ინფორმაციას და ამოსაცნობ კულტურას უპირობოდ მიაწერს ამ ნიშანს. თეკლე საზამთროს, ნესვსა და გოგრას უპირობოდ ბოსტნეულის კატეგორიაში ათავსებდა და, როდესაც შევეცადეთ, დაგვედგინა, თეკლე ამას შინაგანი ინტუიციით ახდენდა თუ გარედან (დედა, უფროსი და, მეზობელი, მეგობარი და ა.შ.) ჰქონდა მიღებული შესაბამისი ცოდნა, აღმოჩნდა რომ იგი ამას საკუთარ ცოდნასა და ინტუიციასზე დაყრდნობით აკეთებდა, ვინაიდან მისი ოჯახის არც ერთი წევრი (არც მისი დები და არც მშობლები) საზამთროს ან ნესვს ბოსტნეულად არ მიიჩნევდა.

ასევე საინტერესოა კესოს, აკაკისა და ანას პასუხები:

კესო, 5 წლის, დადის ბაღში, ჰყავს ერთი უფროსი და. ელოდება ზაფხულში დაბადების დღეს და შემოდგომაზე სკოლაში მისვლას. არ უყვარს ხილი:

კესოს ხილის გახსენება პირველი ექსპერიმენტისას უჭირს და ამბობს, რომ ვაშლის გარდა არაფერი უყვარს. სამაგიეროდ, სწრაფად იხსენებს ბოსტნეულს და ამბობს რომ განსაკუთრებით სტაფილო უყვარს – ყველა ხილს სჯობიაო.

თავიდან ვიფიქრე, რომ კესოს ხილ-ბოსტნეულის ჩამოთვლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მის პირად დამოკიდებულებებს ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დასკვნა ნაადრევი იყო. მესამე ექსპერიმენტის დროს ბარათებზე სხვადასხვა ბოსტნეულის დანახვისას კესო ხშირად ამბობდა: „ეს კომბოსტო“. თუ კითხვას ვაკეთებოდა: „კესო, აი, ეს, რასაც ამ ბარათზე ხედავ, ხილია თუ ბოსტნეული“, მაშინ უკვე „კომბოსტოს“ ნაცვლად გვაპასუხობდა: „ბოსტნეული“.

როგორც ჩანს, მისთვის კომბოსტო იმდენად ბაზისურია ბოსტნეულის კატეგორიაში, რომ მას გაუცნობიერებლად, ზოგადი კატეგორიის სახელის – „ბოსტნეულის“ – სინონიმად მიიჩნევს.

აკაკი, 6 წლის, ჰყავს 2 უფროსი და, დადის ბაღში, ელოდება სკოლაში მისვლას და მესამე ექსპერიმენტზე კარგავს მოთმინებას. ამბობს, რომ ადვილ და მოსაწყენ რამეებს ვეკითხებით და თავი უნდა დავანებოთ:

აკაკიმ ზუსტად იცის, რომ ხილი ისაა, რაც ხეზე მოდის, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი, მათ შორის კენკროვანი კულტურებიც, ბოსტნეულია. როცა ბებია და დედა უსწორებენ, საზამთრო, ყოლო და მაყვალი ხილია და არა ბოსტნეულიო, არგუმენტირებულად უხსნის მათ თავისი პოზიციის სისწორეს.

აკაკისთან გამოკითხვამ მიგვანიშნა პირველად, რომ ბავშვები უპრობლემოდ ცნობდნენ ხილს, თუ ის იყო მთელი და, მით უმეტეს, ხეზე, მაგრამ, როდესაც იგივე ხილი გახლეჩილი ან დაჭრილი იყო გამოსახული სურათზე, უჭირდათ მისი ხილად აღქმა და ბოსტნეულის კატეგორიაში ათავსებდნენ. მცდელობა, კითხვებით გაგვერკვია მიზეზი, უშედეგოდ დასრულდა. როგორც ჩანს, ეს იმდენად გაუცნობიერებლად ხდება, რომ თავად ბავშვებს არანაირი ახსნა არ აქვთ.



პირველი ფოტოს შემთხვევაში, აკაკიმ ზუსტად გამოიცნო, რომ ფოტოზე გამოსახული იყო ხილი, მეორეზე თქვა, რომ ბოსტნეული იყო, თუმცა ფოტოზე მოცემული არც ერთი გამოსახულების კონკრეტიზაცია ამა თუ იმ ხილად თუ ბოსტნეულად არ მოუხდენია – მას აღარც კი ახსოვდა ლეღვის სახელი.

ანა, 6 წლის, დედისერთა, არ დადის ბაღში, დღის განმავლობაში მასზე ზრუნავს ძიძა, არის ალერგიული და გარკვეული შეზღუდვები აქვს ზოგ საკვებთან დაკავშირებით. ეშინია შეცდომების დაშვების:

ანა თავიდან არ ლაპარაკობს, ამბობს, რომ უმჯობესი იქნება, თუ ძიძა ჩამომითვლის ხილსა და ბოსტნეულს, ვინაიდან საჭმელს ის აკეთებს და მან უკეთ იცის, რა რა არისო. პირველი ექსპერიმენტის ნაცვლად ჯერ ვატარებთ მესამე ექსპერიმენტს, ვინაიდან ვთვლით, რომ ბარათები დაეხმარება მას გახსნაში. ანა ამბობს, რომ ძირითადად ბოსტნეულს ჭამს, ვინაიდან ძიძა ხშირად უკეთებს ბორშს. ანა ერთადერთია, რომელმაც ხილ-ბოსტნეულის კატეგორიზაციისას მათი გამოყენების არეებიც შემოიღებინა კატეგორიზაციის ერთ-ერთ ფაქტორად. მან ზუსტად იცის, რომ ვახეხილი ბოსტნეული ბორშში გამოიყენება, დაჭრილი კომში, ატამი და სხვა ხილი – ნამცხვრებსა და ტორტებში. ექსპერიმენტების ბოლომდე ანა ვერ ვათავისუფლდა შეცდომების დაშვე-

ბის შიშისგან და ყველა პასუხის სისწორეს ამოწმებდა ძიძასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე იცოდა, ჩვენ მხოლოდ „ვთამაშობდით“ და სწორი და არასწორი პასუხები ჩვენ „თამაშში“ არ იყო.

მეოთხე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ: ბავშვებს არ აქვთ ჩამოყალიბებული ის კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ახდენენ კატეგორიზაციას და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად სწორად ართმევენ თავს დავალებას, მათთვის ჯერ უცნობია მექანიზმი, რომლითაც ხელმძღვანელობენ. ამის დასტური უნდა იყოს ის, რომ მათ არ აქვთ გამოკვეთილი საკატეგორიზაციო ნიშნები და მხოლოდ ინდივიდუალურ, ინტუიციურ ცოდნას ეყრდნობიან. აქვე აღსანიშნავია, რომ ის ბავშვები, რომლებიც ხილის საკატეგორიზაციო ნიშნად იღებენ იმას, რომ *ხილს ხე იხზამს*, გამორიცხავენ ყველა დანარჩენ ფაქტორს და, შესაბამისად, ბაღჩეულ და კენკროვან კულტურებსაც ბოსტნეულის კატეგორიას მიაკუთვნებენ, რადგან იციან, რომ ისინი ხეზე არ იზრდებიან.

ის ბავშვები კი, რომლებსაც ხილის და ბოსტნეულის კატეგორიების გამყოფი ნიშანი გამოკვეთილი არ აქვთ, ან ამბობენ, რომ არ იციან, რის მიხედვით ახდენენ კატეგორიზაციას, ან სპონტანურად წყვეტენ, თუ რის მიხედვით შეიძლებოდა გაემიჯნათ ისინი და ამბობენ, რომ გადამწყვეტია, ვთქვათ, ფერი ან ზომა, ან კიდევ გემო.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არც ერთ ცდისპირს (ანას გარდა) არ გამოვლინებია ყურადღება მათ გამოყენებაზე სხვადასხვაგვარ საკვებში, რაც ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ლოგიკური იქნებოდა, რომ ეთქვათ, რომ ბოსტნეული წვნიან სადილებში გვხვდება, ხოლო ხილი – ტკბილეულსა და წვენებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთმა ცდისპირმა, რომელმაც სტაფილო ხილს მიაკუთვნა, აღნიშნა, რომ მას სტაფილო ყველაზე მეტად უყვარს და სიამოვნებით მიირთმევს უმად – ე.ი. სავარაუდოდ მისთვის ღირებული ნიშანია, რომ ბოსტნეულს გარკვეული მომზადება (მოხარშვა, შეწვა, მოშუშვა) სჭირდება, ხილს კი არა.

მეხუთე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ: ფერებს არ მოუხდენია გავლენა პასუხებზე. ცდისპირებმა ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენთვის მოულოდნელი სტრატეგია გამოიმუშავეს: ბარათის დანახვისას ისინი იწყებდნენ მასზე პირველი ყველაზე ნაცნობი ერთეულის მოძიებას, ანუ მათთვის ბაზისური კატეგორიის შესაბამისი გამოსახულების პოვნას, და შემდეგ იქიდან იწყებდნენ დანარჩენებზე ორიენტაციას. საინტერესო იყო ისიც, რომ თუ პირველად დასახელებული იქნებოდა ხილი, მაშინ მომდევნოებიც ხილი იყო; ანალოგიურად, ბოსტნეულის შემთხვევაშიც.

თუ ყოველივე ზემოთქმულს განვაზოგადებთ, შეგვიძლია ექსპერიმენტების შედეგები შემდეგი დასკვნების სახით ჩამოვაყალიბოთ:

- ბავშვებს არ აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული სოციალიზებული ბაზისური კატეგორიები და კატეგორიის ცენტრალური ან/და პერიფერიული ნიშნები.
- ექსპერიმენტების შედეგებზე, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა იმან, რომ ექსპერიმენტები ზამთარში ჩატარდა და შედარებით ნაკლებად იყო ნახსენები გაზაფხული-ზაფხულისა თუ შემოდგომისათვის დამახასიათებელი ხილ-ბოსტნეული.

- ექსპერიმენტების შედეგებზე, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ყველა რესპოდენტი ქალაქში მცხოვრები იყო; შესაბამისად, მათ უმეტესობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ხილ-ბოსტნეულის გამოყენებაზე, მათი მოყვანის წესებზე და ჩამოთვლილ ხილ-ბოსტნეულშიც არ ფიგურირებდა სოფლებში უფრო ხშირად გამოყენებადი ხილ-ბოსტნეული: *ქლიავი, პანტა, მაყვალი* და სხვ.

ექსპერიმენტების შედეგების ასხნა შესაძლებელია იმ გამოცდილებითაც, რაც ფსიქოლოგებმა დააგროვეს. მაგალითად, შვეიცარიელი ბიოლოგი პიაჟე, რომელმაც თავისი თეორია ბავშვებზე დაკვირვებით შეიმუშავა და ფსიქოლოგიაში თვისებრივად ახალი მიდგომები შემოიტანა. ის თვლიდა, რომ ბავშვის აღქმა საკმაოდ განსხვავებულია მოზრდილისაგან, ანუ ის სხვანაირად ხედავს სამყაროს (თევდორაშვილი).

ბავშვის კოგნიტიურ განვითარებაში რამდენიმე სტადიას გამოყოფენ. აქედან მეორე სტადია, რომელიც ჩვენთვის ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა, ოპერაციამდელი პერიოდია (2-7 წელი) და მასში ორი ქვეპერიოდი განსხვავდება: ცნებამდელი პერიოდი (2-4 წელი) და ინტუიტიური პერიოდი (4/5-7). ცნებამდელი პერიოდისთვის დამახასიათებელია ანიმიზმი და ეგოცენტრიზმი. ამ ასაკის ბავშვი ვერ არჩევს სოციალურ, ფიზიკურ და მენტალურ სინამდვილეს.

ინტუიტიური პერიოდისთვის ბავშვს უკვე შეუძლია გაარკვიოს სოციალური, ფიზიკური და მენტალური სინამდვილე, თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელია მათი ერთმანეთში აღრევა. მაგალითად, ამ ასაკის ბავშვებს სჯერათ, რომ თოვლის ბაბუა არსებობს.

ოპერაციამდელ პერიოდში ადგილი აქვს სიმბოლური წარმოდგენების განვითარებას, ანუ მოქმედებისა და ხატების საშუალებით საკუთარი განცდების გადმოცემას. ამ სტადიისთვის დამახასიათებელია ხუთი ძირითადი თავისებურება:

1. კონკრეტულობა – ბავშვის აზროვნება პიაჟეს მიხედვით კონკრეტულია. მას შეუძლია პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ კონკრეტული ობიექტების საშუალებით;
2. შეუქცევადობა – ბავშვს არ ესმის, რომ ობიექტი შეიძლება გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში: მაგალითად, კითხვა-პასუხიდან: – *გყავს და? – კი.* – მისთვის ავტომატურად არ გამომდინარეობს შებრუნებულ კითხვაზე შესაბამისი პასუხი: – *შენ დას ჰყავს და? – არა*);
3. ეგოცენტრიზმი – საკუთარი პოზიციიდან ხედავს, რაც, განსაკუთრებით, 4 წლამდეა გაბატონებული;
4. ბავშვი კონცენტრირებულია ობიექტის რომელიმე ერთ ასპექტზე და სხვა ნაწილების იგნორირებას ახდენს;
5. რეალიზმის პრინციპი – ბავშვი ყურადღებას აქცევს მიმდინარე მდგომარეობას და არა – ცვლილებებს: *მაგალითად, როდესაც ბავშვებს აჩვენებს ერთნაირი მოცულობის ორი სინჯარა, რომელთაგან ერთი დაბალი და გაბერილი იყო, მეორე კი მაღალი და წვრილი, შემდეგ კი წყალი გადაასხეს დაბლიდან მაღალში, ბავშვები ამბობდნენ, რომ მაღალში უფრო მეტი წყალი იყო.*

თუ გადავხედავთ ამ 5 ძირითად მახასიათებელს, აღმოჩნდება, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებთან ისინი წინააღმდეგობაში არ მოდიან; პირიქით, მხოლოდ ამგვარებენ ამ დებულებებს. სწორედ ამ ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარეობს კატეგორიზაციის თავისებურებებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებში.

ძირითადი დასკვნები

- კლასიკური თეორია კატეგორიის მკაფიო და ხისტ საზღვრებს ადგენს, რაც ბავშვების შემთხვევაში არ ამართლებს, მათ ხშირად უჭირთ პასუხის გაცემა კითხვაზე, რა არის რომელიმე კატეგორიის მთავარი ნიშანი, სად გადის საზღვრები და ა.შ.
- პროტოტიპულ თეორიაში ნიმუშის სრულყოფილების მიხედვით კატეგორიის დადგენაც ვერ გვეხმარება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში კატეგორიზაციის პროცესების გასაზრებლად. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ ბავშვებში საერთო პროტოტიპული ან ბაზისური კატეგორიის გამოყოფა თითქმის შეუძლებელია, რამდენადაც მათი „პროტოტიპები“ ინდივიდუალურია – გემოვნებაზე, სეზონზე, ოჯახის სოციალურ მდგომარეობაზე და სხვა ამგვარ ფაქტორზეა დამოკიდებული და არ არის სოციალიზებული.
- პროტოტიპულ მოდელში კატეგორიის წევრებად ხშირად ქვეკატეგორიები უფრო განიხილება, ვიდრე კონკრეტული კონცეპტები; ბავშვებში ხშირია სწორედ ასეთი შემთხვევები – კონკრეტული კონცეპტის ზოგად კატეგორიასთან გაიგივება; მაგ., „ბოსტნეულის“ ნაცვლად კატეგორიად „კომბოსტოს“ დასახელება.
- ბავშვებში კატეგორიზაცია მიმდინარეობს მათი განვითარების ფსიქოლოგიური თავისებურებების შესაბამისად: ისინი კატეგორიზაციისას პრობლემას წყვეტენ მხოლოდ კონკრეტული ობიექტების საშუალებით, მათი კლასიფიკაცია შეუქცევადია (მაგ. ლუკასთვის სტაფილო არის ხილი, იმიტომ რომ ძალიან უყვარს და უმად მიირთმევს, მაგრამ ბარათების დალაგებისას მან სტაფილო სხვა ბოსტნეულთან ერთად გადადო), ისინი ევოცენტრულად – საკუთარი პოზიციებიდან ახდენენ კატეგორიზაციას და ობიექტის რომელიმე ერთ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას.
- ბავშვები ძირითადად ინდივიდუალურ ცოდნაზე დამყარებით ახდენენ კატეგორიზაციას და სოციალიზაციის ხარისხი მათთან დაბალია. მათი კულტურული ცოდნა არა ენციკლოპედიურ, არამედ ინდივიდუალურ ცოდნას ეფუძნება.

ლიტერატურა

ბარსალოუ 1992: Barsalou L.W., Cognitive Psychology, An overview for cognitive scientists, Hillsdale, NJ: Erlbaum.

გამყრელიძე... 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შაღური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

თევდორაშვილი: დ. თევდორაშვილი, განვითარების ფსიქოლოგია, ინტერნეტული გამოცემა: http://www.davit.ge/ganvitarebis_fsiqologia.pdf

- კროფტი, კრუზი 2005.* უ. კროფტი, ა. კრუზი, კოგნიტური ლინგვისტიკა, „ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია“ I, „დეგაპრინტი“, თბილისი.
- კვაჭაძე 1965.* გ. კვაჭაძე, მეზოსტნეობა, მეორე გამოცემა, თბილისი.
- ლაჩაშვილი 1968.* ი. ლაჩაშვილი, ბოტანიკური ტერმინების მოკლე ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.
- ლოებნერი 2010.* ს. ლოებნერი, მნიშვნელობა და შექმენება, „ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია“ III, „ნეკერი“, თბილისი.
- მაყაშვილი 1991.* ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მესამე გამოცემა, „მეცნიერება“, თბილისი.
- ნიშნიანიძე 2004.* ქ. ნიშნიანიძე, ე. ნიშნიანიძე, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.
- ქეცლ 1990.* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული, საქ. სსრ მეცნ. აკად., ენათმეცნიერების ინ-ტი, ქართული ენციკლოპედია; ქართ. ენციკლოპედიის მთავ. სამეცნ. რედაქცია, თბილისი.
- ქსე 1977.* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი მეორე, თბილისი.

Natia Arabuli

Principles of Categorization: Conceptual Categories of Fruit and Vegetables in the Imagination of Preschool Children

Summary

This work is dedicated to conceptual symbols – determinants of cognitive processes – based on the example of categories of fruit and vegetables in the imagination of preschool children. The general thesis and conclusions derived from the research are based on the results of analyzing experiment materials in the frame of cognitive linguistics. Several peculiarities can be explained by specificities and principles of general categorization of perception, imagination and cognition – determinants of the psycho type of preschoolers.

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: „გათიშული“ (cleft) კითხვები მებრულსა და ლაზურში

I. შესავალი: საკითხის დასმა და თეორიული საფუძვლები

ინფორმაციის სტრუქტურირება, მისი „შეფუთვა“ სხვადასხვაგვარი ენობრივი საშუალებებით მეტყველის (resp. მთხრობელის) სურვილისდა შესაბამისად ცვლის წინადადების პრაგმატიკულ ღირებულებას და იმპლიკაციურად უფრო ფართო კონტექსტური შინაარსების გადმოცემას ემსახურება.

წინადადებაში ინფორმაციის აქტუალიზებისას შეიძლება დაწინაურდეს და საინფორმაციო ნაკადში ლოგიკურად გამოიკვეთოს პრაგმატიკულად ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეული ან ახალი (resp. ფოკუსი), ან ძველი (resp. ტოპიკი), ინფორმაცია. ასეთი ‘დაწინაურებული’ ინფორმაციის ლინგვისტური კოდირება განსხვავებულ ენობრივ დონეებზე სხვადასხვაგვარი მოდელებით ხორციელდება (ასათიანი 2008).

ინფორმაციის გამოკვეთის, დაწინაურების ერთ-ერთი სინტაქსური მოდელია ე.წ. „გათიშული“ (cleft) კონსტრუქციები. ეს მოდელი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოს ენებში და გულისხმობს ინფორმაციის სტრუქტურირებას რთული დაქვემდებარებული წინადადების სახით.

ასეთი კონსტრუქციების ასაგებად სხვადასხვა ენაში გამოიყენება განსხვავებული სტრატეგიები, თუმცა შეიძლება გამოიყოს უნივერსალური მახასიათებლებიც (ჰარისი 1993):

- წინადადება იგება ორი შემადგენლური წინადადებით;
- ერთ-ერთი ამ შემადგენლური წინადადებაებიდან არის მთავარი, მეორე კი დამოკიდებული (ძირითადად, ე.წ. მიმართებითი დამოკიდებული);
- მთავარი წინადადება შეიცავს მეშველ ზმნას ‘ყოფნა’ და დაწინაურებულ წევრს;
- რომელიმე კონკრეტული ენის სტრატეგიის შესაბამისად დაქვემდებარებულში შესაძლებელია ზედაპირულად არც კი იყოს წარმოდგენილი კავშირები: მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიზელები, მაქვემდებარებელი კავშირი და სხვ., რაც არ ცვლის დამოკიდებული წინადადების მიმართებით წინადადებად კვალიფიკაციის საკითხს;
- ასეთი რთული წინადადების მთავარი ფუნქციაა, დისკურსულად გამოიკვეთოს და ტოპიკ-ფოკუსის კვალიფიკაცია მიეცეს წინადადების რომელიმე წევრს. ეს შეიძლება იყოს: სახელური ფრაზა, ზმნური ფრაზა, თანდებულიანი ფრაზა, ზმნიზელა ან მთლიანად შემადგენლური წინადადება.

განვიხილოთ ეს ნიშნები ქართულის მაგალითზე:

დისკურსულად ნეიტრალური წინადადების – მაგ.: *გოგო ხვდება ბიჭს უნივერსიტეტში* – შესაბამისი შინაარსი დისკურსული ფუნქციების ცვლის, რომე-

ლიმე წევრის ლოგიკური გამოკვეთის მიზნით, უნივერსალურად ყველა ენაში და მათ შორის ქართულშიც, შეიძლება აქტუალიზდეს შემდეგი ტიპის გათიშული კონსტრუქციებით:

1. (ა) *(ეს) გოგოა, ვინც ბიჭს ხვდება უნივერსიტეტში.* // (ბ) *(ეს) გოგოა, ბიჭს რომ ხვდება უნივერსიტეტში.*

აქ ლოგიკურად გამოკვეთილია და საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებულია სუბიექტური სახელი გოგო.

2. (ა) *(ეს) ბიჭია, ვისაც გოგო ხვდება უნივერსიტეტში.* // (ბ) *(ეს) ბიჭია, გოგო რომ ხვდება უნივერსიტეტში.*

აქ ლოგიკურად გამოკვეთილია და საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებულია ობიექტური სახელი ბიჭი.

3. (ა) *(ეს) უნივერსიტეტია, სადაც გოგო ხვდება ბიჭს.* // (ბ) *(ეს) უნივერსიტეტია, გოგო რომ ხვდება ბიჭს.*

აქ ლოგიკურად გამოკვეთილია და საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებულია ადგილის ზმნიზება – თანდებულიანი ფრაზა *უნივერსიტეტში*.

სამივე შემთხვევაში, კავშირებად გამოყენებულ მიმართებით სიტყვებს (*ვინც, ვისაც, სადაც*) გრამატიკული სტრუქტურის რღვევის გარეშე თავისუფლად ენაცვლება მაქვემდებარებელი კავშირი *რომ*, რაც ამ კავშირის არამარკირებულობით შეიძლება აიხსნას – *რომ* კავშირი ქართულში ყველაზე ნეიტრალური კავშირია და ნებისმიერი სახის დაქვემდებარებული კონსტრუქციების საწარმოებლად მისაღებია. დისკურსული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გათიშულ კონსტრუქციებში *რომ* კავშირი შეიძლება არ იწყებდეს დამოკიდებულ წინადადებას, რაც ამ კავშირის სხვა კავშირებისგან განმასხვავებელი ძირითადი ფორმალური მახასიათებელია – *რომ* კავშირი სხვა კავშირებისგან განსხვავებით მოძრავია; ის შეიძლება მოსდევდეს დაქვემდებარებული წინადადების ნებისმიერ წევრს. შედეგად ზემოთ მოხმობილი (ბ) მაგალითები *რომ* კავშირიანი გათიშული კონსტრუქციების გარკვეულ ვარიანტებს იძლევა; მაგალითად 1-(ბ)-ს ვარიანტებია:

4. (ბ-1) *(ეს) გოგოა, ბიჭს რომ ხვდება უნივერსიტეტში.* // (ბ-2) *(ეს) გოგოა, უნივერსიტეტში რომ ხვდება ბიჭს.* // (ბ-3) *(ეს) გოგოა, რომ ხვდება ბიჭს უნივერსიტეტში.*

ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის სტრუქტურირების უფრო კომპლექსურ შემთხვევებთან უნდა გვქონდეს საქმე – აქ ერთდროულად მარკირებულია როგორც ახალი ინფორმაცია (ფოკუსი), ისე ძველი ინფორმაცია (ტოპიკი): ყველა ზემოთ მოხმობილ შემთხვევაში (ბ-1, ბ-2, ბ-3) გოგო არის ახალი ინფორმაცია, ფოკუსი (მისაღებია პასუხად კითხვაზე *ვინ ხვდება ბიჭს უნივერსიტეტში?*), ხოლო ფონური, ძველი ინფორმაციიდან (ბ-1)-ში ტოპიკალიზებულია *ბიჭი*, (ბ-2)-ში – *უნივერსიტეტი*, (ბ-3)-ში კი ზმნა *ხვდება*.¹

¹ ეს საკითხი *რომ* კავშირის ფუნქციების უფრო გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს, რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის მხოლოდ იმდენადაა ღირებული, რამდენადაც ის ჩნდება საკვლევად შერჩეულ გათიშულ კონსტრუქციებში.

ინფორმაციის ფოკუსირების ასეთი მოდელი (resp. cleft, გათიშული კონსტრუქცია) განსაკუთრებით ბუნებრივია კითხვებში, რამდენადაც კითხვის ქვეშ ნებისმიერ ინფორმაციის მოქცევა უკვე მის ფოკუსირებას, საინფორმაციო ნაკადში მის ლოგიკურ გამოკვეთას გულისხმობს. ამდენად, მსოფლიოს ენებში მეტად გავრცელებულია ე.წ. **გათიშული კითხვები** (მეტიც, ზოგიერთ ენაში ასეთი კითხვები ერთადერთი ფორმალური მექანიზმია ზოგადად კითხვითი წინადადების ფორმირებისათვის):

5. (ა) ვინაა (ის), ვინც ბიჭს ხვდება? // (ბ) ვინაა (ის), ბიჭს რომ ხვდება?
6. (ა) ვინაა (ის), ვისაც გოგო ხვდება? // (ბ) ვინაა (ის), გოგო რომ ხვდება?
(გ) *ვისაა, გოგო რომ ხვდება?
7. (ა) სადაა, სადაც გოგო ხვდება ბიჭს. // (ბ) სადაა, გოგო რომ ხვდება ბიჭს?

არსებობს კიდევ ერთი სახის კონსტრუქცია, სადაც მიმართებით სიტყვასთან ერთად რომ კავშირიც არის წარმოდგენილი:

8. (ა) ვინაა (ის), ვინც რომ ბიჭს ხვდება?
9. (ა) ვინაა (ის), ვისაც რომ გოგო ხვდება?
10. (ა) სადაა, სადაც რომ გოგო ხვდება ბიჭს.

მსგავს კონსტრუქციებში გარკვეულ ინფორმაციულ სიჭარბესთან გვაქვს საქმე – ერთი და იმავე ფუნქციის (მიმართებითი დამოკიდებულების გამოხატვა) მქონე კავშირის ორჯერ გამოყენება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რომ კავშირი ამგვარ წინადადებებში არა დაქვემდებარების (რაც მიმართებითი სიტყვებით უკვე გაფორმებულია), არამედ დამატებით რაღაც სხვა ფუნქციის გამომხატველია. შესაძლოა ეს იყოს ინფორმაციის უფრო მეტი ხარისხით ლოგიკური გამოკვეთა, დაწინაურება, რაც უფრო ცხადად *სწორედ რომ* ფრაზის ანალიზისას იკვეთება:

11. სწორედ რომ გოგო ხვდება ბიჭს უნივერსიტეტში.
12. სწორედ რომ ბიჭს ხვდება გოგო უნივერსიტეტში.
13. სწორედ რომ ხვდება ბიჭს გოგო უნივერსიტეტში.
14. სწორედ რომ უნივერსიტეტში ხვდება გოგო ბიჭს.

ამ მაგალითებში რომ ვერ იქნება თავისი ძირითადი ფუნქციით (დაქვემდებარების მაჩვენებელი კავშირი) გამოყენებული, რამდენადაც ყველა ეს (11, 12, 13, 14) წინადადება მარტივია. დისკურსულად ეს წინადადებები არანეიტრალური, მარკირებულია *სწორედ* ნაწილაკის წყალობით, რომლის მატოპიკალიზებული ფუნქცია და პრაგმატიკული ღირებულება სპეციფიზირებულია *რომ-ის* დამატებით (წერეთელი, ასათიანი 2007):

15. გოგო სწავლობს უნივერსიტეტში. სწორედ რომ გოგო // სწორედ ეს გოგო ხვდება ბიჭს უნივერსიტეტში (სწორედ ის გოგო, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში, ხვდება ბიჭს).
16. უნივერსიტეტში არიან გოგონები, ბიჭები, პროფესორები... ვინ ხვდება ბიჭს? სწორედ (რომ) გოგო ხვდება ბიჭს უნივერსიტეტში. (გოგო და არა სხვა ვინმე, მაგ., პროფესორი).

(15)-ში რომ აუცილებელია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჩვენებითი ნაცვალსახელი, მისათითებელი სიტყვის ფუნქციას რომ ასრულებს, წინადადებაში არ არის წარმოდგენილი (=ტოპიკი); მაშინ როდესაც (16)-ში ის აუცილებელი არ ჩანს (=ფოკუსი).

ამგვარი გათიშული კითხვები ქართულში – გარდა (6-გ) *ვისაა, გოგო რომ ხვდება? ტიპის კონსტრუქციებისა, რომლებიც უფრო დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის (გურული, იმერული) არის დამახასიათებელი¹ და სალიტერატურო ქართულისათვის ნაკლებად მისაღებია – დადასტურებულია, თუმცა მეგრულ-ლაზურთან შედარებით ნაკლებად გავრცელებული.

II. გათიშული კითხვები მეგრულში

მეგრულში ჩვეულებრივ კითხვით წინადადებასთან (17) ერთად საკმაოდ გავრცელებულია გათიშული კითხვებიც (18):

17. *მუშენე მეურკი?*

რატომ მიდიხარ?

18. *მუშენე რე, მეურკი ნი?*

რატომ არის მიდიხარ რომ

რატომაა, რომ მიდიხარ?

6.3.საინტერესოა ერთი შემთხვევა, როდესაც ბერძნული *Σατανα* ნათარგმნია ქართულად როგორც **მკლომი**:

კორ. II გარდარეული ესე გამოცხადებად ამისთვის, რადთა არა აღვიძალლო, მომეცა მე საწერტელი ჳორცთად – ანგელოზი **მკლომი**, რადთა მქენჯნიდეს მე, რადთა არა აღვიძალლო.

6.4. მხოლოდ ორგან არის ახალი აღთქმის ტექსტებში *σαταν* ტრანსკრიბირებით – **სატანად** გადმოტანილი: 1. ახალი აღთქმის ხანმეტ ტექსტში და 2. ასევე ერთგანაა ვანის, ეჩმიადინისა და გელათის (HIK) რედაქციებში:

მათ. 16.2. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, **სატანა**, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა (X)

მათ. 4.10 მაშინ ჰრქუა მას იესუ: წარვედ ჩემგან მართლეკუნ, **ეშმაკო**, რამეთუ წერილ არს: უფალსა შენსა თაყუანის-სცე დამას მხოლოსა ჰმსახურებდე (FGDC). მაშინ ჰრქუა მას იესუ: წარვედ ჩემგან მართლეკუნ, **სატანა**, რამეთუ წერილ არს: უფალსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე (HIK).

6.5. ქართული **ეშმაკი** ირანულიდან შემოსული სიტყვაა. იგი მომდინარეობს საშ. ირან. **ēšmak*-იდან (რომელიც არის ავესტ. *aēšma*-ს „სასიკვდილე გაცოფება, ბრაზი“ ეტიმონი), ხოლო საშ.პართ. ტექსტებში ვხვდებით *ʿšmǝg* გრაფემას (Gippert 1994).

სულხან-საბასთან ეშმაკი: დასაბამად (დასაბამს B) კეთილისა არსებისაგან შექმნა ღმერთმან, არამედ აღზვაენა და ამპარტავ(ა)ნებისა მიერ დაეცა, გარ(დ)მოცვივნეს და ბნელ იქმნ(ნ)ეს. ეშმაკი გამოითარგმანების **შემასმენელად**, გინა **საწუთოდ**, გინა **ჟამიერად**, გინა **მჭმუნავად** (+მათე ZAA) ZAB.

ილია აბულაძესთან ეშმაკი: სატანა, მაცთური, ბოროტი, ავი სული.

სატან, სატანა: „მკლომი“, მოწინააღმდეგე.

მაცთური: შემაცდენელი, მატყუარა.

ბოროტი: „ძვირი“, „უკეთური“, ცუდი, საძაგელი, ავი სული.

სინონიმთა ლექსიკონი: ეშმაკი, ეშმა, ქაჯი, მავნე, ავი სული, ბოროტი სული, სატანა, ტარტაროზი, შაითანი, მაცთური ბელზებელი, ეშმაკის მოციქული, დემონი, ჳინკა...

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ეშმაკი – 1. (ძვ. ცრუმორწ.) ბოროტი, ავი სული, სატანა, მაცდური. 2. (საუბ.) მოხერხებული; დაქნილი, ცბიერი. 3. (მოფერ.) ცელქი, ცუდლუტი, ოინბაზი.

როგორც დავინახეთ, ბერძნულის ბოროტი ძალების აღმნიშვნელ სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულს ქართულში ჩაენაცვლა ირანულიდან შემოსული სახელი *hēšm*.¹ ეს ნასესხობა, როგორც ჩანს, არის ძალიან ძველი, რადგან ეშმაკი ქართული ენის დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებშიც დასტურდება (მღრ. ეშმა ხევეს.: ეშმაყი, თუმ.: ეშმაკი; მეგრ.: ეშმაკი, ქაჯი; სვან.: ქაჯ, ჳეშმან).

¹ საინტერესოა ნათარგმნი ჰავიოგრაფიული ტექსტის „ქრისტინეს წამება“ ხანმეტ ფრაგმენტში დაფიქსირებული ფორმა *ჳეშმაკი* (<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskijlex.htm>), რომელიც სხვაგან არ მუორდება.

7. Ἀσμοδαῦς – ასმოდეოსი

7.1. სახელი Ἀσμοδαῦς უნდა მომდინარეობდეს ავესტური *aēšma-daēva-დან, თუმცა წერილობით არსად არ არის დადასტურებული. იგი არის დემონების მეფე. ეს სიტყვა ორჯერ გვხვდება ბიბლიის ქართულ თარგმანებში და ორივეგან ბერძნულის ტრანსკრიბირებით გადმოდის:

ტობ. 3.8 რამეთუ მიცემულ იყო იგი შველთა ქმართა, და ასმოდეოსი, ბოროტი ეშმაკი, მოსრვიდა მათ ვიდრე შესლვამდე მათა მის თანა, ვითარცა არს წესი დედათაჲ
(IDF)

ტობ. 3.17 და მოივლინა რაფაელ ანგელოზი... შეერვად ასმოდეოსი, ბოროტი ეშმაკი (IDFS).

8. δῆσκέπταρος – ვირდევი

8.1. **δῆσκέπταρος** – კენტავრი (Lampe 1961), 1. კუდიანი მაიმუნის მსგავსი; 2. LXX დემონის სახეობა, რომელიც ბინადრობს ველურ ადგილებში (Liddell, Scott 1996); ვირ-კენტავრი, მითოლოგიური ქმნილება (კენტავრი, რომელიც ჰგავს უფრო მეტად ვირს, ვიდრე ცხენს); *ნეოლოგ.* (Lust, Eynikel, Hauspie 1996).

δῆσκέπταρος ბერძნული კომპოზიტია, არ არის ებრაულის თარგმანი, ამავე დროს, ეს სიტყვა, Liddell & R.Scott-ის თანახმად, LXX-მდეც არსებობდა ბერძნულში. J. Lust, E. Eynikel, K. Hauspie კი აღნიშნავენ, რომ ის ნეოლოგიზმია. ციგლერს მიაჩნია, რომ ეს. 34.11.14 არის 13. 22-ის ანალოგიით ნათარგმნი და ერთი და იმავე გამოგონილი ცხოველის სახელია (გვ.142). სირენები და ონოკენტავრები ბერძნულ მითოლოგიას ეკუთვნიან და ალექსანდრიელი მკითხველისთვის მითებიდან იყო ცნობილი (გვ. 191).

8.2. **δῆσκέπταρος** ქართულად ნათარგმნია, როგორც **ვირდევი, მდრინველი:**

ეს. 13.22 და ვირდეენი მუნ დაემკვდრნენ, და გრძობათა მართუე-ისხნენ სახლთა შინა მისთა (OJ)

ეს. 34.11 დაემკვდრნენ მას შინა მდრინველნი და გრძობანი, და ყორანნი მკვდრ იყვნენ მას შინა და განემარტოს მას ზედა საბელი ქუეყანის-საზომი ოჭრებისაჲ, და ვირდეენი იყოფოდინ მას ზედა (OJ)

ეს. 34.14 და შეიმთხვენენ ეშმაკნი და ვირდეენი ურთიერთას, და ღალადებდეს მოყუასი მოყუასისა მიმართ. მუნ განისუენებდეს ვირდეენი, რამეთუ პოეს თავისა [თვისისა] განსასუენებელი (OJ)

8.3. **თეოდორიტე კვიპრელი** – ესაია 13.21. დემონების ბუნება უსხეულოა, მაგრამ, რამდენადაც მათი ჩვეულებაა ადამიანების შეცდომაში შეყვანა, სხვადასხვაგვარ სახეს იღებენ. ამის მიხედვით იწოდებიან ვირდევად, რასაც ძველები „ემპუსას“-ს (ვაპირის სახეობა) უწოდებდნენ და დღეს – „ონოსკელიდას“-ს.

იოანე ოქროპირი: რასაკვირველია, ონოკენტავროსი არ არსებობს სინამდვილეში და იგი არ ცხოვრობს ბაბილონში... მაგრამ წმ. წერილი იყენებს ადამიანისათვის ჩვეულ ენას.

სულხან-საბა ორბელიანი: ვირ-დევი – რომელნიმე ვირ-კენტავროს (ვინ-კენტავროს A) იტყვიან, რომელნიმე უდაბნოსა (უდაბნოთა B) შინა მყოფსა რასმე ცხოველსა, წელაღმართ კაცთა მსგავსთა (მსგავსსა B), (+ ხოლო ZA)

წელდაღმა – ვირთასა ZAB. ესე არს, რომელსა მეზღაპრენი (მოზღაპრენი Ca) იტყვიან და მაცთურსა რასამე გამოხატვენ საშინელსა სიცრუ(ვ)ით, გინა უდაბნოსა შინა არს მსგავსი წელზეთ კაცისა, წელსქვეით ვირისა, რომელსა ეწოდების ვირ-კენტავროს C. ზღაპარში რომ დევი სწერია, ის არი ვირ-დევი. ესაია: „და მობაძავ არიან ურჩხულთა, გძლარბთა და ვირ-დევთა“. „შეემთხვივნენ მას ეშმაკნი და ვირ-დევნი“ E.

დევი: სომხურად ეშმაკს(ა) ჰქვიან, ხოლო ქართულად რომელთაჲმე წერილთა შინა დევი გველ-ვეშაპის ადგილს აღუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელისა წარმართოდ აღუწერიათ, ავ-სახე კაცის მსგავსი, რქიანი; იგი მოგონებული ტყუ(ვ)ილია ZA.

დევი სომხური ძირი არ არის, ის სპარსულიდან მომდინარეობს. **დევის** ირანული ეტიმოლოგია ასეთია: ძვ.ირ. daiva-, ავ. daēva- „დემონი, ეშმაკი, ბოროტი სული“, სკრ. deva- „ღმერთი“, ლათ. deus, divus, საშ.სპარს. dēv „ბოროტი სული, დემონი“, ახ. სპარს. dīv I. „ეშმაკი, დევი, დემონი, ბოროტი სული“, 2. „გიგანტი, გოლიათი“, სირ. daiva „დემონი“. საშ. სპარს. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“ = ქართ. **დევი** „ეშმაკი, ბოროტი სული“ (ანდრონიკაშვილი 1966).

სიტყვა **დევი** – „ეშმაკის, ბოროტი სულის“ მნიშვნელობით (ქრისტეანული გაგებით) – შედარებით იშვიათად გვხვდება უძველეს ქართულ ძეგლებში. იგი უფრო მოგვიანებით ვრცელდება, როგორც **გიგანტის**, ქვაბთა მცხოვრების მნიშვნელობით, და ძალიან გავრცელებულია საერო ლიტერატურასა და ფოლკლორში.

9. ძეღრუ – სირინოზი

9.1. **ძეღრუ** – სირინოზი, ფრინველს ჰქვია ასე მისი ტკბილი ხმის გამო, გაიგივებულია ბელურასთან ან ბულბულთან (Lampe 1961).

9.2. **ძეღრუ** ქართულადაც ზოგჯერ სირინოზად გადმოდის და ბიბლიის ქართულ თარგმანებში შემდეგ ადგილებში გვხვდება:

იობ. 30.29 ძმა ვიქმენ სირინოზთა, ხოლო მოყუას – სირთა (B)

მიქ. 1.8 ამისთვის იგლოვდეს და ტიროდეს და ვიდოდეს უკამლოდ და შიშუ-ვლმან ყოს ტყება, ვითარცა ვეშაპთა, და გლოად, ვითარცა ასულთა სირინოსთა

(SB)

ბიბლიის ზოგიერთ რედაქციაში გვხვდება მაგალითები, სადაც **ძეღრუ** გადმოსულია, როგორც **ურჩხული**:

მიქ. 1.8 ამისთვის ეტყებდეს და გოდებდეს და ვიდოდეს იგი შიშუელი და უკამური. და ყოს ტყება, ვითარცა დევთა, და გლოვად, ვითარცა ასულთა ურჩხულთა (OJ)

ეს. 13.21 არამედ განისუენებდნენ მუნ მკეცნი, და აღივსნენ სახლნი მათნი ოხრითა, და მუნ განისუენებდნენ ურჩხულნი, და ეშმაკნი როკვიდენ მუნ (OJ)

ეს. 34.13 და აღმოსცენდენ ქალაქთა მისთა ეკალთა ხენი, და ძნელოვანნი იყვნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვდრებელად სირთა.

ეს. 43.20 მაკურთხევდენ მე მკეცნი იგი ველისანი და დედაჭუყანი და ასულნი ველურთანი (OJ)

9.3. *სულხან-საბა ორბელიანი*: სირინი ბერძნულია, ქართულად **ურჩხული** ჰქვიათ ZAB. **ურჩხული**: (50,39 იერემ.) ესე არს, რომელსა ბერძენნი სირინ უწოდებენ, ხოლო ლათინნი დრეგონ(ა)სა. დიდის გველ(ვ)ეშაპის ტოლია, ფრთენი ასხენ, ვითარცა მლამიობთანი, არა თუ საფრინავად, არამედ სლვისა სამალე-ბელად. მრავალ წელ იცოცხლებს. უმრავლეს ხნიერნი, ვითარცა ვასი(ს)კო, თვალითა კაცს(ა) ავნებს. ინდოეთის თემს გვარობს. ორგვარი არიან, ერთი არა გესლოვანი(ა) და კაცნი მის თემისანი ჭამენ ZAD.

ოჩხოლი (ოჩხოლი თუ ურჩხული E) (მძრომ.) ურჩხული ZAB. ურჩხული C. ამა ფრინველსა არაბულადდა ბერძნულად **სირინ** ეწოდების, რომლისათვის იტყვიან, გველნი მართვესა მოუკლავსო და თვისისა მკერდისა სისხლისა და-წვეწებითა განაცოცხლებსო. რომელსამე ჩვენთა მთარგმნელთა ურჩხულის ნაცვლად სირინოზი აღუწერიათ, რომლისათვის იტყვიან წელს აღმა სახესა ქალისასა და ბოლოსა თევზისასა. გინა თავსა ქალისასა და ტანსა ფრინველ-თასა.

სირინოზი (თევზ.) (43,20 ესაია) ამას იტყვიან ზღვაში ცხო(ვ)ელსა; წელს ზეით ქალის მსგავს(ს)სა და ბოლოს თევზისასა, ტკბილად მჭობებელსა ZA.

ილია აბულაძესთან სირინოს-ი – „დედაჭუავი“. **ურჩხული**, **ურჩული** – „ვეშაპი“, „სირინოსი“.

შდრ. *სულხან-საბასთან* **ჭია** (მძრომ.) ესე არს აბრეშუმისა და ყაჭის მატლი; ხოლო **ჭუა** – სხუანი წვრილნი მძრომელნი.

სინონიმთა ლექსიკონი: ურჩხული, გველეშაპი (გველ(ვ)ეშაპი), გონჯი, სას-ტიკი. ვეშაპი, დრაკონი.

ჩვენი აზრით, **ურჩხული** ქართველური ეტიმოლოგიის ფუძე უნდა იყოს, ამაზე მიგვანიშნებს როგორც სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა, ასევე ის ფაქტიც, რომ მეგრულში გვაქვს: ურჩხუ/ე (ურჩხუ/ე-ს) ფუძეები, იმავე სემან-ტიკის, რაც ქართული ურჩხული. შდრ. მიმლ.უარყ. რჩხუნს ზმნისა – გაურეც-ხავი; ქართ. რეცხ-ავ-ს; მეგრ. რჩხ-უნ-ს. მეგრულში პარალელურად დასტურდება ურჩხულ-ი (ურჩხულ-ს) ფუძეც.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: **სირინოზი**: [ბერძ.] ბერძნულ მითოლოგიაში ზღვის არსება, რომელიც თავისი სიმღერით ხიბლავდა, სახიფათო ადგილებში იტყუებდა და ღუპავდა მეზღვაურებს; წარმოდგენილი ჰყავდათ ქალის თავის მქონე ფრინველის სახით.

ამრიგად, ბერძნულში შესული ებრაული **סערף** ბიბლიის ქართულ თარგმანებში გადმოსულია **სირინოზად**, **ურჩხულად** და **დედაჭუავად**. აქედან, **სირინოზი** არის ბერძნულის ტრანსკრიფცია ქართულად, **ურჩხული** და **დედაჭუავი**, სავარაუდოდ, ქართველური ფუძეებია. ქართულ ენობრივ სისტემაში დამკვიდრდა სირინოზი და ურჩხული, მაგრამ არა სინონიმური მნიშვნელობით, არამედ განსხვავებული სემანტიკით.

10. δράκων – დრაკონი

10.1. **δράκων** – ებრ. გველი, დრაკონი, 1. წარმართული თაყვანისცემის ობი-ექტი, კერპი; 2. პირველყოფილი მონსტრი, რომელიც იყო სიკვდილის ძალის და ეშმაკის სიმბოლო; იდენტიფიცირებულია ეშმაკთან; 3. ანტიქრისტეს ძალა,

ემშაკის სიმბოლო, ემშაკის ძალა ტრანსფორმირებული ტირან ადამიანებში (Lampe 1961); დრაკონი, გველი, წყლის გველი (Liddell, Scott 1996).

10.2. ქართულში ძირითადად გადმოდის, როგორც **ვეშაპი**:

გამ. 7.9 *ძოილე კუერთხი ევე და მიაგდე ქუეყანასა წინაშე ფარაოსა და მსახურთა მისთა და იქმნეს ვეშაპ (AKSOB)*

გამ. 7.12 *და მიაგდო კაცად-კაცადმან კუერთხი თვისი და იქმნა იგი ვეშაპებ (AKSOB)*

იობ. 7.12 *აწ უკუე ზღუად ვარ მე, ანუ ვეშაპი, რამეთუ დააწესე ჩემ ზელა საცოდ? (ODSB)*

იერ. 9.11 *და მივსცე იერუსალიმი გარდასახლებად და სამკვდრებელად ვეშაპთა და ქალაქნი იულადსნი უჩინო საქმნელად დავსხნე არდამკვდრებისაგან (GWOJ)*

ეს. 1.1e *მუხლის განსხვავებულ რედაქციებში გვაქვს სამი განსხვავებული თარგმანი:*

ეს. 1.1e და აპა, *ორნი ვეშაპნი დიდნი, განშზადებულნი, გამოვიდეს ორნიც ურთიერთისა ბრძოლად (B); 1.1e და, აპა ესერა, ორნი დევნი დიდნი, განშზადებულნი განსლვად, და მოვიდეს ურთიერთარს ბრძოლად (DFI)*

1.1e (11.6) *აპა ესერა, ორნი ურჩხულნი დიდნი განშზადებულ იყვნენ განსლვად და მოვიდნენ ურთიერთს მბრძოლად (S)*

ბაქარის რედაქციაში **δράκων** სამგან ნათარგმნია, როგორც **გველი**:

სიბრ. 16.10 *ხოლო ძეთა შენტა არცა გველთა გესლიანთა კბილთა სძლეს (B)*

იობ. 26.13 *ხოლო ბრძანებითა მოკლა გველი გარდამსლველი (B)*

იობ. 4.10 *ძალი ზუადისა ლომისა, ხოლო კმად ძუდსა ლომისა, ხოლო შვება გველთა დაშრტა (B)*

10.3. საშ.ირან. **vēšap** „ურჩხულის სახელი“ = ქართ. **ვეშაპი**, „ურჩხული“.

სულხან-საბა ორბელიანთან: თევზია დიდი ზღვასა შინა უკიანეს, რომელმან იონა შთანთქა ZA. (ვ)ემშაპად ყოველთავე უფროსად დიდთა ცხოველთა წყალთასა უწოდს წერილი C.

ი. **აბულაძესთან**: ვეშაპი „ურჩხული“, „დევი“, კიტი; draco, cetus: „ვეშაპი“ O, „ურჩხული“ M.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1. ზღვის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი, 2. (ძვ.) იგივეა, რაც გველეშაპი, 3. გადატ. ბოროტი, უღმობელი ადამიანი.

ბერძნულში გადმოსული ბიბლიური ებრაიზმი **δράκων** ქართულად ითარგმნა: **ვეშაპად, გველად, ურჩხულად, დევად**. ამ ფუძეებიდან ***გუელ**- ძირი აღდგება საერთო-ქართულ-ზანურ დონეზე: ***გუელ**- ქართ. **გუელ- გუელ-ი; გუელ-თევზ-ი; მერ. გვერ-ნგვერ- გვერ-ინგვერ-ი** „გველი“; ლაზ. **მგვერ- მგვერ-ი**.

ამდენად, ჩამოთვლილი ფუძეებიდან ორი (ვეშაპი, დევი) ნასესხობაა, ორი – ქართველური ძირია. თანამედროვე ქართულში მათ განსხვავებული სემანტიკური გაგება აქვთ, რაც, ალბათ, გახდა მიზეზი იმისა, რომ დღეს ოთხივე ფუძე იხმარება. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მოგვიანებით დაემატა **დრაკონ**- ფუძეც, რომელიც ბიბლიის ტექსტებში არ დასტურდება.

11. **γίγας – გმირი**

11.1. **γίγας** – გოლიათი, 1. ანგელოზების და ქალების შთამომავლები, ვისი სულებიც არიან მოხეტიალე დემონები, რომლებიც შემდეგ გახდნენ წარმართთა ღმერთები, 2. ძირითადად ხასიათდებიან, როგორც დიდხანს მცხოვრებნი, ბიწიერნი და არანორმალურად მაღლები (Lampe 1961), გოლიათი (Liddell, Scott 1996).

11.2. ბერძნული **γίγας** ქართულად თითქმის ყველგან გადმოდის, როგორც **გმირი**:

დაბ. 6.4 და **გმირნი იყვნეს ქუეყანასა ზედა მათ დღეთა შინა და შემდგომად მისა, ვითარცა შევიდოდეს ძენი ღმრთისანი ასულთა მიმართ კაცთასა და შობდეს თავთა თვსად. და იგინი იყვნეს გმირნი საუკუნითგან, კაცნი სახელოვანნი (SBA)**

რიცხ. 13.33 და მუნ ვიხილენით გმირნიცა და ვიყუენით ჩუენ მათ წინაშე ვითარცა მკალნი, არამედ ესრეთ ვიყუენით მათ წინაშე (GBAK)

იობ. 13.12 ყოველი სამეუფო ოვისი ბასანს შინა, რომელ მეფობდა ასტაროთს და ედრანს შინა; ესე დაშთომილ იყო გმირთაგანი და მოკლა იგი მოსე და აღკოცა (BDSG)

11.3. ბაქარის რედაქციაში **γίγας**-ის ხშული, მჟღერი, ველარი **γ** ქართულში გადმოდის მჟერ, ნაპრალოვან **ღ**-დ – შესაბამისად ახალი ბერძნული გამოთქმისა – **ღიღონ, ღიანთონისასა, ღიღანთანისასა**:

I რიცხ. 20.4 მაშინ დასცა სოვახაი და უსაფითინს საფუთა ძეთაგან ღიღონ შუდისთა და დაამდაბლნა იგი (B)

I რიცხ. 14.9 ხოლო უცხოთესლნი მოსრულნი განფენილ იყვნეს ღელესა შინა ღიანთონისასა (B)

I რიცხ. 14.13 და შესძინეს კუალად უცხოთესლთა და განიფინნეს კუალად ღელეთა შინა ღიღანთანისასა (B)

11.5. **სულხან-საბა ორბელიანთან გმირი**: (6,4 დაბად.) კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა, და ბუმბერაზი – უმცირეს მათსა, უდიდეს და უმჯნეს ჩვენსა (+13,34 რიცხ. ZAa) ZA.(B)

ძველი ქართული ენის ლექსიკონში გმირი: „მამაკაცი“.

სინონიმთა ლექსიკონში: გმირი, რაინდი, ბუმბერაზი, აივარი, ბაყათარი, გოლიათი, გარდანქეშანი, ჯონგა, გულადი...

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1. ბრძოლასა და შრომაში თავდადებული, მამაცობითა და გამბედაობით გამოჩენილი, სიმნელებთა ვაჟკაცურად დამძლევი. 2. მხატვრული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი.

12. **γολιάθ – გოლიათი/გოლიადი**

I რიცხ. 20.5 და იქმნა კუალად ბრძოლანი წინააღმდეგომ უცხოთესლთა და დასცა ელვანან ძე საირლაომისა ძმისა გოლიათისა ხეთეფნელისა, რომლისა ხე შუბისა მისისა, ვითარცა რვალი მოქსოვილი (B); ძმა გოლიადი ვეთელისა (FISD)

ზირ. 47.4 სიჭაბუკესა შინა თვსა არა მოაკუდინა თუ გმირი და აღკოცა ყუელრება ერისაგან, ოდეს განირთხა კელი შურდულითა თანა ქვსათა დაცემად ამპარტავანებისა გოლიათისა (B); 47.4 განტყორცებასა მას მისსა კელთა მათ-

გან თვსთა ქვისა მის მცირისა შურდულთავან და დამკობად იგი ზახებისად მის გოლიადისი (O)

გოლიათი ი. აბულაძესთან განმარტებულია, როგორც მხნე, გმირი, უძლეველი. სვანურში: გმირი – ჭაბიგუ, გმირ იგივეა, რაც გგმრ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ვეებერთელა, ბუმბერაზი, უზარმაზარი (კაცი).

როგორც ცნობილია, **Γολιάθ** საკუთარი სახელია, ამდენად ბერძნულიდან მისი პირდაპირი გადმოტანა გასაგებია. შემდგომში განვითარებული მნიშვნელობები ბიბლიური დავითის მძლეველი გოლიათის ფიზიკურ სიძლიერესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

III. დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის შედეგები პასუხებია იმ კითხვებზე, რაც ნაშრომის დასაწყისში დავსვით. ამგვარი კვლევის გაგრძელება სიტყვათა სხვა სემანტიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, შესაძლებლობას მოგვცემს, წარმოვადგინოთ სრული სურათი იმ ენობრივი ვითარების წარმოსაჩენად, რაც იყო ბიბლიური ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნისას.

წყაროები და მათი ლიტერები

A – H 1207(XVII)

B – A 455 (ბაქარის გამოცემა, ანუ ე.წ. „მოსკოვური ბიბლია“)(1743 წ.)

C – A 179 (1669 წ.)

D – H 885

E – A 243

F – ურბნისის ოთხთავი

G – Q 1152, A 1108

H – ვანის ოთხთავი

I – ენშიაძინის ოთხთავი

J – იერუსალიმური ხელნაწერი (Jer 7/11)

K – ქუთ. 28 (1681 წ.)

O – Ath. 1 (ოშკური ხელნაწერი 978 წლისა)

S – A 51 (საბას ანუ ე.წ. „მცხეთური ბიბლია“)

W – ვახტანგისეული რედაქცია

X – ხანმეტი ტექსტები

ძველი აღთქმის წიგნები

გამ. – გამოსვლათა

დაბ. – დაბადება

ეზეკ. – ეზეკიელი

ეს. – ესაია

ზაქ. – ზაქარია

იგავ. – იგავთა

იობ. – იობი

მაკ. (I-II) – მაკაბელთა

მიქ. – მიქაელი
მსაჯ. – მსაჯულთა
ნეშტ. (I-II) – ნეშტთა
რიცხ. – რიცხვთა
რჯლ. – II რჯულთა
ტობ. – ტობი

ახალი აღთქმის წიგნები

იოან. – იოანეს სახარება
ლუკ. – ლუკას სახარება
მათ. – მათეს სახარება

სხვა შემოკლებები (ა. შანიძის მიხედვით)

ვ. არხ. – არხოტელთა ხევსურული
ვ. ბაკურჯ. – ბაკურხეველთა ხევსურული
ბეს. – ბესარიონ გაბუური

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1966: მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, ქართული კილოები მთაში, „მეცნიერება“, თბილისი 1984.

Библейская Энциклопедия, Архимандрит Никифор, "Терра", Москва 1990.

Gippert 1994: Gippert J., Daemonica Irano-Caucasica, Iranian and Indo-European Studies, enigma corporation, Praha.

ტექსტები

ადიშის ოთხთავი, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით, „საქართველოს მაცნე“, თბილისი 2003.

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1979.

ხანმეტი ტექსტები, ლ. ქაჯაია, „მეცნიერება“, თბილისი 1984.

<http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm>.

ლექსიკონები

ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი 1973.

ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1986.

ა. ნეიშანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, „განათლება“, თბილისი 1978.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, „მერანი“, თბილისი 1991.

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სპუ, თბილისი 2000.

Библейский словарь, Геце Б., Wydawnictwo Religijne Götze B., I, Polna 64, Warszawa 1938.

Библейский словарь, Нюстрем Э., Мировая Христианская миссия, Торонто 1985.

Полный Православный Богословский Энциклопедический словарь, 1992.

Hatch E., Redpath H.A., A Concordance to the Septuagint and the other Greek Versions of the old Testament (including the Apocryphal Books), I-II, Akademische Druck-U. Verlagsanstalt, Graz-Austria 1954.

Lampe 1961: Lampe G.W.H., A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961.

Liddell, Scott 1996: Liddell H.G. and Scott R., Greek-English Lexicon, Oxford 1996.

Lust J., Eynikel E., Hauspie K., A Greek-English Lexicon of the Septuagint, Deutsche Bibelgesellschaft, I-II, 1992.

Schmoller A., Handkonkordanz zum Griechischen Neuen Testament, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart 1938, 1982.

Natia Dundua

The Terms of Heavenly Beings in the Bible

Summary

The paper deals with the problems of translation of religious terminology in the Bible. The work focuses on how the language situation of that time was reflected in Georgian during the translation of Biblical texts, how the religious vocabulary was developed and what were the stages of its development:

- 1) What the translator had before him;
- 2) How were the terms denoting new concepts created;
- 3) What changes did these terms undergo together with the development of Christian literature.

From this point of view, the article analyzes the terms denoting heavenly beings (*angelozi, kerubini, serabini, ešmak'i, demoni, sat'ana, asmodeosi, virdevi, sirinozi, drak'oni, gmiri, goliati*) in the Georgian translations of the Bible. The material is selected from all the available Georgian manuscripts and is grouped according to the meaning and form.

**К НАЗВАНИЯМ БОЛЬШИХ КОЖАНЫХ СОСУДОВ (БУРДЮКОВ)
В ИРАНСКИХ ЯЗЫКАХ**

Тема статьи навеяна работой Дж. Ш. Гиунашвили «О происхождении слова "стакан"» (Гиунашвили 1976:186-189). Со времени выхода в свет этой работы прошло уже немало времени, и юбилар своими трудами давно заслужил большего, чем в 1976 г., объема положительных ощущений, поэтому мы можем предложить более объемные объекты исследования. В связи с этим представляется уместным к данному моменту рассмотреть некоторые этимологии названий крупных сосудов – кожаных бурдюков в разных иранских языках.

Основное внимание будет уделено названиям сосудов, предназначенных для хранения и переноски полезных жидкостей: вина, воды, молока и т.п., а также других полезных субстанций (об особых названиях гупсаров, турсуков – надувных бурдюков для плавания, переправы через реку – будет сказано ниже). В силу ограниченности объема статьи, рассмотрим здесь только исконные названия таких кожаных сосудов, вместилищ (сумок, мешков и др.), происходящие от древних иранских и доиранских основ и имеющие соответствия в других индоевропейских языках. Речь пойдет о названиях, этимологически связанных с названиями кожи, шкуры животного, а также с названиями самих животных, относящихся к мелкому рогатому скоту.¹ Связь терминов для изделий из кожи с названиями мелкого рогатого скота естественна, учитывая огромную хозяйственную и культовую ценность животных этого класса у древних индоевропейцев (Гамкрелидзе, Иванов П 1984:577-589) и способы выделки кож и изготовления бурдюков.

Следует отметить попутно, что названия кожи, шкуры и сделанных из них сосудов, вместилищ интересны не только в чисто этимологическом отношении, но и в плане историко-семантической типологии, которая проявляется в образовании имен соответствующих артефактов в разных языках от семантически сходных основ. Ср., например, праслав. **koža* "кожа" из более раннего **kozja* "козья (шкура)", связанное с праслав. **koza* "коза" (Фасмер II 1967:276-277; ЭССЯ-12 1985:19, 35-36), или праслав. **měxъ*, **měxa* "бурдюк", русск. *мех* "кожаный мешок для хранения и перевозки жидкостей и влажных продуктов, бурдюк" (и вторичное русск. *мешок*) – из и.-е. **moiso-* или **maisō-*, этимологически соответствующие праиран.

¹ Тем самым, такие названия, как кл. перс. *mašk*, продолжающее др.-перс. *maškā*, где оно было заимствовано из семитского источника, или исконные кл. перс. *(h)anbān* "кожаный мешок", белудж. *aphān* "кожаный мешок для муки" и др., интересные сами по себе, здесь не рассматриваются.

**maiša-*, кл. перс. *mēš*, др.-инд. *meṣá* – "баран" (Фасмер II 1967:612; ЭССЯ-18 1993:156-159) и другие, см. ниже.

Рассмотрим термины, происходящие от двух праиранских основ:

1. Праиран. **aiž-*: **iž-* "коза", восходящее к и.-е. *ai-* - "коза" (Pokorny 1959:13), и производные праиран. **ižia-*, **ižia-*, **iž(i)a-* (менее вероятно также **aižia-*) "кожа,

шкура" (ЭСИЯ 1 2000:145-146).

2. Праиран. **aža-* "козел, коза" (соответствующее др.-инд. *ajā-* "козел", *ajā-* "коза") и производное **ažina-* "козий, кожа" (соответствующее др.-инд. *ajina-* "кожа"), восходящие к и.-е. **a-*, **a-* - "козел, коза" (Pokorny 1959:6-7), ср. праслав. **azьno* "кожа" > церк.-слав. *jazno* "кожа", образованное от праслав. **azь* в древнем значении "козел" (в дальнейшем сохранилось в названии рыбы *язь*) (ЭССЯ-1 1974:103); о соответствиях в других индоевропейских языках см. также (ЭСИЯ 1 2000:292).

Из этих основ в иранских языках наиболее продуктивной в отношении словообразования предстает первая.

Рефлексы ее производных **ižia-*, **ižia-* (и **iža-*, **ižā-*) "кожа, шкура" и "кожаный" отмечены, начиная с древности: вторичное прилагательное **ižaina-* "кожаный" отразилось в авест. поздн. *izaēna-*, *izaēna-* "сделанный из кожи, кожаный" [производное от **ižā-* "кожа" (Bartholomae 1979:373)].

В более поздних языках засвидетельствованы следующие продолжения:

*ižia-, *aižia- и *ižia-ka- "кожаный, сделанный из шкуры" > пушту *zay*, *žay* 1) "бурдюк, кожаный мешок"; 2) муз. "волынка" (Асланов 1985:486); диалект вазири *žai* "бурдюк" < **ižia-ka-* (Morgenstierne 1927:105; Morgenstierne 2003:105); мундж. *ižiya*, которое И. И. Зарубин (Зарубин 1927:147-148), переводит "козий мех для плавания" (и возводит к корню **snā-*, что неверно, см. ниже); ср. однако мундж. *yiž(i)ya-* "сумка из козьей кожи" (Morgenstierne 2003:105). О мундж. нижн. *ázyo*, верхн. *yáziā* "бурдюк (из выделанной кожи, для жидкостей)" (Грюнберг 1972:278) см. ниже. Йидга *izē*, *ize* "мешок из козьей шкуры (для переноски кислого молока)" < **iž(i)ia-ka-* (Morgenstierne 1938:195-196); хот.-сак. *hāysā*, *hāysa-* (из более раннего **iza-*) и суффиксальная форма *hāysaka* "шкура, кожа" (Bailey 1979:484) и хот.-сак. *iḫja*, *iḫji* "кожаный, сделанный из кожи" из более раннего **iḫa-* "кожа" (где *-j-* — из еще более раннего **-zy-*) (Bailey 1979:32);

согд. муг. *'yžh*, *'zyh* "кожаный мешок", ср. кл. перс. *ēz-γunj*, *ēž-γunj* "кожаный мешок" и др. (Лившиц 2008:27); осет. *хуз* | *xizæ* "сеть, невод; кружевной кисейный платок, фата" (первоначально — изделия из выделанной кожи) (Абаев 1989:273) и дальнейшие производные слова, см. ниже; осет. *хузæг* 1) "сетка"; 2) анат. "сетчатка" (с вторичным суффиксом);

белудж. *hīz*, *hīnz*, *hī(n)zakk* "кожаный мешок для сбивания в нем масла; кожаный бурдюк-маслобойка" (Elfenbein II 1990:69), *īzák* "кожаный бурдюк-маслобойка" (см. (Buddruss 1977:3, 8, 17) с рисунком такого бурдюка-маслобойки, сделанного из цельной шкуры и подвешенного на палке внутри треноги); ормури *īz* "бурдюк, мех (сосуд)" (Morgenstierne 1938:195).

**īzaina-* "кожаный, сделанный из кожи, шкуры", см. упоминавшееся выше авест. поздн. *izaēna-*, *īzaēna-* "сделанный из кожи, кожаный" – производное от **izā-* "кожа" (Bartholomae 1979:373);

хот.-сак. *īm̄jīnai*, *ījīnai*, *ījīainai* "кожаный, сделанный из кожи" (с *-j* из **-zy-*) (Bailey 1979:32); а также хот.-сак. *ījīnaa* – с суффиксом *-aa* из более раннего **-aka-* (Bailey 1979:32, 484); осет. *хузун* | *xizun* "сума, котомка" (Bailey 1979:484; Абаев 1989:275).

От второй основы: **až(i)na-* "кожа, шкура", ср. др.-инд. *ajīna-* "кожа, шкура (козья)" надежных рефлексов мало, см. (ЭСИЯ 1 2000:292-293). Сюда может быть условно отнесено авест. поздн. *azina-vant-*, которое Хр. Бартоломе переводит "живой, подвижный" (Bartholomae 1979:228), а М. Майрхофер – "имеющий шкуру, носящий шкуру" (Mayrhofer 1 1986:51-52). В более поздних языках достоверных этимологий самостоятельных слов, напрямую восходящих к этой основе, почти не прослеживается¹.

Отмечаются формы, которые могут принадлежать и к той, и к другой основе, а также случаи возможной контаминации их рефлексов. Имеются и неясные и дискуссионные этимологии.

Так, талыш. *хэз* "мех" (Пирейко 1976:225) может продолжать и **ižia-*, и **ažia-*. То же относится к мундж. нижн. *ázyo*, верхн. *yəziā* "бурдюк (из выделанной кожи, для жидкостей)" (Грюнберг 1972:278), однако другие мунджанские варианты указывают на общий прототип с анлаутом **i-* (см. выше). Ишкаш. *žin* "маслобойка" может продолжать и **izaina-*, и **ažina-* или быть заимствованием.

Белудж. *zik* "мешок из овечьей или козьей шкуры, для топленого масла" (Buddruss 1977:9), пушту *zək* "турсук, бурдюк (используемый для переправы через реку)" (Асланов 1985:473) – могут продолжать **ižia-ka-*, либо быть заимствованы по цепочке из единого источника. Брагуи *zik* "кожаный мешок для топленого масла" заимствовано из белуджского. Г. Бейли в качестве этимологически родственного слова к хот.-сак. *hāysā* "кожа, шкура" приводит вахан. *īžīn*, *yījīn* "carpet" (Bailey 1979:484), однако на деле вахан. *ījīn*, *yījīn*

¹ Отмечаются лишь менее явные этимологии основ в композитах и в устойчивых словосочетаниях, например, язгул. *lam-yéz* "пробка-затычка для бурдюка" со второй частью из **až(a)ia-*, язгул. *zəm-bilá* "кожаный мешочек для еды (из шкуры ягненка)" с первой частью из **izaina-* или **až(a)ina-* "кожаный; сделанный из кожи" + *bila-* (ср. *dast-bila* "рукавица"). Хот.-сак. *aysdām* "предмет потребления" и тумшук. *eždanā kalasta* "кожаный мешок для зерна" (?) (Bailey 1979:6) допускают различные толкования и, соответственно, разные этимологии.

имеет значение "войлок, кошма" и другую этимологию (продолжение **ci-star(a)na-* от корня **star-* "расстилать", ср. кл. перс. *bistar* "постель"), см. (Стеблин-Каменский 1999:193).

В ряде языков слова, производные от **iz̄a-*, **iz̄ia-*, обозначающие бурдюк или другие изделия из кожи, контаминированы с производными от **až̄ia-* "кожа", а сходные друг с другом рефлексы **iz̄aina-* и **až̄ina-* совпадают с похожими на них рефлексам производных имен от глагольного корня **snā-* "плавать, мыть(-ся), купать(-ся)", особенно когда речь идет о так называемых гупсарах, турсуках – цельных шкурах мелкого рогатого скота, надутых воздухом и используемых для плавания, переправы через реку.

Так, вахан. *yazn* "турсук, мех, надутая шкура (для переправы через реку)" по фонетическим признакам может восходить и к **iz̄aina-* "(козья) шкура", и к производному от корня **snā-* (Стеблин-Каменский 1999:424), ср. сходное ишкаш. *ūznūk*, *wūznuk*, *wuznuk* "бурдюк для плавания" (Morgenstierne 1938:421), которое восходит к производному от **snā-*, см. ниже); см. также (Morgenstierne 1938:555).

Контаминация отмечается и при сходстве названий изделий из кожи с названиями других предметов. Например, примечательно сходство праиранских основ **iz̄aina-* "кожаный, сделанный из кожи, шкуры" и **ž̄aina-* "оружие, вооружение". Примеры последнего: авест. поздн. *zaēna-* "оружие" (Bartholomae 1979: 1650), ср.-перс., парф. *zēn* "вооружение, меч; снаряжение, доспехи" (ср. ср.-перс. *a-zēn* "невооруженный"), ср.-перс. *zēn-dān*, парф. *zun-d'n* "место хранения оружия; арсенал", позднее "тюрьма" (Nyberg II 1974:231); согд. будд. *zun* "вооружение, меч, снаряжение" и др. В результате сходства древнеиранских прототипов, этимология и первоначальное значение ср.-перс. *zēn*, кл. перс. *zīn* "седло" трактуются различно: 1) "кожаный"; 2) "относящийся к снаряжению, упряжи". В ряде работ названия седла рассматриваются как рефлексы **iz̄aina-* "кожаный", см. (Bailey 1979:32, 484; Цаболов II 2010:529). Вместе с тем, не исключено совпадение в терминах ср.-перс. *zēn*, кл. перс. *zīn* "седло" рефлексов **iz̄aina-* и **ž̄aina-*, либо поздняя ассоциация в среднеперсидском слова "седло – предмет, относящийся к снаряжению, упряжи" – со словом "кожаный". В других иранских языках названия седла, как правило, заимствованы из персидского: курд. *zīn* "седло", заза, вониш., кохруди, кашани, зефрей, сангисари, шамерзади, гази, сивенди, седеи *zīn* "седло"; ягн. *zin*; пушту *zīn*, йидга *zīn*, мундж., ишкаш. *zin* "седло" и многие другие (Morgenstierne 1938:276).

Названия бурдюков для плавания, переправы через реки, как правило, этимологически отличны от названий бурдюков для жидкостей, сухих продуктов. Так в языках Средней и Центральной Азии они производны от праиранского корня **snā-* "плавать, мыть(-ся), купать(-ся)", а их совпадения с

рассмотренными выше названиями возможны там, где консонантная группа праиран. *sn- отражается как zn-, zVn-.

Наиболее характерны следующие производные от *snā-:

1. *snā-ka- > др.-иран. диал. *xšnā-ka- > *šnā-ka- > ср.-перс. *šnāg > кл. перс. šinā "плавание (человека, животного)", варианты: šināh "плавание", šanāx "плот из надутых бурдюков" (Гаффаров II 1974:510) (если слово šanāx не является нечеткой записью šanāγ, где "γайн" был прочитан как изображение "х"); осет. диг. nakæ "плавание" (Абаев 1973:152) (с обычной для осетинского утратой *s- в группе *sn-); ишкаш. ūznūk, wūznuk, wuznuk "бурдюк для плавания" (Morgenstierne 1938:421).

2. *snā-čī- > ср.-перс. раннее šnāč, позднее šnāz "плавание" (и деноминативный гл. šnāzīdan "плавать" (MacKenzie 1971:80)) > кл.-перс. раннее диалектное *šānāz или *šīnāz > диалектное дари šīnāz "турсук (бурдюк для переправы через реку)" (Миллер 1950:518)¹ – слово в дальнейшем заимствовано из диалектного дари в пушту: см. пушту šānāz, šīnāz 1) "гупсар, турсук – надувной кожаный мешок для переправы через реку"; 2) "бурдюк" (Асланов 1985:553). Реконструируется также согд. диал. *snāč, *sanāč, или *sināč, *sanōč, которое могло означать 1) "плавание"; 2) "приспособление для плавания – бурдюк" (в текстах не зафиксировано, но заимствовано в таджикские и тюркские диалекты ареала).

3. *snā-tra- (имя орудия с суфф. *tra- < и.-е. *-tro, *-tlo): "орудие, приспособление для плавания": шугн. zinōc, руш., хуф. zinūc, барт. zinūc, рош. zinōc, сар. диалект Ташкуртана zynuc, zyniç, сар. диалект Бурунголя zinuc, язгул. zānec "бурдюк для плавания, переправы" – с регулярным *sn- > zn- и *-tra > -c. Г. Моргенстьерне (Morgenstierne 1974:108) считал эти слова персидскими заимствованиями, хотя и с оговоркой о странности конечного -c в язгуляском. Однако возведение этих слов к *snā-tra- доказывает их исконность и закономерное развитие *sn- > zVn-, *-tr > -c из древнеиранского, см. (Edelman 1980:299).

Интересно, что в то же время развивались похожие названия сосудов из кожи в соседних тюркских языках. Для нас важно в этом отношении исконно тюркское – уйгурское диалектное sanaç "кожаный мешок для хранения жидкостей" (ЭСТЯ 2003, 189-190). В результате взаимовлияния сходных слов в тюркских и иранских диалектах среднеазиатского ареала мы имеем любопытные случаи их семантической и фонетической контаминации и образования гибридных названий.

¹ Б. В. Миллер приводит это слово с пометой "афг.", то есть, зафиксированное в так называемом "кабули" — в городском разговорном диалекте г. Кабула, — в диалекте языка, который называли "фарси-кабули" и который ныне принято называть "дари". В более поздних персидско-русских словарях, ориентированных на литературный персидский язык, и в дари-русском словаре данное диалектное слово отсутствует.

Таково тадж. *sanoč* 1) "бурдюк"; 2) "кожаный мешок, надутый воздухом (для переправы через реку)"; 3) "мех". Ср. тадж. уменьшительное *sanočák* 1) "дорожная сумка для провизии"; 2) "кожаный кошелек". Это – раннее заимствование из согд. **s(a)nāč*, **s(a)nōč* "плавательный бурдюк из цельной шкуры", контаминированное с тюркским *sanač* "бурдюк", притом с совмещением значений — иранского (надутого меха) и тюркского (меха для жидкостей, провизии). В одном из сарыкольских диалектов – г. Ташкургана, где сарыкольцы активно общаются с живущими там же уйгурами, – исконное слово с ауслаутом -с контаминировалось с тюркским (или раннесогдийским, прошедшим через тюркское посредство) с ауслаутом -č, что сказалось только на фонетическом облике слова, но не на семантической стороне. Ср. несколько иную схему развития этих названий в (Буянер 2006).

Во всяком случае, названия этого класса хозяйственных предметов не связаны этимологически с названиями бурдюков, предназначенных для хранения, переноски (и производства) продуктов.

Итак, обращение к происхождению слов, обозначающих крупные кожаные сосуды – бурдюки, дает возможность сделать некоторые историко-лингвистические наблюдения. Во-первых, наглядными предстают неравные возможности образования новых слов от праиранских основ **aiž-* и **aža-*, особенно в плане образования названий кожаных сосудов: второе слово – более древнее (на что указывает, в частности, также трансформация его семантики в славянских языках) – утрачивает в иранских языках свои словообразующие позиции. Во-вторых, выявляются некоторые элементы семантической диахронической типологии, проявляющиеся в способах образования терминов для определенных реалий. В-третьих, определяются случаи контаминации фонетически и семантически сходных слов.

Наконец, обращение к истории названий больших кожаных сосудов (не только перечисленных в данной короткой статье) дает повод рассмотреть и экстралингвистический аспект проблемы, в частности, подумать о предназначении бурдюка в народных культурных традициях, включая праздничные.

В заключение от всей души поздравляю Прекрасного Человека и Ученого Джамшида Гиунашвили со славным юбилеем и желаю ему и его близким крепкого здоровья, благополучия и многих-многих лет интересной и плодотворной творческой работы!

Литература

- Абаев 1973:** Абаев В.И., Историко-этимологический словарь осетинского языка, Т. II, Ленинград.
- Абаев 1989:** Абаев В.И., Историко-этимологический словарь осетинского языка, Т. IV, Л.
- Асланов 1985:** Асланов М.Г., Пушту-русский словарь, Москва.
- Гамкрелидзе, Иванов 1984:** Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, Т. II, Тбилиси.

- Гаффаров 1974:** Гаффаров М.А., Персидско-русский словарь (переиздание с 1928 г.), Т. II, Москва.
- Гиунашвили 1976:** Гиунашвили Дж.Ш., О происхождении слова «стакан» // Иранское языкознание. История, этимология, типология (К 75-летию проф. В. И. Абаева), Москва.
- Грюнберг 1972:** Грюнберг А.Л., Языки Восточного Гиндукуша. Мунджанский язык, Ленинград.
- Зарубин 1927:** Зарубин И.И., К характеристике мунджанского языка, Из материалов по иранской диалектологии // Иран, I, Ленинград.
- Лившиц 2008:** Лившиц В.А., Согдийская эпиграфика Средней Азии и Семиречья, Санкт-Петербург.
- Миллер 1950:** Миллер Б.Вс., Персидско-русский словарь, Москва.
- Пирейко 1976:** Пирейко Л.А., Тальшско-русский словарь, Москва.
- Стеблин-Каменский 1999:** Стеблин-Каменский И.М., Этимологический словарь ваханского языка, Санкт-Петербург.
- Фасмер 1967:** Фасмер М., Этимологический словарь русского языка, Т. II, М.
- Цаболов 2010:** Цаболов Р.Л., Этимологический словарь курдского языка, Т. II (N-Ž), Москва.
- ЭСИЯ 1 2000:** Расторгуева В.С., Эдельман Д.И., Этимологический словарь иранских языков, Т. I, Москва.
- ЭССЯ-1 1974:** Этимологический словарь славянских языков. Праславянский лексический фонд, Под ред. Трубачева О.Н., Вып. 1, Москва.
- ЭССЯ-12 1985:** Этимологический словарь славянских языков. Праславянский лексический фонд, Под ред. Трубачева О.Н., Вып. 12, Москва.
- ЭССЯ-18 1993:** Этимологический словарь славянских языков. Праславянский лексический фонд, Под ред. Трубачева О.Н., Вып. 18, Москва.
- ЭСТЯ 2003:** Этимологический словарь тюркских языков. Общетюркские и межтюркские лексические основы на буквы Л.М.Н.П.С., Москва.
- Bailey 1979:** Bailey H.W., Dictionary of Khotan Saka, Cambridge-London-NewYork-Melbourne.
- Bartholomae 1979:** Bartholomae Chr., Altiranisches Wörterbuch, Strassburg, 1904, repr.: Berlin-New York.
- Buddruss 1977:** Buddruss G., Buttern in Baluchistan // *Benzing B. et al. (eds): Wort und Wirklichkeit. Studien zur Afrikanistik und Orientalistik (Eugen Ludwig Rapp zum 70. Geburtstag)*, Teil II, Linguistik und Kulturwissenschaft, Meisenheim am Glan.
- Buyaner 2006:** Buyaner D., On the designation of “water-skin” in some languages of Central Asia // *Acta Orientalia*. Vol. 67.
- Edelman 1980:** Edelman D.I., History of the Consonant Systems of the North-Pamir Languages // *Indo-Iranian Journal*, vol. 22, pt. 4.
- Elfenbein 1990:** Elfenbein J., An Anthology of Classical and Modern Balochi Literature, Vol. II, Glossary, Wiesbaden.
- MacKenzie 1971:** MacKenzie D.N., A Concise Pahlavi Dictionary, L.
- Mayrhofer 1986:** Mayrhofer M., Etymologisches Wörterbuch des Altindoarischen, I Band, Lief 1, Heidelberg.
- Morgenstierne 1927:** Morgenstierne G., An Etymological Vocabulary of Pashto, Oslo.
- Morgenstierne 1938:** Morgenstierne G., Indo-Iranian Frontier Languages, Vol. II Oslo.
- Morgenstierne 1974:** Morgenstierne G., Etymological Vocabulary of the Shughni Group, Wiesbaden.

- Morgenstierne 2003:** Morgenstierne G., A New Etymological Vocabulary of Pashto. Compiled and edited by Elfenbein J., MacKenzie D.N. and Nicolas Sims-Williams (Beiträge zur Iranistik, Band 23), Wiesbaden.
- Nyberg 1974:** Nyberg H., A Manual of Pahlavi, pt II. Glossary, Wiesbaden.
- Pokorny 1959:** Pokorny J., Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Bern.

ჯოი ედელმანი

**დიდი ტყავის ჭურჭლების (ტიკების)
სახელწოდებები ირანულ ენებში**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საკუთრივ ირანული ლექსიკური ფონდის – ტყავის ნაწარმის სახელწოდებების (ტიკების, ჩანთების, ტომრების და მისთ.) ეტიმოლოგიური ანალიზი. გაანალიზებულია ლექსემათა ორი ჯგუფი: 1) ტყავის ძველი დასახელებების (სითხეების ჩასახსმელი და ხმელი პროდუქტების შესანახი ჭურჭელი) მემკვიდრე ფორმები და 2) იმ სახელთა რეფლექსები, რომლებიც ნაწარმოებია „ცურვის“ აღმნიშვნელი წინარე ირანული ზმნიდან (ცურვისთვის განკუთვნილი გასაბერი ტყავის მოცულობები).

**ბილინგვური განათლება და მულტიგლოსია
მგვიტურ საზოგადოებაში**

ზოგადად არაბულ სამყაროში, კერძოდ ეგვიპტეში, ლინგვისტური სიტუაცია რთულია და ჩვეულებრივ ფასდება როგორც დიგლოსიური. ამავე დროს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის რეალობა არა მხოლოდ დიგლოსია, არამედ ბილინგვიზმაც.

ფერგიუსონის განმარტებით, დიგლოსია არის „შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, სადაც ენის პირველად დიალექტებთან ერთად (რომლებიც, შესაძლოა, სტანდარტულ ან რეგიონურ სტანდარტულ ენობრივ ფორმებსაც შეიცავდნენ), ფუნქციონირებს აგრეთვე ძალიან განსხვავებული, მაღალ დონეზე კოდირებული (ხშირად გრამატიკულად ბევრად უფრო რთული) ან უფრო ადრინდელი პერიოდის, ან სხვა სასაუბრო საზოგადოების ენობრივი ვარიანტი, სოლიდური წერილობითი ლიტერატურის გამოხატვის საშუალება, რომელსაც ძირითადად ფორმალური განათლების მქონე ადამიანები ფლობენ და რომელსაც გამოიყენებენ წერილობითი ან ოფიციალური მიზნებისთვის, მაგრამ ის ჩვეულებრივი საუბრებისას არ გამოიყენება მოცემული საზოგადოების არც ერთი სექტორის მიერ“ (Ferguson 1971:16).

დიგლოსიის დროს საქმე გვაქვს მოვლენასთან, როდესაც ორი ლინგვისტური ფორმა ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ დამოკიდებულებაშია. ეგვიპტისა და, ზოგადად არაბული ქვეყნების შემთხვევაში, ენის მაღალ, პრესტიჟულ ვარიანტს წარმოადგენს სალიტერატურო არაბული, ხოლო შედარებით დაბალი სტატუსის ფორმას – ადგილობრივი დიალექტები. ენობრივ სიტუაციას არაბულ სამყაროში დიგლოსიურად აფასებენ, მაგრამ ზოგი ავტორი (Kaye 1994:47) თვლის, რომ სინამდვილეში არის „ბევრი არაბული“ (Many Arabics), ხოლო ლინგვისტური სიტუაცია არაბულ სამყაროში მულტიგლოსიურია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მართლაც ახლოსაა რეალურ სურათთან: კაიროში, შეიძლება ითქვას, ზოგადი ლინგვისტური სიტუაცია დიგლოსიურს არ სცილდება, თუ ჩავთვლით, რომ აქ მხოლოდ ორი ლინგვისტური ერთეული უპირისპირდება ერთმანეთს – კაიროს კილოკავი და სალიტერატურო არაბული. პერიფერიებში მდგომარეობა სხვაგვარია: თითოეულ სოფელს აქვს თავისი ადგილობრივი კილოკავი, ამასთან, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს რაიონულ ცენტრში გავრცელებულ კილოკავს. ადგილობრივ მოსახლეებს ასევე აქვთ კავშირი მეზობელი სოფლების მცხოვრებლებთან, და, შესაბამისად, მათ კილოკავებსაც ფლობენ. მათ უმრავლესობას სხვადასხვა საქმის გამო პერიოდულად უწევს კაიროში ჩასვლაც და კაიროს მეტყველებასაც ეცნობიან. თუ ასეთი სოფლის მკვიდრმა სალიტერატურო არაბულიც ისწავლა (ან ამის გარეშედაც), პოლიგლოსია სახეზე გვაქვს. მაგრამ ესეც არ არის ლინგვისტური სიჭრელის უმაღლესი მაგალითი. გარდა ტერიტორიული დიალექტებისა და სალიტერატურო არაბულისა, გვაქვს მესამე ენობრივი კონგლომერატიც: ე.წ. სტანდარტული არაბული (ეჭიბაძე 2010:22-23).

ა. სილაგაძე ე.წ. სტანდარტ-ენის შესახებ აღნიშნავს: „გრაფიკულ გამოხატულებაში მხოლოდ ერთი ენა არსებობს და არა ორი. სტანდარტ-ენა მთლიანად კლასიკურ გრაფიკულ სისტემას ემყარება (გარდა ამისა, პრინციპულად – კლასიკურ გრამატიკასაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ, აღწერის თვალსაზრისით არცთუ რთულ, ცვლილებებს). შესაბამისად, პრინციპულ განსხვავებას კლასიკურსა და თანამედროვე ენას შორის მხოლოდ სამეტყველო რეპრეზენტაცია ქმნის...“ (სილაგაძე 2010:8).

ამასთან, აქ ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ სალიტერატურო არაბული, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ის წარმოადგენს მაღალი სტატუსის მქონე ფორმას, არც ერთი არაბის მშობლიური ენა არაა, მას არასდროს იყენებენ არაფორმალური საუბრებისას.

ბილინგვური სიტუაციის დროს საქმე გვაქვს ორ, ერთმანეთის მიმართ თანაბარი სტატუსის მქონე ენობრივ ფორმასთან, ხშირად, სხვადასხვა ენობრივი სივრცის კუთვნილებასთან. ეგვიპტის შემთხვევაში, ბოლო საუკუნეების დიაქრონიასში, ეს იყო, ერთი მხრივ, არაბული, ხოლო მეორე მხრივ, ისტორიული რეალიების ცვლილებასთან დამოკიდებულებაში – თურქული, ფრანგული ან, დღევანდელი შემთხვევაში, ინგლისური. ეგვიპტის ისტორიას ახსოვს ისეთი პერიოდები, როდესაც ადგილობრივმა, უკვე საუკუნეების მანძილზე არაბიზებულიმა, მოსახლეობამ, უფრო ზუსტად მისმა არისტოკრატიულმა ნაწილმა, არც კი იცოდა არაბული, იღებდა განათლებას, მაგალითად, თურქულად, და მეტყველებდა თურქულად. ეს ფაქტი დიდ პრობლემას ქმნიდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ურთიერთობისას, რადგან მისმა დაბალმა, გაუნათლებელმა ნაწილმა (ასეთი კი XXI საუკუნის ეგვიპტეშიც მრავლად მოიძებნება) იცოდა მხოლოდ თავისი მშობლიური ეგვიპტური დიალექტი. სიტუაცია შეიცვალა მუჰამედ ალის რეფორმების შემდეგ, როდესაც ორიენტაცია აღებულ იქნა ევროპაზე. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ასევე, ნიჭიერი ღარიბი ახალგაზრდებიც, განათლებას ევროპაში, ძირითადად, საფრანგეთში, შეძლევ – ინგლისში იღებდნენ. შედეგად, ეგვიპტის სინამდვილეში შეიჭრა ახალი ლინგვისტური ფორმატი.

დღევანდელი სინამდვილის პოზიციიდან იმის თქმა, რომ მთლიანად ეგვიპტეში ბილინგვური სიტუაციაა, არ იქნება ზუსტი. მაგრამ მოსახლეობის ერთი ფენისთვის სიტუაცია მართლაც კომპლექსურია: ერთი მხრივ – ბილინგვური, მეორე მხრივ – დიგლოსიურიც. ესაა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ევროპულ, დღეის მდგომარეობით, ინგლისურენოვან განათლებას იღებს. შედეგად, ეგვიპტეში გაზრდილი ახალგაზრდა ფლობს ინგლისურ (და ზოგჯერ სხვა ევროპულსაც) ენას სრულყოფილად, ასევე ფლობს კაიროს კილოკავს (ეგვიპტის არაბული დიალექტის ერთგვარ სტანდარტულ ვარიანტს), რაც ერთმანეთთან სინთეზში იძლევა ბილინგვურ სიტუაციას. მეორე მხრივ, ამ ახალგაზრდებს უწევთ ცხოვრება დიგლოსიურ საზოგადოებაში, სადაც დიგლოსიის განმაპირობებელი ფაქტორია ამ დიალექტისა და სალიტერატურო არაბულის შეპირისპირება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა ძალიან ზუსტად იცის სალიტერატურო არაბული, რადგან ეს ის ენაა, რომელსაც არაბი ბავშვები სკოლებში სწავლობენ, ხოლო ეგვიპტის ახალგაზრდობის მოცემული ნაწილი სკოლაში ევროპულ ენებს უფრო მაღალ დონეზე სწავლობენ, ვიდრე

არაბულს. ისინი განათლებას აგრძელებენ ევროპულ ან ამერიკულ უნივერსიტეტებში, და თუ ეს უმაღლესი დაწესებულება ეგვიპტის ტერიტორიაზეა, მათ სა-უნივერსიტეტო განათლებისას უწევთ სალიტერატურო არაბულის შესწავლა, რაც დიდ პრობლემებს უქმნით ხოლმე. ისინი, ვინც მშობლიურის სტატუსით ფლობენ არაბული ენის ერთ ფორმას – დიალექტს (კერძოდ, უმეტესად, კაიროს კილოკავს), პრაქტიკულად არ იცნობენ არაბულის მეორე ფორმას – სალიტერატურო ენას და მის შესწავლას ხშირად ნულოვანი დონიდან იწყებენ, ისე, როგორც ისინი, ვინც სხვა ენის მატარებელია.

არაბულ სამყაროში მუშაობის, საქმიანი კორესპონდენციის მართვისა და დოკუმენტაციასთან ურთიერთობისთვის და ა.შ. აუცილებელია სალიტერატურო არაბულის, კერძოდ, გრამატიკის ცოდნა. როგორ ან რა ენის დახმარებით სწავლობენ ეს ახალგაზრდები სალიტერატურო არაბული ენის გრამატიკას?

არაბული საზოგადოების ნებისმიერი სეგმენტისთვის დამახასიათებელი მოვლენაა ე.წ. კოდის გადართვა, რაშიც, ჩვეულებრივ, ის იგულისხმება, რომ არაბი მეტყველებისას იყენებს არაბულის სხვადასხვა ფორმას, დიალექტიდან სალიტერატურო არაბულამდე, – ენობრივი გრადაციის სხვადასხვა ვარიანტს, რაც სიტუაციის ცვლილებაზე, გამოსათქმელი აზრის სტატუსზე, თანამოსაუბრესთან ურთიერთობის კვალიფიკაციაზე და სხვა პარამეტრებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, სპეციალური კვლევები ტარდებოდა ეგვიპტის პრეზიდენტების საჯარო გამოსვლებზეც კი. მაგალითად, პრეზიდენტ ნასერის საჯარო გამოსვლებში სალიტერატურო არაბული ჟღერდა, როგორც „აბსტრაქტული, იდეალიზირებული ან მეტაფორული მესიჯების ენა“, ხოლო, როგორც კი ის ეხებოდა „კონკრეტულ, ფიზიკურ, მკაცრად პერსონალიზებულთან ასოცირებულ“ თემებს, მაშინვე ცვლიდა მეტყველების კოდს და დიალექტზე გადადიოდა¹. ეს ე.წ. code switching-ის ის ვარიანტია, რომელიც ყოველი ეგვიპტელის (და არაბის) მეტყველების თანმხლები მოვლენაა და გულისხმობს კოდის გადართვას ერთი ენის – არაბულის – შიგნით, მის სხვადასხვა დონეებს შორის.

მაგრამ არაბულ სინამდვილეში code switching-ის სხვა, ბილინგვური ვარიანტიც არსებობს, როდესაც კოდის გადართვა ხდება ერთი ენიდან მეორეზე და პირიქით.

ეგვიპტის ახალგაზრდობის მოცემული ნაწილის მეტყველებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისინი მუდმივად მიმართავენ უპირატესად კოდის გადართვის ამ მეორე ვარიანტს. ასეთი ვითარებაა კერძოდ მაშინ, როდესაც ეს ახალგაზრდები სალიტერატურო არაბულს, მის გრამატიკას სწავლობენ. კაიროს ამერიკულ უნივერსიტეტში სალიტერატურო არაბული ენის გრამატიკის ლექციები მიმდინარეობს პერმანენტული ბილინგვიზმის რეჟიმში. ძირითადი სამეტყველო ენის სტატუსით წარმოდგენილია ეგვიპტური დიალექტი (ბუნებრივია, მისი სტანდარტული ვარიანტი, ე.ი. კაიროს მეტყველება), ხოლო კოდის გადართვის მუდმივი ობიექტია ინგლისური ენა. ამას თავისი, არა მხოლოდ სოციოლინგვისტური, მიზეზები აქვს.

¹ Code-switching (Encyclopedia of Arabic Language and Linguistics: 419).

ტრადიციული – კლასიკური არაბული გრამატიკის ერთი თავისებურება ისაა, რომ ზოგი გრამატიკული ტერმინი, თანამედროვე, ვთქვათ, ინგლისურ გრამატიკულ ტერმინოლოგიასთან შედარებით ნაკლებ კომფორტულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ კლასიკური არაბული ვარიანტი არა ერთ კონკრეტულ, არამედ, რამდენიმე ცნებას ერთდროულად შეესაბამება. მაგალითად, სიტყვა ḥarf-ით არაბი გრამატიკოსები აღნიშნავენ ბგერას, ასოს, თანხმოვანს, ნაწილაკს. სიტყვით maḥall – ბრუნვას, სიტყვის სინტაქსურ სტატუსს, სიტყვით wazn – მოდელს/ყალიბს, პარადიგმას, ლექსთწყობაში – სალექსო ფორმის საზომს, იგი ასევე გამოიყენება, როგორც მუსიკალური ტერმინი არაბულ მუსიკაში და ა.შ., მეორე მხრივ, სტუდენტთა 100-მა პროცენტმა სრულყოფილად იცის ინგლისური, სადაც ყოველ ამ ცნებას სრულიად განსაზღვრული, ერთი ტერმინი შეეფერება, რაც ყოველგვარ ორაზროვნებას გვაცვილებს თავიდან. მდგომარეობა რთულდება დიალექტთან მიმართებაში, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია და არც უნდა გააჩნდეს ლინგვისტური ტერმინოლოგია. კოდის გადართვის მიზეზი, დრო, ადგილი განისაზღვრა.

დასავლური არაბისტიკის შედარებით „გამარტივებული“, დასავლური განათლების ადამიანთათვის მეტად კომფორტული მიდგომის საილუსტრაციო მაგალითი არაბული გრამატიკის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით: არაბულენოვან არაბულ გრამატიკაში არ არსებობს სიტყვა „თემის“ (არაბული მორფოლოგიის, დერივაციის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კატეგორია) აღსანიშნად სპეციალური ტერმინი (გამოიყენება სიტყვა wazn, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვს და სიტყვის ნებისმიერ მოდელს გულისხმობს). აქაც ბუნებრივად განისაზღვრა კოდის გადართვის მიზეზი და კონკრეტიზებულ ინგლისურ ლექსემებზე გადასვლის მიზანშეწონილობა.

კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მეორე ენის (თანამედროვე ინგლისურის) ზოგ შემთხვევაში ეკონომიურობის მეტი ხარისხი არაბულთან შედარებით, მაგალითად, როდესაც ერთ ცნებას არაბულში გამოხატავს შედარებით რთული სინტაქსური კონსტრუქციისგან შემდგარი დეფინიცია, მაშინ, როდესაც მეორე ენაში მას ერთი ლექსემა გადმოსცემს: 'iddigām(u) ḥarfayin(i) l-'illa(ti) – ტერმინისთვის „დიფთონგი“ და სხვ., რაც ხშირია არაბულში ისეთ შემთხვევებში, როცა გარკვეულ ცნებათა გადმოსაცემად არაბული საკუთარ რესურსებს მიმართავს, ახდენს ცნების მნიშვნელობის აღწერას (როგორც დიფთონგის შემთხვევაში ვვაქვს) ან შედარებით ახალი ცნების უცხო სახელწოდების თარგმნას.

ლიტერატურა

- სილაგაძე 2010.** ა. სილაგაძე, თანამედროვე არაბული ენა: სპეციფიკა და სწავლების პრობლემა, შესავალი წერილი „თანამედროვე არაბული ენის სახელმძღვანელოსთვის“, თბილისი.
- ვეჯიბაძე 2010** ნ. ვეჯიბაძე, ევკლიპური დიალექტის გრამატიკა, I, თბილისი.
- Ferguson 1971:** Ferguson C.A., Diglossia, Language Structure and Language Use, Stanford, California.
- Kaye1994:** Kaye S., Formal vs. Informal in Arabic: Diglossia, Triglossia, Tetraglossia, etc., Poliglossia – Multiglossia, Journal of Arabic Linguistics, N 27, 47-66.
- Encyclopedia of Arabic Language and Linguistics, v. I, Brill-London, 2006, 414-421.

The Bilingual Education and Multiglossia in the Egyptian Society

Summary

The linguistic situation in the Arabic world and in the Egyptian society, in particular, is usually considered as diglossical (conditioned by confrontation of the dialectal and literary forms of Arabic), but the real situation is more complicated – multiglossal.

For a certain part of Egyptian society the linguistic situation is bilingual as well. Some Egyptian families give their children the European (generally with orientation on English) education. As a result, this part of Egyptian youth speaks, on one hand, English (sometimes other European languages as well) fluently and, on the other, the Egyptian colloquial Arabic – as a native language. In synthesis this gives a bilingual situation. The practice shows that their knowledge in the literary Arabic is very weak, because this is the language which Arabic children learn at school, but at their schools these youths have studied European languages, not Arabic; and at their Universities they are pushed to start studying the literary Arabic (if it is in Arabic countries) from zero-level, as non-native speakers.

At the American University in Cairo lectures in the grammar of literary Arabic are delivered against the background of bilingualism, in the regime of permanent interlingual code switching, where the Egyptian colloquial enjoys the status of the basic spoken language (of course, Cairene speech as the standard variety of the Egyptian dialect) and the object of the code switching is English. This event has its reasons, which are not always sociolinguistic: a) non-unique character of the Arabic grammatical terminology, b) more convenient and more simplified methods of western orientalism in approach to some themes of the Arabic grammar, c) in some cases – the more economical character of the English language in comparison with the Arabic.

პარინე ივანიშვილი

მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში: ნარდი, ნარდიონი

ქართულ ოთხთავში, ქართული ენის ისტორიის ყველაზე უძველეს და უმნიშვნელოვანეს წერილობით ძეგლში, „წმინდად არის დაცული ჩვენი ენის ძალიან შორეული სახე, ულტრაარქაული ლექსიკა, ზედმიწევნით მოქნილი, დახვეწილი და ექსპრესიული ძალის მფლობელი გრამატიკული ფორმები, შესახარბებელი სინტაქსი“ (იმნაიშვილი 1979, 1986).

ამდენად, ქართული თუ ქართველური ენების მკვლევართათვის ქართული ოთხთავი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს.

ქართველურ ენებში ხეებისა და მცენარეთა სახელების კვლევისას ყურადღება მიიქცია ოთხთავში დადასტურებულმა მცენარეთა სახელების კორპუსმა არა მარტო ეტიმოლოგიების დადგენისა და სიტყვათწარმოების შესწავლის, არამედ ბიბლიის ტექსტების ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული საკითხებისა და, ზოგადად, კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ისმის რამდენიმე ძირითადი კითხვა: როგორ ხდება მცენარეთა სახელების გადმოცემა ქართული ოთხთავის ტექსტებში: სესხებით, თარგმნით თუ მსგავსი სემანტიკის მქონე ეკვივალენტის ჩანაცვლებით? არის თუ არა ოთხთავში დადასტურებულ მცენარეთა სახელებს შორის საერთო-ქართველური ძირები? ნასესხებ ლექსიკასთან ერთად იხმარება თუ არა საკუთრივ ქართული (ქართველური) სინონიმური ფორმები? ნასესხები მასალა სახარების ტექსტის მეშვეობით შემოვიდა ქართულ ენობრივ სისტემაში თუ მანამდეც არსებობდა? რა კულტურული, რელიგიური მოტივები უკავშირდება ამა თუ იმ მცენარის სახელს მოცემულ კონტექსტში? როგორია ქართულ და ნასესხებ ძირთა დისტრიბუცია (მაგალითად, იმის მიხედვით, იზრდება თუ არა ეს მცენარე საქართველოში)? რამდენად ადეკვატურია ლექსიკური ეკვივალენტები და რით აიხსნება ცთომილებები? და ა.შ.

ქართული ოთხთავის ტექსტებში დადასტურებულია მცენარეთა 24 სახელი, ამჯერად განვიხილავთ *ნარდ-* ფუძეს.

სახარებაში *ნარდ-ი*, *ნარდიონ-ი* (nardus, siler, oleum nardeum) – მცენარე და მისგან გამოხდილი სურნელოვანი ზეთი დასტურდება შემდეგ მაგალითებში: „მოილო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი *ნარდისა* (შდრ. *ლარდიონი* რჩეული C)“ DE, ი. 12, 3; „აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი *ნარდისა* სარწმუნოისად“ DE, – „აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი *ნარდიონი* პატიოსანი“ C, მრ. 14, 3.

ნარდი (*Nardostachys jatamansi*) აღმოსავლეთში ცნობილი კეთილსურნელოვანი ძვირფასი მცენარეა (იოან. 12, 3-5). უმთავრესად შემოჰქონდათ ინდოეთიდან. პალესტინასა და მის მეზობელ ქვეყნებში ხარობს მთებსა და დაბლობებზე. მას მეწამული წითელი ყვავილები აქვს და საამო სურნელის მფრქვეველი ფოთლები. მისი ფესვებიდან ხდიდნენ ძვირად ღირებულ ზეთს, რომელიც 300 დი-

ნარზე მეტად ფასობდა (მრ. 14, 3; იოან. 12, 3), ინახავდნენ ალექსანდრიის თავდასურულ ქილებში.

იოანე ბაგრატიონი *ნარდის* შესახებ აღნიშნავს, რომ „გაიზრდების ინდოეთს და აქუს სუნი საამო“ (ბაგრატიონი 1986).

სულხან-საბა ორბელიანთან: *ნარდი* (ბალ.) (14, 3 მარკოზ.) ყვავილია სუნნელი (+და მრავალფერი Z), რომელსა სპარსნი *სუმბულს* უკმობენ ZA.

(ბალ.) (14, 3 მარკოზ) ყვავილია, რომელსა თურქნი *სუმბულს* უკმობენ B. (ბალ.) ყვავილია, რომელსა სპარსნი *სუმბულს* უკმობენ Cbq. (ბალ.) ყვავილია D. *ნარდიონი* (4, 14 ქება) სუნნელი ზეთი ნარდისა(გან) ZA.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბას მიხედვით *ნარდი* ყვავილია სუნნელი და მრავალფერი, რომელსა სპარსნი (სხვა რედაქციით – თურქნი) *სუმბულს* უკმობენ (14, 3 მარკ.) ZA.

სუმბული (Hyacinthus), არაბ. „სუნბულ“, ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, იკეთებს თეთრ, ლურჯ ან ვარდისფერ სურნელოვან ყვავილებს; მოჰყავთ ქოთნებში (ქეგლ).

არაბულში سنبُل [sunbul] – „თავთავი“ (შდრ. ქართ. „სუმბული“), ჯ. ლოვის აზრით, მომდინარეობს არამეულიდან. „ბუნებრივია, რომ არაბებს არ ჰქონდათ თავთავის აღმნიშვნელი ტერმინი, რადგანაც არაბული ყოფისათვის მიწათმოქმედება არ იყო დამახასიათებელი, მაგრამ მისი არსებობა ყველა სემიტურ ენაში შეიძლება მეტყველებდეს მის საერთო-სემიტურ წარმომავლობაზე. ვ. გეზენიუსი მას უკავშირებს ასურულ šubultu-ს და პარალელურად მოჰყავს ეგვიპტური ფუძე sabar(a) „ტოტი ნაყოფით“ (ნედოსპასოვა 1978: 40).

გ. წერეთლის არაბულ-ქართულ ლექსიკონში გვაქვს سنبُل [sunbul], ხ. ბარანოვთან: سنبُل [sunbul] 1. „თავთავი“; ე.ი. არაბ. ნ: ქართ. მ; 2. „ტიტა“.

ჰ. ლევის მონაცემებით თეოფრასტესთან, დიოსკორიდესთან და ნიკანდერთან დადასტურებული სახელი νάρδις, ἡ [nardos], მომდინარეობს ებრაული נֶרְד [nērd]-ისგან, ამ მცენარის სამშობლო ინდოეთია და მისი ებრაული სახელწოდება სანსკრიტულ nālada-ს უკავშირდება (Lewy 1895: 40).

მ. ნედოსპასოვას არაბულ ოთხთავში უცხო წარმოშობის ლექსიკის ანალიზისას აღნიშნულ ძირთან დაკავშირებით მოჰყავს საინტერესო ცნობები; კერძოდ, ივარაუდება, რომ *ნარდ* არაბულში სირიულიდან არის შესული და, ჯ. ლოვისა და ვ. გეზენიუსის აზრით, მომდინარეობს სანსკრიტის nālada-დან. აქვე აღნიშნულია, რომ მ. ფასმერი გ. ჰოფმანზე დაყრდნობით nard-ს განიხილავდა ფინიკიური წარმოშობის ძირად, ხოლო გ. ფრეიტაგი არაბულში نرد [nard]-ს სპარსულ ნასესხობად თვლიდა (ნედოსპასოვა 1978:77).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოთხთავის არაბული და სპარსული თარგმანების შესაბამის მუხლებში (ი. 12, 3; მრ. 14, 3), არაბულში – نَارِدَان [nāridān], სპარსულში კი – سنبُل [sombol] (შდრ. ქართ. სუმბული; აგრეთვე, ალბათ, სპარსულიდან ნასესხები თურქული hintsümbülü) ფუძეები გვხვდება.

ბერძნულის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში νάρδις, ἡ – *ნარდი* განმარტებულია შემდეგნაირად:

სემიტურიდან (ფინიკ.) მომდინარე ფუძეა; შდრ. ებრ. nērd, არამ. nirda, ბაბილ. landu. ამ ფუძის დაკავშირება ძვ. ინდ. ევროპ. nadá -სთან „ლერწამი“ მეტად სა-

ეჭვოა; უფრო სავარაუდოა, სემიტური ფუძეების ძვ. ინდ. ევროპ. *nálada-* „ინდური ნარდი“ ძირიდან მომდინარეობა, შდრ. ლიტ. ლათ. *nardus, -um*; ვ. ჰოფმანს *várðin* -თან ერთად მოცემული აქვს აგრეთვე *várðin*, როგორც არომატული მცენარის აღმნიშვნელი ფუძე (Thphr. HP 9,7,3) (Frisk 1960, 1970).

რაც შეეხება ქართულ ოთხთავში დადასტურებულ *ნარდ-*ს, როგორც ჩანს, ის ბერძნულის გზით სახარების ტექსტების თარგმანის მეშვეობით შემოსული ფუძეა.

ამგვარად, რომ შევაჯამოთ *ნარდ* ფუძის წარმოშობისა და ენებში გავრცელების ზემოთ განხილული მონაცემები, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ნარდ-, ნარდიონ- (მრ. 14, 3; ი. 12, 3; მრ. 14, 3 C): ქართული ნარდი [nardi]; ბერძნული *várðin*, ἦ [nardos]; ლათინური *nardus* (f.); ებრაული *נָרְדָּן* [nērd]; სომხური *նարդ* [nard]; არაბული *نَارِدِين* [nāridīn]; ინგლისური *nard*; გერმანული *Narde* (f.); ფრანგული *nard* (m.); რუსული *нард*; სპარსულსა და თურქულში წარმოდგენილია სხვა ლექსიკური ერთეული, კერძოდ, სპარსული *سبْول* [sombol]; თურქული *hintsümbülü*.

ლიტერატურა

აბულაძე 1973: ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

ბაგრატიონი 1986: ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

იმნაიშვილი 1957: ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

იმნაიშვილი 1979: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი.

იმნაიშვილი 1986: ქართული ოთხთავი, სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი.

მაყაშვილი 1961: ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნეღოსპასოვა 1962: მ. ნეღოსპასოვა, უცხო წარმოშობის სიტყვები ალ-ა შას პოეზიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“, 2, თბილისი.

ნეღოსპასოვა 1978: მ. ნეღოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბილისი.

ორბელიანი 1991, 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სპუ გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1945: ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი.

წერეთელი 1951: გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Баранов 1985: Баранов Х.К., Арабско-русский словарь, Москва.

Библейская энциклопедия 1990: Библейская энциклопедия, «ТЕРРА», Москва.

Библейский энциклопедический словарь 1985: Библейский энциклопедический словарь, Эрих Нюстрем, Канада, Торонто.

Бируни Абу Рейхан 1957-1966: Бируни Абу Рейхан, Избранные произведения, т. 1-3, Ташкент.

- Гаффаров 1914-1927:** Гаффаров М.А., Персидско-русский словарь, т. I-II, Москва.
- Рубинчик 1970:** Рубинчик Ю.А., Персидско-русский словарь, «Советская энциклопедия», Москва.
- Фасмер 1964-1973:** Фасмер Б., Этимологический словарь русского языка, т. I-IV, Москва.
- Al-Mawrid 1997:** Al-Mawrid, A Modern Arabic-English Dictionary, Beirut.
- Dehkhoda, Shahidi 1991:** Dehkhoda, A.A., Shahidi M., Moin J., et al.: Loghat Nāneh Dehkhodā. Dāneshgāh Tehrān, Tehran University
- Frisk 1960, 1970:** Frisk H., Griechisches etymologisches Wörterbuch: Etymological Dictionary of the Greek Language.
- Gesenius 1910:** Gesenius W., Hebräisches und aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig.
- Haim 2000:** Haim S., The Larger Persian-English Dictionary, Forhang-e Moaser, Teheran.
- Lewy 1895:** Lewy H., Die Semitischen Fremdwörter im Griechischen, Berlin.
- Liddell, Scott 1996:** Liddell H.G. and Scott R., Greek-English Lexicon, Oxford.
- Lów 1881:** Lów, J., Aramaeische Pflanzennamen, Leipzig.
- Māhvān 2001:** Māhvān, A., Iran Flora Dictionary. The First Persian Plants Dictionary of Iran.
- Novum Testamentum, Cracce et Latine:** Novum Testamentum, Cracce et Latine, utrumque textum cum apparatus critico imprimendum curavit EBERHARD NESTLE novis curis elaboraverunt Erwin Nestle et Kurt Aland, Editio vicesima secunda, United Bible Societies, London 1963/1969, printed in Germany.

Marine Ivanishvili

The Plant Names in the Georgian New Testament: *Nard*, *Nardion*

Summary

The corpus of the plant names in the New Testament is interesting from the point of view of the derivational forms and culture history. There arise some questions: How are the plant names presented in the Georgian New testament texts – by means of translation, borrowing, derivation/composition, or by means of replacement with similar semantic equivalents? Are the Proto-Kartvelian roots reflected among the New Testament's plant names? What cultural or religious motives are basic for the plant names in the given context? The article gives answers to the above-mentioned issues and presents the way of the origin and borrowing of one of the stems from twenty-four plant names of the New Testament texts: *Nard* (*Nardus*) and its oil *Nardion* (*Oleum nardeum*). The result of the investigation is given below:

nard-, *nardion-*: (MR. 14, 3; I. 12, 3; MR. 14, 3 C): Georgian ნარდი [nardi]; Greek νάρδος, ἡ [nardos]; Latin *nardus* (f.); Hebrew נרד [nērd]; Armenian նարդ [nard]; Arabic ناردين [nāridīn]; English *Nard*; German *Narde* (f.); French *Nard* (m.); Russian нард; In Persian and Turkish another lexical unit is attested: Persian سنبل [sombol]; Turkish hint-sümbülü.

В.Б. Иванов

ДВУХФОКУСНЫЕ СОГЛАСНЫЕ В ИРАНСКИХ ЯЗЫКАХ

Краткое содержание

В статье рассматривается категория щелевых двухфокусных согласных в системах консонантизма иранских языков. На материалах инструментально-экспериментальных работ (Ladefoged, Maddieson 1996; Соколова 1953; Пахалина 1959; Файзов 1999; Гаприндашвили, Гиунашвили 1964) оценивается корректность введения данной категории в традиционных фонетических описаниях и показывается её ненужность для дальнейших исследований.

Двухфокусные в языках мира

Во времена становления сравнительно-исторического метода в языковедении экспериментальные и инструментальные исследования ещё не получили сколько-нибудь ощутимого развития. В то же время многие из работ того периода стали своего рода классикой в иранистике и не потеряли своего значения до сих пор. В отношении описания некоторых фонетических явлений в истории иранских языков существует несколько школ, которые, не противореча в главном, всё же обладают существенными отличиями. Эти отличия в трактовке, интересные сами по себе, являются источником постоянных вопросов со стороны учащихся и побуждают более строго разобраться в некоторых весьма тривиальных, на первый взгляд, сведениях.

Данная статья ставит своей целью оценку вероятности существования двухфокусных согласных в истории иранских языков с точки зрения методов экспериментальной фонетики. При этом, не претендуя на новизну, мы постулируем следующую весьма естественную закономерность и исходим из следующих соображений:

- (1) Фонетические явления, которые не обнаруживаются в живых языках, невероятны и в мёртвых.

Напротив, звуки, которые можно найти в большом числе языков, будем считать вероятными. Соответственно, редкость каких-либо звуков в языках мира свидетельствует в пользу меньшей вероятности их существования в истории языка. Сведения по общей фонетике берутся в основном из работы (Ladefoged, Maddieson 1996), в которой приведены данные, собранные более чем в 400 языках мира. Сведений по иранским языкам, за исключением двух незначительных ссылок, нам в этой монографии обнаружить не удалось, так что введение в мировой научный оборот достижений отечественной иранистики, представляется по-прежнему актуальной задачей.

По поводу возможности воспроизведения слышимых фрикативных шумов в двух фокусах одновременно P. Ladefoged и I. Maddieson пишут: "Это очень трудно... Щелевые согласные требуют более точного позиционирования органов речи, чем смычные или аппроксиманты (согласные типа *w* – В.Б.). Размеры щели между артикуляторными органами и скорость возду-

шного потока должны быть в критических пределах, чтобы создать трение. Достижение сразу двух таких критических регулировок, особенно, когда скорость потока должна быть различной в разных точках, весьма проблематично. По законам акустики, даже если и появляются два источника трения, более передний из них в ротовом резонаторе маскирует эффект более заднего. Отсюда щелевые звуки с двойным фокусом представляются лингвистически нежелательными элементами; они трудны для произнесения и плохо различаются" (Ladefoged, Maddieson 1996:329-330, перевод наш).

Помимо существования огубленных согласных в гуттуральном ряду во многих работах упоминается наличие огубленности на определённых этапах развития и в сибилантном ряду. Как известно, щелевые (фрикативные) бывают двух типов:

- а) создающие турбулентность воздушного потока в самой щели;
- б) создающие турбулентность за счёт обдува вырывающимся из щели воздухом какого-либо препятствия, напр. зубов.

Последние и называются сибилантами. К их числу относят [s], [z], [š], [ž] с разного рода дополнительными артикуляциями и модификациями (напр. церебральностью, палатализацией). К числу несибилантов относят [θ], [ð]. Среди корональных щелевых согласных (т.е. артикулируемых кончиком и передней частью спинки языка) насчитывается 5 несибилантов и 14 сибилантов (Ladefoged, Maddieson 1996:138).

Двухфокусные в истории языков

На этапе выделения индоиранских языков восстанавливают различные позиционные рефлексы индоевропейского сибиланта *s: [s], [š], [ś], среди которых есть и огубленный [s^w]¹ (Эдельман 1986:47). Последний существовал в отдельных диалектах в соседстве со звуками, имевшими лабиальный компонент. Полагается, что в соответствии с правилом RUKI варианты *s приобретали второй фокус, гоморганный соседнему звуку. Через эту двухфокусную стадию *s после *r, *u, *k (включая рефлексы огубленного *k^w) и *i перешло в балтийских и в большинстве арийских языков в [š]. В праславянском оно дало [x], [š] (Эдельман 1986:47; Эдельман 2002:30-31).

Поскольку для современной экспериментальной фонетики описанный процесс представляется маловероятным событием, попробуем взглянуть на эту проблему немного по-другому. Известно утверждение о том, что в период становления группы сатэм звук *s остался практически единственной щелевой согласной фонемой и имел широкую вариабельность. Тогда он реализовывался в виде двух аллофонов [s] и [z] (Эдельман 1986:47; Эдельман 2002:30; Семереньи 2002:62).

Такая широкая вариативность делает избыточной гипотезу о втором щелевом фокусе. Первый (основной) фокус мог передвигаться от передних зубов до мягкого нёба, не нарушая контраст (2) с другими щелевыми согласными. А зафиксироваться в более задней позиции (как для [š]) он мог с появлением более передних щелевых, напр. [f] или [θ], которые отмечаются в

¹ В оригинале обозначено [s^o].

древнеперсидском и авестийском (Расторгуева 1997:17). Переход из одного фонологического состояния в другое звук [s^w] мог проделать за исторически короткий период.

Известны случаи, когда ненормированные языки развиваются так быстро, что фонологически существенные изменения могут произойти за время жизни одного–двух поколений носителей. Так, при обследовании языка бадага дравидской семьи в работе Эмено (Emeneau 1939; Ladefoged, Maddieson 1996:313) было выяснено, что 5 гласных [i], [e], [a], [o], [u] в нём могут быть простыми, полуретрофлексными и полностью ретрофлексными (т.е. иметь 3 ступени градуальной оппозиции). Эмено представил тогда доказательства, что все 15 гласных обладают фонологическим контрастом. Его полевое исследование проводилось в 1930-х годах. В 1980-х годах результаты его исследования были проверены на современных носителях языка бадага, включая внука того носителя языка, который был информантом Эмено. Из большого числа информантов сохранились очень немногие, которые могли поддерживать трёхступенчатый контраст, да и то, для одного, максимум двух гласных (Ladefoged, Maddieson 1996:314).

Аналогичная скорость развития (а с некоторой точки зрения и деградации фонетической базы) характерна для бесписьменных памирских языков. Например, в ишкашимском языке прямо на глазах утрачивается контраст простых и церебральных согласных. Упрощение фонетической системы происходит, очевидно, под влиянием многоязычия с окружающими языками, в которых нет ретрофлексных. К числу последних относится таджикский.

У нас пока нет оснований предполагать, что v-образная (губно-зубная) дополнительная артикуляция существовала в истории иранских языков. Обратим внимание также на то, что среди фонетических знаков Международной фонетической транскрипции (ИФА) нет верхних индексных знаков v^(v) и o^(o), есть только w^(w), который рекомендуется для обозначения огубленности любых согласных. Опыт показывает, что использование транскрипционных знаков, несоответствующих международным стандартам, неперспективно. Их поддержка требует постоянных дополнительных усилий со стороны авторов и издателей. Поэтому в будущих иранистических работах для обозначения огубленности согласных можно рекомендовать использование обозначений только типа x^w, h^w и т.п., воздерживаясь от индексных знаков v^(v) и o^(o).

Традиционный подход к двухфокусным в иранских языках

Тривиальным положением российских (советских) описаний консонантизма иранских языков было, есть и, к сожалению, ещё какое-то время будет утверждение о том, что щелевые [š] и [ž] являются двухфокусными. Ссылки здесь не приводятся, потому что количество таких работ измеряется сотнями.

Вместе с [š] и [ž] в категорию двухфокусных попадают также аффрикаты [č] и [j] иранских языков. Аффрикаты, как известно, состоят из смычного начала и щелевого продолжения. Полагается, что двухфокусность аффрикат проявляется на их щелевых участках [š] и [ž] (Соколова 1953:223).

В западной лингвистике наличие щелевых двухфокусных в иранских языках нигде не упоминается. Создаётся впечатление, что там об этой фундаментальной особенности иранских согласных никто не знает. В чём же тут дело?

Заглянем в «Общие фонетики», написанные в середине прошлого века (см. Зиндер 2007:170-172 и Матусевич 1959:48-50). Из приведённых там рассуждений (вопреки мнению, высказанному в книге Ladefoged, Maddieson 1996:329–330) следует, что двухфокусные являются наиболее распространённым видом щелевых. Для [ш] в русском языке помимо подъёма кончика языка постулировался подъём его задней части, для [š] в английском и польском — средней. При этом опорой для таких выводов служило учение академика Л.В. Щербы, который в свою очередь опирался на работу (Bremer 1893:74), в которой история *ich*-лаута выводилась из сочетания [s + x].

Эти теоретические положения тогда экспериментально не проверялись. Исследования психологии речи показывают, что человек не в состоянии по своим ощущениям определить форму спинки своего языка в потоке речи. При наличии авторитетного мнения и при невозможности решить проблему непосредственным наблюдением, возникает placebo effect – эффект самогипноза, когда сомнение решается в пользу общепризнанного представления.

Мнения самих иранистов на этот счёт иногда звучат довольно курьёзно. Одна известная иранистка на вопрос: "Почему Вы в описании исследуемого Вами языка вставили в таблицу консонантизма щелевые двухфокусные, хотя американские лингвисты говорят, что они не существуют?" ответила, что эту типовую таблицу им спустили сверху. Эту таблицу, конечно, никто не навязывает, её выбирают сами иранисты, на подсознательном уровне полагая, что более сложная таблица свидетельствует о более высоком уровне исследования.

Данные палатографирования

Приблизительно в середине прошлого века появляются инструментальные возможности для проверки существования двухфокусных. Сначала таким инструментальным методом стало палатографирование, которое, однако, в те времена имело значительные ограничения. Артикуляцию (прикосновение языка к искусственному мягкому нёбу) можно было "сфотографировать" один раз за всё слово. Затем искусственное мягкое нёбо надо было вынуть из рта информанта.

Палатографированием на материале иранских языков занимались В.С. Соколова и Т.Н. Пахалина. На Рис. 1 показаны палатограммы ваханских щелевых церебральных согласных [š] и [ž] по работе (Соколова 1953:228). На нём ясно видно, что сближение боковых краёв языка (заштрихованных областей) происходит в одном месте. Сближения нам указывают на место образования узкой щели (другими словами фокуса).




Рис. 1. Палатограммы ваханских церебральных [š] и [ž] (Соколова 1953:228)

Второго сближения (фокуса) на палатограммах не видно ни на средней, ни на задней части спинки языка, тем не менее, вывод о двухфокусности щелевых церебральных довольно категоричен, и даже подчёркивается её фонологическая существенность (Соколова 1953:222).




Рис. 2. Палатограммы ваханских обычных [š] и [ž] (Соколова 1953:228)

В этой работе есть палатограммы и простых щелевых [š] и [ž] (см. Рис. 2). Как правило, в иранских языках они имеют палатализованный (мягкий) характер в отличие от русских [ш] и [ж], где они твёрдые. В случае с церебральными щель особенно узка потому, что язык загнут вверх и ближе прижат к провалу в альвеолах, чем в случае с обычными [š] и [ž], где язык имеет плоскую форму и не обтекает провал в альвеолах. Различные формы щели и языка создают разные виды турбулентности (завихрений), что выражается акустически в различных спектрах. Для оценки различий в спектрах шумных согласных разных категорий удобно использовать параметр под названием «центр тяжести».

На Рис. 2 мы не видим таких явных сближений боковых краёв языка, как на Рис. 1. Сама В.С. Соколова пишет: "Существенно отметить, что для фонем [š] и [ž] передний фокус вообще фонологически не обязателен: в отдельных случаях (при вялой артикуляции) кончик языка вовсе не участвует в работе, оставаясь опущенным к основанию нижних зубов. В этих случаях возникают среднеязычные круглощелевые согласные [ṣ̌] и [ẓ̌], которые воспринимаются на слух как очень мягкие [ṣ̌] и [ẓ̌]" (Соколова 1953:222-223). Необязательность переднего фокуса вводится также и для ваханских аффрикат [č̣], [j̣], [č̣] и [j̣] (Соколова 1953:223). Эти высказывания В.С. Соколовой вполне примиряют точки зрения наших иранистов и П. Ладефогед. Всё же возникает теоретический вопрос: если один из фокусов не обязателен, зачем же согласные называть двухфокусными? Иными словами, факультативные элементы нельзя считать системообразующими.




Рис. 3. Реализации ишкашимского церебрального [ṣ̌] в произношении двух информантов (Пахалина 1959:27)

На Рис. 3 хорошо видно сходство ишкашимского церебрального [š] с ваханским: всё тот же один фокус. Но, как и в работе (Соколова 1953), он однозначно причисляется к двухфокусным (Пахалина 1959:24).

Данные рентгенографии

Рентгенография по сравнению с палатографированием является более надёжным инструментом артикуляторных исследований, так как расширяет наш кругозор: рентген работает не только с местом контакта активных и пассивных органов, но и позволяет видеть их форму в целом. В иранистике нам известны всего две работы с использованием рентгенографии: в персидской фонетике (Гаприндашвили, Гиунашвили 1964) и в таджикской (Файзов 1999).




Рис. 4. Рентгенограмма персидского [š] (Гаприндашвили, Гиунашвили 1964:100)

Традиционно, на слух, в обоих языках [š] и [ž] (нередко и [č], [j]) относят к двухфокусным. Рентгенографическая проверка на материале персидского языка продемонстрировала, что: "Понижение задней части спинки языка, наблюдаемое нами как при [ž], так и при [š] свидетельствует о несостоятельности мнения о том, что для получения эффекта шипения необходим подъём вверх задней части языка и сближение его с мягким нёбом для образования т. н. "второго шумообразующего фокуса". В персидском литературном произношении акустические твёрдость и мягкость обусловлены позицией данного звука. Значительная ширина задней части резонатора способствует восприятию [š] скорее не как мягкого, а скорее как твёрдого спиранта. Как показало нам рентгенографическое исследование, в персидском литературном языке при артикуляции спирантов "второй шумообразующий фокус" не наблюдается» (Гаприндашвили, Гиунашвили, 1964: 100; см. Рис. 4 и Рис. 5).




Рис. 5. Реализации персидского [ž] в исполнении трёх информантов (Гаприндашвили, Гиунашвили 1964:93)

В своей работе, посвящённой таджикскому литературному языку М.Ф. Файзов пишет: «Основываясь на рентгенографическом исследовании, можно утверждать, что при артикуляции шипящих спирантов таджикского литературного языка "второй шумообразующий фокус" не наблюдается. Таким образом, органы речи при артикуляции "ш" сближаются только в одном месте. О двухфокусности "ш" таджикского литературного произношения и речи быть не может» (Файзов 1999:15; см. Рис. 6).




Рис. 6. Рентгенограмма таджикского [š] (Файзов 1999:15)

Из рассуждений на стр. 3 той же работы М.Ф. Файзова становится понятным, что и таджикское [ž] он тоже относил к щелевым однофокусным согласным.

Выводы

Приведённые в нашей статье материалы инструментальных и экспериментальных исследований недвусмысленно свидетельствуют о том, что постулирование существования щелевых двухфокусных согласных в языках мира вообще, и в иранистике в частности не имеет аргументированной базы и достаточных оснований. Пока что мы не получили от сторонников существования щелевых двухфокусных ни одного материального доказательства – палатограммы или рентгенограммы. Отметим также, что рентгенографическое исследование (Гаприндашвили, Гиунашвили 1964), хотя и было написано около полувека тому назад, не потеряло своей научной значимости и до сих пор. Таким образом, предлагается из типовой схемы классификации согласных в иранских языках графы «щелевые двухфокусные» и «двухфокусные аффрикаты» изъять как не получившие инструментального подтверждения и как не соответствующие действительности.

Литература

- Гаприндашвили, Гиунашвили 1964:* Гаприндашвили Ш.Г., Гиунашвили Дж.Ш., Фонетика персидского языка, Т. 1., Мецниереба, Тбилиси.
- Зиндер 2007:* Зиндер Л.Р., Общая фонетика и избранные статьи, Изд. 2-е. Академия, Москва – Санкт-Петербург.
- Матусевич 1959:* Матусевич М.И., Введение в общую фонетику, Пособие для студентов университетов и педагогических институтов, Государственное учебно-педагогическое издательство Министерства просвещения РСФСР, Москва.

- Пахалина 1959:** Пахалина Т.Н., Ишкашимский язык, Очерк фонетики и грамматики, Тексты и словарь, Издательство Академии Наук СССР, Москва.
- Расторгуева 1997:** Расторгуева В.С., Иранские языки. // Языки Мира, Иранские языки(в трёх томах), т. 1, Институт Языкознания, Российская Академия Наук, издательство «Индрик», Москва.
- Семереньи 2002:** Семереньи О., Введение в сравнительное языкознание, УРСС, Москва.
- Соколова 1953:** Соколова В.С., Очерки по фонетике иранских языков, Т. II, Москва-Ленинград.
- Файзов 1999:** Файзов М.Ф., Альбом артикуляций звуков таджикского литературного языка, Под ред. Расторгуевой В.С., Национальный банк Республики Таджикистан, Институт языка и литературы им. Рудаки АН РТ, Душанбе.
- Эдельман 1986:** Эдельман Дж.И., Сравнительная грамматика восточноиранских языков. Фонология, «Наука», Москва.
- Эдельман 2002:** Эдельман Дж.И., Иранские и славянские языки. Исторические отношения, «Восточная литература», РАН, Москва.
- Bremer 1893:** Bremer O., Deutsche Phonetik, Leipzig.
- Emeneau 1939:** Emeneau M., The Vowels of Badaga Language. // Language 15; 43–7.
- Ladefoged, Maddieson 1996:** Ladefoged Peter, Maddieson Ian., The Sounds of the World's Languages, Blackwell Publishers, Padstow, Cornwall, Great Britain.

კლადიმერ ივანოვი

ორფოკუსიანი თანხმობები ირანულ ენებში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ირანული ენების ორფოკუსიან ნაპრალოვან თანხმობათა კატეგორია. ექსპერიმენტულ-ინსტრუმენტულ გამოკვლევათა მასალაზე (Ladefoged, Maddieson 1996; Соколова 1953; Пахалина 1959; Файзов 1999; Гаприндашвили, Гиунашвили 1964) შეფასებულია ტრადიციულ ფონეტიკურ აღწერებში ამ კატეგორიის შეტანის კორექტულობა და ნაჩვენებია მისი უვარგისობა შემდგომი კვლევებისათვის.

პასტანო იმნაიშვილი

**საკუთარ სახელთა ბრუნების ერთი განსაკუთრებული
შემთხვევა ქართულში**

ცნობილია, რომ ქართულში ანთროპონიმები კვეცას არ ექვემდებარება, სხვა სახის საკუთარი სახელები (გვარები, მდინარეთა, ქვეყნების, დასახლებული პუნქტებისა და მსგავსთა სახელწოდებანი), როგორც წესი, იკვეცება. სიზუსტისთვის დავძენ: ფუძეუკვეცელთა ჯგუფში შედის, აგრეთვე, უცხოურიდან შემოსული ხმოვანფუძიანი გვარები.

ქვემოთ განხილულია ადამიანთა სახელების ერთი განსაკუთრებული ჯგუფი, როცა საკუთრივ ადამიანის სახელს მოსდევს დამატებით რაიმე სახის მეტსახელი (ან მასთან გათანაბრებული სიტყვა), რომლის ფუძეც ე ხმოვანზე მთავრდება (გიორგი ბრწყინვალე, ეფრემ მცირე, ივანე მრისხანე და მსგავსნი).

სიტყვა, რომელიც ანთროპონიმს მოსდევს, პიროვნების რაღაც თვისებაზე ან ხარისხსა თუ წოდებაზე მიუთითებს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ეს განმარტება არაა საკუთარი სახელი, ჩვეულებრივ, ზედსართავია ან მიმღეობა და ერთგვარი განსაზღვრების როლში გამოდის. წესით, ამგვარი სიტყვა ისევე უნდა იცვლებოდეს, როგორც ცალკე აღებულ ზედსართავს შეეფერება: ბრუნებისას კვეცას უნდა ექვემდებარებოდეს. თვით შესიტყვება კი გარეგნულად მსაზღვრელსაზღვრულის ინვერსიული წყობის, ანუ საზღვრულ-მსაზღვრელის, ტოლფასია.

როდესაც საკუთარი სახელის შემდეგ მდგომი მეტსახელი (ფაქტობრივად – განსაზღვრება) ე ხმოვანზე მთავრდება, ანუ გვაქვს შესიტყვება, რომლის მეორე წევრი ე-ფუძიანი მსაზღვრელია, მაშინ უკანასკნელი სიტყვა იმის ნაცვლად, რომ ნათესაობითსა თუ მოქმედებითში შეიკვეცოს, ხშირად ე ხმოვანს ინარჩუნებს და ნათესაობითი გარეგნულად ემსგავსება მიცემითი ბრუნვის ფორმას. მაშასადამე, ვთქვათ, შესიტყვება „გიორგი ბრწყინვალეს“ რომელიც ფორმის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ მიცემით ბრუნვას გამოხატავს („გიორგი ბრწყინვალეს მიმოწერა ჰქონდა რომის პაპ იოანე XXII-სთან“), ზოგჯერ შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით იყოს აღჭურვილი (გიორგი ბრწყინვალეს სასახლე).

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს, საკუთრივ ადამიანის სახელი (ანთროპონიმი) ხმოვანზე მთავრდება თუ თანხმოვანზე.

აღნიშნულის კერძო შემთხვევა გვაქვს მაშინ, როცა საკუთარი სახელის დამატებად გამოდის არა ზედსართავი ან მიმღეობა, არამედ რიცხვითი (უკეთ, რიგობითი რიცხვითი) სახელი („პირველის“ გამოკლებით, ვთქვათ, „ერეკლე მეორე“), რაც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საისტორიო პროფილის მქონე ლიტერატურაში, როდესაც რიცხვითი სახელი ამა თუ იმ მეფის, დედოფლის, პაპის თუ სხვათა სახელის რიგითობას მიუთითებს: ვახტანგ მეექვსე, ეკატერინე მეორე, პაპი იოანე-პავლე მეორე და ა.შ.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშები უფრო იშვიათად გვხვდება ნორმატიულთან შედარებით, მაგრამ ენაში მაინც საკმაოდ გავრცელებულია და თანდათან ფეხს იკიდებს.

მიემართოთ მაგალითებს:

გიორგი ბრწყინვალე

„დავით IX – ერთიანი საქართველოს მეფე 1346-1360 წლებში, გიორგი V ბრწყინვალეს ძე“ („საქართველოს მეფეები“ /რედაქტორები მ. ლორთქიფანიძე და რ. მეტრეველი/, 2000, გვ. 165).

„XIV საუკუნეში მხოლოდ გიორგი ბრწყინვალეს დროს (1314-1346 წწ.) ამოისუნთქა ქვეყანამ“ („გვიანი შუა საუკუნეები. XV-XVIII სს: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. 2009: heritagesites.ge).

„გიორგი ბრწყინვალეს, ფარნავაზ მეფის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და ვახტანგ მეექვსის დაზღურ-მონუმენტური ტილოები საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა მხატვარმა ბექა ჯანაშიამ შექმნა“ (ლ. ვარშალომიძე საკონსტიტუციო სასამართლოში ქართველ მეფეთა დარბაზის გახსნას დაესწრო: ახალი ამბების სააგენტო. 22.11.2010: ghn.ge)

„ერთიანი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში იყო ძალზე ხანგრძლივი, ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის წყვეტა, ანუ გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ“ (ა. ჭყვიძე, ერეკლე მეორე და თანამედროვე საქართველოში არსებული „რუსული დისკურსი“ – ერთი მაგალითი: ერეკლე მეორის საზოგადოება. 25.03.2009: erekle-2.ge)

ეფრემ მცირე

„ეკლესია დგას ი. გრიშაშვილისა და ეფრემ მცირეს სახელობის ქუჩებს შორის მომალლო ადგილას“ (თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977, გვ. 86).

„ხსენებული პრობლემა მხოლოდ ეფრემ მცირეს დროს როდი იყო აქტუალური“ (ნ. ტაბიძე, გალაკტიონი – მკითხველი: lit400.ge).

„ეს ტენდენცია განსაკუთრებით მას შემდეგ იჩინა თავს, რაც იქმნება ათონური და შავი მთის სკოლების ქართული ხელნაწერი კრებულები, რომლებშიც გაერთიანებულია ექვთიმე მთაწმიდლის, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელისა და ამავე წრის მოღვაწეთა თარგმანები“ („ქართული ხელნაწერი წიგნი“: შერეული კრებულები: geomanuscript.ge).

„ამ პერიოდის მთარგმნელობითი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლებია ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდმოცემაი“ და იოანე პეტრიწონელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ბუნებისათვის კაცთა“ („ქართული ტრადიციული მედიცინა“. 3.02.2011: curamediana.ge).

გიორგი მცირე

„ტექსტი, რომელიც გიორგი მთაწმინდელის მიერ არის წარმოთქმული, ამოღებულია გიორგი მცირეს თხზულებიდან „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ (დ. ივერიელი, სიბნელის ქადაგება ეკლესიის სახელით. 20.06.2009: jvarosnebi.com).

„1311 წელს გიორგი თავისი ძმიშვილის – მცირეწლოვანი გიორგი VI „მცირეს“ რეგენტი გახდა“ („გიორგი V ბრწყინვალე“: tbiliso.ge).

„გიორგი მცირეს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ (გიორგი მთაწმინდელი – 1000: sites.google.com).

გაბრიელ მცირე

„გაბრიელ მცირეს ორიგინალური მემუარული თხზულებანი თავმოყრილია ხელნაწერ კრებულში, რომელსაც «ჯვარშემოსილი» ეწოდება“ (დაცულია ბოდლის ბიბლიოთეკაში, მარჯორი უორდროპის ფონდში“): „გაბრიელ მცირე“: ka.wikipedia.org).

დიონისე მცირე

„ქრისტიანული წელთაღრიცხვა, ანუ ახალი ერა, VI საუკუნიდან აბატ დიონისე მცირეს წინადადებით შემოდის (ირაკლი მჭედლიშვილი – „სივრცე-დრო და ადამიანური სამყაროს წყობა“. „ბურუსი“, 7.10.2010: Burusi.wordpress.com).

„ქრისტიანულმა ეკლესიამ დააკანონა დიონისე მცირეს მიერ შემოთავაზებული ქრისტეს შობის თარიღი და 532 წლიანი მოქცევა“ („იესო ქრისტეს შობის თარიღი“. Niksologia: niksologi.wordpress.com).

ნილოს მცირე

„ანონიმის თხზულება ნილოს მცირეს ცხოვრებაზე: (ka.wikipedia. 7val.com/wiki/PG-120)

რენე მოწყალე

„ნოსტრადამუსის წინაპრები მსახურობდნენ კალაბრიის ჰერცოგის – რენე „მოწყალეს“ კარზე მკურნალებად“ („მიშელ დე ნოსტრადამი (ნოსტრადამუსი)“: join.ge.articles.7.10.2009).

იოანე მოწყალე

„ღირსი ვიტალი იყო ღირსი სერიდის მონასტრის ბერი, ალექსანდრიაში ჩავიდა წმიდა პატრიარქ იოანე მოწყალეს დროს“ („ღირსი ვიტალი (609-620)“: orthodoxy.ge/tveni).

სტეფანე პირველმოწამე

„აი მოლოცვილი 12 ტაძრის თანმიმდევრული მარშრუტიც: ჯვარი, ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტერი (ამჟამად მიმდინარეობს კელიების მშენებლობა), სვეტიცხოველი, ანტიოქია, სტეფანე პირველმოწამეს ეკლესია“ („მცხეთა-შიომღვიმე, ერთი დაუვიწყარი დღე“. „მართლმადიდებლური ფორუმი“: church.ge)

სვიმონ მესვეტე

„არკონის სვიმონ მესვეტეს ეკლესიის რეაბილიტაცია“ („საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“: „ტენდერები და განცხადებები“. „24 საათი“ /11.05.2010/).

„წმ. სვიმონ მესვეტეს სახელობის ეკლესიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე დასრულდება“ („საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ 2009: heritagesites.ge).

ფოტინე მეუღაბნოე

„ფოტინე მეუღაბნოეს ცხოვრებაშიც მოხსენებულია, რომ იმ უდაბნოში, სადაც იგი მოღვაწეობდა, მოგვიანებით... სასადილოები გახსნეს“ („მამა პაისი მთაწმინდელი“: „გარეგან ხმაურზე და შინაგან უმფოთველობაზე. ადამიანებმა მშვიდი ბუნება შეცვალეს“ (kocika.piczo.com).

პავლე მეუღაბნოე

„წმიდა ისიდორე პელუსიოტელმა ნეტარი მამის უხრწნელი ნაწილები თავის სავანეში გადაასვენა და მისი სულიერი მეგობრის, ღირსი პავლე მეუღაბნო-

ეს ნეშთის გვერდით დააბრძანა“ („წმინდანთა ცხოვრება. ღირსი პაისი დიდი (V)“, orthodoxy. ge.19.06) // („პაისი დიდი“: ka.wikipedia.org. პორტალი: წმინდანები).

პამვა მეუღაბნოე

„პამვა მეუღაბნოეს ბმული გვერდები“ (linux24web.info).

ნილოს მირონმდინარე

„ღირსი მამა ნილოს მირონმდინარეს წინასწარმეტყველებანი“ („წინასწარმეტყველება. ქართული საფიხვნო“: 7.05.2004).

„მამა ნილოს მირონმდინარეს წინასწარმეტყველებანი“ („ანტიქრისტე“. holmes. ge).

იოანა მენელსაცხებლე

„გოგონას სახელი დედა სიღონიამ შეურჩია, წმინდა იოანა მენელსაცხებლეს ხსენების დღის (10 ივლისს) საპატივეცემულოდ“ (primetime: ptpress.ge) (30.07.2010)

ივანე მრისხანე

„სამ ნაწილად ჩაფიქრებული „ივანე მრისხანეს“ პირველი სერია 1944 წელს გამოდის კინოეკრანებზე“ (გ. თუშმალიშვილი, „აფიშის თავში: თეატრი, კინო და პოლიტიკა“. „24 საათი“, 13.01.2011).

„ეს სახელმწიფო, ივანე მრისხანეს ეპოქიდან დაწყებული, დღესაც არის საფრთხე როგორც ევროპისთვის, ისე აზიისთვის“ (ნ. ხაჩიძე, რატომ აჯობებს პოლონელებმა და ფინელებმა ქართველებს რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში: „თბილისელები“ №16, 12.05.2010.).

„ივანე მრისხანე“ რუსეთის მეფე ივანე IV არის. მაგრამ ეს შესიტყვება განზოგადდა და არაიშვიათად ამ სახელის მატარებელი სხვა პირების მიმართაც ითქმის:

„ივანე მრისხანეს“ სიძლიერე საკუთარ ტყავზე „ბარსელონასაც“ აქვს გამოცდილი, როცა ჩილეელმა ერთ-ერთ „ელ-კლასიკოში“ კატალონიელებს 4 გოლი „უსახსოვრა“ (საუკეთესო «9-იანები» „რეალის“ ისტორიაში. 10.09.2009: almadrid.ge). აქ ივარაუდება „რეალის“ ჩილეელი ფორვარდი ივან სამორანო.

„ოპოზიციის ამ ნაწილს „ივანე მრისხანეს“ გადაყენება არ მოუთხოვია“ (თ. მარხვაძე, „მერაბიშვილის ჩასაძირად ოქრუაშვილს აბრუნებენ“: „ახალი თაობა“ 25.01. 2010). აქ „ივანე მრისხანეში“ ვანო მერაბიშვილი იგულისხმება.

„ალბათ, ახლა იოლი მისახვედრია, რატომ დაესხნენ თავს „ივანე მრისხანეს“ დამქაშები თავიანთი ნაკრების მეკარე სტოიკოვიჩს“ („ევროპის რისხვა „Иван Грозный““. მთავარი: fanebi.com. 16.11.2010). ეს „ივანე მრისხანე“ კი სერბი ტერორისტი ივან ბოგდანოვია: „არეულობის დროს 29 წლის ნიღბიანი ივან ბოგდანოვი (მეტსახელად „ივანე მრისხანე“) ტრიბუნებისა და სტადიონის გამყოფ ღობეზე ავიდა“ („იტალია-სერბეთზე არეულობის წამომწყები 3 წლით დააპატიმრეს“: „მსოფლიო სპორტი“ 8.03.2011. worldsport.ge).

„ივანე მრისხანეს“ ეძახდნენ აგრეთვე სახელგანთქმულ ამერიკელ ჩოგბურთელს ივან ლენდლს, რომელიც თავის დროზე 270 კვირის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო (Лендл, прозванный Иваном Грозным, нико-

гда не работал с теннисистами на высшем уровне, Будет ли Лендл тренировать Маррея? – Теннис: Eurosport.ru 29.03.2011).

კუზმა-მრისხანე

„მის ყოველ წარმოდგენას აღემატებოდა ის საშინელება, რომელიც კუზმა-მრისხანეს თვალთაგან შემოჰყურებდა“ (ლ. ქიაჩელი, ჰაკი აბბა, lib.ge).

პიპინ მოკლე

„768 წელს ფრანკების მეფე გახდა პიპინ მოკლეს შვილი კარლოსი („სა-ფრანკეთის ისტორია. ფრანკთა სამეფო“: ka.wikipedia.org).

„არც მე მახსენდება არავინ პიპინ მოკლეს გარდა“ (ნ. ხაჩიძე, რატომ არის გარდაუვალი...: „თბილისელები“ №31, 2010).

„755 წელს, ფრანკთა მეფის პიპინ მოკლეს მიერ რომის პაპის ოლქის შექმნამ, რომის პაპები, რომლებიც დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასულიერო პირები იყვნენ, საერო ხელისუფლებითაც აღჭურვა“ („ქრისტიანული ეკლესია შუა საუკუნეებში“: ქრისტიანობა: ka.wikipedia.org)

„კარლი უფროსი ვაჟი იყო პიპინ მოკლესი“ („ფრანკთა იმპერია“: ka.wikipedia.org).

„ადრეულ შუა საუკუნეებში, ეკლესიასა და ფრანკთა საერო ხელისუფლებას შორის ძალაუფლების განსამტკიცებლად დამყარებული ურთიერთობა 800 წელს პიპინ მოკლეს შვილის, კარლოსის იმპერატორად კურთხევის აქტით დაგვირ-გვინდა“ („კაროლინგების დინასტია“: ka.wikipedia.org).

გიორგი მერჩულე

„გავიხსენოთ თუნდაც გიორგი მერჩულეს თხზულებიდან პპორტრეტი“ (ს. ცაიშვილი, „ფილოლოგიური ეტიუდები“: „ლიტერატურული საქართველო“ №5, 1982, გვ. 10).

„შეგადართ ამ ტიპიური ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი გიორგი მერჩულეს მოთხრობის გმირს“ (ვ. ჭელიძე, „ჩარჩობი“: „ლიტერატურული საქართველო“ №23, 1976).

„მოთავსდება ამ ვიწრო ჩარჩოში გიორგი მერჩულეს, ბასილ ზარზმელისა და იოანე საბანისძის მოთხრობები“ (იქვე).

„კულტი სიყვარულისა და ქალის გაღმერთებისა, რასაც სათავე გიორგი მერჩულეს თხზულებაში უდევს“ (ლ. კვაჭაძე, „ობიექტურობა, მომთხოვნელობა, გულისხმიერება“: „სახალხო განათლება“, №37, 1976).

ვილჰელმ მდუმარე

„ვილჰელმ მდუმარეს მეორე შვილის, მორის ნასაუელის სახელი, ყველაზე უფრო მეტად ჰოლანდიის არმიის აღმშენებლობასთან ასოცირდება“ (კ. კაციტაძე, სამხედრო ანალიტიკური ვგუფი „ჰერი“, „თანამედროვე სტრატეგიის შემოქმედნი – მორის ნასაუელი“ /პირველი ნაწილი/. 18.09.2010: presa.ge).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზემოთ დასახელებული პირები მეტწილად საეკლესიო მამები არიან, რაოდენობრივად მათ მოსდევს მეფეები (გიორგი ბრწყინვალე, ივანე მრისხანე, პიპინ მოკლე...).

ახლა ვნახოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც საკუთარ სახელს რიგითობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი მოსდევს. ამგვარი მაგალითები მრავლადაა, მაგ-

რამ რიგობითი სახელი უპირატესად რომაული ციფრებით არის გამოსახული, ასობით მის გადმოცემას ერიდებიან, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ფორმით რამდენიმე მაგალითი მაინც მომხვდა ხელთ:

ვანტანგ მეექვსე

„მას (გრიშაშვილს) განსაკუთრებით იტაცებდა **ვანტანგ მეექვსეს** – ჩვენი დელაქალაქის პირველი შთაგონებული მოძღვრლის – სახე“ (გ. ასათიანი, „ექვსი სილუეტი. იოსებ გრიშაშვილი“: „ლიტერატურული საქართველო“ №38, 1981).

ბაგრატ მეშვიდე

„წყება პოლიკარპე კაკაბაძის პიესის „**ბაგრატ მეშვიდეს**“ ბეჭდვა“ („წაიკითხავთ მაისის ნომრებში“: „ლიტ. საქართველო“ №22, 1967).

ჰენრი მერვე

„1613 29 ივნისი. ხანძარმა გაანადგურა თეატრი „გლობუსი“ „**ჰენრი მერვეს**“ წარმოდგენისას“ (შექსპირი. ცხოვრების ხაზი: publish.dlf.ge/vaxtangvi/).

გიორგი მეთორმეტე

„თავდება გვარი ასეთი **გიორგი მეთორმეტეთი**“ (გ. ტაბიძე, X, გვ. 442)

ლიუდოვიკ მეთოთხმეტე

„სდგას გზად მეფე **ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს** მერანი“ (გ. ტაბიძე, V, გვ. 160).

ა-ფუძიანი მეტსახელები

ბარემ აქვე დავძენ, რომ ანალოგიური ვითარება გვაქვს ა-ფუძიანი მეტსახელების შემთხვევაში. ენახოთ ზოგიერთი მათგანი:

ფრიდრიხ ბარბაროსა

„უკვე აღარ იმოქმედებს გერმანულ-თურქული მეგობრობის საუკუნოვანი ფესვებისადა **ფრიდრიხ ბარბაროსას** ლეგენდები“ („ევროპა საემიგრაციო კანონებს ამკაცრებს“: The Georgian Times. 28.11.2005).

„ჰაინრიხ VI, გერმანიის მეფე 1190-იდან, იმპერატორი 1191-იდან. შტაუფენების დინასტიის წარმომადგენელი, **ფრიდრიხ I ბარბაროსას** ძე“ (ჰაინრიხ VI: ka.wikipedia.org).

„**ფრიდრიხ ბარბაროსას** პოლონური ლაშქრობა და ვლადისლავის სიკვდილი“ („ვლადისლავ II /პოლონეთი/“: ka.wikipedia.org).

ლუი IX წმინდა

„როგორც **ლუი წმინდას** მოძღვარი ჟოფრუა დე ბოლიე გვამცნობს, ღვთისნიერი მეფე გულწრფელად და მორჩილად აბარებდა აღსარებას მოძღვარს“ (გია ჯოხაძე, „სახელის თავგადასავალი: ქართული ვერსია. ცრემლი და ტირილი“: [semioticsjournal: wordpress.com](http://semioticsjournal.wordpress.com). 26.08.2010).

თამარ მეფე, დავით მეფე

დასახელებულ მეტსახელებს შეიძლება კიდევ ერთი სიტყვა დაუეყნოთ გვერდით., რომელიც ზემოთ მოყვანილთა იდენტური არ არის, მაგრამ მაინც ხშირად გვხვდება განსაზღვრების როლში, ესაა „მეფე“ (თამარ მეფე, ერეკლე მეფე, თუმცა შესაძლებელია ამ შესიტყვების ინვერსიული წყობაც: „მეფე ერეკ-

ლე“ ძალზე იშვიათად კი „მეფე თამარიც“). გავიხსენოთ დემეტრე მეფე და მეფე დემეტრე თავდადებული.

თამარ მეფის შემთხვევაში წყობა, შეიძლება ითქვას, ერთადერთია. აქ სწორედ ის შემთხვევა გვაქვს, რომელსაც განვიხილავ: საკუთარ სახელს მოსდევს **ე-ფუძიანი** განსაზღვრება: „ყველა ქართველს აქვს აგებული თავის გულში სახსოვარი რუსთაველისა, თითქმის თანასწორად დავით აღმაშენებლის და **თამარ მეფის**“ („სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება XIX ს. 20-30- იანი წწ. საქართველოში“: nplg.gov.ge).

ადვილი შესამჩნევია, რომ მაგალითებად, როგორც წესი, ნათესაობითი ბრუნვის უკვეცელი ფორმებია მოყვანილი. ასეა! მოქმედებითი იშვიათად გვხვდება, მაგრამ რამდენიმე ნიმუში მაინც მომხვდა ხელთ:

„წინ კი მთელი ცხოვრება იყო – გენიალური «დათა თუთაშხიათი», «გორა მბორგალით» და «**გიორგი ბრწყინვალეთი**» (ლ. ჯიყაშვილი: „ატოცის წმინდა გიორგის ხატი იყო მისი თილისმა და მფარველი“: „ბურუსი“. 13/05.2009. burusi.wordpress.com).

„ახალგაზრდა რეჟისორები ეიზენშტეინს... წერდნენ, რომ აღფრთოვანებულნი არიან „**ივანე მრისხანეთი**“ (გ. გვახარია, „თენგიზ აბულაძე – 80“: „რადიო თავისუფლება“. კულტურა. 23.02.2004: radiotavisupleba.ge); „დედოფლად გახდომისთანავე ელიზაბეთის სასახლე ხელის მოხვნელთა საჩუქრებმა აავსეს. ვინ აღარ ეძლეოდა: ანჟუს ჰერცოგით დაწყებული, რუსეთის მეფე **ივანე მრისხანეთი** დამთავრებული“ („ქალწული მეფე“: zurriuss.ge/virgin-king-elizabeth).

„ვისარგებლეთპორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიით“ პაკლე ინგოროყვას „**გიორგი მერჩულეთი**“ აკაკი ბაქრაძის „დავიწყებული იდეით“ ვ. კობალაძე, „საერთაშორისო ურთიერთობის თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში (V-XIII საუკუნეები)“ პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2003. გვ. 11: nplg.gov.ge/dlibrary).

„**დავით მეფეთი** ასე რომ სპეკულირებთ, მგონი წინ ჯვარს აყენებდა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში მღვდელმთავრები ერეოდნენ ყოველთვის“ („ქართველი ხალხი ნახირი არ არის“: youtube.com. 29.12.2009).

„თავდება გვარი ასეთი **გიორგი მეთორმეტეთი**“ (გ. ტაბიძე, X, გვ. 442)

„მე-17 საუკუნეში **ვახტანგ მეექვსეთი** დაწყებული, გაგრძელებული ერეკლე II-ის ტრაქტატით,... ათეულობით ხელშეკრულებები ნათლად ადასტურებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა არის რუსეთის მხრიდან ღალატზე, ორპირობასა და სიცრუეზე დამყარებული ურთიერთობა“ (გ. ბალაძე, რუსეთი დაშლის პირასაა: „ახალი თაობა“ 30. 03.2010: open.ge).

ბუნებრივია, ყველა ავტორი არ წერს ასე. კანონიერი, ე-მოკვეცილი, ფორმები გაცილებით სჭარბობს მოუკვეცლებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი სახეობა არაა იშვიათი. განსახილველი ფორმების გათანაბრება საკუთარ სახელებთან არაა სწორი.

ამგვარად, როდესაც საკუთარ სახელს მოსდევს განსაზღვრების ფუნქციით აღჭურვილი რიგითობის მაჩვენებელი რიცხვითი სახელი ანდა ზედსართავი სა-

ხელი თუ მიძლეობა და გვაქვს საზღვრულ-მსაზღვრელის თავისებური მოდელი, რომელიც ე ხმოვანზე მთავრდება, მაშინ შესიტყვება ისე იქცევა, თითქოს ერთ რთულ სიტყვას, კომპოზიტს წარმოადგენდეს, ჩვენს ცნობიერებაში ე-ფუძიან საკუთარ სახელად აღიქმება და იგი არ იკვეცება, მიუხედავად იმისა, რომ ამ „გაკომპოზიტებული“ შესიტყვების მეორე კომპონენტი არაა საკუთარი სახელი და ის, წესისამებრ, უნდა იკვეცებოდეს.

ავტორთა ერთი ნაწილი დადგენილ ნორმებს მიჰყვება და შესიტყვების მეორე წევრის ბოლოკიდურ ე ხმოვანს კვეცს, სხვანი ე-ს პრინციპულად არ კვეცენ, რაკი მას ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელის ბოლოკიდურ ბგერად აღიქვამენ. ამაზე შეიძლება იდავოს კაცმა, მაგრამ როდესაც ერთი და იგივე ავტორი ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვანაირად წერს, ზოგჯერ უშუალო მეზობლობაშიც კი, ამაზე გაჩუმება უკვე აღარ შეიძლება. დუმილი ყოველთვის არაა „ოქროვანი რჩეული“ როგორც გიორგი მერჩულე გვასწავლის. აღნიშნული მერყეობის მაჩვენებელი ნიმუშები თითებზე ჩამოსათვლელი როდია.

თქვენ თვითონ განსაჯეთ:

„**ივანე მრისხანეს** მიერ შუბიანი ყვარაჯნით დაჭრილი შვილი“ („მნათობი“ №12, 1971, გვ. 45), ამავე გვერდზე კიდევ რამდენჯერმეა შვილის მკვლელი მეფე ნახსენები: „**ივანე მრისხანეს** შვილს მხატვარმა სევდიანი, სიკვდილის შიშით მოცული თვალები ჩაუსვა“, „არ გამიკვირდება ამ სურათმა რომელიმე მოქალაქეში **ივანე მრისხანესადმი** დიდი ზიზღი რომ გამოიწვიოს“. ერთი მაგალითი კი ამ წყებიდან ამოვარდნილია: „იგი **ივანე მრისხანისა** და მისი შვილის ფსიქოლოგიურ ანალიზს ფარავს, ჩრდილავს“.

„**გიორგი მცირეს** გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ – ეს წერილის სათაურია, ტექსტი ასე იწყება: „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება... დაწერა XI საუკუნის მწერალმა გიორგი ხუცესმონაზონმა, რომელიც **გიორგი მცირის** სახელითაა ცნობილი“ („გიორგი მთაწმიდელი – 1000“: sites.google.com). ამ ორ განსხვავებულ დაწერილობას მხოლოდ ორი სტრიქონი ყოფს!!

„ქართულ არქიტექტურაში **სვიმონ მესვეტის** სამსართულიანი ეკლესიაკოშკის, როგორც განუმეორებელი ნეგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს... წმ. **სვიმონ მესვეტეს** სახელობის ეკლესიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე დასრულდება (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. heritagesites.ge) /2009/. პირველ სტრიქონში წერია „**სვიმონ მესვეტის** ეკლესიაკოშკი“, ხოლო რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ – „**სვიმონ მესვეტეს** (ეკლესია)“.

„გამეფება **გიორგი მესამესი**“. ეს წერილის სათაურია. ტექსტი კი ასე იწყება: „**გიორგი მესამის** ტახტზე ასვლა“... („კვირის პალიტრა“ №7, 2005, გვ. 21).

თუ მართლწერის რომელიმე პრინციპი აირჩიე სახელმძღვანელოდ, უნდა ბოლომდე მიჰყვე კიდევ მას. არ შეიძლება, ხან ასე წერო და ხან ისე! ზემოთ ნაჩვენები სიჭრელე ყოვლად გაუმართლებელია. მათეს სახარებაში წერია: „ნუ სცნობნ მარცხენს შენი, რასა იქმოდის მარჯვენს შენი“ (6,3). მაგრამ ეს მოწყალების გაცემაზეა ნათქვამი, ჩვენს შემთხვევაში კი დიახაც შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს მწერლის ორივე ხელი!!

One Specific Case of Declension of Proper Names in Contemporary Georgian

Summary

The article deals with the analysis of one special group of personal names, when the name of the person is followed by an additional nickname, the stem of which ends in **e** vowel (Giorgi Brtskinvale “Giorgi the Brilliant”, Ephrem Mtsire “Ephraim the Small”, Ivane Mriskhane “Ivan the Terrible”, Erekle Meore “Erekle the Second” and the like).

The word following the anthroponym points to a certain feature, quality or title of a person, or is an ordinal numeral. In any case, this definition itself is not a proper name and it serves as a certain attribute. As a rule, such a word must be inflected in the same way as an adjective or a numeral taken separately. It must elide the final vowel in declension. And outwardly the word combination itself is equal to the inverted pattern of the determinandum-determinatum, i.e. determinatum-determinandum. When an adjective, a participle or a numeral, following a proper name, (in fact – an attribute) ends in **e** vowel, i.e. we deal with a word combination the second member of which is an **e**-stemmed determinandum, then the last word, instead of eliding the final **e** in the Genitive and the Instrumental Cases, retains this vowel and the Genitive becomes similar to the Dative form.

Characteristic examples of the above-mentioned are as follows: **Brtskinvale** (Giorgi the Brilliant), **Mtsire** (Ephraim the Small), **Motskale** (John the Merciful), **Mesvete** (Symeon the Stylite), **Meudabnoe** (Paul the Anchorite), **Menelsatskheble** (Joanna the Myrrhbearing), **Mriskhane** (Ivan the Terrible), **Mokle** (Pepin the Short), **Merchule** (Giorgi the Specialist in Canon Law), **Mdumare** (Wilhelm the Silent), **Mepe** (Tamar the Queen), **Mesame** (Giorgi the Third), etc.

In the given examples a proper name is followed by an adjective, a participle or an ordinal numeral, having the function of an attribute, and we deal with a peculiar model of the determinandum-determinatum ending in **e** vowel. Such a word combination behaves like a single compound word, an **e**-stemmed proper name, which generally does not elide the final vowel at all. In spite of the fact that the second component of this word combination turned into a compound, it is not a proper name and, according to the established norms, it must elide the final **e**.

ლინგვოკულტურული ინტერფერენციის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს

(გომბორელ ლაიჯთა მაგალითზე)

ენათმეცნიერების მნიშვნელოვან პრობლემათა რიგს განეკუთვნება ენობრივი კონტაქტებისა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ბილინგვიზმის ტიპების შესწავლა, ენის საზოგადოებრივი ფუნქციის გარკვევა, სესხების, ინტერფერენციის საკითხთა კვლევა და სხვ. ენობრივი კონტაქტები, ენათა ურთიერთზემოქმედება რთული პროცესია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამეტყველო მოღვაწეობას მეორე ენის დაუფლებისა და ორენოვნობის დროს, არა მხოლოდ ენობრივი სტრუქტურის შეღწევადობის პრობლემას, არამედ თვით ამ ხალხების – ენის მატარებელთა – ურთიერთზემოქმედებასაც (კოდუნოვი 1974:190). ორენოვნობის (მრავალენოვნობის) წარმოშობა და განვითარება განპირობებულია ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ხასიათის ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, იგი თავისთავად რთული, მრავალპლანიანი პრობლემა და მოიცავს როგორც საკუთრივ ლინგვისტურ, ისე სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიკურ და სხვა ასპექტებს. ამათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეულია ლინგვისტური და სოციოლოგიური ასპექტები.

ორენოვნობის ლინგვისტური ასპექტის ყურადღების ცენტრში დგას ინტერფერენციის გამოვლენათა კვლევა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკურ-სემანტიკური სისტემისა და სტილისტიკის დარგში (ელოევა, რუსაკოვი 1990; ზექალაშვილი 2008:99) ორენოვნობის სოციოლოგიურ ასპექტში იგულისხმება საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება ორი, ერთმანეთის მიმართ კონტაქტში მყოფი, ენის მიერ. სოციოლოგიურ ასპექტში ორენოვნობა იკვლევა არა ინტერფერენციის გამოვლენის თვალსაზრისით ენის სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე, არამედ საზოგადოებრივ ფუნქციათა მოცულობის დახასიათებითა და ორენოვანი მოსახლეობის მიერ თითოეული ამ ენათაგანის გამოყენების სფეროთი (დეშერიევი, პროტჩენკო 1972:32-33).

ორენოვნობის პრობლემა საკითხთა მთელ რიგს მოიცავს. ენათა კონტაქტისას განიხილება: 1) ინდივიდუალური ბილინგვიზმი, 2) საოჯახო, 3) სიტუაციური, 4) ნაციონალური, 5) უმცირესობათა ბილინგვიზმი და სხვ. (ტაბიძე 2005:142).

გავრცელების ხარისხის მიხედვით, განარჩევენ ნაწილობრივ და მასობრივ ორენოვნობას (ავრონინი 1972:50; რასტორგუევა 1964:3-4).

ჯერ კიდევ შჩერბა უპირისპირებდა ერთმანეთს იდივიდუალურ და მასობრივ ორენოვნობას გავრცელების არეალის მიხედვით (შჩერბა 1947:54). კვლევის სოციოლოგიური ასპექტისათვის, ცხადია, პირველ რიგში მასობრივი ორენოვნობაა საინტერესო. მასობრივი ბილინგვიზმის დროს პრობლემურია: 1) მიგრაციის საკითხი და იმიგრანტის ენობრივი კომპეტენციის სოციალური მხარე; 2) ადაპტაციის პრობლემა; 3) მეორე და მესამე თაობებში (იმიგრანტების) მშობლიური

ენის ცოდნის ხარისხი, როგორც მომავალი საცხოვრებლის არჩევის პირობა; 4) ბილინგვური განათლების საკითხი; 5) პრესტიჟული ენა და სხვ. (ტაბიძე 2005:143).

ორენოვნობის საკითხთა განხილვის დროს, გარდა საზოგადოებრივი ფუნქციის მოცულობისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე მეორე ენის ფლობის ხარისხი და დონე, მისი მიმართება მშობლიურ ენასთან. ამ მიჯნისა და საზღვრის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა (ხანაზაროვი 1972:119-125; ვაინრაიხი 1972: 26-27; ხაუგენი 1972:61-62).

მსჯელობენ ე.წ. „ორი მშობლიური ენის“ შესახებაც. იერარქია მათ შორის ვლინდება, პირველ რიგში, ენის ფლობის ხარისხის მიხედვით, ხოლო თუ იგი ერთნაირია, მაშინ კრიტერიუმად იღებენ მოლაპარაკეთა ეთნიკურ კუთვნილებას. ამ შემთხვევაში „პირველ მშობლიურ ენად“ თვლიან ამ ეროვნების ენას, რომელსაც თავის თავს მიაკუთვნებს მოლაპარაკე (ავრონინი 1972:52).

ტერმინი „ორი მშობლიური ენა“, ცხადია, ძალზე პირობითია, – არც მეორე ენის ცოდნის ყველა შემთხვევა შეიძლება მივიჩნიოთ ორენოვნობად და, მით უფრო, არც ყველანაირი ორენოვნობა იძლევა „ორი მშობლიური ენის“ შესახებ მსჯელობის საფუძველს. მოლაპარაკის მიერ არამშობლიური ენის მშობლიურად დასახელება უადრესად სპეციფიკური ენობრივი სიტუაციისა და ორიენტაციის გამოხატულებაა და მისი განზოგადება უმართებულოა.

თუ მოცემული ხალხისათვის მეორე ენა არის წიგნიერების ენა – განათლებისა და კულტურის სიმაღლეთა წვდომის ერთადერთი გზა, მაშინ იგი ყოფაშიც მყარად იკიდებს ფეხს და თანდათანობით აზროვნებისა და მეტყველების უნივერსალურ საშუალებად იქცევა, ფლობისა და აქტივობის თვალსაზრისით, ძნელი გასამიჯნი ხდება ჭეშმარიტი დედაენისაგან, ხოლო სოციალური ფუნქციის მოცულობის თვალსაზრისით, დიდი უპირატესობით სარგებლობს. ეს გარემოება გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენს ორენოვანი მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებასა და თვითაღქმაზეც – ორენოვანი მოსახლეობის უძრავლესობა ოფიციალურ დოკუმენტებში მშობლიურ ენად სწორედ მეორე – საზოგადოებრივი სტატუსით უფრო მაღლა მდგომ ენას აცხადებს და აქედან გამომდინარე ასახელებს საკუთარ ეთნიკურ კუთვნილებასაც.

მასობრივი ორენოვნობა დამახასიათებელია უმწერლობო ხალხებისათვის, ბუნებრივია იგი აგრეთვე მიგრირებული მოსახლეობისათვის. არსებობს ორენოვნობის სხვა ტიპებიც, რომელნიც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით და რომლებზედაც ამჯერად არ შევჩერდებით. როგორც აღვნიშნეთ, ორენოვნობა შორეული წარსულიდან მიმდინარეობს და ფრიალ გავრცელებული მოვლენაა თანამედროვე მსოფლიოში; იგი ძალზე რთული, მრავალსახოვანი პრობლემაა და დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს.

მაგალითად, ირანულენოვანი ხალხების დიდი ნაწილი ისტორიული, კულტურულ-რელიგიური, პოლიტიკური, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სხვა პირობების გამო ორ და მრავალენოვან სიტუაციაშია მოხვედრილი, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ ენობრივ ცხოვრებას და ეროვნულ თვითშეგნებას (რასტორგუევა 1964). ამ თვალსაზრისით, საინტერესო სიტუაციაშია მოქცეული საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში მცხოვრები ირანულენოვანი მო-

სახლეობის ყოფა და მეტყველება (კვაჭაძე 1982:52-53; კვაჭაძე 1988; კვაჭაძე 1998:37-46).

გომბორი ეთნიკურად და ენობრივად შერეული სოფელია – ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან მოყოლებული, აქ, გარდა ქართველებისა (ძირითადად, მთიანი რეგიონებიდან ჩამოსახლებული ფშავ-ხევსურებისა), ცხოვრობდნენ რუსებიც (ძირითადად, რუსეთის არმიიდან დემობილიზებული ჯარისკაცები და რუსი გლეხობა). ეს ფაქტი გარკვეულწილად განაპირობებდა სოფლის ენობრივ ცხოვრებას – გომბორში ქართულ ენასთან ერთად ფუნქციონირებდა რუსული ენაც.

მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში გარე კახეთსა და ქვემო ქართლში ჩამოსახლება იწყეს ამიერკავკასიისა და ირანის მეზობელი ოლქებიდან საშოვარზე წამოსულმა სხვადასხვა მუსლიმურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა. მათ შორის იყვნენ შირვანის დაბა ლაჰიჯიდან ლტოლვილი – ირანული მოდემის, რამდენადმე გათურქებული და ორენოვანი (თათურ-აზერბაიჯანული) ეთნოგრაფიული ჯგუფი და ირანის აზერბაიჯანიდან ლტოლვილი, თურქული მოდემის, აგრეთვე ორენოვანი (აზერბაიჯანულ-სპარსული) ეთნოგრაფიული ჯგუფი. ისინი ჯერ მდინარე თურდოს მიდამოებსა და სოფელ პალდოში დასახლებულან, შემდეგ კი სოფელ გომბორთან მოუყრიათ თავი. მიგრაციის პროცესი საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა, ინტენსიურად მიმდინარეობდა იგი 30-40-იან წლებში.

გომბორში მცხოვრები ირანულენოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ თავს არაოფიციალურად „ლაიჯებს“ უწოდებენ, ხოლო თავიანთ სამეტყველო ენას – „ლაიჯურს“. ეს მეტყველება თათური ენის მუსლიმური დიალექტის კილოკავს წარმოადგენს. თათური ენა მიეკუთვნება ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს და თავისი გრამატიკული წყობითა და ლექსიკური შემადგენლობით სპარსულ და ტაჯიკურ ენებს უახლოვდება (გრიუნბერგი 1961:107-108).

თათები აზერბაიჯანის კასპიისპირა რაიონებში, დაღესტნის სამხრეთ ნაწილსა და ირანში მცხოვრები ხალხია. სარწმუნოების მიხედვით, ისტორიულად, იყოფიან სამ ჯგუფად, ესენია: მუსლიმი თათები, იუდეველი თათები (მთიელი ებრაელები) და გრიგორიანი (სომეხი) თათები (გრიუნბერგი, დავიდოვა 1982:231; მილერი 1929).

ირანიდან მიგრირებული თათების ყოფა საუკუნეთა განმავლობაში მჭიდროდ ერწყმის კავკასიის ხალხთა ისტორიას. მუსლიმი თათების ენა, ებრაელთაგან განსხვავებით, უმწერლობა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განსახლებული თათებისათვის, კულტურის, ოფიციალური ურთიერთობის ენა აზერბაიჯანულია. იგი ღრმად არის შეჭრილი აგრეთვე საყოფაცხოვრებო და საოჯახო ურთიერთობებში. აზერბაიჯანში მცხოვრები თათების ორენოვნობა საყოველთაო ხასიათს ატარებს. იგი მასობრივია და სრული. მუსლიმი თათების უმრავლესობა მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს ასახელებს, თავსაც აზერბაიჯანულად აცხადებს. აზერბაიჯანელებად იწერებიან დაბა ლაჰიჯიდან გომბორში გადმოსახლებული თათებიც (კვაჭაძე 1982; კვაჭაძე 1988: 20-27).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენ აქტიურად ვიკვლევდით გომბორში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის, როგორც საკუთრივ აზერბაიჯანელების, ისე აზერბაიჯანელებად ცნობილი ლაიჯების ყოფასა და მეტყველებას. 2000 წლიდან განვაახლეთ და განვაგრძეთ საველე მუშაობა. ახლად მოპოვებული მასალე-

ბი საინტერესო სურათს გვიხატავს მიგრაციული პროცესებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის, ეთნოტიკებისა და სამეტყველო ეტიკეტის თავალსაზრისით, ენობრივი ორიენტაციისა და საკუთრივ ენობრივი განვითარების თავალსაზრისით (კვაჭაძე 2001; 2004: 179-186).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენი ინფორმანტები, ძირითადად, იყვნენ ლაიჯთა უფროსი თაობის, ფაქტობრივად, პირველჩამოსახლებულ ლაიჯთა, წარმომადგენლები, რომელთა ნაამბობი ნათლად ასახავდა მათი ჩამოსახლების ისტორიას (კვაჭაძე: 1988), ხოლო მეტყველება – ლაიჯურ კილოკავს (შდრ. მილერი 1905; მილერი 1907). ამ მიმართულებით, უკვე სცოდავდა მაშინდელი საშუალო და, მით უფრო, ახალგაზრდა თაობა. მათი მეტყველება დომინირებულ ენათა (ქართული, რუსული) დიდ გავლენას განიცდიდა (კვაჭაძე 1998:37-46).

80-იან წლებში სოფელ გომბორში ცხოვრობდა 1000-მდე კაცი – 348 კომლი, აქედან 226 კომლი ქართული იყო, 12 – რუსული, აზერბაიჯანულად იწერებოდა 110 კომლი, რომელთაგან ჩვენ გამოვყავით ლაიჯების 80 (დაახლოებით 330 სული) და აზერბაიჯანელების 30 კომლი. სოფლის საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა სამხედრო ყაზარმას, რომელიც საბჭოთა ჯარის ნაწილის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. სოფელში იყო ერთი საბავშვო ბაღი და ერთი საშუალო სკოლა-ინტერნატი. საბავშვო ბაღსა და სკოლა-ინტერნატში ორ-ორი სექტორი მუშაობდა: ქართული და რუსული. ქართველი ბავშვები ქართულ სექტორზე სწავლობდნენ, ადგილობრივი რუსი ბავშვები (მათი რაოდენობა ამ დროისათვის ძალზე მცირე იყო) და ოფიცერთა შვილები (ეს იყო ძირითადი კონტინგენტი) – რუსულ სექტორზე. სოფლის მუსლიმი მოსახლეობა განათლების ენას საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევდა. ამ თავალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში რუსული, როგორც უნივერსალური მოხმარების ენა, გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა არაქართველ მოსახლეობას შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაკომუნიკაციო ფუნქციებს ქართული ენა ასრულებდა და იგი გარკვეული ხარისხით მოიცავდა სოფლის მოსახლეობის ყველა ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფს.

ამჟამად სოფელ გომბორში რამდენადმე შეცვლილია დემოგრაფიული სურათი. 80-იანი წლების უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან ბევრი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ დაგვიხვდა; ლაიჯთა რაოდენობამ იკლო (დარჩენილია 53 კომლი, დაახლოებით 170 ადამიანი), მაგრამ იკლო ქართულმა, რუსულმა და აზერბაიჯანულმა მოსახლეობამაც სოფელში მიმდინარე მიგრაციული პროცესის გამო, რომელიც სტიქიურ ხასიათს ატარებს და გამოუთვლელი, მოუხელთებელი მოვლენა გახლავთ (კვაჭაძე 2004:179-186).

ცხადია, გომბორში ფუნქციობას განაგრძობს ყველა ის ენა, რომლის მატარებლებიც განაგრძობენ აქ ცხოვრებას, რაც მეტად თავისებურ მულტილინგვისტურ სიტუაციას ქმნის. შერეულ სოფელში მცხოვრები ლაიჯების მეტყველება საინტერესო სურათს გვიხატავს, როგორც ირანული დიალექტოლოგიის, ასევე არეალური ლინგვისტიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების თავალსაზრისით (კვაჭაძე 2008).

ორენოვნობა, დამწერლობის უქონლობა, კულტურული ერთობა აზერბაიჯანელებთან, ხელს უწყობდა აზერბაიჯანული ენის თათურზე ზემოქმედების პროცესს. ამ ზემოქმედების კვალი აღინიშნება თათური ენის ყველა სფეროში – ფო-

ნეტიკაში, ლექსიკაში, გრამატიკაში. რაც შეეხება, გომბორელ ლაიჯთა ოთხენოვან სიტუაციას, – ლაიჯური გომბორში, ისევე, როგორც ყველგან, საშინაო, საოჯახო ურთიერთობათა ენის ფუნქციას ასრულებს. გომბორელ ლაიჯთა ოჯახში დღესაც აქტიურად ფუნქციობს ე.წ. „ორივე მშობლიური ენა“ – ლაიჯური და აზერბაიჯანული, ისე, რომ ზოგჯერ თვით დედა-შვილის ურთიერთობაშიც კი ჭირს დომინირებული ენის დადგენა. ლაიჯთა უმეტესი ნაწილი შერეული ენით მეტყველებს, ხშირია ენათა გაუცნობიერებელი, მექანიკური მონაცვლეობა, ხშირია აგრეთვე გაცნობიერებული, შეგნებული მონაცვლეობა – ძირითადად, განათლებისა და ოფიციალური ურთიერთობის ენათა მოშველებით. ეს ყოველივე, ცხადია, გაძლიერებული ინტერფერენციის ნიადაგს ქმნის და არღვევს ხმარებაში მყოფი, ფაქტობრივად, ყველა ენის ნორმებს. აქვე შევნიშნავთ, რომ გომბორში დღესაც ცხოვრობენ პირველხამოსახლებულ ლაიჯთა მეორე ტალღის (30-40-იანი წწ.) წარმომადგენლები. ესენი არიან ღრმად მოხუცებული ადამიანები, რომლებიც კარგად მეტყველებენ მშობლიურ ენაზე და აქტიურად იყენებენ მას ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან ურთიერთობისას (კვაჭაძე 2008ა).

გომბორელ ლაიჯთა მეტყველება, ძირითადად, ინარჩუნებს თვითმყოფადობას, თუმცა გავლენები ყველა დონეზე შეინიშნება; ცვლილება უმეტესად ფონეტიკასა და ლექსიკაში ვლინდება, გარკვეულწილად ეხება იგი მორფოლოგიასა და სინტაქსსაც.

ორენოვნობის პირობებში, იქ, სადაც წამყვან საზოგადოებრივ ფუნქციას აზერბაიჯანული ენა ასრულებს, თათები (მათ შორის ლაიჯებიც) ხშირად თავიანთ ვოკალიზმსა და კონსონანტიზმს აზერბაიჯანულისას უქვემდებარებენ, რაც იწვევს ენობრივი ნორმების მერყეობასა და თათური ენისათვის უცხო ფონემების გაჩენას. რაც შეეხება გომბორის ოთხენოვან სიტუაციას, სადაც აზერბაიჯანული ენა უმწერლობო ენის დონეზეა გადანაცვლებული და ამდენად, დაკარგული აქვს ავტორიტეტული ორიენტირის ფუნქცია, გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ბგერათა წარმოთქმა ზოგჯერ ექვემდებარება ქართულ ან რუსულ კანონზომიერებებს, რაც ხელს უწყობს საწარმოთქმო ნორმების მერყეობას, ისედაც მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების გამრავლებასა და გავრცელებას. სხვა კილოკავებთან შედარებით გომბორელ ლაიჯთა ვოკალიზმის სისტემა ხასიათდება ხმოვანი ბგერების მეტი არამდგრადობით. თანხმოვანთა სისტემაში იცვლება უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაციის ხარისხი, შეზღუდულია ზემოფარინგალური და უვულარული თანხმოვნების გამოყენება და სხვ.

უკანაენისმიერი გ გადადის შუაენისმიერ გ-ში, რომელიც საშუალო და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის ლაიჯთა მეტყველებაში გამოკვეთილად ისმის, როგორც ჯ. საშუალო და ახალგაზრდა თაობის ლაიჯთა მეტყველებაში შუაენისმიერი კ გადადის ც-ში; შეზღუდულია ზემოფარინგალური (h) და უვულარული (x) თანხმოვნების გამოყენება. ახალგაზრდა ლაიჯთა მეტყველებაში ეს ბგერები თითქმის აღარ ისმის. საერთოდ, თათურის q აზერბაიჯანული ენის გავლენით, გადადის უკანაენისმიერ გ-ში, ხოლო გომბორელ ლაიჯთა საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში q გამოითქმის, როგორც k და სხვა.

რამდენადმე გამარტივებულია გომბორელ ლაიჯთა მეტყველების მორფოლოგია და სინტაქსი. შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა ლაიჯთა ბუნებრივ მეტყველე-

ბაში არ დასტურდება რიგი ენობრივი მოვლენებისა (თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ საგანგებო, პროვოცირებული გამოკითხვის დროს ზოგი რამ მაინც დაკავშირებულია, შეზღუდულია სიტყვათმარმობებელ სუფიქსთა გამოყენება, თითქმის აღარ გამოიყენება დამხმარე სიტყვები, ნუმერატივები, არ ჩანს ზოგიერთი კავშირი და ნაწილაკი; შეზღუდულია ზმნის ფორმათა ხმარება და სხვ. კიდევ უფრო გამარტივებულია წინადადება, შედარებით მწირია ლაიჯური ლექსიკა.

გომბორელ ლაიჯთა ლექსიკის ძირითად ბირთვს წარმოადგენს საერთო-ირანული წარმოშობის სიტყვები; აქვე ასახულია ყველა ის ნასესხობა, რაც თათური ენისათვის არის დამახასიათებელი. იგი ინარჩუნებს ადრე შეძენილ ნასესხობებს, რომელთა მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს თათურ ლექსიკაში დამკვიდრებული აზერბაიჯანული სიტყვები; მეტ-ნაკლებად შემონახულია არაბული ნასესხობანი – მუსლიმურ კულტურასთან დაკავშირებული სიტყვები; ლექსიკის გაფართოება ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური, საყოფაცხოვრებო ტერმინებითაც ინტერნაციონალური, ქართული და რუსული ნასესხობების ხარჯზე. თათური ენის სხვა კილოკავებისაგან განსხვავებით, გომბორელ ლაიჯთა ლექსიკაში გამოიყოფა ქართულ ნასესხობათა პლასტი, ეს არის საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსიკა, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლექსიკა, სასკოლო-საგანმანათლებლო ლექსიკა და სხვა; ე.წ. „გვოტიზმები“, ეთნონიმები, ტოპონიმები, ტანისამოსისა და კერძების აღმნიშვნელი სახელწოდებანი და სხვა. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის კულტურასთან, მეურნეობასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გომბორელი ლაიჯები, რომელთაც რუსული სასკოლო განათლება აქვთ მიღებული, საკუთარ სახელებს, გეოგრაფიულ სახელებსა თუ უცხო (ინტერნაციონალურ) სიტყვებს რუსულ ყაიდაზე წარმოთქვამენ, ქართულ სკოლადამთავრებულები – ქართულ ყაიდაზე; სასკოლო საგნებსა და საერთოდ სასკოლო ტერმინოლოგიას სხაპასხუპით ჩამოთვლის ქართულ განათლებამიღებული ქართულად, რუსულ განათლებამიღებული – რუსულად.

რაც შეეხება დღევანდელ ენობრივ ორიენტაციას: როგორც აღვნიშნეთ, თათური

(რომლის მუსლიმური დიალექტის ერთ-ერთ კილოკავს წარმოადგენს ლაიჯური) უმწერლობო ენაა და მის მატარებლებს ოფიციალურ ურთიერთობათა და განათლების ენის გამოყენება გარემოებათა მიხედვით უხდებათ, – ირანში ეს ენა სპარსულია, აზერბაიჯანში – აზერბაიჯანული, საბჭოთა საქართველოში – რუსულს არჩევდნენ, ახლა, დამოუკიდებელ საქართველოში ქართულს ამჯობინებენ, ვინაიდან ნათლად აცნობიერებენ, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კარგად ცოდნა ქართულ საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებისა და მათ პირად შესაძლებლობათა გაფართოების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და გომბორიდან საბჭოთა ჯარის ნაწილის გასვლის შემდეგ სოფლის სკოლაში ფუნქციობა შეწყვიტა რუსულმა სექტორმა. სასკოლო განათლებისა და ოფიციალურ ურთიერთობათა ენის ფუნქცია ქართულს დაეკისრა. გომბორი ამ ფაქტს შედარებით მომზადებული დახვდა; არაქართველი მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფა გომბორში ფაქტობრივად უმტკივნეულოდ, ბუნებრივად

მოხდა, ვინაიდან შერეულ სოფელში მცხოვრებ სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს შორის ენობრივი იზოლაცია დიდად არც ადრე იგრძნობოდა (კვაჭაძე 2008ა).

გომბორელი ლაიჯები, პრაქტიკულად, მიეკუთვნებიან ყველა სოციალურ-პროფესიულ ჯგუფს, ისინი მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში. სხვადასხვაენოვანი მოსახლეობის ჯგუფებს შორის დამყარებული უშუალო კონტაქტები საყოფაცხოვრებო-საოჯახო, საწარმოო თუ სულიერი ცხოვრების სფეროებში განაპირობებს გომბორელ ლაიჯთა ენობრივ ცხოვრებას.

მორწმუნე ლაიჯები მუსლიმი შიიტები არიან, ისინი მთავარისმიერი ჰიჯრის კალენდრით აღნიშნავენ ისლამის, კერძოდ მისი შიიტური მიმართულების მიერ დაკანონებულ ძირითად სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო დღეებს.

გომბორელ ლაიჯებს სოფლის ძირითად მოსახლეობასთან ტკბილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. ხაზგასმით ცდილობენ ჩვეულებრივი გომბორელი გლეხის ცხოვრებით იცხოვრონ – სახლ-კარიც ისეთივე ჰქონდეთ, მეურნეობაც და ცხოვრების წესიც. დიდია ქართული საყოფაცხოვრებო ჩვევებისა და ადათ-წესების გავლენა. თვალში საცემია ქართული ტრადიციების გათვალისწინება (განსაკუთრებით ქორწინებისა და დაკრძალვის წესსა და რიტუალში), თითქმის მთლიანად მიღებულია და გაზიარებული ქართული სამზარეულო, ჭირისა და ღვინის სუფრა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გომბორელი ლაიჯები საკმაოდ კარგი ქართულით ლაპარაკობენ. წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოა ის აღსტრატული ინტერფერენცია, რომელიც ვლინდება მათი ქართულად მეტყველების დროს, კიდევ უფრო საინტერესოა ის ტრანსფორმირებანი, რომელთაც ზოგიერთი ცნების გადააზრება იწვევს. მაგალითად, ქართულად მეტყველების დროს გომბორელი ლაიჯი მეჩეთს „ხატად“ მოიხსენიებს, რელიგიურ დღესასწაულს – „ხატობად“ („ხვალზეთ ჩემ ხატში უნდა წავიდე სალოცავათ“, – იტყვის იგი; „ეს ათი დღე ხატობა გვაქ“ და სხვ.), მუსლიმთა მსხვერპლმეწირვის წესს – ყორბან-ბაირამს „საღმართს“ უწოდებს, ხოლო ახალ წელს – ნოურუზ ბაირამს, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება, „აღდგომას“ ეძახის ქართულად.

ქართულად წარმოთქმული სიტყვები ზოგჯერ ირანულ-ქართულ ფონეტიკურ გარსშია გახვეული, ზოგჯერ – უაქცენტოდ, ქართული ფონეტიკური და გრამატიკული კანონების დაცვით იხმარება.

აღნიშნული მოვლენები გამოწვეულია სოციალური და ენობრივი გარემოს სპეციფიკით, შედეგია უშუალო კონტაქტებისა და ხასიათდება არაერთგვაროვნებითა და ვარიანტულობით, ხშირად სტიქიურობითაც. დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკე ინდივიდების ასაკს, სქესს, პროფესიას, განათლებას, კულტურულ დონეს, ენობრივ ორიენტაციას და სხვა ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს.

ლიტერატურა

- გრიუნბერგი 1961:** Грюнберг А.Л., О месте татского среди иранских языков, ВЯ, №1.
გრიუნბერგი 1963: Грюнберг А.Л., Язык североазербайджанских татов, Л.
გრიუნბერგი, დავიძოვა 1982: Грюнберг А.Л., Давыдова Л.Х., Татский язык, В кн.: Основы иранского языкознания. Новоиранские языки, Москва.

- დეშერიევი, პროტჩენკო 1972:** Дешериев Ю.Д., Протченко И.Ф., Основные аспекты исследования двуязычия и многоязычия, В сб.: Проблемы двуязычия и многоязычия), Москва.
- ელოვა, რუსაკოვი 1990:** Елоева Ф.А., Русаков А.Ю., Проблемы грамматической интерференции, Ленинград.
- ვაინრაიხი 1972:** Вайнрайх Уриэль, Одноязычие и многоязычие, Новое в лингвистике, т.6., Москва.
- ზექლაშვილი 2008:** რ. ზექლაშვილი, ინტერფერენცია და ქართული ენის სწავლება არაქართველთათვის, კრებულში: სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, თბილისი.
- კვაჭაძე 1982:** მ. კვაჭაძე, წინასწარი ცნობები გომბორელ ლაიჯთა მეტყველების შესახებ (კონფ. „ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემები“, მუშაობის გეგმა და თეზისები), თბილისი.
- კვაჭაძე 1988:** მ. კვაჭაძე, ცნობები გომბორელი ირანულენოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ, წიგნში: მასალები გომბორელ ლაიჯთა მეტყველების შესწავლისათვის. შესავალი, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი.
- კვაჭაძე 1998:** მ. კვაჭაძე, ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა მნიშვნელობის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს, თსუ შრომები, ტ. 327, სერია „აღმოსავლეთმცოდნეობა“, თბილისი, გვ. 37-46.
- კვაჭაძე 2001:** Kvachadze M., Language Contacts (on the material of Tati-speaking ethnic group living in Georgia). Areas of Iranian – Semitic-Turkic Convergence. Linguistic Contact in Western and Central Asia in Past and Present (Abstracts), Uppsala University, pp. 8-9.
- კვაჭაძე 2004:** მ. კვაჭაძე, გომბორელ ლაიჯთა მეტყველების საკითხები, თსუ შრომები, ტ. 361, სერია „აღმოსავლეთმცოდნეობა“, თბილისი, გვ. 179-186.
- კვაჭაძე 2008ა:** მ. კვაჭაძე, განათლების ენის მნიშვნელობის შესახებ ორენოვნობისა და მრავალენოვნობის დროს, კრებულში: სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, თბილისი.
- კვაჭაძე 2008ბ:** Kvachadze M., Linguo-Cultural Aspects of Multiethnic Situation, International conference: Iran and the Caucasus – Unity and Diversity, Yerevan, June 06-08, pp. 57-59
- კოდუხოვი 1974:** Кодухов В.И., Общее языкознание, Москва.
- მილერი 1905:** Миллер Вс.Ф., Татские этюды, ч.I., Тексты и татско-русский словарь, Москва.
- მილერი 1907:** Миллер Вс.Ф., Татские этюды, ч.I I. Опыт грамматики татского языка, Труды Лазаревского ин-та вост. языков, вып. 26.
- მილერი 1929:** Миллер Б.Вс., Таты, их расселение и говоры, Материалы и вопросы, Баку.
- რასტორგუევა 1964:** Расторгуева В.С. и др., Типы двуязычия у иранских народов Советского Союза, Москва.
- ტაბიძე 2005:** მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი.
- შერბა 1947:** Щерба Л.В., Преподавание иностранных языков в средней школе, Общие вопросы методики, Москва-Ленинград.
- ხანაზაროვი 1972:** Ханазаров К.Х., Критерии двуязычия и его причины, В сб.: Проблемы двуязычия и многоязычия, Москва.
- ხაუგენი 1972:** Хауген Эйнар, Языковой контакт. Новое в лингвистике, т. 6., Москва.

Towards the Linguocultural Interference in Language Contacts (As Exemplified by Gomborian Layijis)

Summary

A very interesting linguistic and cultural picture can be observed in the Georgian village of Gombori on the example of its multiethnic population. Gombori is an ethnically and linguistically mixed village. Since the times of the Tsarist Russia, Russians have inhabited this village alongside with Georgians. To a certain extent, this fact determined the linguistic picture of the village.

In the first decades of the 20th century, different Moslem ethnic groups from the neighboring regions of Iran and South Caucasus started to inhabit the territory with the purpose of earning. Among these was an ethnographic group of Iranian origin, refugees from the village of Lahij in Azerbaijan (to a certain extent Turkified and bilingual (Tati and Azerbaijani)), and a Turkish ethnographic group, refugees from Iranian Azerbaijan, also bilingual (Azerbaijani and Persian). The process of migration continued in the Soviet period, being most intense in the 30s and 40s of the 20th century.

Representatives of the immigrant Moslem population, despite their ethnic and linguistic origin, are registered as Azerbaijani in the official documents and consider Azerbaijani as their native language. Due to their common historical, cultural and religious origin, at first glance these people do not differ from each other. However, an Iranian-speaking group can be distinguished, calling themselves and their native language *Layiji*. This language is an oral dialect of Moslem Tat language. The bilingualism of the Layijis living in Azerbaijan is universal, mass and complete.

Representatives of the above-mentioned ethnic groups are in friendly neighboring relationships with the main population of Gombori. They try to live like ordinary Gomborian peasants, have similar houses and gardens, farms and lifestyle. A respect of Georgian traditions can be felt. Georgian cuisine, rituals of celebration and mourning are shared by the Layijis, but at the same time, their own customs are retained. This can be revealed in the observation of religious and cultural traditions.

Gomborian Layijis belong to practically all social-professional groups. Practically all Gomborian Layijis speak the so-called “two native languages” – Layiji (Tat) and Azerbaijani. All Gomborian Layijis speak Georgian and Russian to some extent. The language of education is chosen according to their personal attitudes and opinions. Special mention should be made of the Georgian and Russian speech of the Moslem population, both Azerbaijani and Layiji. From purely linguistic viewpoint, should be mentioned adstratum interference revealed in their Georgian speech. Even more interesting is the transformation of certain concepts.

As for their linguistic orientation, they – as speakers of an unwritten language – have to choose formal and education language according to the environment: in Iran it is Persian, in Azerbaijan – Azerbaijani, in Soviet Georgia they chose Russian, whereas now in independent Georgia they prefer Georgian. A speech in a foreign environment mainly retains its originality. However, at nearly all levels the influence of languages of other systems can be observed. The culture and speech of a multiethnic society include many different interesting aspects. This yields rich material, from both linguistic and extralinguistic viewpoints.

Gilbert Lazard

NOTE SUR LE SENS DU MORPHÈME PERSAN -RÂ

La postposition enclitique *râ* en persan a fait couler beaucoup d'encre. Élément essentiel de la syntaxe de cette langue, elle est très fréquente dans tous les énoncés. Elle remplit plusieurs fonctions, qui ont pu paraître énigmatiques et ont suscité des discussions.

Son origine est bien connue, son évolution au cours de l'histoire de la langue aussi. Il existe en vieux-perse une postposition *râdiy*, qui s'affixe à un nominal au génitif et signifie "pour, à cause de", ex.: *avahya-râdiy* "à cause de cela" ou "en vue de cela", "Je ne veux pas, dit Darius, que le faible subisse un dommage" *tunuvutahyâ râdiy* "à cause / du fait du puissant". En moyen-perse, le morphème *rây* s'emploie encore au sens de "pour, à cause de, afin de". Il fonctionne aussi comme un datif désignant un bénéficiaire, un donataire, un possesseur, ex.: *Pâbag rây hêc frazand nêbûd* "Pâbag n'avait pas de fils", – et aussi, dans certaines conditions pour marquer l'objet. Ces deux derniers emplois (datif, marque d'objet) restent usuels en persan préclassique et classique.

En persan contemporain, la postposition *râ*, qui prend la forme *-o* dans la langue parlée, a trois emplois:

– Elle marque régulièrement l'objet défini, ex.:

- (1) *ân pesar-râ mišenâsi ?*
"Tu connais ce garçon ?"

et généralement aussi l'objet indéfini spécifique, ex.:

- (2) *ketâb-i-râ xândam ke ...*
"J'ai lu un (certain) livre qui..."

– Elle caractérise certains compléments de temps, ex.:

- (3) *emšab-râ manzel mimânim*
"Ce soir, nous resterons à la maison",
(4) *in daf'e-râ eštebâh-et-râ mibaxšam*
"Pour cette fois, je pardonne ton erreur".

– Elle marque un terme thématique (topicalisé) figurant en tête de la proposition et repris dans la suite par un anaphorique, ex.

- (5) *in doxtar-râ bâ mâdar-eš sohbat kardam*
"(Quant à) cette fille, j'ai parlé avec sa mère".

Cette phrase est logiquement équivalente à "J'ai parlé avec la mère de cette fille". Mais *in doxtar-râ* "cette fille" est thématisé et projeté en tête, hors syntaxe, pour indiquer que c'est cet élément qui est concerné par l'information qui suit; il est ensuite repris au sein de la proposition le pronom *-eš*, qui remplit la fonction grammaticale de déterminant du nom *mâdar*.

Dans le premier emploi de *-râ*, en fonction de marque d'objet, qui est le plus fréquent, le morphème *râ* ne peut apparaître qu'une fois. Dans les phrases qui cumulent plus d'un objet (à des niveaux différents), un seul peut être affecté de la postposition, ex.:

- (6) *Parviz-râ ketâb-i pâdâš dâdand*
 "On récompensa Parviz d'un livre"

Cette phrase comporte trois objets à des niveaux différents: *pâdâš* "récompense" est objet de *dâdand* "ils donnèrent"; – *ketâbi* "un livre" est objet de *pâdâš dâdand* "donnèrent récompense", c'est-à-dire "donnèrent en récompense"; – *Parviz-râ* est objet de *ketâbi pâdâš dâdand* "donnèrent (en) récompense un livre" ou "récompensèrent d'un livre". Seul l'objet du niveau le plus élevé, *Parviz*, peut être affecté de *-râ*.

En revanche, une même phrase peut comprendre un objet affecté de *-râ* et un emploi du deuxième ou du troisième type. C'est le cas dans l'exemple (4), qui comprend successivement un complément de temps marqué par *-râ* et un objet également marqué par *-râ*.

Le fonctionnement de *-râ* comme marque d'objet est un exemple d'un phénomène connu en linguistique générale sous le nom de "marquage différentiel de l'objet". Ce phénomène est largement répandu dans les langues iraniennes: il existe aussi dans un grand nombre d'autres langues. Il consiste en ce que l'objet est affecté d'une marque morphologique dans certains cas et ne l'est pas dans d'autres cas. La variation est généralement commandée par les catégories de définitude ou d'humanité, c'est-à-dire par le fait que le terme objet désigne une entité définie ou indéfinie, ou bien un être humain ou une chose. La règle générale, quelle que soit la langue, est que le défini ou l'humain a plus de chances d'être marqué que l'indéfini ou le non-humain. Dans certaines langues, le facteur principal est la définitude; dans d'autres langues, c'est l'humanité. Le persan est dans le premier cas; il en va de même, par exemple, en hébreu. En revanche, en espagnol, par exemple, c'est plutôt l'humanité, ex.:

- (7) *busco a mi amigo*
 "Je cherche mon ami"
- (8) *busco mi sombrero*
 "Je cherche mon chapeau".

Dans (7), l'objet désigne un humain: il est précédé la préposition *a*; dans (8), l'objet est une chose: il n'y a pas de préposition. Au total, en persan, le fonctionnement de *-râ* comme marque d'objet est conforme à la règle générale du "marquage différentiel de l'objet".

L'originalité du persan réside dans le fait que c'est le même morphème qui sert à marquer l'objet et aussi certains compléments de temps et des termes thématiques placés en tête de proposition. On peut se demander ce qu'il y a de commun entre ces emplois différents. En d'autres termes, est-il possible de découvrir une fonction plus générale, ou une signification plus abstraite, qui rendrait compte à la fois des trois emplois ? Je crois que oui.

Commençons par une remarque que m'inspire la langue française. J'ai traduit l'exemple (5) "Cette fille" ou "Quant à cette fille, j'ai parlé avec sa mère". On pourrait aussi traduire "Pour cette fille, j'ai parlé avec sa mère", qui aurait exactement le même sens. En français, un terme thématique jeté en tête peut être introduit par la préposition *pour*. On peut dire par exemple:

- (9) *Tu feras comme tu voudras; pour moi, je n'accepte pas.*

Il est intéressant de constater que cette préposition est celle qui sert aussi à désigner un bénéficiaire, ex.:

(10) *Je travaille pour toi.*

– et même un motif ou une cause dans des expressions comme *pour cette raison*, qui a le même sens que *avahyarâdiy* en vieux-perse, ou *pourquoi*, qui est formé exactement de la même façon que *cê rây* en moyen-perse et *čērâ* en persan. Cette similitude n'est pas fortuite.

Considérons maintenant l'emploi temporel de *-râ*. Il n'est pas très éloigné du troisième, l'emploi thématique. L'exemple (3) pourrait aussi se traduire "Pour ce soir, nous resterons à la maison". Il n'est pas exactement équivalent à la même phrase sans *-râ*:

(11) *emšab manzel mimânim*
"Ce soir, nous resterons à la maison"

La phrase (3) signifie que nous serons à la maison toute la soirée; elle exclut que nous soyons à la maison seulement un moment pendant la soirée. Elle signifie proprement "Nous passerons la soirée à la maison", ce qui n'implique nécessairement la phrase (11). Dans la phrase (3), *emšab-râ* n'est simplement une indication temporelle, une mention du temps au cours duquel le procès aura lieu: elle signifie que le procès occupera la *totalité* du temps indiqué. Voici un autre exemple peut-être plus clair emprunté à l'écrivain Sâdeq Hedâyât:

(12) *tasmim gerefte budam ... se ruze ta 'til-râ jâ-ye denj-i peydâ*
bokonam barâ-ye xod-am lam bedaham
"J'avais décidé de trouver un coin tranquille où me prélasser pour les trois jours de vacances"

Naturellement, il ne s'agit pas de prélasser pendant un moment quelconque choisi au cours de ces trois jours, mais bien de passer les trois jours entiers à se prélasser.

Il y a plus. Dans l'exemple (4), *in daf'e-râ* n'indique pas exactement une durée, mais une circonstance. Ici encore on doit traduire "pour cette fois". Le sens est clairement que le pardon est accordé pour cette fois seulement. Autrement dit, non seulement il concerne la circonstance présente, mais il est *limité* à cette circonstance. Nous voyons donc que ces complément de temps comportant *-râ* implique à la fois que le procès concerne la totalité du temps concerné (s'il y a une durée) et qu'il y est limité.

Cette idée d'*extension limitée* s'applique aussi à l'emploi thématique de *-râ*, si on prend le terme "extension" dans un sens non seulement temporel, mais général. Voyons en effet quelle est la fonction, dans n'importe quelle langue, d'un terme thématique jeté en tête. C'est d'indiquer en quoi et jusqu'à quel point l'énoncé qui suit est valable. Cela est bien clair dans le cas de notre exemple (9) en français. Le refus exprimé est valable pour moi et pour moi seul. Ce n'est par hasard qu'un terme thématique est, en français, souvent introduit par *quant à*. Cette expression vient du mot latin *quantum* "combien", qui est bien un terme quantitatif: il exprime une mesure, c'est-à-dire une extension et une limite. "Quant à cette fille" signifie: ce que j'ai à dire concerne cette fille et seulement elle, c'est la mesure de mon propos, le champ (limité) auquel il s'applique.

Nous pouvons maintenant jeter un coup d'œil sur le premier emploi de *-râ*, le marquage de l'objet. Qu'est-ce que l'objet d'un verbe ? C'est un terme qui mesure la validité de l'expression du procès. On a pu le définir comme une spécification délimitant la portée du procès que désigne le verbe. Autrement dit, il assigne une limite à l'extension des effets de l'action: *manger* tout court exprime l'idée d'absorber un aliment quel qu'il soit; *manger de la viande* la limite à un certain type d'aliment; et *manger cette viande* exprime une action strictement bornée. L'objet défini délimite plus étroitement que l'objet indéfini.

Au total, il apparaît que, dans tous ses emplois, le sens profond de la postposition *-râ* est l'idée d'une extension limitée.

ქილბერ ლაზარი

მნიშვნეები სპარსულ მორფემა *-râ*-ს შესახებ

რეზიუმე

ენკლიტიკური თანდებული *-râ*, რომელიც თანამედროვე სპარსული ენის სინტაქსის განუყოფელი ელემენტია, მრავალფუნქციურია და დიდი ხანია იქცა სამეცნიერო დისკუსიის საგნად. ის მომდინარეობს ძველი სპარსული თანდებული *râdiy-*დან, რომელიც დაერთვოდა სახელად ფორმებს ნათესაობით ბრუნვაში და მისი მნიშვნელობა იყო „თვის, გამო“. ამავე მნიშვნელობით ეს მორფემა გამოიყენებოდა საშუალო სპარსულშიც. მას ასევე ჰქონდა მიცემითი ბრუნვის ფუნქცია და გამოხატავდა მიმღებს, მსარგებელს (*bénéficiaire*), მიმცემ პირს (*donhataire*) ან მფლობელს (*possesseur*). გარკვეულ შემთხვევებში ის გამოიყენებოდა ობიექტის ფუნქციითაც. თანამედროვე სპარსულში ამ თანდებულს სამი ფუნქცია აქვს: 1) განსაზღვრული ობიექტის, 2) განუსაზღვრელი სპეციფიკური ობიექტის, 3) გარკვეული ტიპის დროის გარემოებების; ის ასევე მარკერია თემატიზებული (ტოპიკალიზებული) წევრის, რომელიც წინადადების დასაწყისში გვხვდება და ფიგურირებს ანაფორიულად. *-râ*-ს გამოყენება ობიექტის მარკერის ფუნქციით ფენომენია, რომელიც ზოგად ენათმეცნიერებაში ცნობილია „ობიექტის განსხვავებული მარკირების“ სახელწოდებით. მისი არსი ვლინდება იმაში, რომ გარკვეულ შემთხვევებში ობიექტს ახლავს მორფოლოგიური მარკერი, ხოლო სხვა შემთხვევებში არა. სპარსულ ენაში ეს განსხვავება ძირითადად განპირობებულია განსაზღვრულობის კატეგორიით. სტატიაში *-râ*-ს ზოგად მნიშვნელობად მიჩნეულია შეზღუდული გაგრცობა (*extension limitée*).

ვლადიმერ ლეკიაშვილი

ალტერნატიული სამყაროები და კარამეტრიზებული სემანტიკა

- დედაც, დღეში ორჯერ მცემს.
- ვინა გცემს?
- დედა. ჩვენში ცოლებს ასე ვებახთ.

გურამ დოჩანაშვილი, „ორნი აქა-იქ“

„ჰესპერუსი იგივე ფოსფორუსია“. ეს წინადადება, კრიპკეს აზრით, „აუცილებლად ჭეშმარიტია“ (Kripke 1980:102-105). „ჰესპერუსი“ მწუხრის ვარსკვლავია, „ფოსფორუსი“ – ცისკრის, ორივე კი – პლანეტა ვენერა; „აუცილებლად ჭეშმარიტი“ კი მოცემულ კონტექსტში იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ისეთი წარმოსახვითი სამყარო, სადაც ჰესპერუსი და ფოსფორუსი სხვადასხვა ციური სხეულების აღმნიშვნელები იქნებოდნენ, რადგან საკუთარი სახელები „ნისტი აღმნიშვნელებია“, ხოლო „ნისტი აღმნიშვნელებია“ იმიტომ, რომ ფილოსოფოსთა და, მათ შორის, კრიპკეს ავტორიტეტულმა ინტუიციამ ასე დაადგინა. ამ წინადადების ჭეშმარიტება არაა აპრიორული (ბოლოს და ბოლოს, ის დამოკიდებულია მთქმელის ინფორმირებულობაზე და არა მის ლოგიკურ თანმიმდევრულობაზე – თუ ადამიანმა არ იცის, რომ განთიადისას და საღამოს დანახული კაშკაშა ობიექტები ერთი და იგივე პლანეტაა, ის მართებულად იტყვის, რომ დღით ცაზე ფოსფორუსს ხედავს, საღამოთი – ჰესპერუსს და არც იგულისხმებს, რომ ჰესპერუსი ფოსფორუსია), მაგრამ, ამავე დროს, „ნისტი აღმნიშვნის“ თეორიის მიმდევრებს ვერ წარმოუდგენიათ ისეთი სამყარო, სადაც ფოსფორუსი არ იქნებოდა ჰესპერუსი. შედეგად ვიღებთ აბსურდს, კრიპკეს ტერმინოლოგიით კი „აპოსტერიორულ და აუცილებელ“ ჭეშმარიტებას. ალტერნატიული სამყაროების სემანტიკაში აუცილებლობის მოდალობა გულისხმობს მოცემული წინადადების ჭეშმარიტებას უკლებლივ ყველა იმ კონტრაფაქტუალურ სამყაროში, რომელსაც კი შეიძლება დაუკავშირდეს აქტუალური სამყარო (უფრო გასაგებად, თუმცა კი არაზუსტად – რომელიც კი შეიძლება წარმოიდგინოს და შესაძლებლად მიიჩნიოს აქტუალურ სამყაროში მყოფმა სუბიექტმა და, ბუნებრივია, შეიძლება იმასაც აცნობიერებდეს, რომ ეს იქნება არააქტუალური, კონტრაფაქტუალური სამყარო). ამ გაუგებრობის „ამოსახსნელად“ ენის ფილოსოფოსთა ნაწილმა ორგანოზომილებიანი სემანტიკა მოიშველია: მისი ჩალმერსისეული ინტერპრეტაცია გულისხმობს სამყაროთა ორ სიმრავლეს – მეტაფიზიკურს და ეპისტემურს (ამ უკანასკნელ სიმრავლეში შემავალ სამყაროებს ჩალმერსი სცენარებად მოიხსენიებს) (Chalmers 2006:81). ყბადაღებული ფრაზაც „ჰესპერუსი არის ფოსფორუსი“ მეტაფიზიკური თვალსაზრისით აუცილებელია, ეპისტემურით კი – არააუცილებელი (აპოსტერიორული), შედეგად, „აუცილებელ და იმავდროულად აპოსტერიორულ“ ჭეშმარიტებასაც თავისი ადგილი მიეჩინა. მაგრამ ორგანოზომილებიანი სემანტიკა მხოლოდ ამ და მსგავსი ფილოსოფიური

პრობლემების გადაჭრით არ შემოიფარგლება. მაგალითად, სტალნაკერის მოდელი, სადაც პირველ განზომილებად სცენარების ნაცვლად კონტექსტებია, ე.წ. ინდექსიკალების (მათ შორის სხვადასხვა ტიპის ნაცვალსახელების) მნიშვნელობებსაც ხსნის და გამონათქვამთა პრაგმატულ ასპექტებს და ინფორმაციულობასაც ჰყენს ნათელს. მართალია, ლინგვისტური თვალსაზრისით რაიმე ღირებულ შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, სამაგიეროდ თვით ასეთი კვლევის პროცესია საინტერესო, ხოლო შუალედური მიგნებები – მეტად საგულისხმო. აქ ინფორმაციის ვერბალური გაცვლა-გამოცვლა ასეთ ფორმას იღებს: "Speakers make assumptions about what their addressees know or believe about what they are talking about as well as about what their words mean and what the relevant contextual parameters are relative to which their words will be interpreted. These assumptions will influence what they choose to say, and how they choose to say it. Since the speaker will normally presuppose that he is speaking (and that the addressee knows this), the possible worlds compatible with what is presupposed will be possible worlds in which the utterance event in question takes place, and in which it has a meaning and a content that may be different from the meaning and content that the utterance has in actual world" (Stalnaker 2006:296; მსჯელობის კონვინციური და სტილისტური ზიბლი რომ არ გახუნდეს, ჩვენ ეს ფრაგმენტი ორიგინალში, თარგმანის გარეშე მოგვყავს). რა სამყაროა ეს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ალტერნატიულ, კონტრაფაქტუალურ, ეპისტემურ, კონტექსტურ და კიდევ ღმერთმა უწყის რა ტიპის სამყაროებს და რომლის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში სემანტიკას ორ განზომილებაში აღიქვამს? – ეს უადრესად რთული და საინტერესო სამყაროა. აქ სიტყვას ოქროს ფასი აქვს. ეჭვებით გატანჯული მოსაუბრე ვიდრე რამეს იტყოდეს, შვიდჯერ გაზომავს – ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმდენჯერ მაინც, რამდენ "about"-საც დაითვლის დაინტერესებული მკითხველი ზემომოყვანილი ფრაგმენტის პირველ წინადადებაში. აქ "utterance" უბრალოდ "utterance" კი არ არის, არამედ – "utterance event": უფრო სოლიდურადაც ჟღერს და ორაზროვნებასაც გამორიცხავს. ანალიზის ობიექტი ამ სამყაროში, ხშირად, არა წინადადება, არამედ თვითკმარი „პროპოზიციაა“, ანუ ის, რასაც გამოხატავს გამონათქვამი. ერთი შეხედვით, სახიფათო დაშვებაა, ხომ შეიძლება მავანმა ენთუზიასტმა ისეთი „პროპოზიციების“ კვლევა დაიწყო, რომლის გამოსახატავად ამ სრულყოფილ სამყაროში არასრულყოფილ ბუნებრივ ენას რესურსი არ ეყოფა, მაგრამ ეს პრობლემაც ადვილად მოგვარდება, როცა ენის ფილოსოფოსები „იდეალურ ენას“ შექმნიან (მონახაზი უკვე არსებობს – იხ. Chalmers 2006:84). ამჯერად ორგანზომილებიან ეპისტემურ მოდელზე შევჩერდებით. აქ პირველ განზომილებას ქმნიან ე.წ. ეპისტემური სამყაროები (როგორც შეიძლება იყოს რეალური სამყარო, და იქნებ არის კიდევ), მეორე განზომილებას კი ავსებენ მოდალური ლოგიკის ჩვეული ობიექტები – კონტრაფაქტუალური სამყაროები (როგორც შეიძლება იყოს რეალური სამყარო – მაგრამ არ არის). პირველ შემთხვევაში წარმოსახვითი სუბიექტი რეალურ სამყაროზე (მისთვის რეალურ სამყაროზე) არასრულყოფილი ცოდნის შევსებას ფანტაზიით ცდილობს, მოკლედ, საქმეს სჭირდება სრულიად უვიცი, მდიდარი ფანტაზიის მქონე და უზადოდ (ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზომიერად) ლოგიკური სუბიექტი. ზოგადად, ენის ფილოსოფია იმდენად იყო შეჭირვებული ორი

დიქტომიის – აპრიორიზმ-აპოსტერიორიზმისა და აუცილებლობა-შემთხვევითობის ერთმანეთისგან გამიჯნით, რომ შეიძლება გვეფიქრა, ორგანოზომილებიანი სემანტიკა სწორედ ამ „პრობლემის“ გადასაწყვეტად შეიქმნა, მაგრამ ფაქტიურად საკითხის ისტორია უკავშირდება ენობრივი ერთეულებსა და „შესაბამის“ ექსტრალინგვისტურ ობიექტებს შორის ურთიერთობების ფორმალიზების მცდელობებს. ეპისტემურ ორგანოზომილებიან სემანტიკაში პირველი განზომილება საზღვრავს გამონათქვამის აპრიორიზმ-აპოსტერიორიზმს (თუ გამონათქვამი ჭეშმარიტია ამ რიგის უკლებლივ ყველა სამყაროში, ის აპრიორულია), მეორე – აუცილებლობა-შემთხვევითობას (თუ გამონათქვამი ჭეშმარიტია ამ განზომილების ყველა სამყაროში, ის აუცილებელია). ერთი შეხედვით, ასეთი სქემა პირველი დიქტომიის ყოველი წევრის თავისუფალი კომბინირების საშუალებას უნდა იძლეოდეს მეორე დიქტომიის თითოეულ წევრთან. ვეჭვობთ, ჩანაფიქრიც ასეთი იყო. ხორცშესხმას კი ახლა განვიხილავთ. როგორც ვნახეთ, „ჰესპერუსი არის ფოსფორუსი“ აუცილებელი და აპოსტერიორული ჭეშმარიტების ნიმუშად სახელდება. მეორე განზომილებაში, ანუ მეტაფიზიკურ (კონტრაფაქტუალურ) სამყაროთა სიმრავლეში ის ყველგან ჭეშმარიტია, ე.ი. აუცილებელია. ლოგიკა და ახლოებით ასეთი უნდა იყოს: ჰესპერუსი და ფოსფორუსიც აღნიშნავენ ობიექტებს, რომელთა იდენტიფიკაცია გარკვეული თვისებების საფუძველზე ხდება (აქვთ მოძრაობის გარკვეული ტრაექტორია, ცაზე ჩნდებიან გარკვეულ დროს, აქვთ გარკვეული სიკაშკაშე და ა.შ. უსასრულოდ). ჰესპერუსისთვის ამ თვისებებს ემატება კიდევ ერთი – „იგივეა, რაც ფოსფორუსი“. კონტრაფაქტუალურ სამყაროში, სადაც განთიადისას და სალამოს შესაბამის ადგილას ცაზე სხვადასხვა ობიექტები ჩნდება, ჰესპერუსი მაინც ფოსფორუსია – სალამოს დანახულ სხვა ობიექტს უკვე აღარ შეიძლება ჰესპერუსი ვუწოდოთ, რადგან მას უკვე არ ექნება „ჰესპერუსის“ შესაბამისი ობიექტის ერთ-ერთი თვისება – „იგივეა, რაც ფოსფორუსი“ და ამიტომ სახელიც სხვა უნდა ჰქონდეს. ამდენად, ჰესპერუსი ყველა კონტრაფაქტუალურ სამყაროში იგივე ფოსფორუსია. საბედნიეროდ, არსებობს მეორე განზომილებაც – ეპისტემური სამყაროები. ასეთ სამყაროებში აქტუალური სამყაროს „თვალსაზრისი“ არ მოქმედებს, აქ მოვლენებს საკუთარი სამრეკლოდან აკვირდებიან. თუკი აქ ჰესპერუსს არ აქვს თვისება „იგივეა, რაც ფოსფორუსი“, ე.ი. მას ის არც არასდროს ჰქონია (ასეთია ამ სამყაროს „ეპისტემური მდგომარეობა“), რაც არ ჰქონია, იმას ვერც დაკარგავს და, შესაბამისად, სახელსაც შეინარჩუნებს. ერთი სიტყვით, ეპისტემურ სამყაროებში ჰესპერუსი შეიძლება ჰესპერუსი იყოს, ფოსფორუსი – ფოსფორუსი და, ამისდა მიუხედავად, ჰესპერუსი აღარ იყოს ფოსფორუსი. ინტერპრეტაცია ნამძალადევი და ანტიინტუიციურია, მაგრამ – თანმიმდევრული. უფრო გონებაბაზვილური და სახალისოა სხვა კომბინაციის – შემთხვევითი (არააუცილებელი) და აპრიორული ჭეშმარიტების ნიმუში. ასეთი უცნაურობის ტიპურ მაგალითს დევისის (Davies 2004:107) დავესესხებით – „თუკი ვინმემ საერთოდ გამოიგონა ელვა-შესაკრავი, ეს ის იქნებოდა, ვინც ის რეალურ სამყაროში გამოიგონა“. ეს გამონათქვამი აპრიორულიცაა და შემთხვევითიც – ყველა ეპისტემურ სამყაროში ჭეშმარიტია, კონტრაფაქტუალურ სამყაროებში კი შეიძლება ჭეშმარიტი არც იყოს; სტილისტურად ოღნავ მძიმე და ზომიერად წრიული – თვით ფრაზაშია მინიშნება ეპის-

ტემურ სამყაროზე (ისეთ წარმოსახვით სამყაროზე, რომელსაც თავი აქტუალურად ანუ რეალურად „წარმოუდგენია“).

ეპისტემურ ორგანოზომილებიან სემანტიკაში „პროპოზიცია“ გაიგებულა ორგანოზომილებიან მატრიცასთან, რომლის ყოველი უჯრა აღმოჩნდება ორი პარამეტრის – კონტრაქტუალური სამყაროების და ეპისტემური სამყაროების გადაკვეთაზე და მიიღებს ორიდან ერთ-ერთ მნიშვნელობას – ჭეშმარიტს ან მცდარს. ნებისმიერი ორი განსხვავებული მნიშვნელობის წინადადების შესაბამისი მატრიცაც განსხვავებული იქნება. ერთი სიტყვით, მოდელი საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთხელ დავადასტუროთ კარგად ცნობილი ფაქტი – ნებისმიერი ორი, თუნდაც სინონიმური, მაგრამ ფორმით განსხვავებული წინადადების მნიშვნელობები სრულად არ დაემთხვევა ერთმანეთს. შედეგს შთაბეჭდავს ვერ დავარქმევთ, მაგრამ უდავოდ პოზიტიურია. ამის გარდა, ჩვენ შევძლებთ არგუმენტირებულად დავადგინოთ, ამა თუ იმ ფრაზის ჭეშმარიტება აპრიორულად შემთხვევითია, აპოსტერიორულად აუცილებელი, აპრიორულად აუცილებელი თუ, საერთოდაც, აპოსტერიორულად შემთხვევითი – თანაც ამ აპრიორიზმისა და აუცილებლობის ცნებებს სპეციფიკური, მხოლოდ ამ ორგანოზომილებიანი სემანტიკის ფარგლებში განსაზღვრული მნიშვნელობა ექნებათ.

ყველაფერი 1892 წელს დაიწყო, ფრეგეს ცნობილი სტატიის „Über Sinn und Bedeutung“ გამოჩენის შემდეგ. ოფიციალური ვერსიით, სწორედ ამ დროიდან გააცნობიერა ფილოსოფიამ ერთი საგულისხმო ფაქტი: ორ განსხვავებულ სიტყვას შეიძლება საერთო დენოტატი ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელობით რამდენადმე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. „ჰესპერუსი“ და „ფოსფორუსი“ ერთსა და იმავე პლანეტას აღნიშნავენ, მაგრამ არსებობს ე.წ. ინტენსიონალური (ექსტენსიონალურისგან განსხვავებით) კონტექსტები, სადაც მათი ურთიერთჩანაცვლება შესაბამისი წინადადების ჭეშმარიტულ მნიშვნელობას შეცვლის – ფრაზაში „ჰესპერუსი პლანეტა ვენერაა“ „ჰესპერუსი“ თამამად შეიძლება ჩანაცვლდეს „ფოსფორუსით“ და მთლიანი წინადადება კვლავაც ჭეშმარიტი იქნება. მაგრამ ეს ასე არაა ფრაზისთვის „მავანი ფიქრობს, რომ ჰესპერუსი პლანეტა ვენერაა“ – ამ ვიდაცამ შეიძლება არც იცოდეს, რომ ჰესპერუსი იგივე ფოსფორუსია. ფილოლოგია ამ ფაქტს მოკლედ და კონკრეტულად აღწერს – „ენაში არ არსებობს სრული სინონიმები“. ენის ფილოსოფიას ცალი თვალთ მანც რომ ჩაეხედა კლასიკურ ლინგვისტურ კვლევებში (თუნდაც ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“), სახელების დენოტაციისა და მნიშვნელობის ერთმანეთისგან გასარჩევად იქნებ არც დასჭირვებოდა მეორე ორგანოზომილების შემოღება, ბუნებრივენოვანი ფრაზების ანალიზისას ექსტენსიონალური კონტექსტების ნაცვლად იქნებ სემანტიკური ნეიტრალიზაციის კონტექსტებზე ემსჯელა და არც მათემატიკური ესთეტიკა გათელილიყო ასე უმოწყალოდ: ეპისტემურ ორგანოზომილებიან მატრიცაში ფაქტობრივად მხოლოდ დიაგონალური უჯრებია „კოგნიტიურად ღირებულნი“, უძრავლეს შემთხვევაში დანარჩენი უჯრები ავტომატურად ივსება. ამ სამყაროში ენობრივი ერთეულების – სიტყვების, ფრაზების, წინადადებების – განსაზღვრას ექსტრალინგვისტური რეალობის საფუძველზე ცდილობენ. უფრო ზუსტად, მიიჩნევა, რომ ეს რეალობა საკმარისად მყარი და მკაფიოა იმისთვის, რომ მასზე დაყრდნობით მათემატიკური სიზუსტით დადგინდეს ენობრივ ერთეულთა სემანტიკა. ზოგადად რეალობა კი უფრო მკაცრია: კვანტური ორანოზომ-

ნების ეპოქაში აბსტრაქტულ ობიექტებზე თეორიის შეთხზვა „ობიექტური“ – ამ აბსტრაქციის შემოქმედი სუბიექტისგან დამოუკიდებელი – ფაქტების საფუძველზე ბანალური ანაქრონიზმია. ნებისმიერი ენობრივი ერთეულის „ექსტენსიის“ (დენოტატის) განსაზღვრა პრინციპულად შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ექსტრალინგვისტური ცნებების გამოყენებით – ამ უკანასკნელთა იდენტიფიკაცია ისევ ენობრივი საშუალებებით ხდება. თავის მხრივ, „ექსტენსია“ „ინტენსიის“ (მნიშვნელობის) განსაზღვრის საფუძველია. გამოდის, რომ ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა სხვა ერთეულების მნიშვნელობებით დგინდება, მითიური მყარი პირველსაწყისი კი მოუხელთებელი რჩება. სამაგიეროდ, ამ ერთეულისთვის იქმნება უამრავი ენობრივი კონტექსტი. ეს უნებლიე ორიენტირი სწორია, ოღონდ გზაა შემოვლითი. რომელიმე წინადადების მნიშვნელობის განსაზღვრად ურიცხვი წარმოსახვითი სამყარო უნდა ავაგოთ (ან ჩალმერსისეული ეპისტემურად სრული წინადადებები, რომელთა არაწინააღმდეგობრიობა ისევ ექსტრალინგვისტურ სფეროს უნდა დაემყაროს) და წინადადების მნიშვნელობა გავაიგივოთ იმ ორმაგადინდექსირებულ (ორგანზომილებიან სემანტიკაში) სამყაროთა სიმრავლესთან, რომელშიც ეს წინადადება ჭეშმარიტი იქნება. არსებობს პირდაპირი გზაც: ყოველი ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა გავაიგივოთ იმ ენობრივ კონტექსტთა სიმრავლესთან, რომელშიც კი შეგვხვედრია ეს ერთეული, და ენობრივი ობიექტის მნიშვნელობა განვსაზღვროთ უშუალოდ ენობრივი კონტექსტით და არა ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული თუ გამოხატული სიტუაციური კონტექსტით. ასეთი სქემა თავიდან აგვაცილებდა სამყაროების შექმნის რუტინულ პროცედურას და, ამავე დროს, ადვილად ახსნიდა ბუნებრივენოვანი ერთეულის მნიშვნელობის ცვალებად ბუნებას: ერთი და იმავე ერთეულის მნიშვნელობა ხშირად არსებითად განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა სუბიექტისთვის, არამედ მისი გამოყენება ყოველ ახალ – იქამდე არარსებულ, მაგრამ ენობრივი უზუსით დასაშვებ – კონტექსტში გარკვეულწილად ცვლის მის სემანტიკას. ზოგადად, სიტყვის მნიშვნელობის დადგენისთვის ენობრივი კონტექსტის როლზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ნებისმიერი განმარტებითი ლექსიკონის ღირსება ფასდება არა სიტყვათა მნიშვნელობების ფსევდოფორმალური და ვიწროსპეციალური განსაზღვრებებით, არამედ დამოწმებული – არა საგანგებოდ შეთხზული, არამედ ლიტერატურადან მოპოვებული – კონტექსტების სიუხვით.

ლიტერატურა

- Kripke 1980:** Saul A. Kripke, Naming and Necessity, Basil Blackwell.
- Stalnaker 2006:** Robert Stalnaker. Assertion Revisited: On the Interpretation of Two-Dimensional Modal Semantics. In: Garc (ed.), Two-Dimensional Semantics, Clarendon Press, Oxford.
- Chalmers 2006:** David J. Chalmers, The Foundations of Two-Dimensional Semantics. In: Manuel Garcia-Carpintero & Josep Macia (eds.), Two-Dimensional Semantics: Foundations and Applications. Oxford University Press.
- Davies 2004:** Martin Davies, Reference, Contingency, and the Two-Dimensional Framework, Philosophical Studies **118**: 83–131.

Possible Worlds and Parameterized Semantics

Summary

The issues of definition of the meanings of linguistic items on the basis of possible worlds semantics and, in particular, its two-dimensional epistemic version, the question of rigid designation, as well as the methods of formalization of the concepts of necessity and apriority are considered in the article. We attempt to show that the definition of the meanings of linguistic items via the sets of double-indexed worlds, in spite of the theoretical difficulties of such a procedure, does not exceed in semantic significance the construction of the set of acceptable linguistic contexts for the items.

ლამარა მარბგმლანი, ბიორგი ჩიკოიძე

სხვა ენებიდან შემოსული მ.წ. „ნასესხები“ ლექსიკის შემსახე

მიღებული ტრადიციით უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებს ნასესხებ სიტყვებს უწოდებენ. არა და, უნდა ითქვას, რომ ენა სიტყვებს არ სესხულობს. ნასესხები უკან დასაბრუნებელს ნიშნავს. ამა თუ იმ ენაში სხვა ენიდან შესულ ლექსიკას (სიტყვებს) ენა კი არ სესხულობს, არამედ იგი სხვა ენის სალექსიკონო ერთეულებს (სიტყვებს) კარს უღებს, აძლევს მათ შემოსვლის საშუალებას და აქცევს თავის საკუთრებად (ითავისებს, იმკვიდრებს). ისიც უნდა ითქვას, რომ ენაში მოსაგვარებელ სხვა პრობლემებთან ერთად უნდა ვებრძოლოთ ამა თუ იმ ენის გავლენით შექმნილ უხეშ შეცდომებს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ყოველად დაუშვებელი გამოთქმა „გაყიდვაშია“, რომელსაც იყენებენ „იყიდებას“ ნაცვლად. ბუნებრივია, ენაში დაშვებულ შეცდომებს წინ უნდა აღვუდგეთ.

არსებობს ახალი სიტყვის დამკვიდრების რამდენიმე გზა:

1) სრულიად ახალი ჟღერადობის ერთეულის შექმნა და მისთვის სათანადო სემანტიკის მინიჭება; 2) ნაკლები მნიშვნელობისთვის იმავე ენაში რომელიმე კვაზი-სინონიმის, ანუ ახლო მნიშვნელობის სიტყვის მოძებნა და გაფართოება ისე, რომ მისმა სემანტიკამ დაფაროს არსებული ხარვეზი; 3) რომელიმე სხვა ენიდან საჭირო მნიშვნელობის მქონე სიტყვის „შემოტანა“, დამკვიდრება და ჩართვა საკუთარ ლექსიკურ მარაგში.

ენა, „ცოცხალი ორგანიზმი“, გაურბის ამოცანის გადაწყვეტის პირველ გზას, ყოველ შემთხვევაში მისი ჩამოყალიბების დასრულებულ სტადიაში, როცა მასში უკვე ძლიერადაა დამკვიდრებული ასოციაციები მიღებულ ჟღერადობათა და მათ შესაბამის მნიშვნელობათა შორის. ენა, „ცოცხალი ორგანიზმისთვის“ ჩვეული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით და საკუთარი თავის შენარჩუნებისთვის, ეწინააღმდეგება ასეთ ხელოვნურ „ჩარევას“ მის სტრუქტურაში, რომელიც არღვევს უკვე ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ ასოციაციურ მიმართებათა სისტემას. თანაც „ანგრევს“ მას „შიგნიდან“ რაღაც ახალი უცხო ელემენტის „შემოტანით“, რომელსაც ამ მიმართებასთან თავიდანვე ნათესაობის „პრეტენზია“ აქვს.

ენის შიდა სტრუქტურის თვალსაზრისით შინაგანი „აფეთქების“ ცდას უპირისპირდება მისთვის უფრო „უვნებელი“ რომელიმე უცხოური ელემენტის შემოერთება, რომელსაც მისთვის უცხო ენაში სწორედ მოსაძებნი ახალი მნიშვნელობა აქვს. ენა თამამად იღებს მზა უცხო სიტყვას, რომელიც არსებულ ასოციაციურ სიმრავლეს კიდევ ერთ ელემენტს ჰმატებს უკვე დამკვიდრებული, ჩვეული შინაგანი სტრუქტურის არსებითი „დამახინჯების“ გარეშე. მეტიც, მიღების/დამკვიდრების აქტში ჩაერევა უფრო მდგრადი გრამატიკული კომპონენტი და ახალ „სტუმარს“ „შემოსავს“ ენისთვის ჩვეული ფორმით ყველა მისი თავისებურებით. ასე, მაგალითად, ქართულში შემოსული არსებითი სახელები იკუმშება და იკვეცება ქართული მორფოლოგიური „ჩვეების“ შესაბამისად: *ფანჯარა – ფანჯრის...*

უცხოელი „სტუმრები“ რამდენიმე ხნის შემდეგ განიხილება და აღიქმება, როგორც მშობლიური ენობრივი ოჯახის წევრი და ხშირ შემთხვევაში უცხო ენიდან მათი წარმომავლობა და გარე ენობრივ სამყაროში მათი ფესვები მხოლოდ ეტიმოლოგიით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის რჩება ცნობილი.

ამავე დროს, ენის „ცოცხალი ორგანიზმი“ ცდილობს თავი აარიდოს „შინაურად შემოსილი“ უცხოეთში გაჩენილი ერთეულების ნაკადს, „შემოსევას“. ლექსიკური თვალსაზრისით შეზღუდვები, პირველ რიგში, ეხება ადამიანის ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაში ყველაზე ღრმად ჩამჯდარ სემანტიკურ ველებს, რომლებიც ენის განვითარების ყველაზე ადრინდელ საწყისს და, კერძოდ, მისი ლექსიკური მარაგის სათავეს წარმოადგენენ. ასეთებია, მაგალითად, ადამიანის სხეულის ნაწილების დასახელებები, სივრცეში გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები, ვერბალური კომუნიკაციური პროცესების სახელები, ემოციურ-მენტალური ველის ლექსიკა და ზოგი სხვა. თუმცა ეს შეზღუდვა, ისევე, როგორც ენის წესების და შეზღუდვების უმრავლესობა, „არამკვეთრია“, ანუ საკმაოდ ხშირ გამონაკლისებს და დარღვევებს უშვებს. ასე, მაგალითად, ჩვენი სხეულის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: *თვალი, ყური, ცხვირი, პირი, ხელი, ფეხი...* როგორც ჩანს, ქართული ლექსიკის პირვანდელი ფენის წარმომადგენელი არიან. თუმცა ისეთი, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი, წამყვანი ნაწილი სხეულისა, როგორიცაა „თავი“, წარმომავლობის თვალსაზრისით გარკვეულ ეჭვს ბადებს („ბემ-ტაუ“ – ხუთთავა მწვერვალი), „თავის“ უკანა ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა „კეფა“ – ბერძნული წარმომავლობის უნდა იყოს.

რაც შეეხება ქართულში შემოსული წარმოშობით სხვაენოვანი სიტყვების ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებს, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უფრო ღრმა, დამკვიდრებული, „ასაკოვანი“ და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ფენა ეკუთვნის საქართველოს სამხრეთელ და თავის დროზე საკმაოდ ძლიერ მეზობლებს: ბერძნებს (ანუ ბიზანტიას), არაბებს, სპარსეთს. ამათგან ბერძნული წარმოშობის ლექსიკა გამოირჩევა ხმარების უფრო ძველი და ამაღლებული რელიგიურ-ფილოსოფიური სფეროთი.

აღმოსავლური (არაბული, სპარსული...) ენების გავლენა ხშირად თავს იჩენს უფრო კონკრეტული საყოველღეო ხმარების (თუმცა ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვან) საგნებთან დაკავშირებით.

საქართველოში რუსეთის ორასწლიან მმართველობას დიდი „შთაბეჭდილება“ არ მოუხდენია ქართულ ლექსიკაზე, ყოველ შემთხვევაში, მის ნორმატიულ, ლიტერატურულ კომპონენტზე (იმის მიუხედავადაც კი, რომ სწორედ რუსული, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის რეალურ გლობალურ ენას). ამ, გარკვეული თვალსაზრისით, მოულოდნელი მოვლენის მიზეზად, ერთი მხრივ, შეიძლება ჩავთვალოთ ის თვალსაჩინო შინაგანი სტრუქტურული განსხვავება, რომელიც ახასიათებს ამ ენებს (და შესაძლოა, ასახავს გარკვეულ ემოციურ-მენტალურ დაპირისპირებასაც კი ამ ენების მატარებელთა შორის); მეორე მხრივ კი, უფრო განყენებულ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ენა, კერძოდ, ქართული ენაც, არა მარტო „ცოცხალ“, არამედ გარკვეული თვალსაზრისით „გონივრულ“, ორგანიზმსაც წარმოადგენს, რომელიც თავს იცავს სერიოზული „შემოსევის“ ხიფათისაგან, ეს კი აშკარად ემუქრებოდა მას ამ ორასწლიანი სახელმწიფოებრივი დაქვემდებარების პირობებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ რუსული ენა ასრულებდა იმ არხის როლს, რომლის გავლით ქართულამდე აღწევდა თანამედროვე ევროპული სოციალური, პოლიტიკური, მეცნიერული ტერმინოლოგია. ამ შუალედური რგოლის მნიშვნელობა, პირველ რიგში, საბჭოთა ეპოქაში საერთაშორისო კონტაქტებზე მკაცრი შეზღუდვებით იყო განპირობებული. მისი შედარებითი მრავალრიცხოვანების და მისი პრაგმატიკული ღირებულების მიუხედავად ამ გზით შეძენილი ლექსიკა ქართული ენის „ზედაპირულ“ ფენად გვეჩვენება, რომელიც ძლიერფესვიანი ქართული მორფოლოგიის, სემანტიკის და პრაგმატიკის ფონზე გარკვეული თვალსაზრისით „ნიეტრალურად“ გამოიყურება. თუმცა, როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, საერთაშორისო „ცივილიზაციის“ ელემენტები გარეგნულად ჩვეულებრივი მორფოლოგიური ფორმებით არის წარმოდგენილი.

მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს სხვადასხვა თემატური სფეროდან:

სოციალური წყობილება:

– დემოკრატია, პლუტოკრატია, სოციალიზმი...;

დაწესებულებები:

– პარლამენტი, სენატი, უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, სკოლა, ბანკი, ოფისი...;

თანამდებობები:

– პრეზიდენტი, მინისტრი, დეპუტატი, დირექტორი, რექტორი, პროფესორი, დოცენტი...;

სამეცნიერო დარგები:

– ლინგვისტიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ფიზიკა...;

ტერმინები:

– ფონემა, მორფემა, აფიქსი, დიფერენციალი, ინტეგრალი, რადიკალი, ფუნქცია, ოპერატორი...;

უკანასკნელ მაგალითებთან დაკავშირებით ვახსენოთ ის შემთხვევებიც, რომლებიც განეკუთვნებიან ახალი მნიშვნელობის „შემოჭრის“ მეორე ვარიანტს, სახელდობრ, მოვიყვანო ახალი ცნებების გაფორმების მაგალითებს, რომლებიც ენაში უკვე მიღებულ ლექსიკას იყენებენ:

მონაკვეთი, სიმრავლე, კუთხე, სიჩქარე, აჩქარება, წნევა, ხახუნი...;

ახალი ლექსიკის წარმოქმნის ამ ვარიანტში ხშირად გამოიყენება უცხოენოვანი კომპოზიტების დაშლა, მათი კომპონენტების თარგმანი და ამ უკანასკნელების ქართულენოვანი კომპოზიციის შექმნა:

– председатель – თავმჯდომარე, руководитель – ხელმძღვანელი...;

– само-лет – თვითმფრინავი, верто-лет – შვეულმფრენი, паро-воз – ორთქლმავალი...;

– тре-угольник – სამკუთხედი...;

– Foot-ball – ფეხ-ბურთი, volley-ball – ფრენ-ბურთი, hand-ball – ხელ-ბურთი, water polo – წყალბურთი.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ენაში ახალი ლექსიკის „შემოსვლა“ ზოგჯერ მართლაც არ ცვლის ენის ძირითად სახეს, კერძოდ, გრამატიკას და უვნებლად ამდიდრებს მის კომუნიკაციურ საშუალებებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ სამყაროში, სადაც სხვადასხვა ენების მატარებელ ერებს შორის უფრო და უფრო ვითარდება ყველა სახის კავშირები (სოციალური, პოლიტიკური, მეცნიერული, ინდუსტრიალური და სხვა).

თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ თანამედროვე სამყაროში ინგლისური ენის სახით გაბატონებულია ახალი „ესპერანტო“. მართალია, ქართულმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმატებით გაუძლო ორსაუკუნოვან გამოცდას, რითაც აშკარად დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, მაგრამ დღევანდელი გაძლიერებული საკომუნიკაციო საშუალებების პირობებში და სწავლისადმი მკვეთრად დაცემული ინტერესის ფონზე არ შეიძლება არ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ ჩვენ „ცოცხალ ორგანიზმს“ – ქართულ ენას და როგორ შევუნარჩუნოთ მას პოპულარობა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში. კერძოდ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ შევამციროთ ტელევიზორის და კომპიუტერის გავლენა ახალგაზრდობაზე, მოვარდნილი ნიაღვარივით რომ არ წააღვინოს საჭირო ლექსიკა. ენობრივი შემოსევებისაგან თავდაცვის ერთ-ერთ პერსპექტიულ საშუალებად გვესახება თავად კომპიუტერის გამოყენება. კერძოდ, ენის სწავლების კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული ლექსიკონების და გრამატიკების შექმნა. თუმცა, ამ სახით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. დავასახელებთ ბოლო წლების ნაშრომებს: 1) ლ. მარგველანი, ქართული ენის კომპიუტერული მოდელები. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი. რედაქტორები: ი. ქობალავა, გ. ჩიკოიძე. თბილისი, 2008 (მონოგრაფია). 2) Г. Чикоидзе. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления Арчила Элиашвили. Редактор Б.Л. Имнадзе. Тбилиси, 2010 (Монография).

Lamara Margvelani, Giorgi Chikoidze

On Loanwords from Foreign Languages

Summary

The object of this survey is a part of Georgian vocabulary which comes from the other (foreign) languages. This enrichment of the vocabulary, in spite of its obvious merits, is fraught by the threat of the loss of its language, this “living organism”, preserves itself from this danger by the limitation of such “intrusion”. This consideration is illustrated by the fact that the Georgian language received very few lexical “income” from Russian, in spite of two centuries of the closest contact between the native countries of these two languages. The main lexical units came through the languages of the southern neighbours.

ქეთევან მებრელიშვილი

თავანის წარმომავლობისა და ომონიმიზაციისათვის ქართულში

მრავალსაუკუნოვანი სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების ფონზე ქართულში შემოსული და დამკვიდრებული სპარსული ნასესხობების საკმაოდ ვრცელი კორპუსი დიდი ხანია ქართველი, და არა მხოლოდ ქართველი, ირანისტებისა თუ ზოგადად ენათმეცნიერთა საკმაოდ საინტერესო საკვლევ თემატიკას წარმოადგენს. ხანგრძლივი ისტორიულ-მეზობლური კავშირები განსაზღვრავდა ლექსიკის შემოჭრას სხვადასხვა ირანული ენობრივი ეპოქიდან როგორც ძველი, ისე საშუალო და ახალსპარსული ეპოქებიდან.

ურთიერთობები ირანულ ენებთან ხორციელდებოდა არა მარტო წერილობითი, არამედ ზეპირი გზითაც. ზეპირმეტყველებით კონტაქტებს განაპირობებდა სპარსელთა სახლობა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით (ანთაძე 2009:9). საქართველოში სპარსელები უპირატესად თბილისში ცხოვრობდნენ. მათი განსახლების ძირითად ადგილად გვიან შუა საუკუნეებში შეიღობადის უბანი და ქალაქის ციხის მიმდებარე ტერიტორია ითვლებოდა (ალექსიძე 2009:67). ცოცხალი ენობრივი კონტაქტების საფუძველზე ხდებოდა როგორც ცალკეული ნომინაციური ერთეულების, ისე კომუნიკაციურ ერთეულთა, ფრაზათა თუ მთელ ფრაზეოლოგიურ წინადადებათა შესხება. თბილისურ მეტყველებაში დამკვიდრებული აღმოსავლური ლექსიკა თავმოყრილია იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ (გრიშაშვილი 1997), რომელშიც ლექსემათა უმრავლესობა ახალსპარსული წარმომავლობისაა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ერთი ლექსიკური ერთეული – თავანი. თავანი ქალაქურ ჟარგონულ მეტყველებაში საკმაოდ კარგად ფესვმოკიდებული სიტყვაა. ინფორმანტთა მიხედვით, იგი ნიშნავს ‘წაგებულ თანხას’, ‘ჩასაბარებელ თანხას’ ან ‘რაიმე მოქმედებას, რომელიც წაგებულის სანაცვლოდ უნდა შესრულდეს; ზოგადად – წაგებულს’. აღნიშნული სიტყვა ძალიან ხშირად იხმარება ზეპირმეტყველებაში, ე.წ. ქურდულ ჟარგონში. მაგ: „თავანი აქვს ჩასატანი – 500 ლარი“, „თავანი მაქვს ჩასაბარებელი – რესტორანი ათ კაცზე“ და სხვ.

ჩვენთვის საინტერესო ლექსემა ფიქსირდება პროზაშიც და პოეზიაშიც. აკა მორჩილაძის მოთხრობაში „კაი ბიჭის ცხოვრება“ კვითხულობთ:

- მერე თავანი?
- რა თავანი?
- თავანი როგორ ჩააქ?

შემდეგი ნიმუში ციტირებულია გიორგი დვალის ლექსიდან „მარადიული კითხვა“:

თუ ტრფობის ფარდავს დავიგებთ,
ანდა გავკიცხავთ მავანთ,
შევცოდავთ? – ღმერთთან წავაგებთ,
ეშმაკს კი ვაბარებთ „თავანს“.

ორივე მაგალითში განსახილველი სიტყვის მნიშვნელობა ნათელია, იგი გულისხმობს წაგებულს, გადასახდელს, ჩასაბარებელს. რაც შეეხება **თავანის** სალექსიკონო განმარტებას, იგი ამ გაგებით არ გვხვდება არც ერთ ქართულ ლექსიკონში, მათ შორის არც ლევან ბრეგაძის ჟარგონის ლექსიკონში (ბრეგაძე 2005), არც იოსებ გრიშაშვილის ქალაქურ ლექსიკონში (გრიშაშვილი 1997). **თავანის** ერთადერთ განმარტებად სხვადასხვა ლექსიკონებში მოცემულია 'სხვენი' (ქეგლ 1986, ნეიმანი 1978), რომელსაც ჩვენ ქვემოთ მივუბრუნდებით.

ლექსემა **თავანი** მოდის სპარსულიდან, რომლის ეტიმონი ბგერითი შედგენილობით აბსოლუტურად იდენტურია ნასესხობასთან – **tāvān**. ი. რუბინჩიკთან მის ძირითად მნიშვნელობებზე სახელდება: 1) ანაზღაურება, გადახდა, კომპენსაცია; 2) ჯარიმა, საურავი. ცნობილი ირანელი ლექსიკოგრაფები დეჰხოდა (დეჰხოდა 1994), მოჰამად მოინი (მოინი 1996), ჰასან ანვარი (ანვარი 2004) ამის გარდა კიდევ რამდენიმე განმარტებას გვთავაზობენ: 1) სანაცვლო, სამაგიერო, ბადალი; 2) ცოდვა, შეცდომა, დანაშაული. დეჰხოდას სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში დამატებულია კიდევ ერთი, ჩვენთვის საინტერესო განმარტება: *āncē, dar qomār baxte rā be barande dādan bāyad* – ის, რაც ყომარში წაგებულმა მოგებულს უნდა გადაუხადოს (დეჰხოდა 1994: 5516). მსესხებელ ენაში მოხდა სიტყვის სემანტიკური ველის დავიწროება, ქართულში თავანი უმთავრესად უკანასკნელი მნიშვნელობით დამკვიდრდა.

1. ზარალის ანაზღაურების, კომპენსაციის, ჯარიმის მნიშვნელობით **tāvān** ხშირად გამოიყენება სპარსულ კლასიკურ პოეზიაში:

be **tāvānaš** dinār baxšam ze ganj
 bešuyam del-e ġamgosarān ze ranj.
 იმის საკომპენსაციოდ დინარს გავცემ საგანძურადან,
 მწუხარეთა გულს ტანჯვას ჩამოვბან
 /ფირდოუსი/.

parvāne suxt xištan rā
 bar šam' če lāzem ast **tāvān**.
 პეპელამ საკუთარი თავი დაიწვა,
 სანთელს კომპენსაცია (თავანი) რალაში სჭირდება
 /საადი/.

ანლაზა: gonah konand gāvān, kadxodā dehad **tāvān**.
 დანაშაულს საქონელი ჩადის, გადასახადს (თავანს) ქაღხოდა იხდის.

2. ცოდვას, დანაშაულს, ბრალეულობას აღნიშნავს **tāvān**-ი შემდეგ ნიშუშებში:
 ze šāhi bar u hič **tāvān** nabud
 bad ān bod ke 'ahdaš farāvān nabud.

მეფეს მის წინაშე არანაირი ბრალი არ მიუძღოდა,
 ცუდი ის იყო, რომ მისი დანაპირები არ იყო ბევრი
 /ფირდოუსი/.

agar zamin bar nadehad, **tāvān** bar zamin maneh,
 vagar setāre dād nadehad, **tāvān** bar setāre maneh.
 თუკი მიწა ნაყოფს არ მოგცემს, მიწას ნუ დაადანაშაულებ,

და თუ ვარსკვლავი სამართალს არ მოგცემს, ბრალს ვარსკვლავებს
ნუ დასდებ!

/ყაბუსნამე/.

3. ხშირია **tāvān**-ის სამაგიეროს, სანაცვლოს მნიშვნელობით ხმარების შემ-
თხვევები. გორგანის „ვის ო რამინში“ ტახისაგან მოაბადის მოკვლის ეპიზოდში
ავტორის მიერ გამოთქმულ საწუთროს სამდურავში კვითხულობთ:

be jāye to naguyi tā če kardim,
joz idar ke dotā nān-e to xordim,
negar, tā hast čun to hič sofle,
ke yekayek dāde bestāni be jomle.
na mā goftim mārā mihmān kon,
pas āngah del čenān bar mā gerān kon,
koni mārā hami do ruze mehmān
pas āngah jān-e mā xāhi be **tāvān**.

არ იტყვი, რა ჩავიდინეთ შენი სამაგიეროსთვის,
გარდა იმისა, რომ ორიოდ შენი პური ვჭამეთ.
შეხედე, არც ერთი გაიძვერა არ იქნება შენი მსგავსი,
რადგან სათითაოდ ბოძებულს ერთიანად გვართმევ.
ჩვენ ხომ არ გვითქვამს, გვისტუმრეო,
შემდეგ კი ასე დაიძვირეო ჩვენზე გული (გაგვინაწყენდი).
ორიოდ დღით გემასპინძლობ [წუთისოფელში],
შემდეგ კი სანაცვლოდ (თავნად) ჩვენს სულს ითხოვ.

„ვისრამიანის“ სათანადო ადგილას სპარსული **tāvān** მთარგმნელს გად-
მოაქვს როგორც ‘მუქაფა’:

„ორსა დღესა მიმასპინძლებ და მერმე მისად მუქაფად სულთა მთხოვ“.

‘მუქაფა’ საბასთან საპასუხოს, სანაცვლოს ნიშნავს (საბა 1993:526). ამავე
განმარტებას იძლევა ზ. სარჯველაძეც (სარჯველაძე 1988). თანამედროვე ქარ-
თულ ზეპირმეტყველებაში გავრცელებული **თავანი** უშუალოდ წაგებულის გარდა
სამაგიერო, ჩასანაცვლებელ მოქმედებასაც გულისხმობს. თვითონ სპარსულშიც,
ანვარის ლექსიკონის მიხედვით, **tāvān**-ის პირველ მნიშვნელობად მოტანილია
ფული, ან რაიმე მოქმედების შესრულება ზარალის სანაცვლოდ. სამაგიეროს, სა-
ნაცვლოს აღნიშნავს ხსენებული სიტყვა ნიკოლოზ ყიფიანის ლექსში „Tavani“:

წუთში ჩატეული სამოცი შენი სუნთქვა
წამში ჩავტეი და სამოცჯერ შეგისუნთქე...
ახლა შენი დროა, **თავანს** ითხოვს გული...

თავანის ეტიმოლოგიის საინტერესო ვარიანტი დაფიქსირდა ინტერნეტგვერ-
დზე church.ge, სადაც სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებისა და სექტების
განხილვის პარალელურად საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია დევს მანისა და მანიქე-
ველობის შესახებ (მანი და მანიქეველობა 2007:216-277). მანის ოჯახის მიმო-
ხილვის შემდეგ, რომელიც წარჩინებული სპარსული გვარის შთამომავალი იყო,
კვითხულობთ: „12 წლის ასაკში მანის გამოცხადება ჰქონდა, ეჩვენა „ანგელო-
ზი“ სახელით ელ-თავან, რომელიც მანის ტყუპისცალი იყო“. იქვე ფრჩხილებში

მოცემულია განმარტება: ‘თავან’ – ტყუპს ნიშნავს. ანგელოზის სახელი კიდევ რამდენჯერმე ფიგურირებს: „ელ-თავანმა გაუშხილა მანს თავისი დანიშნულება დედამიწაზე, თუმცა დაავალა, რომ კიდევ 12 წელი დაეცადა. მართლაც, 12 წლის შემდეგ ელ-თავანი მანს ისევ გამოეცხადა და 24 წლის ასაკში მანი გამოვიდა საქადაგებლად“ (მანი და მანიქეველობა 2007).

თითქმის ყველა უცხოურ ვიკიპედიაში ჩანს მანის ბიოგრაფიის აღწერისას ანგელოზი თუ ტყუპისცალი. ბაჩანა ბრეგვაძის მიხედვითაც მანის გამოეცხადა „ორეული თუ ტყუპისცალი“ (ბრეგვაძე 2006:548), თუმცა სახელი არსად არ არის მითითებული. მხოლოდ გერმანულ ვიკიპედიაში დასტურდება სახელის არამეული ვარიანტი – ‘თომა’. "Dabei erschien ihm sein von Gott gesandter ‘Gefährte’ und ‘unzertrennlicher Zwilling’ (aramäisch *tōmā*)..." (de.wikipedia.org/wiki/Mani). ქართულ ტექსტში არ არის დაკონკრეტებული, რომელ ენაზე ნიშნავს ‘თავან’ ტყუპს. არ არის გამორიცხული, რომ იგი ისევ სპარსული **tāvān**-ის იმ მნიშვნელობას უკავშირდებოდეს, რომელიც მონთან და დეჰხოდასთან განმარტებულია როგორც badal, ‘avaz – მსგავსი, სანაცვლო, მაგიერი, ბადალი (მოინი 1996, დეჰხოდა 1994).

სპარსულ ენაში **tāvān** პოლისემიური ხასიათისაა. ზემოთ ჩამოთვლილი სუბსტანტიური მნიშვნელობების გარდა იგი დიდი აქტივობით მონაწილეობს ფუნქციონირებად რთულ ზმნებში ანუ ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში, ასევე აწარმოებს ე.წ. ჩარჩოკონსტრუქციებს. ქართულში იგი შემოსულია ძირითადად მონოსემანტად, რომელიც გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაც. სტრუქტურული თვალსაზრისით ქართულსა და სპარსულ გამოთქმებში იკვეთება ანალოგიები. მაგ: სპარსული რთული ზმნა – **tāvān dādan** (მისი ვარიანტი, ჩარჩოკონსტრუქცია – **tāvān-e čizi (kasi) rā pas dādan**) – ფულის მიცემა ან რაიმე მოქმედების შესრულება ზარალის სანაცვლოდ (**dādan** – მიცემა); ქართული – ‘თავანის მიცემა, თავანის ჩატანა, ჩაბარება’; სპარსული – **tāvān gereftan** – ა) ვინმესგან ფულის აღება (ანვარი 2004); ბ) გადახდევინება (რუბინჩიკი 1983; გოლქარიანი 2002) ან **tāvān-e čizi gereftan** – რაღაცის ანაზღაურების მიღება, (გერეფტან – აღება, მიღება); ქართული – ‘თავანის მიღება, გადახდევინება’; სპარსული **tāvān kešidan** – იძულება კომპენსაციის, ჯარიმის გადახდისა (**kešidan** – მოწვევა, ამოწვევა, ამოქაჩვა); ქართული – ‘თავანის ამოღება’. გადასახადი, ჯარიმა, ვალი, თავანი ადამიანისათვის ნებისმიერ შემთხვევაში ზედმეტი პრობლემა და უსიამოვნებაა. საინტერესო ზმნური ფრაზეოლოგიზმია დაფიქსირებული დეჰხოდასთან – **tāvān šodan** – პრობლემის მიმატება, სირთულეების შექმნა, ვინმესთვის პრობლემად გახდომა, რომელიც დასტურდება მოუღავის შემოქმედებაში:

andarin bārān o gel u key ravad

bar sar o jān-e to u tāvān šavad.

ამისთანა წვიმასა და ტალახში ის როგორ ივლის?!

შენთვის (შენი თავისა და სულისათვის) პრობლემა,

ზედმეტი ბარგი (თავანი) შეიქნება

/მოუღავი/.

კიდევ ერთი რთული ზმნა **tāvān nehādan** – ვინმესთვის დანაშაულის დაბრუნება, მ. მოინის განმარტებით: taqsir nehādan be garden-e kasi – სიტყვასიტყვით: ‘სხვის კისერზე დანაშაულის აკიდება’ (**nehādan** – დადება), სტრუქტურულად და

სემანტიკურად ახლოს დგას ქართულ გამოთქმასთან – ‘თავანის შეწერა > თავანი შეაწერა’.

ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში თავანთან ერთად გვხვდება მისი პარალელური ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტი **თავნი**.

ინტერნეტგვერდზე forum.ge ერთ-ერთ საკამათო თემად გამოტანილია შეკითხვა: „კაი ბიჭის სიტყვა თავანია?“

პირველი მოკამათე: „სიტყვა თავანი არაა“.

მეორე მოკამათე: „თუ კაია, კაი ბიჭის თავანი სიტყვაა“.

მესამე მოკამათე: „კაი ბიჭის სიტყვა **თავნი** რომ იყოს,

ეხლა უნდა მქონდეს კომუნისტური პრინციკა,

სულ შავები უნდა მეცვას,

ნაიკის კეპკა თავზე უნდა მედოს

და უბანში კაი ბიჭის სახელი უნდა მქონდეს...“

/ forum.ge 2009/ (სტილი დაცულია).

მოყვანილ ამონარიდებში სავსებით ნათელია **თავნის** მნიშვნელობა. **თავნი**, რომელიც **თავანის** ვარიანტულ ფორმას წარმოადგენს, არ მომდინარეობს სპარსულიდან. ამ შემთხვევაში მოხდა მისი მნიშვნელობის კონტამინირება თავანთან და მის პარალელურად მოიკიდა ფეხი სასაუბრო ქართულში. **თავნი** განსხვავებული მნიშვნელობის ქართული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც უკავშირდება არსებით სახელ **თავ-ს**, ‘ძირი, ძირითადი, მთავარის’ გაგებით. მისი სალექსიკონო განმარტებებია: ‘ძირითადი თანხა სარგებლით გასესხებული ფულისა ან იმ ფულისა, რომელსაც ვაჭარი ატრიალებდა’ (ქეგლ 1986:236); ‘სათავნო, თავი თანხა, ძირითადი თანხა’ (ნეიმანი 1978: 192). მაგ: „ვისაც კი ჩემი ფული ემართა... სარგებელი არ მომცა, თავნი კი დამიბრუნა“ (ლ. არდაზ.). ი. გრიშაშვილთან სიტყვა **თავნი** ახსნილია როგორც **ქიში** (გრიშაშვილი 1997). საბასთან **თავნი** არ გვხვდება, თუმცა მოცემულია მისი აფიქსური დერივატი **სათავნო** განმარტებით ‘სასარგებლო’ (საბა 1993:29).

ლექსემა **სათავნო** დასტურდება „ვისრამიანში“. ერთ-ერთ ეპიზოდში ვისი ჰკიცხავს ძიძას და ეუბნება: „კაცისა უკეთესი სათავნო სირცხვილია“ (ვისრამიანი 1988: 65). სათავნოს სარჯველადიშეული ახსნა არის ‘სათავე, საწყისი; განძი’ (სარჯველაძე 1988:479). სპარსულის შესაბამის კონტექსტში **joft** – ‘ჯუფთი, მეწყვილე, ცხოვრების თანამგზავრი’ იკითხება:

ravān rā šarm bāšad behtarin joft

სულისთვის საუკეთესო მეწყვილე სირცხვილია

(ვის ო რამინი 1970:135)

სათავნო ქართულ ტექსტში უფრო საბასეულ ‘სასარგებლოს’ უნდა გულისხმობდეს, ანუ: ადამიანისთვის ყველაზე სასარგებლო [მეგზური] სირცხვილია.

სათავნო ძირითადი თანხის მნიშვნელობით ფიქსირდება ქართული მზითვის წიგნებშიც. „შაჰნავაზს თავისი ასულისათვის საქონელს გარდა მზითევში ფულიც გაუტანებია „სათავნოდ“ და მზითვის წიგნში ნათქვამი აქვს: „სათავნო თეთრი მარჩილი ათასი“ (ჯავახიშვილი 1930:108). „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება **თავნი** ძირიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები: **გათავნე** და **გათავნის**:

„შენი ყველა აქამდისი ჭირი ღმერთსა გაათავნე“ (ნათაძე 2005:1283)
„როსტანს ეჭვი შეუვიდა, ჭმუნვა ამით გაათავნის“ (ნათაძე 2005:828)

გათავნება გაგებულია როგორც ‘გასწორება, გათანაბრება’ (ნათაძე 2005:367; ცაიშვილი 1988:382).

თავნი, სათავნო, გათავნება საერთო წარმომავლობის ლექსემებია, რომელთა ძირეულ სიტყვასაც ქართული არსებითი სახელი **თავი** წარმოადგენს და მათ ზემოთ განხილულ სპარსულ ნასესხობასთან საერთო არაფერი აქვთ.

როდესაც სიტყვა თავანზე ვმსჯელობთ, გვერდს ვერ აუვულოთ კიდეც ერთ, ბგერითი შედგენილობით იდენტურ არსებით სახელს, რომელიც ჯერ კიდეც ძველი ალთქმის წიგნებში დასტურდება. „განა ღმერთი ცაზე მაღლა არ არის? შეხედე **ვარსკვლავთა თავანს**, რა მაღალია!“ (იობი, ძველი ალთქმა, თავი 22). გოდერძი ჩოხელის ლექსში „უფლის გზა“ კვითხულობთ: „მარადიული რა არის, მიწა თუ **ზეცის თავანი?**“ ან „ცოტა კიდეც და იელვებს კრწანისის და მეტეხის **ეკლესიის თავანი**“ (ლადო ასათიანი).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **თავანი** სასაუბრო ქართულში დამკვიდრებული გაგებით არ ფიქსირდება არც ერთ ქართულ ლექსიკონში. ქველ-ში და ა. ნეიმანთან მოცემული ლექსემის ერთადერთი განმარტებაა ‘სხვენი’. სხვენი, თავის მხრივ, ახსნილია, როგორც ‘ადგილი, სივრცე სახლის ჭერსა და სახურავს შორის’; საბასთან – ‘სართულში შესანახავი’. ციტირებული მაგალითების მიხედვით ძნელი იქნება თავანის დაკავშირება სხვენთან. საკმაოდ გამჭვირვალედ გვეჩვენება მოყვანილ ციტატებში თავანის სემანტიკური დატვირთვა: იგი შეიცავს თავის, სიმაღლის, კამარის, წვერის გაგებას. (ზეცის თავი, ზეცის ან ვარსკვლავთა კამარა – თალი, ეკლესიის წვერი). მასალა, სადაც თავანში სხვენი შეიძლება მოიაზრებოდეს, ამ ჯერზე ვერ მოვიძიეთ. ჟარგონის თავანი – ‘წაგებული, გადასახადი’ და თავანი – ‘სხვენი’ (თუ თავი, წვერი, ბოლო, კამარა) წარმოადგენს ომონიმურ სიტყვებს.

თავანი, როგორც სხვენი, შეიძლება უკავშირდებოდეს სპარსულ სიტყვას **tāvāne**, რომელიც დეჰხოდას სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით იგივეა, რაც **tābxāne** ან **garmxāne**. თავანეს საზაფხულო ბინას ეძახიან. ან, იგი წარმოადგენს ნაგებობას, რომელსაც ოთახების უკან მიაშენებენ ხოლმე და, რადგან გამჭოლი ჰაერისაგან დაცულია, ზამთარში თბილია, ზაფხულში კი – გრილი (დეჰხოდა 1994:5518). გორგანის „ვის ო რამინში“ **tāvāne**-ს გამოყენების შემთხვევაც დასტურდება. როდესაც ძიძა ვისს რამინისათვის სანიშნე ცეცხლის დანთებას ავალებს, ეუბნება:

folān **tāvāne** ke u rā dar gošāde ast
sar-e divār-e u bar dar nehāde ast
daraš begošā va pas āteš bar afruz

იმ **თავანეს**, რომლის კარიც ჩაკეტილი არის,
[და] მისი კედლის ბოლო კარზეა დაყრდნობილი,
სარკმელი გამოუღე და შემდეგ ცეცხლი აანთე
(ვის ო რამინი 1970:215).

ქართულის სათანადო პასაჟი შემდეგნაირად იკითხება: „ეგე **სათაბანო** სარკუმელი ერთი გავალოთ და სანთელი ავანთოთ“ (ვისრამიანი 1988:144). **სათაბა-**

ნო ზ. სარჯველაძის მიერ განმარტებულია, როგორც ‘გიშრის აბანო’ (სარჯველაძე 1988:478). იგი, როგორც ჩანს, ეყრდნობა **სათ-ის** საბასეულ განმარტებას, სათი – გიშერი, სიტყვას მიიჩნევს ორკომპონენტთან კომპოზიტად **სათ-აბანო** ანუ სათის აბანო, რაც მოგვცემდა კიდევ ‘გიშრის აბანოს’. სინამდვილეში **სა-თაბან-ო** წარმოადგენს სა-ო პრეფიქს-სუფიქსური წარმოების დერივატს და სხვა არაფერია, თუ არა დეჰხოდას მიერ განმარტებული დამხმარე მიშენება. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ქართულ ლექსიკონებში თავანის განმარტებად მოცემული სხვენი შეიძლება უკავშირდებოდეს სპარსული **tāvāne**-ს მნიშვნელობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში გავრცელებული **თავანი** მნიშვნელობით ‘აზარტულ თამაშებში წაგებული თანხა ან რაიმე მოქმედება’ სპარსული ნასესხობაა, რომლის ეტიმონი არის პოლისემიური ხასიათის ლექსემა **tāvān**. ამ უკანასკნელის მეშვეობით სპარსულში იწარმოება ბევრი ზმნური ფრაზეოლოგიზმი. ასევე ქართულშიც აღნიშნული ნასესხობა მონაწილეობს სხვადასხვა გამოთქმაში: თავანის ჩაბარება, თავანის ამოღება და ა.შ.

თავანის პარალელურად სასაუბრო ენაში დასტურდება მისი ფონეტიკური ვარიანტი **თავნი**. არ უნდა მოხდეს მისი აღრევა ქართული წარმომავლობის სიტყვასთან **თავნი** – ‘ძირითადი თანხა სარგებლით გასესხებული ფულისა’ (ამავე ძირისაა აფიქსური დერივატი **სა-თავნ-ო**, ზმნა **გა-თავნ-ება**), რომელიც მოდის არსებითი სახელიდან **თავი**.

ქართულ სალიტერატურო ენაში (უმეტესად მხატვრულ ნაწარმოებებში) ფიქსირდება კიდევ ერთი **თავანი** (ზეცის თავანი). იგი მნიშვნელობით უახლოვდება თავს, წვერს, კამარას და ჟარგონის თავანის ომონიმურ ვარიანტს წარმოადგენს. არ გამოვირცხავთ, რომ მისი სალექსიკონო განმარტება ‘სხვენი’ შეიძლება უკავშირდებოდეს სპარსულ ლექსიკურ ერთეულს **tāvāne**, რომელსაც ლექსიკოგრაფები განმარტავენ როგორც საცხოვრებელი ოთახების უკან მიშენებულ სტაბილური ტემპერატურის მქონე ნაგებობას.

ლიტერატურა

ალექსიძე 2009: მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX ს-ის საქართველოში, თბილისი.

ანთაძე 2009: ფ. ანთაძე, საშუალო სპარსულიდან ქართულში შემოსული შორისდებულთათვის, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო წელიწადეული, I, ქუთაისი.

ბრეგვაძე 2005: ლ. ბრეგვაძე, ჟარგონის ლექსიკონი, II გამოცემა, თბილისი.

ბრეგვაძე 2006: ბ. ბრეგვაძე, თხზულებები და თარგმანები, წ. I, თბილისი.

გრიშაშვილი 1997: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა რუსულან კუსრაშვილმა, თბილისი.

ვისრამიანი 1988: ვისრამიანი, ქართული მწერლობა, ტ. 3, თბილისი.

კილაძე 2011: გიორგი კილაძის ინტერვიუ ლევან ბრეგვაძესთან, <http://taobebi.site.ge/wordpress/?p=2054#more-2054>, თებერვალი 12, 2011.

- მანი და მანიჭეველობა 2007:** www.church.ge. მართლმადიდებლური ფორუმი, ონლაინ-ბიბლიოთეკა, თემა: ერესები, სექტები, სქიზმები, განწვალება ანუ გამოყოფა ეკლესიის ისტორიაში.
- ნათაძე 2005:** შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნ. ნათაძემ, თბილისი.
- ნეიმანი 1978:** ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
- საბა 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.
- სარჯველაძე 1988:** ქართული მწერლობა, ტ. 3, ლექსიკონის შემდგენელი ზ. სარჯველაძე, თბილისი.
- ქეცლ 1955:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, რვატომეული, ტ. IV, თბილისი.
- ქეცლ 1986:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი.
- ცაიშვილი 1988:** ქართული მწერლობა, ტ. IV, ტომის რედაქტორი ს. ცაიშვილი, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1930:** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი.
- ვის ო რამინი 1970:** Faxr ed-din Asad Gorgani, tashihe Magali Todua va Aleksander Gvaxaria, Tehrān, 1349.
- რუბინჩიკი 1983:** Рубинчик Ю.А., Персидско-русский словарь, Москва.
- ანვარი 2004:** Hasan Anvari, farhang-e ruz-e soxan, Tehrān, 1383.
- ღეჭხოღა 1994:** loqāt nāmeyie Dehxoda, jeld-e čahārom, Tehrān, 1373.
- ვოლქარიანი 2002:** Qadir Golqāriān, farhang-e do suyie, fārsi – rusi, rusi – fārsi, Tehrān, 1381.
- მოინი 1996:** Mohamad Moin, farhang-e fārsi, jeld-e avval, Tehrān, 1375.
- ნაჯაფი 1999:** Abulhasan Najafi, farhang-e fārsiye āmiāne, Tehran, 1378.
- Mani** de.wikipedia.org/wiki/Mani_ (Religionsstifter).
www.forum.ge. 13.01.2009

Ketevan Megrelishvili

On the Origin and Homonimization of the Word “tavani” in Georgian

Summary

For centuries Georgian-Persian language contacts have occurred not only through writing but orally as well. The oral contacts were conditioned by the inhabitation of Persians in the Eastern part of Georgia. On the basis of live language contacts, certain nominative and communicative units, as well as phrases and phraseological units, were borrowed.

The given paper focuses on the word (tavani) widespread in Georgian urban jargon. The word denotes “an amount of money lost in gambling”, “an amount of money to be paid to the winning gambler” or “a certain action that has to be performed as a result of losing a game”. “tavani” is a borrowing from Persian, the etymon of which is a polysemantic lexeme **tāvān** meaning: a) compensation of damage, monetary or other type of fine; b) something given instead, a substitute; c) crime, mistake, sin; d) an amount lost in gambling. As a result of borrowing, the Georgian version of the word underwent the narrowing of the semantic field; hence, the word is monosemantic and its meaning coincides with (d) from the above-mentioned list. In Persian numerous verbal phraseological units and set

expressions are derived from **tāvān**. Its Georgian version is a nominal part of a compound predicate: ‘tavanis chabareba’ (to pay the lost amount), ‘tavanis amogheba’ (to demand the amount won in gambling), etc.

Parallel to ‘tavani’, of similar semantics in colloquial language is its phonetic variant ‘**tavni**’. This word should not be mixed with a word of Georgian origin ‘Tavni’ – meaning the main amount of loan without interest (affixal derivate – **sa-tavn-o**, verb – **ga-tavn-eba**). This word is derived from the Georgian noun **tavi** (head).

One more word ‘tavani’ is found in Georgian literary works. Its meaning is close to head, top, height; hence, this word is a homonym of the ‘tavani’ which is found in jargon. Interestingly enough, its vocabulary definition ‘attic’ may be connected with the Persian lexical unit **tāvāne**, defined by Iranian lexicographers as a building of stable temperature constructed behind the living-rooms.

*ირინე მელიქიშვილი, ნანა გამყრელიძე,
ივანე ლეჟავა, ლუიზა ლორთქიფანიძე,
ქეთევან მარგიანი, იზაბელა ქობალავა*

გლოტალიზებული ფონემები (ეიექტივები) ქართულურ ენაში¹

გლოტალიზებული თანხმოვნები მსოფლიოს მრავალ ენაში არის გავრცელებული. მათი რეალიზაცია სხვადასხვა ენაში საკმაო სხვაობებს ავლენს. გლოტალიზებულები წარმოადგენენ ყრუ თანხმოვნებს, რომელთა წარმოებაშიც მონაწილეობს ხორხისმიერი არტიკულაცია. გლოტალიზებული თანხმოვნების სპეციფიკას ქმნის უსუნთქველი (არაფილტვისმიერი) არტიკულაცია.

ჰაერნაკადის მიმართულების მიხედვით განსხვავებულია გლოტალიზებული თანხმოვნების ორი სახე: ეგრესიული (eggressive) – ანუ *ეიექტივები* (ejectives – ლათ. ejectio „გამოდევნა, გამოძევება“) და ინგრესიული (ინგრესივე) – ანუ *იმპლოზივები* (implosives). ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადით წარმოქმნილი ბგერებისაგან განსხვავებით ეიექტივების წარმოქმნისას ხდება ლარინგის აწევა, რის შედეგადაც ერთმანეთს მიბჯენილი ან მიახლოებული სახმო სიმები გზას უდობავს ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადს და ბგერები წარმოიქმნება ჰაერის იმ მარაგით, რომელიც პირის ღრუშია დარჩენილი. ამ არტიკულაციური თავისებურების გამო ეიექტივები ფონეტიკურად მხოლოდ ყრუ ბგერები შეიძლება იყოს. მათი წარმოების ადგილი და რაგვარობა განისაზღვრება ორალური ხშვის ადგილითა და რაგვარობით. წარმოქმნის თავისებურებით არის განპირობებული ეიექტივებისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც. სახელდობრ, პირის ღრუში ჰაერის შემცირებისა და, შესაბამისად, წნევის გადიდების შედეგად განხშვა ხდება სწრაფად და მოწყვეტით. ამიტომ, ეიექტივების ხანგრძლივობა ნაკლებია, ვიდრე იმავე რიგის არაგლოტალიზებული თანხმოვნებისა. ამის საპირისპიროდ, იმპლოზივების წარმოებისას ხდება ჰაერის შეწოვა და ბგერათა წარმოქმნა ამ შეწოვილი ჰაერის მეშვეობით. ეიექტივების საპირისპიროდ, იმპლოზიური თანხმოვნები, როგორც წესი, მჟღერია. ეიექტივებისა და იმპლოზივების ფონეტიკური ბუნება განსაზღვრავს მათ მიმართებას ლოკალურ რიგებთან. ეიექტივები უპირატესობას აძლევენ უკანა რიგის არტიკულაციას, ხოლო იმპლოზივები – წინა რიგის არტიკულაციას. ზოგ შემთხვევაში ეიექტივების გლოტალიზაცია სუსტია და ასეთი თანხმოვნები „არაასპირირებულ“ ყრუ ხშულებად მიიჩნევა. ლინგვისტურ ლიტერატურაში მათ *ინტერმედიატებს (შუალედურებს)* უწოდებენ (Catford 1982:68).

¹ სტატიაში წარმოადგენილია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, 07-1086-1-120; 2008-2010) ფარგლებში შესრულებული კვლევის შედეგები. ფუნქციონალური კვლევა განხორციელებულია ირინე მელიქიშვილის, ქეთევან მარგიანისა და იზაბელა ქობალავას მიერ, ხოლო აკუსტიკური – ივანე ლეჟავას, ნანა გამყრელიძისა და ლუიზა ლორთქიფანიძის მიერ.

ქართველურ და კავკასიის სხვა ენებში გვაქვს მხოლოდ ეგრესიული გლოტალიზებულები – ეიექტივები. ჩვენი განხილვის საგანი მათი თავისებურებები იქნება. ტერმინს გლოტალიზაცია ვინმართ ვიწრო გაგებით – ეიექტივების აღსანიშნავად. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „გლოტალიზაცია“ სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება.

წინამავალი დახასიათებიდან ცხადი ხდება, რომ გლოტალიზაცია რთული დიფერენციალური ნიშანია და რამდენიმე ფონეტიკურ მახასიათებელს აერთიანებს: დამატებით ხშვას გლოტისში, დაჭიმულ არტიკულაციას (შესაბამისად, მაღალ ინტენსივობას) და მცირე გრძლივობას; გლოტალიზებული ფონემები არა მარტო რთული არტიკულაციით ხასიათდება, არამედ მათში ფონეტიკური კომპონენტების პარადოქსული შეერთებაც გვაქვს: დაჭიმული არტიკულაცია ბგერის შეფარდებით ხანგრძლივობას იწვევს – როგორც წესი, დაჭიმული ბგერები უფრო გრძელია, ვიდრე არადაჭიმულები. გლოტალიზებული ფონემები კი ხასიათდება არტიკულაციური დაჭიმულობით და მცირე გრძლივობით. ესეც, ცხადია, ართულებს მათ წარმოებას და განაპირობებს მათ მარკირებულ ხასიათს – ისინი შედარებით ნაკლებად არიან გავრცელებული ენებში; ხოლო იმ ენებში, სადაც ისინი წარმოდგენილი არიან, მათ დაბალი სიხშირე და დისტრიბუციული შეზღუდულობა ახასიათებთ.

მსოფლიოს ენებში არსებობს გლოტალიზებულ ფონემათა სახესხვაობები. ეს შეპირობებულია იმით, რომ გლოტალიზაციის ნიშნის კომპონენტები შესაძლებელია სხვადასხვაგვარად კომბინირდნენ ენებში; ამას გარდა, შესაძლებელია განსხვავებული იყოს ამ კომპონენტების გამოვლენის ხარისხი.

ამიტომ მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რა ტიპის გლოტალიზებულები გვაქვს ქართველურ ენებში, არის თუ არა სხვაობა გლოტალიზებულად მიჩნეულ ფონემათა არტიკულაციაში ქართველურ ენებსა და დიალექტებს შორის და რა სახისაა ეს სხვაობა. ჰიპოთეზა გლოტალიზაციის ხარისხის განსხვავების შესახებ ქართველურ ენებს შორის წარმოქმნა ამ ნიშნის მქონე ფონემათა ფუნქციონირების სხვაობამ – გასხვავებულმა ფონოტაქტიკურმა და ფონოსტატისტიკურმა მახასიათებლებმა და წინასწარმა აკუსტიკურმა დაკვირვებამ. ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე ქართველურ ენათა გლოტალიზებულების შედარება მთის კავკასიური ენების გლოტალიზებულებთან და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა.

გლოტალიზებული ფონემების სინტაგმატური კომბინირების უნარი სხვა ნიშნებთან შედარებით შეზღუდულია, გლოტალიზაციას ჩვეულებრივ უფრო მკაცრი ფონოტაქტიკური შეზღუდვები ედება, ვიდრე მჟღერობისა და ასპირაციის ნიშნებს. ძირითადად ეს არის კომბინირების დისიმილაციური შეზღუდვები – ერთი მორფემის ფარგლებში ორი გლოტალიზებული ფონემის დისტანციური შეერთების აკრძალვა (Greenberg 1970:133). საერთო-ქართველურში მოქმედებდა გლოტალიზებულ ფონემათა კომბინირების დისიმილაციური შეზღუდვის წესი. ის გარკვეულწილად მოქმედებდა ძველ ქართულშიც. დღესაც ცოცხალია სვანურში, მაგრამ აღარ მოქმედებს ახალ ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. ქართული ენის მთის დიალექტებში სუსტად შეინიშნება ამ წესის მოქმედების კვალი. გლოტა-

ლიზებულთა ფუნქციონირებაში მომხდარი ეს ცვლილებები მიუთითებს, რომ მათ ფონეტიკურ ბუნებაშიც უნდა მომხდარიყო გარდაქმნები. ამასვე გვაპარაუდებინებს აკუსტიკური შთაბეჭდილებაც. ქართული და მეგრული გლოტალიზებულები ნაკლებ მჭახე და მკვეთრ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე მთის კავკასიურ ენათა გლოტალიზებულები. ამიტომ საინტერესოა ქართველურ ენათა გლოტალიზებულების შედარება კავკასიის სხვა ენათა გლოტალიზებულ თანხმოვნებთან (როგორც მთის კავკასიურ ენათა, ისე კავკასიის ინდოევროპული ენების – ოსურისა და სომხურისა) და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა. ჩვენი წინასწარი ჰიპოთეზა, რომლის შემოწმებასაც ვისახავდით მიზნად, შემდეგი იყო: სვანური გლოტალიზაცია უფრო ინტენსიურია, ვიდრე ქართული და მეგრულ-ლაზური; მთის კავკასიურ ენათა გლოტალიზაცია უფრო ძლიერია, ვიდრე ქართველურ ენათა გლოტალიზაცია.

გლოტალიზებული თანხმოვნები შევისწავლეთ ორი ძირითადი თვალსაზრისით – ფუნქციონალურით და აკუსტიკურით.

ფუნქციონალური თვალსაზრისით სისტემურად შევისწავლეთ ეიექტივების ფონოტაქტიკა და ფონოსტატიკა საერთო-ქართველურში (რეკონსტრუირებული ლექსიკის საფუძველზე), ძველ ქართულში, ახალ ქართულში, სვანური ენის დიალექტებში და მეგრულში. გლოტალიზაციის ხარისხის დასადგენად მნიშვნელოვანია აგრეთვე უცხო ენებიდან მარტივი (არაასპირირებული) ყრუ ფონემების სესხების კანონზომიერებები. სესხების ტენდენცია გვიჩვენებს, თუ რამდენად სპეციფიკურია ბგერა სასესხებელი ენის ბგერასთან მიმართებით; ჩვენ შევისწავლეთ საკითხი – როგორ გადმოდის ქართველურ და კავკასიურ ენებში უცხო ენათა მარტივი ყრუები – მკვეთრებით თუ ფშვინვიერებით, რათა დაგვედგინა ამ ნიშანთაგან რომელია უფრო სპეციფიკური და რომელი შეიცავს მეტ დაბრკოლებას უცხო ენების მარტივი ყრუების გადმოცემისათვის.

ექსპერიმენტულად შევისწავლეთ გლოტალიზებული თანხმოვნები თანამედროვე ქართულ ენასა და დიალექტებში, სვანური ენის ბალსზემოურ, ბალსქვემოურ და ლენტეხუკ დიალექტებში, მეგრულსა და ლაზურში. შედარების მიზნით შევისწავლეთ აგრეთვე ხუნძური ენის ანდალალური დიალექტის, აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის, ყაბარდოული ენის ბესლენური დიალექტის, უდიური ენის ვართაშნული (ოგუზური) დიალექტის, ოსური და სომხური ენების გლოტალიზებული თანხმოვნები.

წარმოვადგენთ ჩვენი კვლევის შედეგებს.

1. ფონოსტატიკური მონაცემების ურთიერთშედარება

ტაბულის სახით წარმოვადგენთ საერთო-ქართველურ, ძველ ქართულ, ახალ ქართულ, სვანურის ზემოსვანურ (ბალსზემოურ და ბალსქვემოურ) და ლენტეხურ დიალექტებსა¹ და მეგრულში /*პ ტ წ ჭ კ ყ ჭ*/ ეიექტივების სიხშირეების პროცენტულ მაჩვენებლებს. ფრჩხილებში მოცემულია თითოეულ ენობრივ ერთეულში მათი სიხშირული რანგი.

¹ ეიექტივების ფუნქციონირების თვალსაზრისით სვანურ დიალექტებს შორის ყველაზე დიდ თავისებურებებს ავლენს ლენტეხური. ამიტომ მის მონაცემებს ცალკე წარმოვადგენთ.

	საერთო- ქართველური	ძველი ქართული	ახალი ქართული	ზემოსვანური	ლენტეხური	მეგრული
პ	3,15%(6)	8,20%(5)	6,87% (5)	7,03%(6)	5,62%(6)	9,53 %(6)
ტ	17,07%(3/4)	18,96%(3)	18,41% (3)	18,97%(2)	25,51%(2)	16,99%(2)
წ	12,99%(5)	23,88%(2)	17,86% (4)	12,87%(5)	10,05%(5)	11,70%(5)
ჭ	17,07%(3/4)	6,01%(6)	5,76% (6)	13,13%(4)	11,89%(4)	15,70%(3)
კ	29,87%(1)	25,01%(1)	30,22% (1)	30,90%(1)	32,97%(1)	29,92%(1)
ყ	19,85%(2)	17,94%(4)	20,88% (2)	17,10%(3)	13,94%(3)	11,83%(4)
ხ						4,31%(7)

ყველა ქართველურ ენობრივ ერთეულს აერთიანებს /კ/-ს ყველაზე მაღალი სიხშირე და /პ/-ს დაბალი სიხშირე. /პ/-ს დაბალი სიხშირე უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენს. იგი მისი არტიკულატორული და აკუსტიკური მახასიათებლებით არის შეპირობებული (ლადეფოვედი, ახვლედიანი). გიორგი ახვლედიანს შენიშნული აქვს მკვეთრ ფონემათა გლოტალიზაციის განსხვავებული ხარისხი წარმოების ადგილთან მიმართებით. იგი თვლის, რომ ქართულში /პ/-ს ნაკლები სიმკვეთრე ახასიათებს /კ/-სა და /ტ/-სთან შედარებით და გამოთქვამს ვარაუდს, რომ /პ/-ს ნაკლები სიმკვეთრე საერთო მოვლენა შეიძლება იყოს ენებისათვის (ახვლედიანი 1999:369-370). ლადეფოვედიც მიუთითებს, რომ ეიქტივი **p'** უფრო სუსტი ბერაა, ვიდრე ეიქტივი **k'** (ადეფოვედ 2006:147-148). ეს მოვლენა ყრუ თანხმოვანთათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებაა და მას ფუნქციონალური შესატყვისი აქვს სიხშირული და დისტრიბუციული მიმართებების სახით. გლოტალიზებული ფონემებისათვის ეს კანონზომიერება უფრო ძლიერად ვლინდება და ხშირად იღებს სისტემის ხარვეზის სახეს, ანუ ბევრია ენა ხარვეზით **p'**-ს ადგილას (კავკასიის ენათაგან /პ/ არ არის წარმოდგენილი ბევრ დაღესტურ ენაში: ანდიურში, ახვაზურში, ბავკალალურში, ბოთლიხურში, რუთულურში, ტინდიურში, ღოდობერიულში, ხუნძურში, ხინალულურში, მელიქიშვილი 1976).

ძველ ქართულში, ზემოსვანურში, ლენტეხურსა და მეგრულში გვაქვს სიხშირული რიგი: კ > ტ > ყ > პ; საერთო-ქართველურსა და ახალ ქართულში კი რიგი: კ > ყ > ტ > პ.

საყურადღებოა /წ/-ს მაღალი სიხშირე ძველ და ახალ ქართულში (ძველ ქართულში იგი სიხშირულ რიგში მეორე ადგილს იკავებს, ახალ ქართულში კი – მეთხეს) და /ჭ/-ს უადრესად დაბალი სიხშირე; ისე რომ, ძველ ქართულში იგი /პ/-ზე მცირე რაოდენობისა აღმოჩნდა. ზანურსა და სვანურში /ჭ/ მეტია /წ/-ზე; ამ ენობრივ ერთეულებში /წ/ სიხშირულ რიგში ბოლოს წინა ადგილს იკავებს. ასეთივეა მათი მიმართება ტექსტობრივ სიხშირეებშიც (მელიქიშვილი 1976:78).

ურთიერთმებრუნებული მიმართებები: /წ/ > /ჭ/ ძველ და ახალ ქართულში და /ჭ/ > /წ/ სვანურსა და ზანურში – ქართველურ ენათა ბერათმესატყვისობებით უნდა იყოს გამოწვეული: სიბილანტურ შესატყვისობათა რიგი: ქართული

/წ/: ზანურ-სვანური /ჭ/ განაპირობებს ამ მიმართებებს. შეიძლება დავინახოთ ცვლილების დინამიკა ძველიდან ახალი ქართულისაკენ: ძველ ქართულში /წ/-ს ანომალიურად მაღალი სიხშირე აქვს – მეორე ადგილი უჭირავს სიხშირულ რიგში, ხოლო ახალ ქართულში კანონზომიერ მეოთხე ადგილს იკავებს. ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ეს პროცესი ისტორიულ ცვლილებათა შედეგად მიღებული გადახრის გასწორების მაგალითად მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, **ის, რომ კანონზომიერ მიმართებათაგან გადახრა გვაქვს ძველ ქართულში და არა ზანურ-სვანურში, უნდა მოწმობდეს იმას, რომ ტრანსფორმაცია მომხდარია სწორედ ქართულში;** ამრიგად, ეს მონაცემები კიდევ ერთ მოწმობას წარმოადგენს შესატყვისობისათვის – ქართული სისინა: ზანურ-სვანური შიშინა – შიშინა ფონემათა აღდგენის სასარგებლოდ.

2. ფონოტაქტიკა

2.1. თანხმოვანთა კონტაქტური მიმდევრობები

2.1.1. დეცესიური კომპლექსები ქართველურ ენებში

	საერთო ქართვ.	ძველი ქართული	ახალი ქართული	ზემოსვანური	ლენტეხური	მეგრული
პკ	–	1,94%(7)	2,05%(6/7)	–	–	–
ტკ	8,45%(6)	9,71 %(3)	13,70% (5)	11,01%(5/6)	10,98%(5/6)	12,57%(6)
წკ	9,86%(5)	5,82%(4)	16,44% (4)	14,68%(3)	13,41%(3/4)	17,28%(2)
ჭკ	25,35%(1)	2,91%(5/6)	2,05%(6/7)	15,60%(2)	19,51%(2)	13,35%(5)
სულ	43,66%	20,38%	34,24%	41,29%	43,90%	43,20%
პყ	–	0,97%(8)	0,68% (8)	1,83%(7)	–	–
ტყ	22,53%(2)	32,05%(2)	26,04% (1)	33,94%(1)	31,71%(1)	16,75%(3)
წყ	12,68 %(4)	43,69%(1)	20,55 % (2)	11,01% (5/6)	10,98% (5/6)	15,97%(4)
ჭყ	21,13(3)	2,91%(5/6)	18,49 % (3)	11,93% (4)	13,41% (3/4)	24,08%(1)
სულ	56,34%	79,62 %	65,76 %	58,71%	56,10%	56,80%

დეცესიური კომპლექსების თვალსაზრისით ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია:

1. /პკ/ და /პყ/ კომპლექსების სიმცირე: საერთო-ქართველურში მათ აღსადგენად შესაბამისი მასალა არ დასტურდება; არ ჩანს /პკ/ არც ძველ ქართულში, სვანურსა და ზანურში; არ დასტურდება /პყ/ ლენტეხურსა და მეგრულში.

ძველ ქართულში, როდესაც კომპლექსის პირველი წევრი ლაბიალური ხმოვლია, დეცესიური კომპლექსები უპირატესობას აძლევენ არაჰარმონიულ შეერთებას: ბტ, ბკ, ბჭ ბყ (ბტული, ბებკი, ბეიჭი, ბჭე, ბყრობა/პყრობა). ჰარმონიული კომპლექსი პყ გვაქვს მხოლოდ ფორმაში პყრობა. აქაც /პ/-ს /ბ/-ს ენაცვლება და გვაქვს დუბლეტური ფორმები. ახალ ქართულშიც მეტია ლაბიალური მუღერით

დაწყებული არაჰარმონიული კომპლექსები, ვიდრე ჰარმონიულები. გვაქვს /ბკ/ (ბებკი, ბუბკო), /ბწკ/ (ბწკალი, ბწკარი, ბწკარედი), /ბჭკ/ (ბჭკე, ბჭკობა, საბჭკო) კომპლექსები; გალაკტიონ ტაბიძესთან ვხვდებით ფორმებს *მიბყრობა*, *ვბყრობ* (ტაბიძე 1995);

ასეთი კომპლექსები გვხვდება დიალექტებშიც – იმერულში: *ბსკერი*, *ბსკენის*, *ბჭკორი*, *აბკურებს*; ხევსურულში: *ბწკალი* „ბრჭყალი“, *ბწკენევი* „ფრჩხილი“, *ბჭკე*, *ბჭკობა*, *ბჭკენ-ა*, *ჩაბჭკენის* „ფშენა“; მოხეურში: *გაბწკალვა* „გაკაწვრა“, *დაბკავება* „ბრკეს მოკიდება“, *ყაბყი* „თხელი თოვლი“, *ყებჭკო* „თითისტარის ნაწილი“.

ამრიგად, **კონტაქტურ ფონოტაქტიკაშიც ვლინდება ლაბიალური მკვეთრი /პ/-ს სისუსტე და მჟღერი ლაბიალი /ბ/-ს მაღალი კომბინატორული უნარი.**

2. B ტიპის დეცესიური კომპლექსების /ტყ, წყ, ჭყ/ რაოდენობა ყველა ენობრივ ერთეულში სჭარბობს A ტიპის დეცესიური კომპლექსების /ტპ, წპ, ჭპ/ რაოდენობას.

3. ენობრივ ერთეულთა უმრავლესობაში ყველაზე ხშირი კომპლექსია /ტყ/ (საერთო-ქართველური, ზემოსვანური, ლენტეხური, მეგრული).

4. CVC- ტიპის ძირის თავკიდურში კომპლექსთა საერთო სიხშირე უფრო მეტია, ვიდრე ბოლოკიდურში (სტატისის მოცულობა არ იძლევა შესაძლებლობას სრულად წარმოვადგინოთ მასალა, რომელსაც ეს განზოგადებები ემყარება. ამ მასალას სრულად წარმოვადგენთ მონოგრაფიულ გამოკვლევაში).

2.1.2. აქცესიური კომპლექსები ქართველურ ენებში

აქცესიური კომპლექსები საერთოდ არ დასტურდება საერთო-ქართველურსა და ზანურში; ქართველურ ენათაგან ასეთი კომპლექსები გვაქვს ძველ და ახალ ქართულსა და სვანურში. ძველ ქართულში გვაქვს არაჰარმონიული აქცესიური კომპლექსები: **კბ, კდ, ტბ, წბ, წდ, ჭდ, ყბ, ყდ**; ჰარმონიულ კომპლექსთაგან გვაქვს მხოლოდ **კტ**. ამასთან, **კტ** მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია.

ახალ ქართულში გვაქვს შემდეგი არაჰარმონიული აქცესიური კომპლექსები: **კბ, კდ, ტბ, წბ, წდ, ჭდ, ყბ, ყდ**; ხმულთაგან შედგენილი ყველა აქცესიური კომპლექსის მეორე წევრი მჟღერია.

სვანურში აქცესიური კომპლექსები ხშირია, მაგრამ, როგორც წესი, მორფოლოგიური პროცესების, ძირითადად რედუქციის შედეგად არის მიღებული. მაგალითად: *კაბა* „აკრძალვა“ – *იკბი* „იკრძალვა“ *იკბენი* „იკრძალავს“; თუმცა, ნარედუქციული კომპლექსების სიხშირე სვანურში ძალიან მაღალია, რადგან მორფოლოგიური ფორმები, სადაც ძირთა რედუქცია ხორციელდება (I სერიის მწკრივები და მათგან ნაწარმოები ფორმები) უფრო მეტია, ვიდრე ფორმები გახმოვანების საფეხურზე.

ისეთი აქცესიური კომპლექსები კი, რომლებიც სინქრონიულად ხმოვანი ჩანართით არ დასტურდება, ძირითადად ასევე არაჰარმონიულია მეორე მჟღერი წევრით: სვანურში გვაქვს ფორმები: *ლიკბგნე* „ჩაკაკუნება“, *კიკბერ* „კარის შესატეხი ხის მორი“, *ლიკბაწლ* „მოფერება“, *კაწება* „ყბა“, ქართულიდან ნასესხები *იგაწბული* „გაწბილდება“;

ამრიგად, ძველ და ახალ ქართულსა და სვანურში აქცესიურ კომპლექსთა ძირითადი ტიპი არის არაჰარმონიული, რომლის მეორე წევრია მჟღერი ხმული. გვაქვს ფონოტაქტიკური წესი: **ხმულთა აქცესიურ კომპლექსში, რომლის პირველი წევრი გლოტალიზებულია, მეორე წევრი მჟღერია;**

ამ წესის ინტერპრეტაციისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი უფრო ფართო წესის ნაწილს წარმოადგენს: მსკლომი + მსკლომი ტიპის აქცესიურ კომპლექსებში მეორე წევრი, როგორც წესი, მჟღერია; ე.ი. გვაქვს აქცესიური კომპლექსები: მჟღერი + მჟღერი (გობა, გდია, ჯდობა); ფშვინვიერი + მჟღერი (თბილი, ცდა) და გლოტალიზებული + მჟღერი (კბილი, კდმა, ტბა, წბილი, მწღე, ჭღე, ყბა, ყდა).

სხვა სტრუქტურის აქცესიური კომპლექსები გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში. ძველი და ახალი ქართული განსხვავებულად გადმოსცემენ უცხო ენათა /kt/ ტიპის კომპლექსებს. ძველ ქართულში ნასესხებ სიტყვებში /kt/ კომპლექსის ფარდად წარმოდგენილია /კტ/, ან /კდ/ კომპლექსები. მაგ., ელეკტრონი, ლეკტიკი; სეკდენბერი, ოკდონბერი.

ახალ ქართულში ევროპულ ენათა /kt/ კომპლექსის ფარდად /ქტ/ არის დამკვიდრებული: აქტი, ტაქტი, ლექტორი, დიალექტი, დირექტივა, დიქტატურა, კომპაქტური, კონტაქტი, კონფლიქტი, ფაქტი, პაქტი, პრაქტიკა, სექტემბერი, ოქტომბერი და მრავალი სხვა.

სვანურში ჰომოგენური აქცესიური კომპლექსები წარმოიქმნება მხოლოდ რედუქციის შედეგად.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (გურულში, იმერულში, აჭარულში) აქცესიური არაჰომოგენური კომპლექსები ასიმილაციის გზით ჰომოგენურებად გარდაიქმნება: კბილი, ძოკტა და მისთ.

2.2. გლოტალიზებულთა დისტანციური მიმდევრობები ქართველურ ენებში

2.2.1. გლოტალიზებულთა დისიმილაციური შეერთების წესი

	საერთო-ქართველური	ძველი ქართული	ახალი ქართული	ზემოსვანური	ლენტეხური	მეგრული
მჟღერი – გლოტალიზებული	17,00%(2)	25,12%(2)	9,68%(4)	17,95%(2)	12,47%(5)	11,11%(3)
გლოტალიზებული – მჟღერი	21,50% (1)	25,37%(1)	11,30%(3)	25,09% (1)	17,21%(1)	14,70%(2)
ასპირირებული – გლოტალიზებული	6,50%(6)	9,30%(5)	8,33%(5)	11,72%(4)	13,06%(3)	7,52%(5)
გლოტალიზებული – ასპირირებული	21,50%(1)	10,80%(4)	12,17%(2)	11,35%(5)	13,35%(2)	10,02%(4)
გლოტალიზებული – გლოტალიზ.	8,50%(4)	17,58%(3)	40,29%(1)	16,30%(3)	17,21% (1)	49,35%(1)
ყრუ ნაპრ. – გლოტალიზებული	11,00%(3)	5,77%(6)	4,56%(7)	6,78%(6)	6,82%(6)	2,50%(6)
გლოტალიზებული – ყრუ ნაპრ.	7,00%(5)	1,76%(8)	7,67%(6)	5,31%(7)	12,76%(4)	1,96%(7)
მჟღერი ნაპრ. – გლოტალიზებული	7,00%(5)	3,52%(7)	3,19%(8)	2,75%(8)	3,56%(7)	1,52%(8)
გლოტალიზებული – მჟღერი ნაპრ.	–	0,75%(9)	2,59%(9)	2,75%(8)	3,56%(7)	1,31%(9)

დისტანციური მიმდევრობების მიხედვით ქართველური ენები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

- ა) ენობრივი ერთეულები, სადაც გლოტალიზაციის ნიშანი დისიმილაციურ მიმდევრობას აძლევს უპირატესობას: საერთო-ქართველური, ძველი ქართული, ზემოსვანური; აქ გლოტალიზებულების კომბინირება მჟღერებთან ყველაზე მაღალია.
- ბ) ენობრივი ერთეულები, სადაც გლოტალიზაციის ნიშანი ასიმილაციურ მიმდევრობას აძლევს უპირატესობას: ახალი ქართული, ლენტეხური, მეგრული; აქ შეერთება გლოტალიზებული-გლოტალიზებული ყველაზე დიდი ალბათობით ხასიათდება.

გლოტალიზაციის ნიშნის მიდრეკილება დისიმილაციური კომბინირებისაკენ უნივერსალურ კანონზომიერებას წარმოადგენს (გრინბერგი). ამ ტენდენციის მოშლა გლოტალიზაციის ნიშნის შესუსტებას მოასწავებს. მკვეთრების დისიმილაციური გამჟღერების წესი გიორგი ახვლედიანმა გამოავლინა ჯერ ოსურისა და სვანურისთვის, ხოლო შემდეგ მისი მოქმედება დადგინდა ძველი ქართული-სათვის. ძველ ქართულში უკვე ჩანს ამ კანონზომიერების მოშლის პროცესი – ტექსტებში დიდი რაოდენობით გვაქვს დუბლეტები, სადაც დისიმილაციური შეერთება ასიმილაციურით იცვლება. ასეთებია, მაგალითად, როგორც ნასესხები, ისე საკუთრივ ქართული ფორმები: ბატარა/პატარა, ბრტყელი/ტყრპელი, ბილწი/-პილწი, ნავრტენი/ნაკრტენი, ნაბერწყალი/ნაპერწყალი, ვრკალი/კრკალი, გურკა/-კურკა, კელი/კეტი, ყარყადი/ყარყატი, ებისკოპოსი/ეპისკოპოსი, ებისტოლე/ეპისტოლე, გალატოზი/კალატოზი, ტიბიკონი/ტიპიკონი, კაბადუკია/კაპადუკია, აპოდიქსი/აპოტიქსი, ამპარტავანი/ამპარტავანი, დრტ ნვა/ტრტ ნვა, ზადიკი/ზატიკი, ას-პიდი/ასპიტი, პადიმარი/პატიმარი, პაჭანიკი/პაჭანიკი, ტაბაკი/ტაპაკი, ტობაზი/ტოპაზი, კაბარჭი/კაპარჭი, კაპადონი/კაპატონი, კელაბტარი/კელაპტარი, წრდიალი/-წრტიალი, წუმბე/წუმბე, ჭაბუკი/ჭაპუკი, ჭუარდლი/ჭუარტლი;

ქართული ენის მთის დიალექტები – ხევსურული, ფშაური, მოხეური რამდენადმე ინარჩუნებენ გლოტალიზაციის მიდრეკილებას დისიმილაციური შეერთებისაკენ. ამას მოწმობს ფორმები:

ხევსურული

ბატარა შდრ. პატარა, ბაჭიჭი შდრ. პაჭიჭი, ბირწყილი „ფრჩხილი“, კუბატი შდრ. კუპატი, კაბარჭი შდრ. კაპარჭი, ბჭენის „ფცქენის“, ნაჭკდევი შდრ. ნაჭდევი, გირკალი შდრ. რკალი, გირკო შდრ. რკო, გირწყილი შდრ. რწყილი, ჯინჭარი შდრ. ჭინჭარი, ჯინჭველა შდრ. ჭინჭველი; რუსული ყრუ შესაძლებელია მჟღერით გადმოვიდეს, როდესაც სიტყვაში მეორე გლოტალიზებული გვაქვს: დარასტა შდრ. староста;

ფშაური

ბატარა, ბაწაწა შდრ. პაწაწა, ბწყალი, ბწყლევა „მობლაუჭება“, ბაჭიჭი შდრ. პაჭიჭი, ბორტყავს შდრ. ფორთხავს, ბრტყენავს შდრ. შდრ. ბრდღუნის, გირკალი „რკალი“, კელი „კეტი“, ჯინჭველი, ჯინჭარი, ზალტე „სალტე“, დაეღეტება შდრ. დაეხეტება;

მოხეური

ბატარად „ცოტა“, ბატარძალი, ბაწაწაინტა, გურკა შდრ. კურკა, დაგრკოვილი „ხვეული თმა“, ზალტე შდრ. სალტე, ზოკო შდრ. სოკო.

ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საერთო-ქართველურში გლოტალიზაცია ძლიერ ფონეტიკურ მახასიათებელს წარმოადგენდა. ძველ ქართულსა და ზემოსვანურში გარკვეულწილად შენარჩუნებულია საერთო-ქართველური ვითარება, ხოლო ახალი ქართული და მეგრული სრულებით აღარ ავლენენ გლოტალიზაციისათვის დამახასიათებელ ფონოტაქტიკურ და ფონოსტატიკურ ნიშნებს.

2.2.2. გლოტალიზაციის მიმართება მჟღერობისა და ასპირაციის ნიშნებთან

გლოტალიზაცია უფრო ახლოს დგას მჟღერობის ნიშანთან, ვიდრე ასპირაციის ნიშანთან. ამას მოწმობს ის, რომ მჟღერებთან მისი კომბინირების უნარი სჭარბობს ასპირირებულებთან დაკავშირების უნარს:

გლოტალიზებულების კომბინაცია	საერთო-ქართველ.	ძველი ქართული	ახალი ქართული	ზემოსვანური	ლენტეხური	მეგრული
მჟღერებთან	52,34%(1)	64,04%(1)	25,66%(2)	52,22%(1)	40,49%(1)	27,85%(2)
ასპირირებულებთან	37,33%(2)	25,24 % (2)	25,07%(3)	28,00 % (2)	36,03%(2)	18,92% (3)
გლოტალიზებულებთან	11,33%(3)	10,72% (3)	49,27% (1)	19,78 % (3)	23,48%(3)	53,23% (1)

განსხვავება მჟღერობასთან და ასპირაციასთან კომბინირების შესაძლებლობს შორის მეტია საერთო-ქართველურში (15%), ძველ ქართულსა (38%) და ზემოსვანურში (24%). ახალ ქართულში (0,59%), ლენტეხურსა (4,45%) და მეგრულში (8,93%) განსხვავება შემცირებულია, მკვეთრების სიახლოვე ფშვინვიერებთან იზრდება. ახალი ქართული და მეგრული ასიმილაციურ (გლოტალიზებული + გლოტალიზებული ტიპის) შეერთებას აძლევენ უკვე უპირატესობას.

მჟღერებთან სიახლოვეს ავლენენ აგრეთვე როგორც დეცესიური, ისე აქცესიური კონტაქტური შეერთებები. როგორც ვნახეთ, არაჰარმონიული კომპლექსები სწორედ მჟღერისა და გლოტალიზებულის კომბინაციებს წარმოადგენენ. ასეთებია: დეცესიური *ბკ, ბტ, ბწ, ბჭ, ბყ* და აქცესიური *კბ, კდ, ყბ, ყდ, წბ, წდ, ჭდ* მიმდევრობები;

ამ მონაცემების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ქართველურ ენათა ხშულთა სამეულების სისტემაში სამეულის პირველი დაყოფაა: ფშვინვიერი /ფ თ ქ ც რ/ – არაფშვინვიერი /ბ დ გ ძ ჯ პ ტ კ წ ჭ/ და მიმდევრო: გლოტალიზებული /პ ტ კ წ ჭ/ – არაგლოტალიზებული /ბ დ გ ძ ჯ/. ორივე დიფერენციალური ნიშნის თვალსაზრისით არამარკირებულებია მჟღერი ხშულები, რაც მათ სინშირულ მახასიათებლებშიც აისახება (მელიქიშვილი 1976). მჟღერების არამარკირებულებად მიჩნევის ფონეტიკურ საფუძველს ქართველურ ენათა ხშულების მჟღერობის დაბალი ხარისხი წარმოადგენს.

2.2.3. დეცესია/აქცესია და ლარინგალურ ნიშნთან კომბინაციები

დეცესია-აქცესიის თვალსაზრისით კონტაქტური და დისტანციური შეერთებები განსხვავებულ კანონზომიერებებს ამჟღავნებენ. კონტაქტური შეერთებები დიდ უპირატესობას ანიჭებენ დეცესიურ მიმდევრობას, ხოლო დისტანციურები – აქცესიურ მიმდევრობას:

1. აქცესიურ დისტანციურ მიმდევრობათა რაოდენობა ყველა ენობრივ ერთეულში სჭარბობს დეცესიურ მიმდევრობათა რაოდენობას.

2. დეცესიურ დისტანციურ კომბინაციას უპირატესობას აძლევენ მიმდევრობები: მჟღერი + გლოტალიზებული და ფშვინვიერი + გლოტალიზებული; კომბინაციები: გლოტალიზებული + მჟღერი, გლოტალიზებული + ფშვინვიერი, გლოტალიზებული + გლოტალიზებული და გლოტალიზებულების კომბინაცია ყრუ და მჟღერ ნაპრალოვნებთან ძველ და ახალ ქართულში და მეგრულში უპირატესობას ანიჭებს აქცესიურ მიმდევრობას. სვანურში ეს წესი დაცულია ხშულთა კომბინაციებში და ირღვევა ნაპრალოვნებთან შეერთებისას.

3. უცხო ენათა მარტივი ყრუ თანხმოვნების გადმოცემა ქართველურ და მთის კავკასიურ ენებში

ბერძნულიდან ნასესხებ ლექსიკაში ბერძნული /π τ κ/ გადმოდის როგორც მკვეთრი /პ ტ კ/, ხოლო ბერძნული /φ θ χ/ – როგორც ფშვინვიერი /ფ თ ქ/. საინტერესოა კომბინატორული ცვლილებები, რომლებიც ხდება სესხებისას. ეს არის ორი მკვეთრიდან ერთის დისიმილაციური გამჟღერება, რომელიც ენაში გლოტალიზაციის მაღალი ხარისხის მაუწყებელია: *ებისკოპოსი, ებისტოლე, აპოდიქსი, „ხელწერილი“ აბოკუროფა „აპოკრიფი“, ასპიდი, ტიბიკონი, გალატონი, კაბბადუკია „კაბადოკია“, კელაბტარი;*

დისიმილაციური გამჟღერების წესი სპარსულიდან ნასესხებ ლექსიკაშიც მოქმედებდა. მაგალითად: *პატრუცაგი < patrōčāk, პერანგი < pērahānak; ტაბასტაკი < tapastak, ტაბაკი < tāpāk, ოსტივანი < ōstikān, ხვასტავა/ხოსტაკი < xwāstak, არტავი < Artak; კუშტაბანი < kuštāpān; ჭაბუკი < čāpūk, ჭარმაკი < čarmak, გუნდრუკი < kundurūk*

ბერძნული არაასპირირებული ყრუ თანხმოვნები ბგერათკომპლექსებშიც მკვეთრებით გადმოდის: *კტ < kt – ნექტარი, ფაქტი, ვიკტოლი, იკტიონი, ინდიკტიონი, ელექტრონი /ილეკტრიონი/ილიკტრიონი „ქარვა“.*

საინტერესოა თვეების დასახელებათა ფორმები, რომლებიც ლათინურიდან არის ნასესხები: *სექტემბერი* (ლათ. september), *ოქტომბერი/ოქტომბერი* (ლათ. october). აქ ლათინურ /ct/-ს ძველ ქართულში /ქლ/ შეესაბამება. ამგვარად, გვაქვს აქცესიური კომპლექსი /ქლ/, რომელიც, ისევე როგორც /კტ/, ახალ ქართულ ნასესხობებში მთლიანად შეცვალა /ქტ/ კომპლექსმა (შდრ. *სექტემბერი, ოქტომბერი, ელექტრონი, ფაქტი, ნექტარი* და მრავალი სხვა. იხ ზემოთ).

ახალი ქართული რუსულ ყრუებს ძირითადად მკვეთრებს უთანადებს. ასეთ შეთანადებას ვხვდებით XVIII-XIX საუკუნის დოკუმენტებსა და მხატვრულ ნაწარმოებებშიც რუსულთან უკვე პირველი კონტაქტების დონეზე – გეორგიევსკის ტრაქტატში, იოანე ბატონიშვილის, გიორგი ავალიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის ნაწერებში. შესაძლებლობა გვაქვს რუსულიდან სესხებას დროში გავადევნოთ თვალი. ამ თვალსაზრისით დიდი რაოდენობით მასალას შეიცავს ოთარ მიქიაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის (რუსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ასპექტები)“ (მიქიაშვილი 2005).

XVIII ს. გეორგიევსკის ტრაქტატის ქართულ ტექსტში გვაქვს რუსულიდან ნასესხები სიტყვები: კნაზი, პორუთიკი/პორულხიკი, დეისტვიტელნი კამერლეი,

მოკამანდე, საეპარხიო, არხიმანდრიტი, მენტები. რუსული ყრუების გადმოტანა ხდება ძირითადად ქართული მკვეთრებით.

XIX საუკუნის დასწყისიდან ქართველ მოღვაწეთა ნაწერებში გვაქვს რუსული ნასესხობები: ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“: კრაოტი, კნიაზი, ცივანკური, იტანცავებენ, პატრიარხი, ლექტორი < Гектор. გიორგი ავალიშვილის ნაწერებში გვხვდება ფორმები: პოჩტა, ევ ზარხ-მიტროპოლიტი, არხიმანდრიტი, პანიხიდი, ბუტილკა, კოლეჟსკის სოვეტნიკი, ტიტულიარნი სოვეტნიკი.

რომანტიკოსების ნაწერებში ასევე ბევრია რუსული და რუსული გზით შემოსული სიტყვები:

ალ. ჭავჭავაძე – იმპერატრიცა, კავკაზი, მოსკვა, პეტერბუხი, პოდაგრა, ტრახტატი, ღიშპანია, ოტპუსკი, სმოტრები;

გრიგოლ ორბელიანი – ბიბლიოტეკა, დონტორი, ოტპუსკი, სმოტრები, ზაკონები, კამისია, ოსტავკა "отставка", მე სტარში ვარო, ბანკა, კვარტირა, აზიატეცი, ტალენულ „ხელი წამკრაო“, პოდსუდში მისცეს, პოდარესტში, პოლკში პრიკომანდიროვად, კამანდა, სტაქანი, მასკა, პოვოზკა, ოტდეღენიე, ბუტილკა, პამიატნიკი, ზაკუსკა, ტრახტირი, ჩლოუქი, პარახლოდი, ფეჩი, პალატნი, კაზანსკის სობორო, უშკოლონი, უბიბლიოტეკონი, პლანები, ვოხდუშნი ზამკები, დოკლადნი ზაპისკები, ფოჩტა, პოლკის კამანდირი, სკუნჩობა, პახოდი;

ნიკოლოზ ბარათაშვილი – სუდაისპრავა, შტაცკი, პორუჩენით, ბუმაჟნიკი, კალასკა, შამპანსკები, ობლასტის ნახალნიკი, შკოლა, ეტანცაობ, სოვეტნიკი, ნახალნიკმა.

„საქართველოს გაზეთის“ 1819-1821 წლების ნომრებში ვხვდებით ფორმებს: კოროლსა, იმპერატრიცა, პოდპორუჩიკი, პრაპორშნიკი, ისპრავნიკი, კომანდირი, პომლინა, პერეკოდნიკი, სოვეტის, ჩასტის, სტოლი, ლოდკა, ფოშტების.

ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ვხვდებით რუსული მეტყველების ქართული ანბანით ტრანსლიტერაციის შემთხვევებს (ჭავჭავაძე 1989:496-498, 524; დაწერილი უნდა იყოს 1858 წელს): შტო ტი! ვოტ იესჩო, ატჩევი ნე იმეტ? ტოვო, შტო... ეტო პოჩეშუ? პაშოლ კ ჩერტიამ; შტოჟ, ეტო ნესჩასტიე! დალეკო მახნულ! ბრატეც; ა ზდეს ვსიო ესტ; ტი, ბრატეც, აბიჟეშ მენია, ნაკონეც; ნახალნიკი; ლუბერნატორი; ბაშპორტი; ტეატრი, ფოშტა; იამშციკი; პოვოსკა;

ფშვინვიერებით გადმოსული ლექსიკის დიდ ნაწილში გვაქვს მეზობლობა ფშვინვის დიდი ოდენობის მქონე აფრიკატებთან და ნაპრალოვნებთან (ჩ, შ, ხ, ს) და შესაძლებელია ამ ფორმებისთვის ასიმილაცია ვივარაუდოთ. ასეთებია: ფეჩი, ფოჩტა (ფოშტა, ფოსტა), შკაფი, სტაქანი, ქაში, ჩოთქი, ჩლოუქი, ქუჩერი/კუჩერი, ქუხნა/კუხნა, სუფი, სალდათი. ახსნის მეორე შესაძლებლობაა სესხება ისეთი ენობრივი ერთეულიდან (ან რუსული ენის ისეთი დიალექტიდან), სადაც ეს ფორმები ასპირაციას შეიცავდნენ (Лежава 2006).

ქართულ დიალექტებშიც რუსული ყრუები ძირითადად გლოტალიზებულიებით გადმოდიან; მხოლოდ რამდენიმე ლექსემაში არის დამკვიდრებული მათ შესატყვისად ფშვინვიერები.

მეგრულშიც რუსული ყრუები ჩვეულებრივ გლოტალიზებულიებით გადმოდიან: პადვალი, პადრეთი რუს. портрет, პოეზი რუს. поезд, პალატკა, პალაჩი, პალკონიკი, პარახლოდი, პარონი რუს. паром, პროლო/პოლი „იატაკი“; პრასტინა, პრავეზია, პლანი, პლუტი რუს. плут, პროკა რუს. пробка „საცობი“, სეკრეტი რუს. секрет, კუბეცი, კაჭკა რუს. точка „ცხენურები“, კუჭკა რუს. кучка, კრაოტი;

სვანურში კი რუსული ყრუები უფრო ხშირად ასპირირებულებით გადმოდიან: ქართოვილ /ქართობილ, ფითილ რუს. *фитиль*, ფართიკუქ „წინსაფარი“ რუს. *фартук*, ფარშიუქ „ყაღბი, ორგული“ რუს. *парашюсын*, ფომდა/ფომტა ფოსტა რუს. *почта*, ფეჩ, სურდუქ „სერთუკი“ რუს. *сюртук*; გვაქვს გლოტალიზებულებით გადმოცემის შემთხვევებიც: პილატოკ, პირისდაუქ რუს. *присутств*, პაპიროს/პაპიროზ, პპრტია, კარავაქ, რუბზაკ.

მთის კავკასიურ ენებში ეს საკითხი შევისწავლეთ აფხაზური, ადიღური, ყაბარდოული, ხუნძური, წეზური, ხვარშიული, ჰინუხური, ბეჟიტური, არჩიბული, ჰუნზიბური, ლეზგიური, თაბასარანული, უდიური, ჩენხური, ინგუშური, ბაცბური ენების მონაცემების საფუძველზე (მასალა მოვიპოვეთ გამოკვლევებიდან და ლექსიკონებიდან: ლომთათიძე 1954, ქადაგიძე, ქადაგიძე 1984, ჯეირანიშვილი 1971, Бокарев 1967, Дешериев 1967, Кумахов 1967, Муркелинский 1954, Шагиров 1962, Карасаев, Мациев 1978, Оздоев, 1980, Хайдаков, 1962, WOLD). რუსული ყრუ ხმულები ჩრდილო კავკასიურ ენებში უფრო ხშირად ასპირირებულებით გადმოდის. განსხვავებას გვაძლევენ მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებთა ენები: ბაცბური და უდიური, რომლებშიც რუსული ყრუები გლოტალიზებულებით გადმოდიან. აქ სავარაუდოა ქართული ენის გავლენა.

ამრიგად, ქართულსა და მეგრულს ნასესხებ მასალაში უცხო ენათა ყრუების მკვეთრებით ჩანაცვლება ახასიათებთ, ხოლო სვანური უფრო ასპირირებულებით გადმოსცემს სასესხებელი (რუსული) ენის ყრუ თანხმოვნებს. ამით იგი უახლოვდება მთის კავკასიურ ენებს, სადაც ასევე უპირატესობა რუსული ყრუ თანხმოვნების ასპირირებულებით გადმოცემას ენიჭება. ქართულთან სიახლოვეს იჩენენ ბაცბური და უდიური, რაც ქართულის გავლენას შეიძლება მიეწეროს. ეს განსხვავება გამოწვეული უნდა იყოს გლოტალიზაციის ხარისხის სხვაობით. გლოტალიზაციის დაბალი ხარისხი იძლევა უცხო ენის მარტივ ყრუ ფონემასთან შეთანადების საფუძველს, ხოლო მაღალი ხარისხი – ქმნის სპეციფიკურ ბგერას, რომლის შეთანადება უცხო ენის მარტივ ყრუსთან უფრო ძნელია, ვიდრე ასპირირებულთან ან პრერეპტივთან.

4. ქართველური, კავკასიური და კავკასიის ენობრივი არეალის ინდოევროპული ენების ხმული თანხმოვნების აკუსტიკური ანალიზი

ქართველური, კავკასიური და კავკასიის ენობრივი არეალის ინდოევროპული ენების ხმულ-მსკდომი თანხმოვნებისა და აფრიკატების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით – Praat-ითა და Wave-Surfer-ით. გაანალიზებული აუდიომასალის გრაფიკული გამოსახულებები (ოსცილოგრამა, სპექტროგრამა და ინტენსივობის მრუდი) ვიზუალიზებულია Wave-Surfer-ის მეშვეობით.

საკვლევი ერთეულებია: ახალი ქართული ენა, ქართული ენის გურული და ხევსურული დიალექტები; სვანური ენის ბალსხემოური, ბალსქვემოური და ლენტეხური დიალექტები; მეგრულ-ლაზურის ზუგდიდურ-სამურზაყანოული და ხოფური კილოკავები; ხუნძური ენის ანდალალური დიალექტი, აბაზური ენის ტაპანთური დიალექტი, ყაბარდოული ენის ბესლენური დიალექტი, უდიური ენის ვართაშნული (ოგუზური) დიალექტი; ოსური ენის ირონული დიალექტი და სომხური ენის აღმოსავლური დიალექტი.

ხმოვნების გარემოცვაში წარმოთქმული ხშული ბგერების თავისებურებათა დასადგენად განხორციელდა აკუსტიკური ანალიზი შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

1. სკლომის (განხშვის) ჩქამისა და ხშვის გრძლივობა;
2. დროის მონაკვეთის გრძლივობა ორალური სკლომიდან (განხშვიდან) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე (Voice onset time – VOT);
3. ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა ($K=I/T$);¹
4. სკლომის მომდევნო უბგერო ინტერვალის გრძლივობა (Post burst period);
5. მომდევნო ხმოვნის:
 - თრთოლის ხარისხი (Jitter perturbation)
 - f0-ის ცვლილება (f0 perturbation)
 - ინტენსივობის მატება ენერჯის მაქსიმუმამდე (Reise to peak energy)
 - საწყისი ფონაცია (Voice quality-onset of vowel);

ძირითადი ტონისა (f0) და სახმო სიმების თრთოლის საშუალო მნიშვნელობები გამოთვლილია ხმოვნის დაწყებისა და ხმოვნის შუა ნაწილის სამკვირიოდან მონაკვეთზე. f0-ის ცვლილებისა და თრთოლის რაოდენობრივი მნიშვნელობები წარმოადგენს სხვაობას ხმოვნის დაწყებასა და ხმოვნის შუა ნაწილს შორის.

თანხმოვანთა თითოეული არტიკულაციური ფაზისთვის საშუალო გრძლივობის გამოსათვლელად საჭირო განმარტებები: იმის გამო, რომ თავკიდურ პოზიციაში მჟღერი ხშული წარმოდგენილია ხშვის ორნაირი – მჟღერი და ყრუ – ვარიანტით, ფაზების საშუალო მნიშვნელობები გამოთვლილია ორივესთვის ცალ-ცალკე – ერთი იქნება მჟღერი ხშვითა და ჩქამით, მეორე მხოლოდ ჩქამით – და შემდეგ არის გასაშუალოებული ორი მონაცემის მიხედვით. მჟღერი ხშვის შემთხვევაში პერიოდი სკლომიდან (ან განხშვიდან – აფრიკატებისათვის) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე იქნება უარყოფითი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – დადებითი.

ხშირად, გლოტალიზებული ბგერაც ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი – სკლომის (განხშვის) მომდევნო უბგერო ინტერვალით და მის გარეშე. გლოტალიზებულების ფაზათა საშუალო გრძლივობები გამოთვლილია ორივე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე და შემდეგ არის გასაშუალოებული. მაგალითად, თუ იმ გლოტალიზებული თანხმოვნის ჩქამის საშუალო გრძლივობა, რომელიც წარმოთქმულია უბგერო ინტერვალის გარეშე, უდრის T_1 -ს, მაშინ დროის მონაკვეთი ამ ბგერის სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება აგრეთვე T_1 ; უბგერო ინტერვალით წარმოთქმული იმავე თანხმოვნის დროის მონაკვეთი თანხმოვნის სკლომიდან (განხშვიდან) სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება ორი სიდიდის ჯამი T_2+S_2 (T_2 – სკლომისა და S_2 – უბგერო ინტერვალის გრძლივობა).

ორივე ტიპის (ნაირსახეობის) გლოტალიზებული თანხმოვნის სკლომის საშუალო გრძლივობა იქნება – $(T_1+T_2):2$, ხოლო სკლომიდან სახმო სიმების

¹ ფორმულაში ($K=I/T$) I (დეციბელებში) არის სკლომის (განხშვის) ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდის შეფარდება ჩქამის გრძლივობასთან (T-მილისეკუნდებში).

რხევის დაწყებამდე პერიოდის საშუალო გრძლივობა – $(T_1+T_2+S_2):2$; ამიტომ ცხრილებში ჩქამისა და უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობათა ჯამი ყოველთვის შეიძლება არ უდრიდეს დროის მონაკვეთს სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე.

უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები გამოთვლილია მხოლოდ უბგეროინტერვალისანი გლოტალიზებული ბგერებისათვის.

როგორც ცნობილია, გლოტალიზაციის ნიშნის შეფასება შესაძლებელია რამდენიმე აკუსტიკური პარამეტრის მეშვეობით: დროის მონაკვეთი სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე (voice onset time – VOT) და ხშვის გრძლივობის შეფარდება ამ მონაკვეთთან, უბგერო ინტერვალის გრძლივობა, განხშვის ჩქამის ინტენსივობა და მისი დინამიკა, მომდევნო ხმოვნის ძირითადი ტონის ცვლილება, ხმოვნის ინტენსივობის მატების დინამიკა, ჟღერის დასაწყისში სახმო სიმების რხევის აპერიოდულობის (თრთოლის) ხარისხი და ფონაციის ტიპი (ლექსავა, ლორთქიფანიძე 2010).

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც განასხვავებს გლოტალიზებული ბგერების ორ ტიპს, არის მომდევნო ხმოვნის ენერჯის მატების დინამიკა; ინტენსივობის სწრაფი მატება დამახასიათებელია ხისტი (stiff) გლოტალიზებულებისათვის, ხოლო მდორე, ნელი მატება – სუსტებისათვის (slack).

ამ ნიშნის მიხედვით, ქართველური ენების გლოტალიზებულებში მკაფიოდ არ არის გამოხატული ესა თუ ის ტიპი, რადგან უმეტეს საკვლევ ერთეულში გლოტალიზებულებისათვის დასაშვებია ინტენსივობის მატების როგორც ნელი, ისე ზომიერი და სწრაფი მატება. ინტენსივობის მხოლოდ ნელი მატება დამახასიათებელია გურული (ქალი), ბალსქემოური (მამაკაცი) და ლენტეხური (მამაკაცი) დიალექტების წარმომადგენელთა მეტყველებისათვის.

გლოტალიზებულთა გამიჯვნის მეორე კრიტერიუმი არის მომდევნო ხმოვნის ძირითადი ტონის ცვლილების სურათი. სამეცნიერო ლიტერატურაში სახმო სიმების მოქმედების დაწყება მაღალი ძირითადი ტონით ახსნილია სახმო სიმების ზომიერი მედიალური შეკუმშვითა და გასწვრივი დაჭიმულობით, ხოლო დაბალი ძირითადი ტონით დაწყება – ძლიერი მედიალური კუმშვითა და მცირე გასწვრივი დაჭიმულობით.

ამრიგად, ხმოვნის დასაწყისში მაღალი f0 ძლიერი (ხისტი) გლოტალიზაციის ნიშანი უნდა იყოს. არც ამ პარამეტრის მიხედვით არის ერთგვაროვანი სურათი ქართველური ენების გლოტალიზებულ თანხმოვნებში. უფრო ხშირად f0-ის ცვლილება უარყოფითია, ანუ ხმოვანი იწყება დაბალი ტონით, რაც ნიშნავს **სუსტ გლოტალიზაციას**.

ერთსა და იმავე საკვლევ ერთეულში, როგორებიცაა ახალი ქართული, ლენტეხური და ხოფური (თურქეთის მხარე), სურათი განსხვავებულია დიქტორების მიხედვით. ქართულში მაღალი f0-ით დაწყება მამაკაცისთვის არის დამახასიათებელი, ლენტეხურში – ქალებისთვის, ხოლო ხოფურში – მამაკაცებისთვის. აღსანიშნავია, რომ სწორედ ხოფურშია საგრძნობი განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის ამ ნიშნის მიხედვით.

ამ პარამეტრის მიხედვით ზოგადად ქართველური ენების გლოტალიზებულების უმრავლესობა შეიძლება მიეკუთვნოს სუსტი გლოტალიზებულების ტიპს.

თავკიდური გლოტალიზებული თანხმოვნების მომდევნო ხმოვნის ჟღერის დაწყების აპერიოდულობის მაჩვენებელი – თრთოლის ხარისხი მერყეობს 4,5-8,5%-ის ფარგლებში; ის ყოველთვის მაღალია მჟღერისა და, – განსაკუთრებით კი, ფშვინვიერის იმავე მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად განსხვავება არცთუ ისე დიდია.

კიდევ ერთი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც განასხვავებენ სუსტ (slack) და ხისტ (stiff) გლოტალიზებულებს, არის ხმოვნის საწყისი ფონაცია. ამ თვალსაზრისით, ქართველურ ენებში გლოტალიზებულის მომდევნო ხმოვნის დაწყება შესაძლებელია როგორც აპერიოდული ჟღერით, ისე „ჭრიალა“ ხმით (ცრეაკყ voice).

იზოლირებულ სიტყვებში წარმოთქმული ქართველური ენების თავკიდური გლოტალიზებული პ, ტ, კ, ხშულ-მსკლომი თანხმოვნების სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე დროის მონაკვეთის (VOT-ის) მიხედვით ასეთი კლებადი მიმდევრობა გვექნება (გრძლივობა მილისეკუნდებში):

ბალსზემოური (49) > ბალსქვემოური (43) > ხვესურული (36) >
ზუგდიდურ-სამურზაყანოული (31) > ლენტეხური (29) > ხოფური (28) >
გურული (26) > ახალი ქართული (25).

ამ პარამეტრის მიხედვით ბალსზემოური, ბალსქვემოური და ხვესურული ჩაითვლება „ხისტ გლოტალიზებულებად“, გურული და ახალი ქართული – „სუსტ გლოტალიზებულებად“, ხოლო მეგრულ-ლაზური და ლენტეხური შეიძლება „ზომიერ (საშუალო) გლოტალიზებულებად“ ჩაითვალოს.

განალიზებულ მასალაში ქართველური ენების ხშულ თანხმოვანთა ხშვის ფაზის გრძლივობის შემდეგი თავისებურება გამოვლინდა: მჟღერი თანხმოვნის ხშვის გრძლივობა მცირეა ყრუს გრძლივობასთან შედარებით, ხოლო გლოტალიზებულის ხშვა, როგორც წესი, აღემატება ფშვინვიერისას. ამასთანავე, მსკლომის ხშვა უფრო გრძელია, ვიდრე აფრიკატის.

ერთ-ერთი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც განასხვავებენ სუსტ და ხისტ გლოტალიზებულებს, არის ხშვისა და სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე მონაკვეთის გრძლივობათა შეფარდება. სუსტი ეიექტივებისათვის ეს მაჩვენებელი დიდია, ხოლო ხისტი ეიექტივებისათვის მცირე.

გლოტალიზებულ /პ, ტ, კ/ მსკლომ თანხმოვანთა ხშვისა და სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე მონაკვეთის გრძლივობათა შეფარდება საშუალო მნიშვნელობებია:

ბალსზემოური 2,16; ახალი ქართული 2,69; ზუგდიდურ-სამურზაყანოული 3,15;
ხვესურული 3,25; გურული 3,75; ლენტეხური 3,79; ხოფური 4,05.

ჩვენ მიერ შესწავლილი კავკასიური ენების გლოტალიზებული თანხმოვნები მომდევნო ხმოვნის ინტენსივობის დინამიკის თვალსაზრისით შეიძლება მივაკუთვნოთ სუსტი ტიპის გლოტალიზებულებს, რადგან ენერგიის მატება ყოველთვის ნელია, თუმცა ძალიან იშვიათად შეიძლება იყოს ზომიერიც და სწრაფიც.

გლოტალიზებულის მომდევნო ხმოვნის f0-ის ცვლილების მიხედვით აქ ქართველურ ენათა მსგავსი ვითარებაა, ანუ ხმოვანი შეიძლება დაიწყოს დაბალი ძი-

რითადი ტონით ან მაღალი ტონით. მაგალითად, აბაზური ენის აფრიკატების მომდევნო ხმოვანი იწყება დაბალი f0-ით, ხოლო მსკდომები – მაღალი f0-ით. მაშასადამე, გამოდის, რომ აფრიკატები წარმოითქმინ სახმო სიმების მცირე გასწვრივი დაჭიმულობით და ძლიერი მედიალური კუმშვით, ხოლო მსკდომები გასწვრივი დაჭიმულობითა და ზომიერი მედიალური კუმშვით.

გლოტალიზებულების მომდევნო ხმოვნის დაწყების თრთოლის ხარისხი დაახლოებით ისეთივეა, როგორც ქართველურ ენებში და თავიკიდურ პოზიციაში გლოტალიზებულების მომდევნო ხმოვნის თრთოლის ხარისხი მერყეობს 5,0-10,2%-ის ფარგლებში.

რაც შეეხება დროის მონაკვეთს სკლომიდან სახმო სიმების ჟღერის დაწყებამდე, შესწავლილი კავკასიური ენებიდან ყველაზე გრძელი პერიოდი ზუნძურისთვის არის დამახასიათებელი; ის აგრეთვე აღემატება სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის გლოტალიზებული თანხმოვნების მონაცემებს.

გარდა ზუნძურისა, რომელიც ამ ნიშნით ხისტი (stiff) გლოტალიზაციის ტიპს განეკუთვნება, სხვა დანარჩენი ენების (აბაზური, ყაბარდოული, უდიური) გლოტალიზებულები სუსტი ტიპის გლოტალიზებულებს წარმოადგენენ. ყველაზე მცირე გრძლივობა ამ პერიოდის მიხედვით დამახასიათებელია აბაზური ენის გლოტალიზებულებისათვის.

კავკასიური არეალის ინდოევროპული ენის – ოსურის – გლოტალიზებული თანხმოვნები სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე დროის პერიოდის მიხედვით აღემატება სომხური ენის გლოტალიზებულ თანხმოვნებს, ანუ ამ პარამეტრით ოსური გლოტალიზებულები სუსტსა და ხისტ გლოტალიზებულებს შორის დაიკავენ ადგილს, ხოლო სომხური გლოტალიზებულები სუსტი გლოტალიზებულების რიგს მიეკუთვნებიან.


მაშინ როცა f0-ის ცვლილების მიხედვით სომხური გლოტალიზებულები ხისტი გლოტალიზებულებისათვის დამახასიათებელ ხმოვნის მაღალი f0-ით დაწყებას გვიჩვენებენ, ოსურისა კი – სუსტის. ხმოვნის საწყისი ფონაციით **სომხური სუსტი გლოტალიზებულის ტიპია, ხოლო ოსური – ხისტის.**

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ f0-ის ცვლილების, თრთოლის ხარისხის, ხმოვნის ინტენსივობის მატების, ფონაციის და VOT-ის მონაცემთა გათვალისწინებით შეიძლება ქართველური ენები პირობითად სამ ჯგუფად დაიყოს, რომლებიც გლოტალიზებულების ტრადიციული კვალიფიკაციით არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება და უფრო მათ შორის არის. **შედარებით უფრო „ხისტი“ გლოტალიზებულის კატეგორიაში შევა: ბალსზემოური, ბალსქვემოური; ზომიერში – ხევსურული, ლენტეხური, ლაზური და უფრო „სუსტ“ კატეგორიაში – ახალი ქართული, გურული და მეგრული.**

ქართველური ენების ხშირი თანხმოვნების აკუსტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ გლოტალიზებული თანხმოვნების დიქტომიური კლასიფიკაცია [სუსტი – ხისტი] არ ასახავს რეალობას, და ამ ენებში გლოტალიზაციის ნიშანი განსხვავებულ, შერეულ სურათს იძლევა. ქართველურ ენებში გლოტალიზებული თანხმოვნები არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც სუსტი და არც ხისტი გლოტალიზებულების კატეგორიას.

ენები Languages		სკლომა Burst	უბგ. ინტ. PBP	VOT
ქართული Georgian	1. ახალი ქართული (Standard Georgian)	18,4	10,6	25,1
	2. გურული დიალექტი (Gurian Dialect)	16,8	15,1	26,2
	3. ხევსურული დიალექტი (Khevsur Dialect)	19,7	18,0	36,0
სვანური Svan	4. ბალსხემოური დიალექტი (Upper Bal D.)	23,8	26,1	49,1
	5. ბალსქვემოური დიალექტი (Lower Bal Dialect)	21,9	22,3	43,3
	6. ლენტეხური დიალექტი (Lentekh Dialect)	16,1	16,9	28,9
მეგრულ- ლაზური Megrelian- Laz	7. ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავი (Northwest Dialect)	18,2	19,5	31,4
	8. ხოფური კილოკავი (საქართველო, Khopa Dialect)	13,9	14,2	25,6
	9. ხოფური კილოკავი (თურქეთი, Khopa Dialect)	16,3	14,9	29,9
აბაზური Abaza	10. ტაპანთური დიალექტი (Tapant Dialect)	17,7	–	17,7
ყაბარდოული Kabardian	11. ბესლენური დიალექტი (Beslenei Dialect)	12,5	7,5	18,8
ხუნძური Avar	12. ანდალალური დიალექტი (Andalal Dialect) (only t' and k'.)	27,3	28,9	56,1
უდიური Udi	13. ვართაშნული დიალექტი (Oghuz Dialect)	12,5	12,8	20,1
ოსური Ossetian	14. ირონული დიალექტი (Iron Dialect)	17,8	21,8	34,4
სომხური Armenian	15. აღმოსავლური დიალექტი (Eastern Dialect)	17,65	11,1	22,4

გლოტალიზებული ხშულ-მსკლომი თანხმოვნების (p'-პ-, t'-ტ, k'-კ)
დროითი (მილისეკუნდებში) მახასიათებლების ცხრილი



გლოტალიზებული ზშულ-მსკლომი თანხმოვნების (p'-პ,- t'-ტ, k'-კ)
დროითი მანძილებების ცხრილის დიაგრამა

ლიტერატურა

ახვლედიანი 1999: გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები (მეორე გამოცემა), თბილისი.

ლეჟავა, ლორთქიფანიძე 2010: ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, გლოტალიზაციის ნიშნის აკუსტიკური ანალიზი ქართულ ენასა და მის დიალექტებში, კრ.: „ენათმეცნიერების საკითხები“, 1-2, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ლომთათიძე 1954: ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხა-ზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

მელიქიშვილი 1976: ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, „მეცნიერება“, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1971: ე. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Бокарев 1967: Бокарев Е.А., Цезский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Бокарев 1967: Бокарев Е.А., Гунзибский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Бокарев 1967: Бокарев Е.А., Гинухский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Бокарев 1967: Бокарев Е.А., Хваршинский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Дешериев 1967: Дешериев Ю.Д., Бацбийский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Дешериев 1967: Дешериев Ю.Д., Ингушский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Кумахов 1967: Кумахов М.А., Адыгейский язык, Языки народов СССР, IV, Издательство "Наука", Москва.

Лежава 2006: Лежава И.И., Некоторые вопросы сопоставительного анализа консонантизма русского и грузинского языков, Сборник трудов посвященный 85-летию Г.И. Цибахашвили, Издательство "Универсали", Тбилиси.

- Муркелинский 1954:** Муркелинский Т.Б., О словарном составе лакского языка, Языки дагестана, Махачкала.
- Тестелец 1995:** Тестелец Я.Г., Сибилянты или комплексы в пракартвельском, Вопросы языкознания, 2.
- Шагиров 1962:** Шагиров А.К., Очерки по сравнительной лексикологии Адыгских языков, Кабардино-балкарское книжное издательство Нальчик.
- Catford 1982:** Catford J.C., Fundamental Problems in Phonetics, Bloomington.
- Chitoran 1994:** Chitoran I., Acoustic Investigation of Georgian Harmonic Clusters, Working Papers of the Cornell Phonetics Laboratory, vol. 9, pp. 27-65.
- Gamkrelidze, Lezhava 1987:** Gamkrelidze N., Lezhava I., On the Problem of Acoustic Peculiarities of Stops in some Languages of Caucasian Area, Proceedings XIth International Congress of Phonetic Sciences, v. 3, Tallinn.
- Greenberg 1970:** Greenberg J.H., Some Generalizations Concerning Glottalic Consonants, Especially Implosives, International Journal of American Linguistics, v.36.
- Jakobson 1969:** Jakobson R., Ejectives, Implosives, Clicks, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 48-57.
- Ladefoged 2006:** Ladefoged P., Vowels and Consonants, Blackwell Publishing (მესამე გამოცემა).
- Shosted, Chikovani 2006:** Shosted R. K., Chikovani V., Standard Georgian, Journal of the International Phonetic Association 36(2).
- Vicenik 2010:** Vicenik, C., An Acoustic Study of Georgian Stop Consonants, Journal of the International Phonetic Association, 40(1).

წყაროები და ლექსიკონები

- მიქიაშვილი 2005:** ო. მიქიაშვილი, ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის (რუსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ასპექტები), გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.
- ტაბიძე 1995:** გ. ტაბიძე, თხზულებანი ზუთ ტომად, ტ. V, პროზაული ნაწერები, „საქართველო“, თბილისი,
- ქადაგიძე, ქადაგიძე 1984:** დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1989:** ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. II, თბილისი.
- Карасаев, Мациев 1978:** Карасаев А.Т., Мациев А.Г., Русско-чеченский словарь, Издательство "Русский язык", Москва.
- Оздоев 1980:** Оздоев И.А., Русско-ингушский словарь, Издательство "Русский язык", Москва.
- Хайдаков 1962:** Хайдаков С.М., Лакско-русский словарь, Издательство иностранных словарей, Москва.
- WOLD:** The World Loanword Database, ed. By Martin Haspelmath and Uri Tadmor, <http://Wold.livingsources.org/>.

*Irine Melikishvili, Nana Gamkrelidze, Ivane Lezhava,
Luiza Lortkipanidze, Ketevan Margiani, Isabella Kobalava*

Glottalized Phonemes (Ejectives) in Kartvelian Languages

Summary

The article presents the results of the functional and acoustic study of ejectives in the Kartvelian languages. The phonotactics and phonostatistics of ejectives were studied in Common Kartvelian (on the basis of the reconstructed vocabulary), Old and Modern

Georgian and in the dialects of Svan and Megrelian languages. The digital acoustic analysis of the ejectives of the Kartvelian, Caucasian and Indo-European languages of the Caucasian area was carried out by the computer programs: Praat and Wave Surfer. The following units were studied: Standard Georgian, the Gurian and Khevsur dialects of the Georgian language, the Upper Bal, Lower Bal and Lentekh dialects of the Svan language, the Zugdidi-Samurzakano (North-West) and Khopa dialects of Laz, the Beslenei dialect of Kabardian, the Andalal dialect of Avar, the Tapanta dialect of Abaza, the Oguz dialect of Udi, the Iron dialect of Ossetic and the eastern dialect of Armenian.

The functional study revealed that the transformations in the distributional and phonostatistic systems of the Kartvelian languages have taken place. The universal dissimilative restriction of combining ejectives (Greenberg) was active in Common Kartvelian. This tendency acted in Old Georgian and is still functioning in Svan, but no more in Modern Georgian and Megrelian-Laz. In the mountain dialects of Georgian there are weak traces of this rule. These changes must be the result of transformations which have taken place in their articulation.

The regularities of borrowing of plain unvoiced phonemes from foreign languages were also studied. Georgian and Megrelian-Laz substitute the voiceless unaspirated consonants in the borrowed material mainly with ejectives; this shows that the ejectives are perceived as less specific than the aspirates. Svan renders the voiceless unaspirated consonants more often with aspirated phonemes. By this it stands close to the North Caucasian languages and reveals a higher degree of glottalization.

The acoustic analysis of the occlusive consonants of the Kartvelian languages shows that the majority of the glottalized consonants of the Kartvelian languages can be ascribed to the slack glottalization type. According to the VOT, the Upper Bal, Lower Bal and Khevsur can be considered “the stiff glottalized ones”, Gurian and Standard Georgian – “the slack glottalized ones,” and the Megrelian-Laz and the Lentekh can be considered to be “the moderate (medium) glottalized consonants”. Taking into consideration the parameters – the f_0 perturbation, the jitter perturbation, the rise of the vowel intensity to the peak of energy, voice quality and VOT – the Kartvelian languages can be divided into three groups: to the comparatively stiff category of languages which have glottalized consonants can be ascribed Upper Bal, Lower Bal; Khevsur, Lentekh and Laz are in the moderate group, and Standard Georgian, Gurian and Megrelian are in the category of languages having slack glottalized consonants.

**პროტოსემიტური ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმირება
ცალკეულ სემიტურ ენებსა და შტოებში**

უკანასკნელ ხანებში შედარებით სემიტოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმგვარ გამოკვლევებს, რომლებიც ეხება საერთო-სემიტური ვითარების რეალიზაციის საკითხებს ცალკეულ ენებსა და შტოებში სხვადასხვა ენობრივ დონეზე. წინამდებარე სტატიის მიზანია, განისაზღვროს სემიტური ფონოლოგიური სისტემის შემადგენელი ქვესისტემების, კლასებისა და რიგების ტრანსფორმირებულობის ხარისხი ცალკეულ ენებსა და შტოებში.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რა სახის ტრანსფორმაციები განიცადეს სემიტური ფონოლოგიური სისტემის ცალკეულმა ქვესისტემებმა, კლასებმა და რიგებმა სხვადასხვა სემიტურ ენებსა და შტოებში, საჭიროა შევეხოთ სემიტური ფონოლოგიური სისტემის ზოგად მახასიათებლებს. ამჟამად მოკლედ განვიხილავთ პროტოსემიტურისა და ცალკეული რეალიზებული სემიტური ენებისა და შტოების უმნიშვნელოვანეს ნიშან-თვისებებს, რაც მათ სპეციფიკას განაპირობებს და გამოარჩევს სხვა ენებისაგან (მუჟარიშვილი 2008:21-22).

პროტოსემიტური რეკონსტრუირებული ფონოლოგიური სისტემის მთავარ მახასიათებლებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. საერთო-სემიტურ ფონოლოგიურ სისტემას ახასიათებს უაღრესად მდიდარი კონსონანტიზმი მრავალრიცხოვანი საარტიკულაციო რიგებით, განსხვავებით ვოკალთა სისტემისაგან, რომელიც მეტად მწირია. სემიტური კონსონანტიზმი ხასიათდება წინა, შუა და უკანაენისმიერთა სოლიდური რაოდენობით. აქ წარმოდგენილია შემდეგი საარტიკულაციო რიგები: ბილაბიალური *b, p*; დენტალური *d, t, t̥*; ინტერდენტალური *ḏ, ṭ, ṭ̥*, ალვეოლარული *z, s, ʃ*, პრეპალატალური *ʕ, k, q, ʕ̣, ḥ*, უვულარული *q*, ფარინგალური *ʕ, ḥ* და ლარინგალური *ʕ, ḥ*. ამას ემატება ორი აპროქსიმანტი: ბილაბიალური *w* და პალატალური *y*, აგრეთვე ოთხი სონორი ფონემა – *r, l, m, n* და დამატებითი ლატერალური კონტრასტის მქონე ორი სპეციფიკური სისინა ყრუ სიბილანტი *ʕ, ʕ̣*.

2. ფონოლოგიურ სისტემაში ოპოზიცია იქმნება მჟღერობა: სიყრუე: გლოტალიზებულობის ნიშნით. ამასთანავე, აღნიშნული ოპოზიციები იქმნება როგორც ხშულთა სამეულებში (მაგ., *d: t, t̥; g: k, q*), ასევე ნაპრალოვნებში (მაგ., *z: s, ʃ; ḏ: ṭ, ṭ̥*).

3. განსაკუთრებით თვალში საცემია როგორც უკანაენისმიერ (გუტურალურ) *[g, k, q, ʕ̣, ḥ, ʕ, ḥ, ʕ̣]*, ისე სიბილანტურ *[ḏ, ṭ, ṭ̥, z, s, ʃ, ʕ, ʕ̣]* ფონემათა სიმრავლე და ფონეტიკური მრავალფეროვნება.

4. სემიტური ენებისათვის დამახასიათებელია ე.წ. „ემფატიკური“ თანხმოვნები, რომლებიც პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს როგორც გლოტალიზებულები. ცალკეულ სემიტურ შტოებსა და ენებში ისინი სწორედ გლოტალიზებულია, ხოლო ენათა და შტოთა მეორე ნაწილში – ფარინგალიზებული ანუ „ემ-

ფატიკური“. გლოტალიზებული სახითაა ისინი შენარჩუნებული ახალ სამხრეთ-არაბულ ენებსა და ეთიოპიურში, ხოლო ფარინგალიზებული კოარტიკულაციით წარმოგვიდგება დანარჩენ სემიტურ ენებში, მაგ., არაბულში, არამეულში, ებრაულში.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა სემიტური ფონოლოგიისათვის სპეციფიკური ე.წ. ლატერალური სიბილანტების $\text{\$}$ $\text{\$}$ არსებობა. ასევე მნიშვნელოვანია აფრიკატ ფონემათა განვითარება დიაქრონიაში. თუმცა აფრიკატების პროტოსემიტურ დონეზე აღდგენა არ ივარაუდება, მაგრამ მათი განვითარების შინაგანი რესურსი ცალკეულ შტოებსა და ენებში სრულიად ბუნებრივი იყო, რაც განხორციელდა კიდევ. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ არაბული, ასევე ეთიოპიური ენები და დიალექტები, აგრეთვე ახალარამეული დიალექტები და ა.შ. (წერეთელი 1979:112, მეფარიშვილი 2008:83).

6. დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ ვოკალთა ქვესისტემა, რომელიც სემიტურ კონსონანტიზმთან შედარებით ბევრად ღარიბია, რადგან იგი ფუნქციონალური თვალსაზრისით ერთგვარად შეზღუდულია, ვინაიდან ძირის სემანტიკას არ განსაზღვრავს.

საერთო-სემიტური ფონოლოგიური სისტემის ზოგადი დახასიათების შემდეგ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ სისტემის შემადგენელ კომპონენტებზე. აღნიშნულ სისტემაში, თავის მხრივ, გამოიყოფა რამდენიმე ქვესისტემა თუ კლასი, რომელთა შორისაა: **ა.** ვოკალთა ქვესისტემა; **ბ.** აპროქსიმანტები ანუ ნახევარხმოვნები; **გ.** ლიკვიდთა ანუ სონორთა კლასი (r l m n); **დ.** ხშულთა კლასი, რომელიც რვა თანმოვანს მოიცავს და შედგება ლაბიალური, დენტალური, ველარული რიგებისაგან (b p d t Ⴁ Ⴁ k q); **ე.** ცხრა ფონემისაგან შემდგარი სიბილანტთა რთული ქვესისტემა, რომელიც მოიცავს ინტერდენტალურ (\underline{d} , \underline{t} , $\underline{Ⴁ}$), ალვეოლარულ (z s Ⴁ), პრეპალატალურ ($\text{\$}$) და ლატერალურ ($\text{\$}$ $\text{\$}$) სიბილანტურ რიგებს; **ვ.** ექვსი ფონემისგან შედგენილი გუტურალურ წყვილეულთა ქვესისტემა ველარული (\underline{g} , \underline{h}), ფარინგალური (\` , Ⴁ) და ლარინგალური (\` , h) რიგებით.

თუ შევადარებთ პროტოსემიტურში არსებულ ვითარებას ცალკეულ სემიტურ შტოებსა და ენებში დადასტურებულ სურათთან, ანუ თვალს გავადევნებთ ჩამოთვლილი ქვესისტემებისა და კლასების განვითარებას დიაქრონიაში, შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი: ზემოჩამოთვლილი ექვსი კლასი თუ ქვესისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება დიაქრონიაში ტრანსფორმირებულობის ხარისხით; ზოგიერთი მათგანი კონსერვატიულობითა და სტაბილურობით გამოირჩევა, სხვები კი შედარებით მცირე ან მაღალი ხარისხის მოდიფიკაციას ავლენენ. თუ შედარების კრიტერიუმად მოდიფიკაციის ხარისხს გამოვიყენებთ, მაშინ ზემოაღნიშნული ქვესისტემები და კლასები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს; პირველ ჯგუფში გაერთიანდება ისეთი ქვესისტემა, კლასი ან კლასის შიგნით არსებული რიგი, რომელიც კონსერვატიზმითა და სტაბილურობით გამოირჩევა, ანუ ისინი, რომელთაც დიაქრონიაში ცვლილებები არ განუცდიათ და პროტოსისტემასთან იდენტურობას ავლენენ. ასეთია, მაგალითად, მთლიანად სონორთა კლასი, აგრეთვე ხშულთა კლასის შიგნით სტაბილურობით გამორჩეული დენტალური ტრიადა (\underline{d} \underline{t} $\underline{Ⴁ}$), ხოლო სიბილანტთა ქვესისტემის შიგნით – მარტივ ალვეოლარულ სიბილანტთა (z s Ⴁ) ტრიადა.

მეორე ჯგუფში შეგვიძლია გავაერთიანოთ ფონემათა ის კლასები ან ქვესისტემათა ის რიგები, რომელთაც დიაქრონიკაში ცალკეულ ენებსა თუ შტოებში შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები განიცადეს. აქ უნდა დავასახელოთ ნახევარ-ნმოვნები, უკანაენისმიერ წყვილულთა ქვესისტემის შიგნით ფარინგალები, ხშულთა კლასში კი – ლაბიალური და ველარული რიგები.

მესამე ჯგუფში კი გაერთიანებულია ფონემათა ის კლასები ან ქვესისტემათა ის რიგები, რომლებმაც ცალკეულ სემიტურ შტოებსა და ენებში საგრძნობი მოდიფიკაციები განიცადეს. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნმოვანთა და სიბილანტთა (ალვეოლარული რიგის გამოკლებით) ქვესისტემები, აგრეთვე გუტურალურ წყვილულებში – ველარული რიგი.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ შევეხებით მეორე და მესამე ჯგუფში გაერთიანებულ კლასებსა და რიგებს. თავდაპირველად მიმოვიხილოთ მეორე ჯგუფში გაერთიანებული კლასები და რიგები. პროტოსემიტურ დონეზე აღდგება ორი აპროქსიმანტი: *w* და *y* (მეფარიშვილი 2008:147; დიაკონოვი 1970). ამასთან, მათი რეალიზაცია და გამოყენების სიხშირე ცალკეულ სემიტურ ენებსა და შტოებში სხვადასხვაგვარია. ასე მაგალითად, თუ სამხრეთსემიტურ შტოში, კერძოდ, სამხრეთარაბულში, ეთიოსემიტურსა და ჩრდილოარაბულში მათ ცვლილება არ განუცდიათ, აქადურში ორივე მათგანი დაკარგულია და ნულს იძლევა, ჩრდილოდასავლურში კი (ებრაულში, არამეულში, უგარიტულში, ფინიკიურში) ძალზე დაბალია *w*-ის ძირში თანხმოვნის ფუნქციით გამოყენების სიხშირე, რადგან თავკიდურ პოზიციაში *w* პრაქტიკულად არ გვხვდება, იგი ჩანაცვლებულია *y*-ით, ანუ ებრაულსა და არამეულში სემიტურ *w*-ს ორი რეფლექსი აქვს: II და III პოზიციაში *w*, ხოლო თავკიდურ პოზიციაში – *y*.

ახლა მოკლედ განვიხილოთ უკანაენისმიერ წყვილულთა და ხშულთა კლასები, რომელთა ცალკეულმა რიგებმაც მეტ-ნაკლები ხარისხის ტრანსფორმაცია განიცადეს სემიტურ ენებში. პროტოსემიტურ დონეზე ხშულთა კლასი ამგვარად აღდგება: იხ. (1)

ლაბიალური *b p – b – – b – –*
 დენტალური *dt t † (1) dt t † (2) dt t † (3)*
 ველარული *g k q g k q – k q*

სისტემაში ერთი ცარიელი უჯრედია, რადგან ქვესისტემაში უკიდურესად მარკირებული (გამყრელიძე... 2003:173) გლოტალიზებული ლაბიალური *p*-ს აღდგენა პროტოსემიტურ დონეზეც არ ივარაუდება. ხშულთა კლასს მთლიანობაში ცვლილება არ განუცდია ჩრდილოაღმოსავლურ აქადურსა და ჩრდილოდასავლურ სემიტურ ენებში: ებრაულში, არამეულში, უგარიტულსა და ფინიკიურში იმ დროს, როცა მცირედ მოდიფიცირებულია ამ კლასის ლაბიალური რიგი სამხრეთსემიტურ შტოში. კერძოდ, არაბულში, სამხრეთარაბულსა და ეთიოსემიტურში ყრუ ლაბიალური *p* გასულია ხშულთა სისტემიდან და გადასულია ნაპრალოვან *f*-ში; შესაბამისად, აქ სისტემაში ორი ცარიელი უჯრედი გვხვდება, იხ. სქემა (2). არაბულში კი ხშულთა სისტემამ კიდევ ერთი ცვლილება განიცადა, სისტემაში მესამე ცარიელი უჯრედი გაჩნდა, რადგან ველარულ რიგში მჟღერი წვერი *g* პალატალურ აფრიკატ *ǧ*-ში გადავიდა და ახალი ოპოზიცია შექმნა *š*-სთან.

ამგვარად, ხშულთა სისტემა ყველაზე მეტად არაბულ ჯგუფშია მოდიფიცირებული. ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ეთიოსემიტურზე, სადაც ჩნდება ასპირირებული p-ც და გლოტალიზებული p-ც, მაგრამ ორივე მათგანი მეორეული წარმოშობისაა და არავითარი ეტიმოლოგიური კავშირი პროტოფონემებთან არ გააჩნიათ. მათ თუმცა შეიძინეს ფონემის სტატუსი, მაგრამ დაბალი სისხირული მჩვენებლებით გამოირჩევიან და გვხვდებიან მხოლოდ ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში, კერძოდ, p გამოიყენება ყუშიტიზმებში, ხოლო p – ბერძნულ ნასესხობებში.

გარკვეული სახის ცვლილებები განიცადეს გუტურალურ წყვილეულთა კლასის ფარინგალურმა და ველარულმა რიგებმა. საერთო-სემიტურ დონეზე აღგენილი გუტურალურ წყვილეულთა ქვესისტემა ამგვარია: იხ. სქემა (1)

ველარული	ḡ ḥ	(1)	- ḥ	(2)	- -	(3)	- ḥ	(4)
ფარინგალ.	ˀ ḥ		ˀ -		ˀ ḥ		ˀ -	
ლარინგალ.	ˁ ḥ		ˁ ḥ		ˁ ḥ		ˁ -	

სისტემა ანალოგიური სახით დასტურდება ჩრდილოარაბულში, სამხრეთარაბულსა და ჩრდილოდასავლური სემიტური შტოდან უგარიტულში (მეფარიშვილი 2008:57). მოგვიანებით, ახალ სამხრეთარაბულში აღნიშნულმა კლასმა მცირე ცვლილებები განიცადა. კერძოდ, მეჰრისა და ჰარსუსიში მჟღერი ფარინგალური აინი შეერწყა მჟღერ ლარინგალს (ˀ > ˁ), ხოლო სოკოტრიში ველარული რიგი გადავიდა ფარინგალურში (ḡ > ˀ; ḥ > ḥ).

ებრაულსა და არამეულში ქვესისტემაში ორი ცარიელი უჯრედი ჩნდება – იხ. სქემა (2), კერძოდ, თითო წევრი აკლია ველარულსა და ფარინგალურ რიგებს: მჟღერი ველარული ḡ გადავიდა ფარინგალურ აინში (ḡ > ˀ), ყრუ ფარინგალური ḥ კი – ველარულ ḥ -ში (ḥ > ḥ). აღსანიშნავია, რომ ებრაულსა და არამეულში ḡ ბგერა არსებობს, ოღონდ ალოფონის სახით როგორც შედეგი ბეგადქეფათის წესის – ანუ პოსტვოკალურ პოზიციაში ხშულთა სპირანტიზაციის – მოქმედებისა.

უკანანისმიერთა წყვილეულები საგრძნობლადაა მოდიფიცირებული ეთიოსემიტურში. განვითარების ადრეულ ეტაპზე გვეხში დასტურდება 5 ფონემა; მჟღერი ყ გასულია სისტემიდან და შერწყმულია მჟღერ ველარულ ḡ-სთან, ყრუ x კი შენარჩუნებულია. ტიგრესა და ტიგრინიაში ეს უკანასკნელიც დაკარგულია და გადასულია შესაბამის ყრუ ფარინგალურ ˀ-ში, ამიტომ სისტემაში ორი ცარიელი უჯრედი ჩნდება. იხ. სქემა (3). სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა სამხრეთეთიოპურში; აქ გამარტივდა ფარინგალური რიგიც და იგი შეერწყა შესაბამის ლარინგალებს (ˀ > ˁ; ḥ > ḥ).

აღნიშნული ქვესისტემა უკიდურესად მოდიფიცირებულია აქადურში, სადაც 6 ფონემის ნაცვლად შემორჩენილია მხოლოდ ორი: მჟღერი ლარინგალური ˀ და ყრუ ველარული ḥ, რის შედეგადაც სისტემაში ოთხი ცარიელი უჯრედი, იხ. სქემა (4). დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უკანანისმიერი წყვილეულები ზემოთ განხილული კლასებიდან შედარებით მაღალი ხარისხის ტრანსფორმირებულობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით აქადურ შტოსა და სამხრეთეთიოპურ ქვეჯგუფში.

ამჯერად განვიხილოთ ორი ქვესისტემა, რომელმაც ძლიერი ტრანსფორმაცია განიცადა სემიტური ენების დიფერენციაციისა და განვითარების გზაზე. ესენია ხმოვანთა და სიბილანტთა ქვესისტემები. სემიტურ ხმოვნებს ენობრივ სისტემაში ახასიათებთ ფუნქციონალური თვალსაზრისით არასრულფასოვნება, რაც იმაში ვლინდება, რომ ისინი რელაციურ ელემენტებად გვევლინება, რადგან სემიტური ძირის მნიშვნელობას კონსონანტი ფონემები გადმოსცემენ, ხოლო ვოკალები გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ, ან კიდევ აზუსტებენ ძირითადი მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსებს. პროტოსემიტურ დონეზე აღდგება სამი ხმოვანი ორი სიგრძით, კერძოდ, წინა რიგის დაბალი აწეულობის ფართო a, მაღალი აწეულობის i და უკანა რიგის მაღალი აწეულობის u. ამგვარი სურათი უცვლელი სახითაა შენარჩუნებული ჩრდილოარაბულში, ებიგრაფიკულ სამხრეთარაბულსა და უგარიტულში. საინტერესოა, რომ დასახელებული ენები ზოგადად მდიდარი კონსონანტიზმით ხასიათდება, მათში, შესაბამისად, 28, 29 და 27 თანხმოვანია წარმოდგენილი. ისიც უნდა ითქვას, რომ განვითარების მოგვიანო ეტაპზე ჩრდილოარაბულის დიალექტებში e და o ხმოვნებიც გაჩნდა. ცვლილებები განხორციელდა ასა ენებშიც, კერძოდ, აქ გვაქვს 7 ხმოვანი; გრძელი a e i o u და მოკლე a და e. მსგავსი ვითარებაა ეთიოპიურშიც; აქ წარმოდგენილია 5 მოკლე (a e i o u) და 2 გრძელი ხმოვანი (a e). ამას გარდა, ამჰარულში ულტრამოკლე ხმოვანიც გაჩნდა. რაც შეეხება აქადურს, აქ ტრადიციული a i u ხმოვნების გარდა მეოთხე e ხმოვანიც გაჩნდა, თითოეული ორ-ორი სიგრძით. ხმოვანთა სისტემა უკიდურესად მოდიფიცირებულია ჩრდილოდასავლურ შტოში, კერძოდ, ებრაულსა და არამეულში. აქ გვაქვს 5 (a i u o e) ხმოვანი მოკლე და გრძელი ვარიანტებით. მას ემატება მესამე – ულტრამოკლე სიგრძე, ანუ ხმოვანთა სისტემა უკიდურესად გამდიდრებულია. ყურადღებას იმსახურებს ფონოლოგიურ სისტემაში ე.წ. ბალანსის ფაქტორი, ამ ენებში კონსონანტთა სისტემა გაღარიბდა, მოხდა ზოგიერთ თანხმოვან ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია და შერწყმა არამარკირებულ კონსონანტებთან. შედეგად, 28-29 პროტოსემიტური თანხმოვნის ნაცვლად ამ ენებში დარჩა 22-23 კონსონანტი, სამაგიეროდ გამდიდრდა ხმოვანთა სისტემა. ეს მოვლენა საინტერესოა ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

დაბოლოს, შევეხოთ ურთულეს სიბილანტთა ქვესისტემასაც, რომელიც პროტოსემიტურ დონეზე 9 ფონემითაა წარმოდგენილი. ესენია ერთმანეთისგან მინიმალური დიფერენციალური ნიშნებით განსხვავებული ნაპრალოვანი სისინ-შიშინა ფონემები, რომელთა შორის ორი მჟღერია (z d) და 7 ყრუ, სამი მათგანი გლოტალიზებულია (ან ფარინგალიზებული ანუ „ემფატიკური“), საარტიკულაციო რიგებია ინტერდენტალური, ალვეოლარული, პრეპალატალური, არის ორი დამატებითი ლატერალური კონარტიკულაციის მქონე ფონემაც. სიბილანტთა ქვესისტემა პროტოსემიტურ დონეზე შემდეგი სახით აღდგება: იხ. სქემა (1)

(1)		(2)			(3)			(4)		
<u>d</u>	<u>t</u> <u>ʔ</u>	<u>d</u>	<u>t</u> <u>d</u>	<u>d</u>	<u>t</u>	ʒ				
z	s ʕ	z	s ʕ	z	s	ʕ	z	s	ʕ	
	ʕ		ʕ			ʕ			ʕ	
-	ʕ ʕ	-	ʕ	z		ʔ				

რომ ფონემათა სხვა კლასებიდან ზემოთ ჩამოთვლილ მოდიფიცირებულ ფონემებს მოსდევს ველარულ სპირანტთა წყვილეულის მჟღერი გ წევრი. რაც შეეხება ენებსა და შტოებს, პროტოსემიტურ სიბილანტთა ქვესისტემა აბსოლუტურად იდენტურ სურათს არც ერთ სემიტურ ენასა და შტოში არ იძლევა. პროტოსისტემას ყველაზე მეტად ჰგავს ეპიგრაფიკული და ახალი სამხრეთარაბული ენების ჯგუფი, მათ მოსდევს ჩრდილოარაბული, რომელშიც მხოლოდ ლატერალური რიგია საგრძნობლად მოდიფიცირებული, და დასავლურსემიტური შტოდან – უგარიტული. საშუალო დონის მოდიფიკაციაა განხორციელებული ებრაულსა და გეეზში, ყველაზე მეტად სახეცვლილი კი ამ მხრივ არის აქადური, არამეული და სამხრეთეთიოპური ენები.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. განხილული ქვესისტემებიდან და კლასებიდან ყველაზე კონსერვატიულია სონორთა კლასი, შემდეგ მოდის აპროქსიმანტები და ხშულთა კლასი, შემდეგ კი – უკანანისმიერთა ქვესისტემა.

2. ამის საპირისპიროდ, ყველაზე ტრანსფორმირებულია ურთულესი ცხრაფონემიანი სიბილანტთა ქვესისტემა, რომელიც არც ერთ შტოში არაა უცვლელი სახით წარმოდგენილი. მოდიფიკაციის ხარისხით მას მოსდევს ხმოვანთა ქვესისტემა. ამასთან, ცალკეულ ფონოლოგიურ სისტემებში შეინიშნება ერთგვარი ბალანსი; იქ, სადაც მდიდარია კონსონანტიზმი, ვოკალიზმი უფრო არქაულ სახეს ინარჩუნებს და მწირია. გამარტივებულ კონსონანტურ სისტემებში კი საპირისპირო სურათია.

3. პროტოსისტემისა და ტრანსფორმირებული სისტემების შედარებისას ცალკეული საარტიკულაციო რიგები ამგვარ სურათს იძლევა: უკიდურესად მარკირებული და შესაბამისად ტრანსფორმირებულია ლატერალურ სიბილანტთა რიგი, შემდეგ კი – ინტერდენტალურ სიბილანტთა რიგი.

4. ცალკეული ფონემებიდან ყველაზე მეტად მოდიფიცირებულია სემიტური ყრუ გლოტალიზებული ლატერალური სიბილანტი, მას მოსდევს ყრუ ლატერალური სიბილანტი ႁ და ველარულ სპირანტთა წყვილეულის მჟღერი წევრი გ.

5. სხვადასხვა შტოში ამგვარი სურათი იკვეთება: პროტოსისტემასთან ყველაზე დიდ მსგავსებას ავლენენ ეპიგრაფიკული და ახალი სამხრეთარაბული ენები, აგრეთვე ჩრდილოარაბული. კონსერვატიულობის თვალსაზრისით მათ მოსდევს დასავლურსემიტურიდან უგარიტული. მის საპირისპიროდ, უკიდურესად მოდიფიცირებულია აქადური, შემდეგ – სამხრეთეთიოპური ენები, ებრაული და არამეული კი ამ თვალსაზრისით შუალედურ პოზიციას გვიჩვენებენ.

ლიტერატურა

გამყრელიძე... 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

მეფარიშვილი 2008: მ. მეფარიშვილი, სემიტური ენების ისტორიული გრამატიკა, ნაწ. I, ფონეტიკა, ფონოლოგია, თბილისი.

Дьяконов 1965: Дьяконов И.М., Семито-Хамитские языки, Москва.

Церетели 1979: Церетели К.Г., Сирийский язык, Москва.

Modified Systems of Proto-Semitic Phonemes in Different Semitic Languages

Summary

During the last period, in Semitic comparative linguistics the increase of interest in the studies concerning the reconstruction of phonological systems of parent-language, as well as of its different branches and groups, is observed. Attention is also paid to their relationship from the viewpoint of diachronic linguistics. The article also discusses the transformations of different Proto-Semitic phonemes, series and subsystems in various languages and branches. Some phonemes and series are stable and unchanged, while others are strongly modified.

While comparing various branches and groups of Semitic languages with the Proto-Semitic it should be noted that series, subsystems and classes regarded in the article might be united in three groups: 1. the first group consists of unchanged, unmarked series of semitic phonemes preserved in various languages and branches such as liquids, three-member dental series in plosives and simple alveolar sibilants in fricatives; 2. the second group consists of the ones which are modified partly as approximants, labial and velar plosives, pharyngeal fricatives, etc. 3. the third group consists of strongly transformed ones; the most modified are the series of lateral and interdental sibilants in the subsystem of sibilants; semitic vowels could also be regarded in this group.

ზააქის მამის სახელის შესახებ

ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ ირანის ლეგენდარული, უზურპატორი და მტარვა-ლი მეფის, ზააქის (ზოაქის) მამის სახელია მარდასი (არდას), რომლის სამ-ფლობელოს „შუბოსან მხედართა ველი“ (Dašt-e savārān-e neyze gozar) ეწოდება და იგი იქ მცხოვრები თაზიების (არაბების) მეთაურია. მარდასი „შაჰ-ნამეში“ წარმოდგენილია კეთილშობილ, სამართლიან, მოწყალე და ღვთისმოსიშ ხელმწი-ფედ, რომელიც თავის წალკოტში მდებარე სალოცავში მალულად ღამით სცემს თავყანს ღმერთს და ჩუმაღ ლოცულობს (ფირდოუსი 1916, I:44). „შაჰ-ნამეში“ არ არის აღნიშნული მარდასის ამ საქციელის, ანუ ღამით ჩუმაღ და მალულად ლოცვის მიზეზი. ვნახოთ რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ „შაჰ-ნამემდელ“ თხზუ-ლებებსა და წყაროებში.

ღღევანდელ ავესტაში, ან „დინქარდში“, რომელშიც სრული ავესტის მოკლე შინაარსია გაღმოცემული, ზააქის (ავესტ. Aži Dahāka) მამა საერთოდ არ იხსე-ნიება, თუმცა „დინქარდში“, როგორც ზ. საფა აღნიშნავს, ავესტის ერთ-ერთი ნაწილის – „Sutgar nask“-ის შინაარსის გაღმოცემისას ნათქვამია, რომ ძუ ღვეს, რომელიც ზააქის ღეღა იყო, სახელად უღაგი (Ōdhāg) ერქვა და სწორედ იგი იყო, ვინც აცღუნა და ამქვეყნიურ სიამოვნებებზე წააქეზა ჯამშიღი (საფა 1333:457) ანუ ავესტის გიმა ხშაეღა (Yima xšaēta – „ბრწყინვალე დიმა“).

ფალაური რელიგიური თხზულებებიდან „ბუნღაჰიშნიში“ ზააქის გენეალოგია მოცემულია როგორც მამის, ისე ღედის ხაზით. აქ მამის მხრივ ზააქი არის ძე ხრუტასპისა, ძე ზაინიგავისა, ძე ვირაფსანგისა, ძე თაზისა, ძე ფრავაკისა, ძე სიგამაკისა, ძე მაშიასი, ძე გაიომართისა. ამ თხზულებაში ზააქის ღედის სახე-ლია უღაი (მღრ. ავესტ. Ōdhāg) და მისი გენეალოგიური ხაზი აჰრიმანამდე, ანუ ბოროტ საწყისამდე აღწევს (ბუნღაჰიშნი 1880: თავი XXXI, §-6).

როგორც ჩვენს წიგნიში – „ზააქიანის სპარსული და ქართული ვერსიები“ – გვაქვს აღნიშნული, ისლამის პერიოდის ისტორიკოსებიდან აბუ ჰანიფა ღინავა-რის თხზულებაში „ახბარ ატ-ტივალ“ ზააქის მამას იღვანი (أغل) ჰქვია, ხო-ლო „მოჯმალ ათ-თავარიხის“ ანონიმი ავტორი მას არვანღასბს უწოდებს. თაბა-რის, საალიბისა და ბირუნის კი ზააქის მამის ორი სახელი აქვთ მოცემული. ერთი სპარსელთა მიხედვით: თაბარი – ‘ავრვანღასბ’, საალიბი – ‘ანღარმასბ’, ბირუნი – ‘ავრანღასბ’, რომლებიც „მოჯმალ ათ-თავარიხში“ მოცემული სახელი-საგან ოღნავ განსხვავდებიან; მეორე კი – არაბთა მიხედვით და ამ შემთხვევაში სამივე ავტორის თანახმად – იღვანი (ჟორჟოლიანი 2003:44-46).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის P-462 ხელნაწერით წარმოდგენილ „შაჰ-ნამეს“ სპარსულ პროზაულ ვერსიაში, რომლის შემუშავების თარიღი დაღგენი-ლი არ არის, ზააქის მამის შესახებ ვკითხულობთ: „ერთი უთვისტომო კაცი ჰყავღა მეფე ჯამშიღს, რომელიც ჯამშიღ შაჰის თაზიბანი იყო და სახელად ფუ-რი ერქვა“ (ხელნაწერი P-462, 3ბ). როგორც ვხეღავთ, ფირდოუსის „სარ-ე თა-

ზიან“ (თაზიათა მეთაური, ხელმწიფე) აქ „თაზიბანად“ ქცეულა, რომლის მნიშვნელობა ბუნდოვანია, ხოლო მარდასის ნაცვლად ზააქის მამისათვის ფური დაურქმევიათ.

საინტერესო ვითარება გვაქვს „მეფეთა წიგნის“ ქართულ ვერსიებში. „როსტომიანში“ ზააქის ამბავი არ არის და შესაბამისად არც ზააქის მამის სახელია წარმოდგენილი. „ფრიდონიანში“ მისი სახელის ორი ვარიანტია მოცემული – მადრას// მარდი (მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, II, 370). „უთრუთიან – საამიანის“ პროზაულ ტექსტში სახელის ძირითად ფორმად ‘მურადავ’ არის მითითებული, ხოლო მის ვარიანტებად არის მიჩნეული მურადავ//მურადავ//მურადავ/მურად ფორმები (მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები 1974:19; ჟორჟოლიანი 2003:195), რომლებიც მთარგმნელისა და ხელნაწერთა გადამწერის ნახელავი ჩანს. ამ თხზულების გამლექსავს კი აღნიშნული ფორმებიდან ‘მურადავ’ აურჩევია (მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები 1974: 108).

„საამ ფალავნის წიგნში“, მიუხედავად იმისა, რომ თხზულების ქართულად გადმოძღვებს ხელთ უნდა ჰქონოდა ზემოხსენებულ P-462 ხელნაწერში წარმოდგენილი „შაჰ-ნამეს“ სპარსული პროზაული ვერსიის მსგავსი ტექსტი, ზააქის მამის სახელი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფური კი არ არის, არამედ ‘რიზვანია’ (მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები 1974:297). ცალკე თხზულების სახით არსებულ „ზააქიანში“, რომელიც ლექსითი სახისაა, ზააქის მამის სახელად ‘მუხვარდ’ არის წარმოდგენილი (მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები 1916:10).

როგორც ვხედავთ, „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიებიდან ფირდოუსის თხზულებაში მოცემულ ზააქის მამის სახელს მხოლოდ „ფრიდონიანში“ აქვს შესატყვისი. პროზაული „უთრუთიან-საამიანის“ ‘მურადავ’, მისი ვარიანტული ფორმები და ლექსითი „უთრუთიან-საამიანის“ ‘მურადავ’, რომელიც პროზაული ვერსიის ერთ-ერთი ვარიანტია, შეიძლება მარდასის ძალზე სახეცვლილ ფორმებად ჩავთვალოთ. გასაზიარებლად მიგვაჩნია დავით კობიძის მოსაზრება, რომ „ზააქიანის“ ‘მუხვარდ’ ზააქის მამის „უთრუთიან-საამიანის“ წაკითხვასთანაა ახლოს, რომელიც გადამწერთა მიერ უნდა იყოს დამახინჯებული. თუმცა მკვლევარი იმასაც ფიქრობდა, რომ „ზააქიანის“ გამლექსავი, შესაძლოა, ზააქის ამბის ჩვენთვის უცნობ ვერსიასაც იყენებდაო (კობიძე 1959:145, 152). „საამ ფალავნის წიგნის“ ‘რიზვან’ კი უდავოდ მთარგმნელის მიერ P-462 ხელნაწერისაგან განსხვავებული ტექსტის გამოყენებაზე მიგვანიშნებს.

საყურადღებოა, რომ ირანულ საკუთარ სახელთა ლექსიკონებში (იუსტი, აბასი, ფურფარსი და სხვ.) სახელ მარდასის ეტიმოლოგია არ არის მოცემული. ეტიმოლოგიის გარეშეა წარმოდგენილი ეს სახელი ჰოსეინ შაჰიდი მაზანდარანის (ბიჟანის) „შაჰ-ნამეს“ ანთროპონიმთა და ტოპონიმთა ლექსიკონშიც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ სახელის წარმომავლობით ბოლო დრომდე მკვლევრები არ დაინტერესებულან.

1983 წელს (ჰიჯრით 1362 წელს) კრებულში „Iran Name“ გამოქვეყნდა მაჰმუდ ომიდსალარის სტატია „ზაჰაქი – ვაჟი მარდასისა, თუ კაციჰამია ზაჰაქი?“, რომელშიც მკვლევარი სახელ მარდასს აჟი დაჰაკას (ზააქის) ავესტისეულ ეპითეტად მიიჩნევს. იგი აღადგენს მარდასის ავესტურ ფორმას marata-asa და ფიქრობს, რომ marata არის იგივე ახ. სპ. mard, ensan – „კაცი“ „ადამიანი“, as კი „ხორდან“ ზმნის ავესტური ეკვივალენტიაო. ეს ავესტური ეპითეტი ახალ-

სპარსულში ანუ „შაჰ-ნამეში“ ზააქის მამის სახელად ქცეულა (ომიდსალარი 1362:328-339).

ომიდსალარის ამ მოსაზრებას ეხმადანება 11 წლის შემდეგ, 1994 წელს ჯალალ ხალეყი მოთლაყის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა „მარდასი და ზაჰაქი“, რომელშიც ავტორი „შაჰ-ნამეში“ მოცემულ ზააქის თანხმობით ეშმაკის მიერ წალკოტში ამოთხრილ ორმოში მარდასის ჩავარდნას და სიკვდილს მიიჩნევს ზააქის დემავენდის მთის უფსკრულში ჩაკიდების ანარეკლად (ხალეყი მოთლაყი 1373:912-913).

კრებულ „Name-ye Farhangestan“-ის 2008 წლის (ჰიჯრით 1387წ.) გაზაფხულის ნომერში კი დაიბეჭდა ბაჰარ მოხთარიანის სტატია სათაურით „მარდასი – კაციჭამია კეთილშობილი კაცი!“. სათაურს ძახილის ნიშანი ასრულებს. სტატიის ავტორი ცდილობს აჩვენოს და ახსნას, რომ „შაჰ-ნამეს“ მარდასის ღვთისმოსაობა არის ნარჩენი ველებისეულ თქმულებათა ციკლისა, რომლის შესახებ ფალაურ წიგნებში არაფერია ნათქვამი და რომელიც „შაჰ-ნამეში“, როგორც ჩანს, ზეპირი თქმულებების საფუძველზე აისახა (მოხთარიანი 1387:39-49).

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1848 წელს გერმანელმა ორიენტალისტმა რაულ როთმა გამოავლინა მსგავსებანი ავესტისა და ველების თქმულებებს შორის. მან, კერძოდ, მიაკვლია მსგავსებას ავესტის თრაეტაონა-აჟი დაჰაკას ბრძოლასა და ველების წყლის ღვთაების აპტიას ვაჟის თრიტას მიერ სამთავა და შვიდეკუდიანი ღრუბლის დემონის აჰის დამარცხების შესახებ (როთი 1848:216-230).

ბ. მოხთარიანის თანახმად, ავესტისეული თქმულება თრაეტაონასა და აჟი დაჰაკაზე არის ირანული ვარიანტი ველების თქმულებისა თრიტას წაქეზებით ინდრას მიერ სამთავა და სამხახა ვიშვარუპას და ასევე აჰი ვრტრას მოკვლის შესახებ. ბ. მოხთარიანი ავესტის აჟი დაჰაკასა და ველების ვიშვარუპას შორის უფრო მეტ მსგავსებას ხედავს, ვიდრე აჟი დაჰაკასა და აჰი ვრტრას შორის.

რიგველაში ვიშვარუპა სამთავიანი ურჩხულია, რომელიც იმავდროულად ღვთისმოსავია, ბრაჰმანია, ახლო კავშირი აქვს იეზდანთან (ღმერთთან) და მისი მოკვლა ცოდვად ითვლება. ინდრას არ უნდა, ეს ცოდვა მის კისერზე იყოს, ამიტომაც იგი აპტიას ვაჟს თრიტას ავალებს ამ საქმის შესრულებას.

ავესტაში აჟი დაჰაკას შემორჩენილი აქვს ერთგვარი ღვთისმოსაობა. გავიხსენოთ მე-15 და მე-19 იაშტები, რომელთა თანახმადაც, აჟი დაჰაკა ანაჰიტას მსხვერპლად სწირავს 100 ცხენს, 1000 ძროხას, 1000 ცხვარს და დახმარებას სთხოვს ადამიანთაგან ქვეყნის 7 მხარის დაცარიელებასა და ღვთიური შარავანდელის ხელში ჩაგდებაში. მაგრამ მისი მცდელობა ფუჭია, ანაჰიტა მას არ ეხმარება (ავესტა 1960:5-§ 429-431 და 15-§19-21). აჟი დაჰაკას ეს ქმედება არის მინიშნება მის ღვთისმოსაობაზე, რომლის ანალოგი, როგორც ვთქვით, რიგველაში არსებობს. ამავე დროს ქვეყნის 7 მხარის ადამიანთაგან დაცარიელების სურვილი არის ნიშანი და მაჩვენებელი მისი კაციჭამიობისა, რომელიც აჟი დაჰაკას შესახებ შემდგომი პერიოდის თქმულებაში (მაგ. მოსე ხორენაცის მითი ბიურასპ აჟდაჰაკის შესახებ და ფირდოუსის „შაჰ-ნამე“) უფრო ნათლადაა გადმოცემული. ბ. მოხთარიანი ასკენის, რომ, როგორც ჩანს, არიული ტომების განცალკევებისას მოხდა გაყოფა ერთობლივი თქმულებებისა. შემდგომ, ზარდოშტის რეფორმების დროს, მათი ახალ სარწმუნოებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლი-

ლება იქნა შეტანილი თქმულებათა პერსონაჟების სახელებში, ეპითეტებში და მათ ქმედებებში, რაც დიდხანს გრძელდებოდა და „შაჰ-ნამეშიც“ აისახა (მოხთარიანი 1387:43-48).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზაჰაქის მამის სახელი მარდასი როგორც „კაციჭამიობის“, ისე „ლეთისმოსაობის“ მნიშვნელობით ზაჰაქის ძალიან ძველი ეპითეტებიდან წარმოდგება და ზაჰაქის ეპითეტ მარდასის ლექსიკური მნიშვნელობა შემდგომ ეპოქაში, ალბათ ზეპირი თქმულებების გავლენითაც, ზაჰაქის მამის სახელში აისახა.

ლიტერატურა

- ფირდოუსი 1960, I:** Фирдоуси, Шах-наме. Критический текст. Т. 1. Издательство восточной литературы, Москва (სპარსულ ენაზე).
- საფა 1333: Zabihollah Safa,** Hamase-sarā'ī dar Iran, „ეპიკურ თხზულებათა თხზვა ირანში“, Tehran (სპარსულ ენაზე).
- ბუნდაჰიშნი 1880:** The Bundahis, Pahlavi Texts, Part I, translated by E.W. West, Oxford.
- ჟორჟოლიანი 2003:** ლ. ჟორჟოლიანი, „ზაჰაქიანის“ სპარსული და ქართული ვერსიები, თბილისი.
- ხელნაწერი P-462:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი P-462.
- მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები:** მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, სამ ტომად, ტ. I-1916, ტ. II-1934, ტ. III 1974, თბილისი.
- კობიძე 1959:** დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი.
- ომიდსალარი 1362:** Mahmud Omidshah, Zohhak pesar-e Mardas ya Zohhak-e adam khar („ზოჰაკი ვაჟი მარდასისა თუ კაციჭამია ზოჰაკი“) “Iran Name“, sal-e dovvom, Tehran (სპარსულ ენაზე).
- ხალეგი მოთლაგი 1373:** Jalal Khaleghi Motlagh, Mardas va Zohhak („მარდასი და ზოჰაკი“) “Iranshenasi“, sal-e chaharom, Tehran (სპარსულ ენაზე).
- ავესტა 1960:** Le Zend – Avesta, traduction nouvelle avec commentaire historique et philologique, II, Yasht 5 და Yasht 15, 19-21, Paris.
- მოხთარიანი 1387:** Bahar Mokhtarian, Mardas nikmard-e adamkhar („მარდასი კეთილშობილი კაციჭამია?“), “Name-ye Farhangestan“, Tehran (სპარსულ ენაზე).
- როთი 1848:** R. Roth, Die Sage von Feridun in Indien und Iran, ZDMG, II, Leipzig.

Lili Zhorzholiani

On the Name of Zahak's Father

Summary

The name of the legendary king – father of Zahak – in Firdausi's “Shahnameh” is Mardas, which is not mentioned in Avesta and numerous old legends of the Pahlavian works. Only “Bundahishn”, the old Pahlavian monument, written in the Islamic period (IX century) presents his name – in the form of Khrutasp.

The majority of historians of the Islamic period mention two names of Zahak's father, i.e. according to Persians Avrvandasb (Tabari), Andarmasb (Sa'alibi), Avrandasb (Biruni),

which phonetically differ a little from Arvandasb, the form of this name given in “Mojmal At-Tavarikh” by the anonymous author. Arabs call this person – Ilvan, according to Dinavari, Tabari, Biruni and Sa’alibi.

In “Pridoniani” from the Georgian versions of “Shahnameh”, the work of XV-XVIII centuries, the name of Zahak’s father is Mardas//Mardi, in the prosaic text of “Utrutian-

Saamiani” it is Muradav (variants: Muradava, Murad, Murdav, Murad), in the verse text of “Utrutian-Saamiani” – Murdav, in “Zaakiani” – Mukhvard. In the oldest Georgian prosaic version he is called Rizvan, and in the Persian prosaic version probably close to the original “Shahnameh” (manuscript P-462 of the Georgian National Centre of Manuscripts) his name is Pur.

Till the late period no proper attention was concentrated on the name of Zahak’s father, despite its non-uniformity, neither any interest was expressed towards the etymology of Mardas of “Shahnameh”.

In 1983, the Iranian scholar Mahmud Omidstalar put the question: “Zahak – son of Mardas, or cannibal Zahak?” M. Omidstalar considers Mardas an epithet of Zahak (of Azhi Dahak) and thinks that it comes from the Avestian form of this epithet “mareta-asa” – “cannibal” – in his opinion, “mareta” means “man, human being”, and “as” is an Avestian equivalent of the same “khorda” – the verb “to eat”.

M. Omidstalar’s consideration is shared in the article “Mardas or Zahak”, published also by the Iranian scholar Jalal Khaleghi Motlagh in 1994.

In the work “Mardas – Cannibal, Noble Man!” published in 2008 in the collection of works “Name-ye Farhangestan”, Bahar Mokhtarian, in his comparative analysis of the legends of Mardas in “Shahnameh”, Azhi Dahak in “Avesta”, Vishvarupa and Ahi Vrtras in “Vedas” finds many common parallels (piety, cannibalism) between Azhi Dahak and Vishvarupa. The scholar concludes that in common legends of the period of separation of Arian tribes (Iranians, Indians) and later, during the religious reforms conducted by Zardosht, while suiting them to the new religion, changes were introduced in the names, epithets and activities of the personages of these legends. This process lasted long and was reflected in “Shahnameh” as well. Mardas, the name of Zahak’s father in “Shahnameh”, as in the meaning of both “cannibalism” and “piety” is a very old epithet of Zahak himself, in the establishment of which the verbal influence should also be taken into account.

მანია სახლობა

**ძველი სპარსულის ფორმები და ფუნქციები:
დიაქრონიულ-ტიპოლოგიური მიმოხილვა**

ძველი სპარსულის გარკვეული ფორმები-ფუნქციები, როგორც წამყვანი მორფოსინტაქსური კონების მნიშვნელოვანი კომპონენტები, – განიხილება აქ საკუთრივ ჩვენი და სხვადასხვა თანამედროვე მორფოსინტაქსური დებულებების გათვალისწინებით (იხ. სახოკია, 1085, 1998, 2004, 2007ა, იქ წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიით; აჟეჟი 1978, ბენვენისტი 1966/1974, ბიურინგი 1995, ბოსონგი 1999, კენანი 1976, 1987; კემფი 1973, კენდიუშენკო 1984, კოზინსკი 1983, ლემანი 1976ა, 1976ბ; ლი, ტომპსონი 1976/1982, მალინსონი, ბლეიკი 1982, მარტინე 1973, 1985; ნიკოლსი 1975, 1984; პარამეტრი 1986, პრავმანტაქსი 1986, საბოლცი 1986, სერბა 1981, სოვა 1969, სოვაჟო 1974, სსI 1979, სსII 1981, სცმ 1977, ფელმორი 1968, 1970; ფოლი, ვალენი 1984, შახტერი 1982, შლეზინგერი 1979, ჩომსკი 1957/1962, 1965; წს 1985 და სხვა), აგრეთვე განსახილველ საკითხებში წამყვანი ძირითადი ლიტერატურის გათვალისწინებით კომპარატივისტიკაში, ინდოევროპეისტიკასა და ირანოლოგიაში, საკუთრივ ირანულ ენათმეცნიერებაში (ბრანდენშტაინი, მაირჰოფერი 1964, გამყრელიძე, ივანოვი 1981ა, 1984ბ, 1984 II; გონდა 1957/1975, 1959/1975, 1975ა, 1975ბ; დესნიცკაია 1981, 1983; ედელმანი 1974, კენტი 1956, კომპენდიუმი 1989, ლაზარი 1963, მეიე 1931, ოდრი 1968, 1970, 1980; ორანსკაია 1986, სოკოლოვი 1979, სიმს-ვილიამსი 1981, სინგჰი 1986, სტეპანოვი, 1989, ტიმბერლეიკი 1982, ფოი 1901, შერვო 1983, შილდზი 1982ა, შილდზი 1982ბ, შილდზი 1986, შილდზი 1987, შვარცშილდი 1984, შტრუნკი 1968, შმალსტიგი 1980, 1981, 1982ა, 1982ბ, 1989; შმეია 1986, შმიდი 1964, შმიტტი 1978, 1967, 1981, 1980; ჰანი 1969, ჰალე 1987, 1988).¹ გამოვეყნოთ სიმპთომატური რგოლები და მათი მთავარი კომპონენტები. ძველი სპარსული მასალა რელევანტურია სპარსული ენის დიაქრონიის, ინდოევროპული (იე) კომპარატივისტიკისა და ტიპოლოგიური უნივერსალების თვალსაზრისით. ფორმა-ფუნქციათა საკოდიფიკაციოდ ხშირად გადამწყვეტია პირველადი მონაცემების გათვალისწინება, რომლებიც აღდგენილია რეკონსტრუქციის შედეგად, რადგან ძველი სპარსული საერთო პროტოინდოევროპული (*ჰიე) დონის **მემკვიდრე ენათა** რიცხვს განეკუთვნება და შეიცავს *ჰიე აქტანტურ-სირკონსტანტურ ფორმა-ფუნქციათა სურათის ამსახველ რეფლექსებს (შდრ.: გამყრელიძე, ივანოვი 1981, 198ა; შმალსტიგი 1980, 1981, 1982, 1989; მარტინე 1986, სტეპანოვი 1989 და სხვა).

მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ძველ სპარსულში ფორმა-ფუნქციათა კოდიფიკაცია ფართოდ უკავშირდება სიტყვათა რიგს, ანუ ესა თუ ის ფუნქციური

¹ სრული და ვრცელი ბიბლიოგრაფია საკითხთა ფართო ფონით იხ.: სახოკია, 1985, 1998, 2004, 2007-ში.

სემანტიკა განსაზღვრავს მორფოსინტაქსემაში კომპონენტის ადგილს. მხედველობაში მისაღებია მორფოლოგიური ფაქტორიც; ზოგჯერ არგუმენტად გვევლინება აგრეთვე ლექსიკური სემანტიკა (მაგ.: პრედიკატული ბირთვისა და მისი რეფერენტების ურთიერთობის გარკვევისას ან ზედაპირული სტრუქტურის არჩევინას). ამ არგუმენტების ზემოქმედება იკვეთება პირდაპირი და ირიბი მორფოლოგიური ფორმების არანჟირებისას. მასალა ადასტურებს, რომ პირდაპირ ბრუნვით ფორმად უნდა მივიღოთ ზოგადად მხოლოდ ნომინატივი ან აბსოლუტივი, ყველა დანარჩენი ბრუნვა ირიბი ბრუნვებია. მათ შორის, ინდოევროპული აკუზატივიც, სწორედ ირიბ ბრუნვათა კორპუსს განეკუთვნება და არა პირდაპირ ბრუნვებს. არსებობს გარკვეული ლინგვისტური ტრადიცია იე აკუზატივის ანუ ბრალდებითი ბრუნვის პირდაპირად მოხსენიებისა, რადგან იგი ხშირად სინტაქსურად პირდაპირი დამატების/ობიექტის გამომხატველია, რაც სინამდვილეში უფრო გვიანი და მეორეული მოვლენაა (იხ. დესნიცკაია 1981, 1983; გამყრელიძე, ივანოვი 1981, 1984ა, 1984ბ:285-288, გონდა 1957/1975:44-62, 1959/1975:72-81, 1975ა:63-71, 1975ბ:34-43; მეიე 1931, ოდრი 1968, კრისკო 1984, 1988, 1990, 1994 და სხვა; ამის შესახებ დაწვრი.: სახოკია, 1985:13, 3-42, 141-162). პირდაპირ ბრუნვათა რიგის ლინგვისტური არსი არის დასახელება, ნომინაცია ანუ ე. ბენვენისტისეული *საგანი* (ობჟექტ), რომელიც პირობითად უპირისპირდება *პროცესს* (proces) (ბენვენისტი, 1950, 1966/1974). ხოლო ირიბი ბრუნვების რანგი (თუ მათი საკომპენსაციო საშუალებები, – სიღრმისეული ირიბი ბრუნვები აღწერითი ზედაპირული სტრუქტურით) გამოხატავს **ნებისმიერ შესაძლო მიმართებებს ნომინაციის რიგის საგანთა ან მოვლენათა შორის დროსა და სივრცეში**. ჩემი დასკვნით, ასეთია ურთიერთმიმართება მორფოსინტაქსისა და *სამყაროს სურათის* ლოგიკას შორის.

ირკვევა, რომ მრავალ ენაში, მათ შორის, ინდოევროპულ და ქართულ (ქართველურ) ენებში, ამ შემთხვევაში კი, – კერძოდ ძველ სპარსულში, ძირითადად, ყველა ირიბი ბრუნვა ან მისი შესაბამისი სხვა ფორმა, **შეენაცვლება ერთუთს სხვადასხვა ფუნქციათა მიხედვით**. უფრო მეტიც: **ურთიერთცვალებადია ზოგჯერ ირიბი და პირდაპირი ბრუნვითი ფუნქციებიც**, ე.ი. ორი რანგი ბრუნვითი ფორმებისა ფუნქციების მიხედვით ზოგჯერ ურთიერთმონაცვლეა (იხ. სახოკია 1985:182-183, 163-169, 185-186; სახოკია 1984).

ამგვარი **ინდოევროპული უზუსის** საერთო სურათი ძალიან კარგად ჩანს სწორედ ძველი სპარსულის მაგალითზე. ეს **მემკვიდრე ენა** თვალნათლივ ახდენს *პიე დიფუზური მრავალფუნქციური ბრუნვის ილუსტრირებას, რომელიც შემდგომ იწოდება *სირკონსტანტულ აკუზატივად* (გამყრელიძე, ივანოვი 1984ბ:285-288).

ამ დიდ ტიპოლოგიურ საკითხზე უკვე ადრეულ ნაშრომში მქონდა ლაპარაკი. იქ თქმული ვრცელდება **ძველი სპარსულის ფაქტებზეც**. ზოგიერთი ენობრივი სიბრტყე, მაგალითად, ტრანზიტორული ხასიათის მქონე მორფოსინტაქსური სისტემა, იძლევა კარგ შესაძლებლობას მრავალფეროვანი მორფოსინტაქსური ფაქტის დაფიქსირებისა. ასეთი დიაქრონიული ენობრივი დონე წარმოადგენს ერთგვარ პოლიგონს **ტიპოლოგიური მექანიზმების გამოსავლენად**. ასეთ **სინქრონულ მასალას** გვაწვდის ძველი სპარსულის წარწერების ენობრივი დონე. აქ იკვეთება ორი ძირითადი რგოლი:

1. ერთი და იგივე მორფოლოგიური ფორმა ასრულებს მრავალ სხვადასხვა რანგის სინტაქსურ-სემანტიკურ ფუნქციას;
2. იმავდროულად სხვადასხვა ფორმებსაც აერთიანებს ერთი საერთო სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია.

ჯამში, სინქრონულ დონეზე ადგილი აქვს ფართო პოლიფუნქციურობის, სინკრეტიზმის მოვლენას და პოლიმორფიზმის ანუ მორფოსინტაქსური სინონიმიის მოვლენას.

ძველი სპარსულის ენობრივი სისტემის ტრანზიტორულობა, – ფლექსიის რღვევა და ანალიტიზმის განვითარების დასაწყისი, – მხოლოდ ნაწილობრივ ახსნის ამ მორფოსინტაქსური მახასიათებლების საკმაოდ მაღალ ხარისხს. ფართო ტიპოლოგიური თვალთახედვა გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ამგვარი ახსნა იქნებოდა არასრული, რადგან სინამდვილეში პოლისემია და პოლიმორფიზმი მეტ-ნაკლებად ბევრ სხვა ენასაც ახასიათებს, იქნება ეს დიაქრონია თუ სინქრონია. მაგალითისთვის, აქ საკმარისია ტიპოლოგიურად შევადაროთ ინდოევროპული აკუზატივისა და ქართველური დატივის სტატუსები. მსგავსი დიაქრონიულ-ტიპოლოგიური იე//ქე ერთობების დადგენის შედეგად ადრევე გამოვყავით ე. წ. საერთო ბრუნვების სერიები. ამ ბრუნვათა დასახელებები შეესაბამება არა მორფოლოგიურ ფორმას, არამედ მოცემულ ფორმათა ერთობლიობის ყველაზე განზოგადოებულ, წამყვან, სინტაქსურ სემანტიკას. ამდენად, საერთო ბრუნვები წარმოადგენენ ფაქტობრივად სიღრმისეულ სემანტიკურ ბრუნვებს, გამოვლენილს კონკრეტული გამოკვლეული მასალის საფუძველზე. საერთო ბრუნვები ინვარიანტებია, ხოლო სემანტიკურ-სინტაქსური ნიშნით გაერთიანებული ფორმების ჯგუფი, – ვარიანტები. ინვარიანტის რეალიზაცია იე//ქე დიაქრონიულ-ტიპოლოგიური დიაპაზონით ხორციელდება სპეციალურ ტაბულაზე აღბეჭდილი ვარიანტების სახით (იხ. სახოკია 1984, სახოკია 1985:3-42, 157-162, ტაბ. 9, 11).

ერთი საერთო ფუნქციით გაერთიანებული ელემენტები ტაბულებზე გრაფიკული სხივების მეშვეობით „გამოსხივდებიან“ სემანტიკურ-სიღრმისეული ინვარიანტიდან. მაგალითად, გვაქვს ზოგადი დატივი (მიმართულება, ადრესატი), ზოგადი ლოკატივი (ადგილმდებარეობის სხვადასხვა ფორმები), ზოგადი აგენსი ან სუბიექტი და ა.შ. თეორიულად ასეთი მიდგომა ჩვენი ფაქტებისადმი ეხმაურება არაერთ ცნობილ ზოგად თუ სპეციალურ დებულებას და სისტემებს ბრუნვების გარშემო (ჩომსკი 1968, ფილმორი 1970; შდრ. კემპფი 1973). აქ საინტერესო ისაა, რომ ძველი სპარსულის მონაცემები მოიცავენ ჩვენი ზოგადი გრაფიკული სქემის ყველა ძირითად პუნქტს და შეიცავენ ინდურიანული ენებისთვის, და სრულად ინდოევროპული უზუსისთვის დამახასიათებელ სიმპთომატურ საკვალიფიკაციო-საკოდირეკაციო მორფოსინტაქსურ ნიშნებს (შდრ. გონდა 1975, ორანსკაია 1986, შმალსტივი 1980, 1982 და სხვა). ვიღებთ „ფუნქციათა განფენის“ ფართო სურათს. ამ ფუნქციათა მატარებელი კომპონენტებისაგან შემდგარი კონები მოძრაობენ სინქრონიულ-დიაქრონიულ სიბრტყეებზე და პერიოდულად იცვლიან ცალკეულ შემადგენელ კომპონენტებს, – ფორმებს ან მათ ფუნქციებს. ამ ცვალებადობაში ასე თუ ისე დიდ როლს ასრულებს ორი მორფოსინტაქსური

ტიპის ურთიერთქმედება: I (სემანტიკური) და II (გრამატიკული). უკანასკნელი ორგვარად რეალიზდება: 1) ახალი სემანტიკური ფუნქცია ემატება ძველს, ან მთლიანად ენაცვლება მას ძველ ფორმაში. 2) ახალი სემანტიკა თუ ფუნქცია მოითხოვს ახალ ფორმას. ზოგჯერ ერთ კონაში სინქრონიულადაც კი ფორმა-ფუნქციათა მთელი სპექტრი გვევლინება, მაგრამ ამათში ყოველთვის შეიძლება გამოვყოთ ძირითადი პრაგმატული მახასიათებელი და წამყვანი მორფოსინტაქსური ფუნქცია. ასეთი მრავალფეროვანი სპექტრი გვაქვს, მაგალითად, ერგატივიზებული კონების ბევრ სხვადასხვა ზედაპირულ სტრუქტურაში ინდოევროპულ და ქართველურ ენებში (სახოკია 1985, 1998). ფორმალურ კონათა კოდიფიკაცია-დასახელება განისაზღვრება სწორედ წამყვანი ფორმა-ფუნქციებით.

ამგვარად სპარსულის დიაქრონიულ ჭრილშიც ვიღებთ პოლიგენეტურ ფორმალურ კომპონენტებს, მორფოსინტაქსემებს და მათი მოძრაობის საკმაოდ უნივერსალურ მექანიზმებს, ტიპოლოგიური პარალელებით ინდოევროპული და ქართული (ქართველური) დიაპაზონით. ენათა წამყვან სინქრონიულ სურათს ძირითადად განასხვავებს მხოლოდ მორფოსინტაქსურ ელემენტთა ერთობლიობის კომბინაციები ანუ კონათა კომბინატორიკა, რასაც ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას ვუწოდებთ. ყოველ მოცემულ დონეზე ეს საშუალებები, რომლებიც გამოიხატებიან ფორმულებით, უნდა განვიხილოთ როგორც თავისუფალი მორფოსინტაქსური მოდელები, რომლებიც მეტ-ნაკლები ხარისხით შეიძლება მოქმედებდნენ სხვადასხვა ენების განსხვავებულ მთლიან სისტემებში (იხ. სახოკია 1985:141-162). კონტრასტულ მახასიათებლებს შორის ნაპოვნი საერთო მახასიათებელი (ფორმალური თუ ფინქციურ-სემანტიკური) იძლევა ზოგადტიპოლოგიური მექანიზმების მოკვლევის მეშვეობას. ეს მექანიზმები განეკუთვნება ადამიანური ენის უნივერსალური ტექნიკის სფეროს. სწორედ ასეთი კუთხითაა შეფასებული ძველი სპარსულის მონაცემები: ცალკეული მორფოსინტაქსური კომპონენტების მრავალმხრივი მახასიათებლების დაზუსტება მნიშვნელოვანია მთლიანი კონების კოდიფიკაციისათვის.

ძველ სპარსულში გამოსაყოფია კონათა კომპონენტთა შემდეგი სიმპტომატური მახასიათებლები:

1. აკუზატივის (Acc) ფუნქციები ძველ სპარსულში ფართო ტიპოლოგიური და შედარებით-ისტორიული პლანის გათვალისწინებით.
2. აბლატივის (Abl) სინტაქსური სემანტიკა.
3. ლოკატივის (Loc) სემანტიკა; გენიტიური ლოკატივი (Locativus genitivi).
4. გენიტივის ფუნქციები საზოგადოდ და კერძოდ აკუზატივთან მიმართებით.
5. დატიური სემანტიკა; ნაცვალსახელური ენკლიტიკები, აკუზატივთან შეფარდება კონტექსტის სისტემაში (კონტექსტური სემანტიკა).
6. გენიტივისა და დატივის ურთიერთმიმართება, დამოუკიდებელი ნაცვალსახელური ფორმები და ენკლიტიკები; გენიტიური ნაცვალსახელები და დატიურ-აკუზატიური მორფოლოგიური ფორმები მორფოსინტაქსურ კომპლექსებში (კონებში).
7. ორპრედიკატულ კონსტრუქციათა (ოპკ) კომპონენტების სინტაქსური სემანტიკა; აკუზატივის გამოყენება ოპკ-ში; მიზნის ინფინიტივი, ობიექტური აკუზატივი (Accusativus Obiecti), აკუზატიური მასდარები, ორმაგი აკუზატივი (მდრ. ინდუ-

რი მასდარები და ზოგადად იე ორმაგი აკუზატივი). 8. რელატიური ნაცვალსახელები h(a)ya, t(a)ya და მათი კავშირი სიტყვათა რიგთან; მსაზღვრელ-საზღვრულის სტანდარტები.¹

ყველა მახასიათებელი ასე თუ ისე უკავშირდება სიტყვათა რიგის ფაქტორს. ტექსტიდან გამოყოფილი მორფოსინტაქსური კონების **სიმპთომატურ კომპონენტებზე** მათი ფართო დიაქრონიულ-ტიპოლოგიური ფონის გათვალისწინებით ნაწილობრივ უკვე არაერთგზის მქონდა ლაპარაკი. ასე, მაგალითად, აკუზატივის **პოლიფუნქციობა** ჩემი ტერმინია (სახოკია: 1984, სახოკია 1985: 3-42, 141-162). ზოგიერთი კომპონენტის შესახებ არსებობს სხვადასხვა დროის სხვადასხვა სპეციალისტთა ურთიერთმსგავსი დებულებებიც, კერძოდ, – აკუზატივის გარშემო (მეიე, კენტი, ოდრი, პოპოვი, დესნიცკაია 1981, 1983; პოპოვი 1881, კრისკო 1988, 1990, 1984, 1994; შმალსტიგი 1982 I, 1982 II, გამყრელიძე-ივანოვი 1981, 1984:285-288; შდრ. სახოკია 1984, 1985:3-42, 141-162). შედეგად იკვეთება **აკუზატივის ქცევის სინტაქსურ-სემანტიკური ხაზი** *პიე პროტოტიპის ჩათვლით, რაც კარგად აისახება **მემკვიდრე ენებში**. ეს ეხება ძველ სპარსულსაც. აკუზატივის მიმართება სხვადასხვა **ირიბ ბრუნვებთან** ავლენს ბევრი **წამყვანი ფუნქციის დამთხვევას**. მორფოსინტაქსურ პლანში, მაგალითად, აღსანიშნავია ტრანსფორმაცია ირიბი ობიექტი (Oid) > პირდაპირი ობიექტი (Od) (იხ. შმალსტიგი 1982 I:119-134, 1982 II, 1980, 1981; შდრ. სახოკია 1984, 1985). შესაბამისად, მორფოსინტაქსური კონა P (პრედიკატი)+ იდ > P+Od. დიაქრონიულ დინამიკაში, როგორც ძველი *პიე მორფოსინტაქსური ფენომენი, აისახება მემკვიდრე ენებშიც. დიაქრონისტიკის მიერ გარდამავლობა განიხილება პირველ რიგში როგორც სემანტიკური (ლექსიკურ-სემანტიკური ან ლოგიკურ-სემანტიკური) კატეგორია უფრო მეტად, ვიდრე გრამატიკული. მაგ., ჯ. გონდა ადარებს სანსკრიტულ სინტაგმებს: „ქალაქს წავიდა (ლათ. ტიპი venit Romam)“ და „ქალაქი შეჭამა“. მეორე სინტაგმა პირდაპირი გაგებით სემანტიკურად შეუძლებელია, მაგრამ ინდოევროპულ ენებში შესაძლებელია გენიტივით ანუ ირიბი ბრუნვით პირდაპირი ობიექტის გამოხატვა. ეს პარტიტიული გენიტივი ვედებშიც იხმარება. „წყლის დაღევა“, „სომის დაღევა“, „სომას სვამს“ somasya pibbti, somām pibati, nagaram gacchati/asyati და ა.შ., პარტიტიული გენიტივი ან აკუზატივი (გონდა 1957/1975: 44-62). შესაპირისპირებელია აგრეთვე ადვერბიალური პარალელური ფორმები Gen. Instr., Acc: „ღამე, ღამეს, ღამით“ სკრ. naktam, naktasya, naktena (გონდა 1957/1975: 44-62). პარტიტიული გენიტივი Genitivus Partitivi პირდაპირი ობიექტისთვის Gen.-Od, ცნობილია რუსულშიც, ხოლო საწყისთან ობიექტური ნათესაობითი Genitivus Obiectivus ქართულშიც კარგადაა წარმოდგენილი. ადვერბიალური მოქმედებითი, ისევე როგორც ინდოევროპული აკუზატივის შესაბამისი ადვერბიალური დატივი (Dat), ქართულშიც სახეზეა,

¹ ეს უკანასკნელი უკავშირდება ტექსტის ქსოვილის სტრუქტურის, დანაწევრებისა და სტილის ცალკე მდგომარეობას. ირკვევა, რომ აქ ძველსპარსულ წარწერათა ტექსტების მეტრისა და რიტმის საყურადღებო პრობლემატიკაცაა ჩარეული; ამ წარწერათა ქსოვილში პოეტიკური ფაქტორის არსებობაც კი არის შენიშნული (ანდრონიკაშვილი 1990). მორფოსინტაქსური ერთეულების გამოყოფის პროცესში მართლაც ვაწყდებით სტილის, მეტრიკისა და რიტმის ფაქტორთა მოქმედებას.

ხოლო ადვერბიალური ინდოევროპული ინსტრუმენტალისის შესატყვისი ქართულში მის სრულ ტიპოლოგიურ ადეკვატურობას გვიჩვენებს: ტიპი სკრ. *naktena*, რუს. *ночью*, ქართ. ღამით. ზემომოყვანილი ადვერბიალური ფორმების შესატყვისები რუსულში კარგადაა არის წარმოდგენილი. რაც შეეხება გარდამავლობას, „წიგნს შეხედა“ თუ „წიგნი წაიკითხა“, განსხვავდება პირველ რიგში **სემანტიკურად**, რაც ყოველთვის როდი აისახება ფორმალურად ნებისმიერ ენობრივ დონეზე. ამის კარგი მაგალითია ქართული ზმნა „ცემა: სცემა მას“. ე.წ. პირდაპირი დამატება ირიბი დამატების ფორმით აღინიშნება სხვადასხვა ენაში, – ირანულ ენათაგან, მაგალითად, იაზგულამურში, რასაც, ჩემი აზრით, უთუოდ კავშირი აქვს აქტანტურ-სირკონსტანტული სხვადასხვა **რანგების ურთიერთშენაცვლებასთან**. კერძოდ, ამ **ურთიერთქმედებაში** დიდ როლს ასრულებს **მიმართულებითი სემანტიკა**: აქტანტი, თუნდაც უახლოესი, აღიქმება როგორც **მიმართულების ობიექტი** (საგანი) და ფორმალურად უიგივდება **სირკონსტანტულ** ან უფრო **შორეულ აქტანტურ** კომპონენტს. ასეთია ენობრივი ფენომენი მთელი ინდოევროპული და ქართველური ტიპოლოგიური დიაპაზონით, რაც აისახება ინდურირანულ ენებშიც.

ძველი ინდურის ფაქტების ანალიზის შედეგად ჯ. გონდა ასკვნის, რომ **აკუზატივი** „უფრო ზოგადია“ **სემანტიკით**, ვიდრე ყველა სხვა **ირიბი ბრუნვა**, რომელიც ახდენს **მის დუბლირებას**. უკანასკნელნი კი ძირითადად ძირითადი ფუნქციების სპეციფიკურობით, სპეციალიზაციით ხასიათდება, საგანგებოდ სემანტიკით, როგორც სინტაქსის, ისე პრაგმატულობის სფეროში. ასე, მაგალითად, პარტიტიული გენტივი, – მთელის ნაწილია (გონდა 1975 I:63-71, 1975 II: 34-43). გამოდის, რომ სხვა **ირიბი ბრუნვები** უფრო **ვიწროა**, **აკუზატივი** კი **აერთიანებს ყველა ირიბი ბრუნვის ფუნქციას**, რაც შეესატყვისება დებულებას **ინდოევროპული აკუზატივის პროტოინდოევროპული პროტოტიპის**, პირველადი **დიფუზური ბრუნვის** შესახებ, საიდანაც განვითარდა სხვადასხვა **აქტანტ-სირკონსტანტები** (გამყრელიძე, ივანოვი 1981, 1984ბ: 285-288). ეს ვითარება სიმპტომატურად შეესაბამება ძველი სპარსულის მონაცემებსაც.

ჩემი კოდიფიკაციით, ინდოევროპული აკუზატივი განეკუთვნება **ირიბი ბრუნვების** რიგს. ვ. შმალსტიგის მიხედვით, აკუზატივი მომდინარეობს დატივისგან, დატივი კი ლოკატივისგან (LOC). ფაქტი ის არის, რომ აკუზატივი შეიცავს **ყველა ამ ბრუნვის ფუნქციებს** ინდოევროპული დიაპაზონით, რაც შესაბამისად განსაზღვრავს მის **ფართო სემანტიკურ ველს**. ამ ველში ე.წ. **პირდაპირი** დამატების/პირდაპირი ობიექტის ფუნქციით **სპეციალიზაცია** ყველაზე გვიანი, ახალი და საზოგადოდ მეორეულია. საგულისხმოა აქ **სივრცითი სირკონსტანტის სემანტიკის ფაქტორი**, რაც თანდაყოლილ სემანტიკურ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს პროტოაკუზატივისთვის. ამოსავალი ბრუნვის კვალობაზე, ეს ფუნქცია ერთობ დამახასიათებელია როგორც სხვადასხვა **მეპეკიდრე ენების** აკუზატივისთვის (ძვ. სპ., ძვ. ინდ., ძვ. ბერძნ., ლათ., და სხვა), ასევე თანამედროვე **ცოცხალი** ენებისთვისაც (რუს., და სხვა) (შდრ.: შმალსტიგი 1982, 1981, 1980; გამყრელიძე, ივანოვი 1981, 1984ა; კემპფი 1973, პოპოვი 1881, კრისკო 1988, 1984, 1990, 1994; დენსიკაია 1981, 1983 და სხვა). რეზიუმეს სახით ამ მუხლში აღსანიშნავია, რომ სემანტიკურად თუ ფორმალურად, იე-აკუზატივის გარშემო იკრება ძირითადად შემდეგი ზოგადი ბრუნვების წრე: **აკუზატივი, ლოკატივი, გენტივი, დატივი**

(Acc/Loc/Gen/Dat). ხოლო ფართო ტიპოლოგიური ფონისთვის აქ საკმარისია შევადართო ქართველური დატივი-ტრანსფორმატივი (Dat/ Trans). ყველა ამ ნიშნის არსებობა, როგორც არაერთგზის აღმინიშნავს, სიმპთომატურად დამახასიათებელია სხვადასხვა დროის თუ ერთდროული დამოუკიდებელი დებულებებისთვის (იხ. ლიტერატურა). *პიე ლიფუზური ბრუნვა, – იე-აკუზატივის პროტოტიპი, ემსახურება **პრედიკატულ ლექსემასთან** კოორდინებულ ყველა **ობიექტურ ლექსემას** და აგრეთვე, – **სირკონსტანტებსაც**. ასევე იქცევა მოგვიანო აკუზატივი სხვადასხვა იე-ენაში, ისევე როგორც **აკუზატივის ბრუნვითი ფორმის მაკომპენსირებელი საშუალებები** (როგორიცაა, მაგ., თანდებული – რნ- ახალსპარსულში). ეს მნიშვნელოვანი დებულებები უნდა იკითხებოდეს მეორე მნიშვნელოვან გრამატიკულ დებულებასთან ერთად: **ერგატიული კონსტრუქცია (ეკ)** და **ნომინატიური კონსტრუქცია (ნკ)** ერთი **სიღრმისეული გამონათქვამის თანაბარი ურთიერთრანსფორმება, ზედაპირული სტრუქტურის მოდელბა** (გამყრელიძე, ივანოვი 1984ა:308-319, 358-368, 1981; შდრ. სახოკია 1985, 1998, 2004, 2007).

ჩემს სპეციალურ ნაშრომში ადრევე შეპირისპირებულია ინდურიანული აკუზატივი და ქართული (ქართველური) დატივი და ტრანსფორმატივი, სადაც მოხმობილია კლასიკური სანსკრიტისა და ძველი სპარსულის მასალა. ლინგვისტური უნივერსალიების დონეზე აღნიშნული ბრუნვითი ფორმები-ფუნქციები ძირითადად ეკვივალენტურია (სახოკია 1984, შდრ. სახოკია 1985:3-42, 141-162). ინდოევროპული აკუზატივისა და ქართული (ქართველური) დატივის ამგვარი ფუნქციურ-ტიპოლოგიური ეკვივალენტურობა დიდ გავლენას ახდენს საზოგადოდ ერგატიული კონსტრუქციისა და ნომინატიური კონსტრუქციის ურთიერთმიმართების ახლებურ შეფასებაზე როგორც ინდოევროპული, ისე ქართველური ენების დინამიკაში. კერძოდ, მაგალითისთვის, ერგატიულობისა და აკუზატიურობის დაპირისპირება ზოგადტიპოლოგიურად არ არის მკვეთრი, არამედ უფრო შერეულია ან განხლეჩილი (mixed, split), რასაც განსაკუთრებით ამყარებს და ადასტურებს თავად ინდოევროპული **აკუზატივის ირიბულობა** წარმოშობით და მისი ტიპოლოგიური ადეკვატურობა ქართველურ დატივთან (დაწვრ. იხ. სახოკია 1985, 1998). როგორც აქვე დუბლირებულად წარმოდგენილი ტაბულებიდანაც ჩანდა, ინდოევროპული აკუზატივის მიმართ გამოვიტანე დასკვნები, რომელიც ვრცელდება საკუთრივ ძველი სპარსულის აკუზატივზე პირველ რიგში (სახოკია 1985:183, 185-186, ტაბ. 9, 11).

ძველი სპარსულის აკუზატივი მორფოსინტაქსურ კონებში ფუნქციობისას ფაქტობრივად იკავებს ერთ-ერთი **პოსესიური ბრუნვის** ერთგვარი ქვეტიპის ადგილს. ამ მხრივ იგი ამჟღავნებს ფუნქციურ ნათესაობას **დატივთან** და **გენიტივთან**. **აკუზატივი**, როგორც **ზოგადი პოსესიური** ბრუნვა, ძველ სპარსულში გვხვდება ერგატივისებურ (ანუ პოსესიური გარდამავლობის) კონებში და ნორმატიულად, – **აფექტურ კონებში** (გრძნობა-გუნების პოსესიურობა), შესაბამისად, – აკუზატივი არის **მგრძნობელი/განმცდელი სუბიექტიც (ექსპერიენცერი)** და გარდამავალი პრედიკატის **აგენსიც (აქტიური სუბიექტი)**. ამავე დროს აკუზატივი განეკუთვნება როგორც **ზოგადი დატივის**, ასევე **ზოგადი ლოკატივის** სფეროსაც. უკანასკნელი **სემანტიკური ველებიდან** განსაკუთრებით ცნობილია და ფართოდ გავრცელებულია **ინდოევროპული აკუზატივის მიმართულებითი ფუნქცია**. ყოველივე ეს **ძველ სპარსულში** კარგადაა წარმოდგენილი.

კონათა გრაფიკულ სქემაში აკუზატივი ფაქტობრივად ორ **პოლარულ აქტანტურ** სფეროს ემსახურება: **სუბიექტისა (S)** და **ობიექტის (O)** სფეროს, ამასთანავე, – **ორივე** ძირითადი სახის **ობიექტის** ველებში (Od და Oid). იმავდროულად, აკუზატივი ემსახურება **ადვერბიალურ სირკონსტანტებს**. სსენებული ფუნქციების **დუბლირება** კი ხდება ყველა **დანარჩენი ირიბი ბრუნვების** მეშვეობით.

ამიტომაც, ამ სურათის აღსაწერად, გამართლებული მეჩვენება ის, რომ ჯ.გონდამ ინდოევროპულ აკუზატივს უწოდა „ბუნდოვანი“ ან „ორაზროვანი“ ბრუნვა (ambiguous case) (გონდა 1975:63-71).

ქვემოთ ჩამოვთვლით **ძველი სპარსულის** (ზოგადად ინდოევროპულის) **აკუზატივის ძირითად ფუნქციებს** ჩემი შრომების, ჩემი მასალისა და სხვა ზოგადი გამოკვლევის საფუძველზე, **ტიპოლოგიური ფონის** გათვალისწინებითა და მოკლე ზოგადი მითითების პრინციპით:

1. ე.წ. **სასკოლო გრამატიკებში** ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული ინდოევროპული აკუზატივის ფუნქცია, – ე.წ. **პირდაპირი დამატების** აღნიშვნა. სინამდვილეში, **რეტროსპექტულად** ესაა ყველაზე **გვიანი** და **მეორეული (მეორადი) ფუნქცია**.

2. ყველაზე **პირველადი** და იმთავითვე დამახასიათებელი, **ამოსავალი** ინდოევროპული აკუზატივის ფუნქცია, – **მიმართულებითი**, შეესაბამება შემდეგ **სინტაქსურ როლებს**: ირიბი (ან ზოგადი) ობიექტი (Oid), უბრალო (შორეული, გარეგანი) დამატება (Oext), ადგილიანობის აქტანტები და სივრცობრივი სირკონსტანტები (Adv).

3. სუფთა, მკაცრი **ირიბი ობიექტი (Oid)**, არასინკრეტული, არასინკრეტიზებული Oext-თან. ასეთი Oid-ის საუკეთესო მაგალითებია კონებში, სადაც ზმნები ან მიმდებარე პრედიკატული ბირთვები გარკვეულ ლექსიკურ-სემანტიკურ წრეს განეკუთვნებიან: ლაპარაკი, თქმა, ბრძანება, მიცემა, მოძრაობა, მიმართულება, – წასვლა, გამგზავრება, გაგზავნა, და სხვა მისთ.

4. **ირიბი სუბიექტი, პოსესორი (S obl, Sposs)**. ირიბი ობიექტი, გადააზრებული რეალურად S obl-ad, ირიბ სუბიექტად, პოსესორად. გადააზრების სქემა: Oid>Sobl. ამ აქტანტების **წამყვანი სემანტიკური როლია პოსესორი**, ხოლო **სინტაქსური როლია** ირიბი ობიექტი, გადააზრებული პოსესორად: Oid>Sposs. ეს როლი ფუნქციობს სხვადასხვა პოსესიურ კონებში. აკუზატივის ეს ფუნქცია ძველ სპარსულში განზოგადოებულია უფრო ფართო ფუნქციური სემანტიკის სფეროში: ეს არის **გრამატიკული პოსესიურობის** სფერო: პოსესიურობის ცნება არა ოდენ **სემანტიკურია**, არამედ იძენს **გრამატიკული, მორფოსინტაქსური კატეგორიის მნიშვნელობას**.

5. **აფექტური ზმნების ირიბი სუბიექტი** მათი სემანტიკური და გრამატიკული მნიშვნელობით.¹ სინტაქსური აქტანტის Oid>S სემანტიკური როლი აქ განი-

¹ აფექტურობა, აფექტური კონსტრუქცია, აფექტური ირიბი სუბიექტი, სხვადასხვა ენათა მასალაზეც სხვა ავტორთა მიერ აღიარებულია არა ოდენ სემანტიკურ (შინაარსობრივ) ცნებებად, არამედ გრამატიკული კატეგორიის ცნებებადაც; ანუ აფექტური სუბიექტის, ექსპერიენცერის ცნება ტერმინოლოგიურად გარკვეულ გრამატიკულ ფორმებს გულისხმობს, კერძოდ, – რომელიმე ირიბი ბრუნვის ფორმას, მაგალითად, დატივს (ალექსევი 1981; ველმანი 1974). ამ სტატიაში აფექტივი, ექსპერიენცერი ირიბსუბიექტური არსის მქონე აკუზატივია.

საზღვრება როგორც ექსპერიენცერი (გრძნობა-გუნების განმცდელი სუბიექტი) Sexper; გადაზრების სქემა: Oid>Sexper(Sobl). ამგვარი ინდოევროპული კონები განიხილება ჩემ მიერ როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური თვალსაზრისით, იმავე პლანში, რაც ქართველური ინვერსია.¹ ეს ფუნქცია საბოლოო ჯამში განეკუთვნება **ფართო გრამატიკული ირიბი პოსესიურობის ცნებას ანუ ფორმალურ პოსესიურობას**. პოსესიურობა ფორმალურად განისაზღვრება ფორმალური შესაბამისი გარკვეული მორფოსინტაქსური ზედაპირული სტრუქტურის კომპონენტთა ფორმებითა და კონების კომბინატორიკით: იმავე პრინციპით, როგორც აღიარებულ იქნა ფორმალური, გრამატიკული აფექტურობა, ვალიარებთ ფორმალურ, გრამატიკულ პოსესიურობას, რომლის ცნება კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე აფექტურობა, რადგან უკანასკნელი პირველის ერთ-ერთი სემანტიკური ქვეჯგუფია.

6. **ირიბი აგენსი**, რომელიც აფექტურობის მსგავსადვე, ერთიანდება საერთო ფორმალური **ირიბი პოსესიურობის** დიდ მორფოსინტაქსურ ჯგუფში, ერთ-ერთი სემანტიკური ქვეჯგუფის სახით. ეს ქვეჯგუფია **ერგატივიზებული გარდამავლობა**, – აგენსური სემანტიკა, **მიმღებურ-პრედიკატულ** მორფოსინტაქსურ **აღწერით პერფექტულ** კონებში. მოგვიანო ძველსპარსულ წარწერებში (ართაქსერქსე III, A3), **აკუზატივის აგენსური ფუნქცია** ერგატივიზებულ მიმღებურ ანალიზურ (პერიფრასტულ) კონებში გამოიყოფა როგორც დატივისა და გენიტივის ანალოგია (Sdat, Sgen, Sacc). პრედიკატია (P) kartam „გაკეთებული“ (პერფექტული ბირთვი-მიმღება), Sacc mām „მე“, წინდებულიანი, წინდ. „თან/მიერ“ upā: upā mām „ჩემი/ჩემ მიერ/ჩემ თანა/ჩემგან“. (upā) mām kartam „ჩემი გაკეთებული/მე გააკეთე/მე მაქვს გაკეთებული/მე გამიკეთებია“. mām (upā) არის **ირიბი ერგატიული აგენსი** აკუზატივის ფორმით და ზოგადი დატივის ფუნქციით: SiblAgensErg. ჯამურად იგი შედის საერთო-გრამატიკული პოსესიურობის სემანტიკურ-გრამატიკულ ბლოკში, ფორმალური მოდელის მიხედვით – გრამატიკული პოსესიურობის სფეროში. ესაა ზმნური პოსესიური გარდამავლობა, მიღებული პოსესიური მორფოსინტაქსური მიმართების გამოხატვის გზით. ამავე დროს, დუბლირებისას, Acc//Gen.Dat-ს ფუნქციებში, შეინიშნება **სემანტიკური არანჟირების** ფაქტორიც: საქმე ისაა, რომ Sacc საზოგადოდ რეგულარულად და ნორმატიულად გამოიყენება **აფექტური სუბიექტის ფუნქციით**, ხოლო Sdat//Sgen რეგულარულად და ნორმატიულად გამოიყენება **ერგატიული ირიბი აგენსის** ფუნქციით. **აფექტური აკუზატივი**, – ძველი სპარსულის ერთ-ერთი ნორმა, ხოლო **დატივი და გენიტივი**, – **ერგატიული ირიბი სუბიექტური აგენსის წამყვანი ნორმა**. ასეთ ვითარებაში, **აგენსური აკუზატივის** ჩართვას ერგატივიზებული გარდამავლობის სისტემაში სწორედ რომ ამყარებს **აფექტური აკუზატივის ნორმატიულობა** (ტიპი mām kāma (āha) „მე მსურდა/სურვილი მქონდა“), მით უფრო, რომ ორივე სემანტიკური ქვეჯგუფი საგნობრივი მქონებლობის

¹ ინდოევროპული ირიბსუბიექტური კონსტრუქციებისა და ქართველური ე.წ. ინვერსიის ზოგადტიპოლოგიურ იდენტურობაზე სხვა ავტორებიც საუბრობენ, რაც გვიმყარებს პოზიციებს (იხ., მაგ.: კორტავა 1982; შდრ.: კოზინსკი 1983, ზოლოტოვა, 1988: 104-116, ტიმბერლეიკი 1982, ნიკოლსი 1975, 1984; კენდიუშენკო 1984 და სხვა.)

(ქონა-ყოლა), სემანტიკურ ჯგუფთან ერთად, განეკუთვნება ფორმალურად გრამატიკული პოსესიურობის დიდ საერთო ჯგუფს. აგენსური აკუნატივი აფექტურ და პოსესიურ (ქონა-ყოლის) აკუნატივთან ერთად ერთ კონტექსტში უნდა იკითხებოდეს და განიხილებოდეს იმისთვის, რომ მოხდეს მისი ადეკვატური კოდიფიკაცია.

7. შორეული ობიექტი, ადვილიანობის დამატება, გარეგანი აქტანტი Oext; აზრობრივად მეორე დამატება/ობიექტი, ორმაგი აკუნატივის, მიზნის ინფინიტივების, ობიექტური ინფინიტივების კონებში. ეს ცნობილი იე-უზუსი ძველ სპარსულშიც კარგადაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით გამოკვეთილია დამატებითი ანუ მეორე ობიექტის ვარიანტები, რომელსაც ვხვდებით რთულ ზმნებში და ფრაზეოლოგიურ იდიომებში. ესაა ტიპი hamaranam čartanaï/hamaranam kartam, maθištam/xšāyaθiyam akunauš „ბრძოლის წარმოება, მეთაურად/მეფედ გახდენა“, ასევე „ცხენზე შესმა, დაწერა, კარგად მოქცევა, საკადრისად მიხდვა და სხვა“.¹

8. მე-7 პუნქტში მოცემული ფუნქციიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიზნის ინფინიტივში ან ობიექტურ ინფინიტივში: იწარმოება ტიპი paraita hamaranam zartanaï „საბრძოლველად წასვლა“ და მისთ.

9. ადვერბიალური ფუნქციები. სხვადასხვა გარემოებები, სირკონსტანტები: ადვილის, დროის, ადვილმდებარეობის, მიმართულების, დისტანციის, დროითი და სივრცითი ცნებები. დროისა და სივრცის გამონათვის მრავალი ვარიანტი. სინამდვილეში, ესაა საწყისი და ყველაზე მნიშვნელოვანი, გენეტიკურად ამოსავალი და ყველაზე ქმედითი ფუნქცია იე-აკუნატივისა.

აკუნატივის უკვე ჩამოთვლილ ფუნქციათაგან ნათელია ირიბობიექტურ, დამატებით და სირკონსტანტულ ფუნქციათა სიჭარბე, ირიბაქტანტური წამყვანი ბუნება-ხასიათი. ამავე დროს, ფენომენოლოგიურია აკუნატივისთვის გრამატიკული პოსესიურობის რიგის სამი ძირითადი სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია: პოსესორი, ექსპერიენცერი, ერგატიული აგენსი. ეს ფაქტები თავისთავად ირიბი ობიექტის გადაზრების ვარიანტებად გვესახება. ყოველ და ყველა შემთხვევაში, ყველა ეს სუბიექტიც ირიბია. დასახელებული ძირითადი სამი რგოლის გარდა, შესაძლებელია მათ შორის გარდამავალი სხვადასხვა ლექსიკური და მორფოლოგიური კომპონენტებისგან შემდგარი კონათა შრეების გამოყოფაც, რასაც პარალელები გააჩნია ინდოევროპული მასშტაბით. შედეგად იკვეთება აკუნატივის დამახასიათებელ ფუნქციათა შემდეგი რანგობრივი მწკრივები, რომელიც აისახება აქტანტთა გრაფიკულ ველზე (იხ. ტაბულა 1).

აქტანტები და სირკონსტანტები, სიახლოვე-სიშორის მიხედვით, სინტაქსური და სემანტიკური როლების გათვალისწინებით დალაგებულია სქემაში. მიმართულებით ცენტრიდან, პრედიკატული ბირთვიდან (P), იკვეთება შემდეგი მწყობრი ორმხრივი მწკრივი ორი ძირითადი სფეროს მიმართულებით: S და O სფეროები (იხ. აგრ. ტაბ. 1):

...-<-Obl<Agens-Exper-Poss-S-<-P->-O-Od-Oid-Oext-Adv,Sirc (t.p.c)->- ...

აკუნატივისთვის, ირიბობიექტურდამატებითი და ირიბსუბიექტური, აგრეთვე, – მიმართულებითი და სხვა სირკონსტანტულ ფუნქციათა სემანტიკა აშკარად

¹ რთული ზმნები იხ. სახოკია 1972, 1979, 1985:93-97, 2010.

დომინირებს ე.წ. *სპეციალიზებულ* აკუზატიურ ფუნქციაზე ანუ პირდაპირდამატებით მოგვიანო ფუნქციაზე (Od).

10. **ატრიბუტულ-გარემოებითი** ფუნქცია, რომელიც აღინიშნება ძველი-იე დიაპაზონით.¹ ამ ფუნქციათაგან უმრავლესი მეტ-ნაკლები ხარისხით დუბლირებულია სინქრონიულად და პარალელურად სხვა ირიბი ბრუნვებით: Dat., Instr., Abl., Gen., ზოგჯერ Loc.-iT, აგრეთვე, – გენიტიური ლოკატივით//ლოკატიური გენიტივით (Gen/ Loc). ძველ სპარსულში ამ მხრივ ბევრი საინტერესო მომენტი შეინიშნება, როგორც ქვემოთ მოყვანილი ნიმუშებიდანაც გამომჩნდება (იხ. ქვემოთ საერთო ნიმუშების ჯგუფები).

11. **სახელდების აპოზიცია, დანართი.** აქ იგულისხმება განკერძოებულ სიტყვათა ჯგუფების პასაჟებიც და ბრუნვადაკარგული, უბრუნველი ელემენტი (სიტყვა, ლექსემა, ლექსიკური ბირთვი) „სახელი, სახელად“ *nāma*.²

აკუზატივის პოლიფუნქციობის მრავალფეროვანი სურათი ზოგადად ვრცელდება მეტ-ნაკლებად მთელს იე-დიაპაზონზე, მაგრამ აქ ხაზგასასმელია, რომ სწორედ ძველ სპარსულში ეს სურათი **კონცენტრირებულადაა** წარმოდგენილი. ამგვარად, ძველ სპარსულში აკუზატივი უნდა ვცნოთ **ზოგადი სემანტიკის მორფოსინტაქსურ ელემენტად**, რომელიც გამოხატავს თითქმის ყოველგვარ სინტაქსურ ურთიერთობებს P – პრედიკატულ ბირთვთან ანუ ასრულებს მრავალგვარ სინტაქსურ-სემანტიკურ როლებს. თავის დროზე, როცა მე გამოვავლინე ძველი სპარსულის აკუზატივის ადგილი სხვადასხვა პოსესიურ კონებში, სადაც იგი Sdat-is ფარდ ფუნქციებს ასრულებს, შევიტანე აკუზატივი **დატივის წრის კონებში (Dat/Acc)**. ჩემი შემდგომი კლასიფიკაციით ყველა ეს მორფოსინტაქსური კონა განეკუთვნება გრამატიკული პოსესიურობის კონათა დიდ კომპლექსს, ბლოკს, და ამ ბლოკში აკუზატივი დატივის მორფოსინტაქსური ფორმალური, სტრუქტურული და სემანტიკური ეკვივალენტია ურთიერთანალოგიურ მოდელებში: ქონებრიობა, აფექტურობა, გარდამავლობა-ერგატიულობა და სხვა.

ამდენად, სხვადასხვა ფუნქციებში გვაქვს სხვა ირიბი ბრუნვების დუბლირება, მაგრამ **მიმართულებითი ფუნქცია ძველ სპარსულში მთლიანად** ეკისრება **აკუზატივს**. ესაა აკუზატივის ყველაზე ძველი და სიმპტომატური ფუნქცია ინდოევროპული ენების დიაპაზონით. ძველ სპარსულში **მიმართულებითი აკუზატივი** რეალიზებულია ისეთ კონებში, სადაც **პრედიკატული ბირთვები (P)** გარკვეული **სემანტიკური წრის** ლექსემებია: მოძრაობა, გამგზავრება, წასვლა, მიღწევა, მოსვლა, მიახლოება, გაგზავნა (გამგზავრება) და სხვა მისთ. აკუზატივი უმეტესად ასეთ კონებში ხაზგასმულად იკავებს **ბოლოკიდურ პოზიციას**. ეს არის, როგორც ჩანს, **მიმართულებითი აკუზატივის** ლოგიკური, პრამატული, საკომუნიკაციო **გამოყოფა**. ამგვარად, **ფორმა-ფუნქციათა კოდიფიკაცია** საინტერესოდ და უწყვეტად უკავშირდება **სიტყვათა რიგის საკითხს**.

მიმართულებითი აკუზატივი გასარჩევია წმინდა ირიბი ობიექტის ფუნქციის შემცველი აკუზატივისგან, რადგან ირიბობიექტური აკუზატივი ზოგჯერ ნაწილობრივ შეიცავს მიმართულებით ფუნქციასაც. ამიტომ, **კონტექსტის მიხედვით**, განირჩევა სუფთა აქტანტური ირიბი ობიექტი (OidAcc) და სინკრეტული სირ-

¹ დაწვრ. ამაზე დენნიცკაია 1981, 1983; პოპოვი 1881 და სხვა.

² ამაზე დაწვრ.: მეიე 1931, ფოი 1901, ჰანი 1969, სახოკია 1981, 1985: 73-93.

კონსტანტული სემანტიკის შემცველი ადვერბიალური აკუზატივი (O/AdvAcc). ცალკე საკითხია **წინდებულიანი აკუზატივის** ფორმები: წინდებულიანი აკუზატივი მეტყველებს დეკლინაციური განახლების ცნობილ ციკლურ სიმპტომებზე – ბრუნვათა მნიშვნელობის დაზუსტებასა და რენოვაციაზე. ეს წინდებულებია abiy, upariy, patiṣ, patiy, para. პოსესიური ბლოკის სტრუქტურებში გვაქვს წინდ. upā და hadā (თანაობის სემანტიკა, გადააზრებული მფლობელობის ან აგენსურ სემანტიკაში).

საგულისხმოა აგრეთვე ბირთვულ აქტანტთა ფორმების კოორდინირების დაზუსტება გარკვეულ პრედიკატულ-ბირთვულ ელემენტებთან უკანასკნელთა **ლექსიკური სემანტიკის** გათვალისწინებით. ისეთი ზმნები, როგორცაა pat, jad, yad, man, „მფარველობა“, „თხოვნა“, „თაყვანისცემა“, „დარჩენა, მოცდა (ვისიმე/რისიმე)“, ყურადღებას იქცევენ ამ თვალსაზრისით. ჩამოთვლილ ლექსემურ ბირთვებთან ირიბი ობიექტი გამოიხატება აკუზატივით (OidAcc), რომელიც კონტექსტურად ავლენს Oid/ Od-ს შორის არსებულ სემანტიკურ ზღვარს, – არსებითად იმყოფება ამ ზღვარზე. მაგ.: aita yānam jadyāmiy Auramazdam (Dpd21), adam Auramazdam ayadaiy (Xph40-44) „ამ წყალობას ვთხოვ აპურამაზდას (აკ.)“, „მე აპურამაზდას (აკ.) შევევედრე“. საინტერესოა ზმნა vart „შეტრიალება, შებრუნება, პირის მიქცევა“, რომელიც მართავს ირიბ ობიექტს (Oid) არა აკუზატივში, არამედ გენიტივში (OidGen): Auramazdāha ragam vartaiyaiy (DBIV44) „მსწრაფლ ზეშევაქცევ პირსას ჩემსას აპურამაზდას: შევტრიალდები აპურამაზდასკენ“.¹ რთულზმნური ლექსემა „აჯანყება, აღდგომა“ ყურადღებას იქცევს Acc/Dat/Abl-ის **ეკვივალენტური ურთიერთშენაცვლებით**. მაგ.: შდრ.: hamiṣiya abava mām/mai/hacamā: hauvmai/hacamā hamiṣiya abava (DBII26, DBIII79), „მე ამიჯანყდა/განმიდგა, აჯანყდა ჩემგან/ჩემ წინააღმდეგ/ჩემ მიმართ“, avam kāra avaharda (DBII94) „მას ხალხი აუჯანყდა“. ზმნური ლექსემები „წასვლა, გამგზავრება, გამართვა (გაემართა)“ მართავენ როგორც **უწინდებულო, ისე წინდებულიან აკუზატივს**. შდრ.: mām/abiy mām, abiy avam, patiy avam, upariy, tara, para.. და ა.შ. „მე, მას..“.

კონათა ელემენტების კომბინატორიკისა და ურთიერთკოორდინაციის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა **რთული ზმნების** საკითხი ძველ სპარსულში. რთული ზმნები ძველ სპარსულში საგანგებოდ იქნა შესწავლილი (სახოკია 1972, 1979, 1985: 93-97, 2010ა). ახალსპარსულის ეს ერთ-ერთი წამყვანი მორფოსინტაქსური ბლოკი, უკვე საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული საშუალო სპარსულში, სინამდვილეში სავსებით წარმოჩენილია და წარმოსაჩენია ძველ სპარსულშიც. მორფოსინტაქსებში და ზმნურ სისტემაში ამ ბლოკს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ყურადღებას იქცევს ამ მორფოსინტაქსემების შინაგანი აქტანტების გაფორმება და მათი სინტაქსური როლების კვალიფიკაცია. მაგ.: „მეფედ გახდენა (სიტყვ. გაკეთება)“, შეიცავს **აკუზატიურ აქტანტს**, რომელსაც არსებითად გარემოებით-დამატებითი ტრანზიტორული ფუნქცია აკისრია (დაახლ. ქართული ტრანსფორმატივის სემანტიკა), იგულისხმება ტიპი xsāyathiyam akunauš – „მეფედ გახადა/დასვა (სიტყვ. გააკეთა)“. შდრ. აგრეთვე რთული

¹ ძველსპარსულ წარწერათა თარგმანები იხ.: ანდრონიკაშვილი 1990; სახოკია 1983, 1990, 1988, 2007. 2009 I, 2009 II, 2010 I, 2010 II, 2010 III, 2011 I, 2011 II.

ზმნები და პარონომაზიებიც: „აქლემებზე შესმა, მეთაურად დანიშვნა, კარგად დასაჩუქრება, სამართლიანად დასჯა, ძელზე დასმა“ matistam akunavam, uzmayapaty akunavam, hubartam abara, hufrastam aparsam და სხვა (იხ. რთულ ზმნათა ტაბულა: სახოკია 1979, 1985: ტაბ. 5, 173). ასეთ კონებში პირდაპირდამატებით აკუზატივთან ერთად გვექნება ცნობილი ინდოევროპული **ორმაგი აკუზატივი**.

- სინონიმის, ისევე როგორც მრავალმნიშვნელოვნების დადგენის გზით შესაძლებელი ხდება კონტექსტში სემანტიკური მიმართებების გამოვლენა. მაგ: გარდა მნიშვნელობის პარადიგმატული მსგავსებისა ან, ზოგჯერ, იდენტიფიცირებისა, როგორც არის Ordnung-Sicherheit, Sein-Dasein-Leben, Aufstieg-Karriere, დგინდება მნიშვნელობის კონტექსტუალური მსგავსებებიც: Sein, Dasein=ცხოვრებას, Sein, Dasein=ხელოვნებას, რომლებიც წარმოქმნიან კონტექსტუალურ მიმართებებს ტექსტის დონეზე.
- ისეთ პარადიგმატულ, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების მქონე ლექსემებში, როგორებიც არის Macht-Ohnmacht, Sinn-Widersinn, Vernunft-Wahnsinn, კონტრადიქტორული მნიშვნელობები (ექსპლიციტურად) ვლინდება.
- ხოლო კონოტაციების პოზიტიურად და ნეგატიურად კონოტირებული სიტყვების დაპირისპირება Wahrheit-Zeitunglesen კონტექსტუალურ (იმპლიციტურ) მიმართებას ქმნის. სწორედ ამგვარი, კონტექსტუალურიზაციის პროცესში გააქტიურებული კონოტაციები ტექსტში დამაბულობისა და მოულოდნელობის ეფექტს ქმნიან.
- სიტყვაწარმოების/სიტყვათშემოქმედების (WortschSpfung), კონტექსტუალური მნიშვნელობები – მაგ: Sprichwenndukannst არის ექსპრესიული, მოთხოვნის ინტონაციის შემცველი სიტყვათაერთიანება/შემოქმედება, რომელშიც იმპერატიული ფუნქციის შეცნობაა შესაძლებელი.
- წყვილ ლექსემებში Sinn-Sinnlichkeit, Lüge-Lüglichkeit, Macht-Mächtigkeit დგინდება წყვილის პირველი პროტოტიპული საბაზისო-კატეგორიალური მნიშვნელობები, ხოლო მეორე ნაწილში – კომპლექსური სიტყვებით ადამიანზე ორიენტირებული ნიშნები (ექსპლიციტური დერივაცია -keit): Sinnlichkeit, Lüglichkeit Mächtigkeit.
- ტექსტის სტრუქტურირება: ტექსტს სამნაწილიანი სათაური აქვს. მისი ყოველი ცალკეული პწკარის შუა პოზიციის ორი ნაწილი – ხიაზმია და ჩარჩოს ქმნის, რომელშიც დგინდება ტექსტუალური მიმართებები. ტექსტს ახასიათებს პარანომაზია: Labsal-Labrigkeit, რომელიც ლექსის შუა ნაწილის რითმულ დანაწევრებას და ტექსტის ნაწილების ურთიერთმიმართებას განაპირობებს.

- ტექსტის სახეობა: რადგან საქმე ლექსთან გვაქვს, ამდენად გრამატიკის სიღარიბე არ გვაკვირვებს. სხვა შემთხვევაში მე, როგორც მკითხველს, რეცეფციის სხვა სტრატეგია მეჩნებოდა.
- რამდენადაც ამ ტექსტს სინტაქსი არ გააჩნია – მისი წაკითხვა შეიძლება ჰორიზონტალურად, დიაგონალურად და ვერტიკალურად, კონტექსტუალიზაციის ფუნქციას თავის თავზე იღებს სტილისტურ-სემანტიკური საშუალებები, რადგან სინტაქსური საშუალებების გააქტიურება ტექსტს ბანალურს გახდიდა, რაც ლექსის ესთეტიკის დამანგრეველი იქნებოდა.

დასკვნა

ეპისტემოლოგიური კონტექსტუალიზაციის მნიშვნელობა:

- – გერმანელი მკითხველისთვის ეს ლექსი ეპისტემოლოგიურ-კოგნიტიური თვალსაზრისით სრულიად სხვაგვარ სივრცეს იკავებს და, ასე ვთქვათ, ცოდნის ჩარჩოს აფართოებს: ეს არის ცოდნა პოეტის – უვე კოლბის ბიოგრაფიული ელემენტების შესახებ – დაბადებული 1957 წელს გდრ-ში, ავტორი ლექსების კრებულისა “Hineingeboren – Stacheldrahtlandschaft”, რომლიდანაც ცხადი ხდება, ერთი მხრივ, ავტორის შეურიგებლობა რეჟიმის მიმართ და, მეორე მხრივ, მისი ქედუხრელობა დასავლეთის მიმართ, ნოსტალგიაც კი Stacheldrahtlandschaft-ის თავისებური სილამაზის მიმართ, რომელშიც ის გაიზარდა, რომელიც მისთვის მიუღებელი, მაგრამ მშობლიური იყო. არა მხოლოდ ცოდნის ჩარჩოს ეს ელემენტები, არამედ უვე კოლბის ლექსების დისკურსი არის კოგნიტიური და ლინგვისტური კონტექსტუალიზაციის ეგზემპლიფიკაცია.
- – აქ მოკლედ შევეხეთ სიტყვის მნიშვნელობას ტექსტისათვის და ტექსტის როლს სიტყვების მნიშვნელობების ურთიერთმიმართებების შექმნაში, რომლებიც (ენობრივი ნიშნის დონეზე) ტექსტში კონტექსტუალიზაციას განაპირობებენ. ამგვარი ინტერპრეტაციები შეიძლება ტიპოლოგიურად განზოგადებულიც იყოს კონკრეტულ ტექსტებში. ისინი ლინგვისტიკის (კერძოდ ლინგვისტური ჰერმენევტიკის) სფეროში რჩება, დანარჩენი კი ლიტერატურათმცოდნეობის ობიექტს წარმოადგენს.

ლიტერატურა

- Busse 1994:** Busse Dietrich/ Teubert Wolfgang, “Ist Diskurs ein sprachwissenschaftliches Objekt?” In: Busse Dietrich Hermanns, Fritz/Teubert, Wolfgang (Hrsg.): *Begriffsgeschichte und Diskursgeschichte. Methodenfragen und Forschungsergebnisse der historische Semantik*, Westdeutscher Verlag, Opladen, 10-28.
- Busse 2003:** Busse Dietrich, Begriffsgeschichte oder Diskursgeschichte? Zu theoretischen Grundlagen und Methodenfragen einer historisch-semantischen Epistemologie, In: Carsten Dutt (Hrsg.): *Herausforderungen der Begriffsgeschichte*, Winter Verlag, Heidelberg, 17-38.
- Busse 2007:** Busse, Dietrich, “Diskurslinguistik als Kontextualisierung”. In: Warnke, Ingo H (hrsg.): *Diskurslinguistik nach Foucault. Theorie und Gegenstände*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 81-105.

Gardt 2007: Gardt Andreas, Diskursanalyse – Aktueller theoretischer Ort und methodische Möglichkeiten, In: Warnke, Ingo H (hrsg.): *Diskurslinguistik nach Foucault. Theorie und Gegenstände*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 3-21.

Fix 2007: Fix Ulla, *Stil, ein sprachliches und soziales Phänomen*, Frank & Timme GmbH, Berlin.

Foucault 1991: Foucault Michel, *Die Ordnung des Diskurses*, Fischer-Taschenbuch-Verlag, Frankfurt am Main.

Warnke 2007: Warnke Ingo, Diskurslinguistik nach Foucault – Dimensionen einer Sprachwissenschaft jenseits textueller Grenzen, In: Warnke, Ingo H (hrsg.): *Diskurslinguistik nach Foucault, Theorie und Gegenstände*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 3-21.

Lali Ketsba-Khundadze

Bedeutung der epistemischen Kontextualisierung

Fazit

Im vorangehenden Aufsatz haben wir die Bedeutung eines Wortes für den ganzen Text und die Rolle des Textes für die Konstituierung der Wortbedeutung sowie die Herstellung der lexikalisch-semantischen Beziehungen besprochen, die auf der Zeichenebene die Kontextualisierung bestimmen. Solche Interpretation kann in typologischer Hinsicht anhand konkreter Texte verallgemeinert werden. Diese Interpretationsweise bleibt im Bereich der Linguistik (und zwar im Bereich der linguistischen Hermeneutik), der Rest gehört schon zum Gegenstand der Literaturwissenschaft.

Die interpretierten Texte hängen vom Wissensrahmen des Lesers ab: dieses Wissen umfasst die biographischen Details über den Dichter Uwe Kolb – geboren 1957 in der DDR, Verfasser des Gedichtbands *Stacheldrahtlandschaft*, das einerseits die unversöhnlich kritische Haltung des Dichters gegenüber dem Regime der DDR erkenntlich macht, zeigt andererseits seine Unfähigkeit dem Westen anzupassen, eine Art nostalgische Vertrautheit und Zuneigung zur Landschaft, die für ihn unakzeptabel, aber als heimatlich vertraut war.

Nicht nur diese Elemente des Wissensrahmens sondern auch der Diskurs der Gedichte von Uwe Kolb stellen die Exemplifizierung der kognitiven und linguistischen Kontextualisierung dar.

**ფონოტიპიკა და სისტემის ელემენტთა
დიაქრონიული ტრანსფორმაცია**

(II ნაწილი)

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი შეასრულა ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებაში. სწორედ მან განსაზღვრა ენა, როგორც საკუთრივ ლინგვისტიკის ობიექტი, თავის სრულ და მრავალმხრივ განზომილებაში. „ფონემის“ და „მორფემის“, როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა, ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ლინგვისტებს შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონეები.

„ფონემა“ და „მორფემა“, როგორც ენის იერარქიული ერთეულები, ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას როგორც სისტემას.

იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება ენობრივ მოვლენათა მეცნიერული სისტემატიზაცია, მისი ალბათობის ხარისხი, მით უფრო თვალსაჩინო იქნება იერარქიულ დონეთა ერთეულების სინტაგმატური მიმართებები, რომლებიც აყალიბებენ ენას მთლიანობაში – როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ჭრილში.

მეცნიერება ენის შესახებ, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, დოგმათა სისტემა არ არის – მეთოდები იცვლება და შესაბამისად შედეგებიც. „ფონემა“ სამეტყველო ბგერაა, ის რეალურად არსებობს და ენათმეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს; ენაში, როგორც სისტემაში, თანამოქმედებს ბგერის მატერიალური სუბსტანცია და ფუნქცია. მატერიალური სუბსტანციისა და ფუნქციის ორგანული შერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი ენის სხვადასხვა იერარქიულ დონეთა თანამოქმედება, სწორედ ესაა „ფონემის“ როგორც აბსტრაქტული ერთეულის, ახლებური გაგება და არა ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირება, როგორც ეს ნ. ტრუბეცკოსთან გვაქვს. „ფონოლოგია როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა სწავლობს სამეტყველო ბგერას ანუ ფონემას სიტყვათგანმასხვავებლური ფუნქციის თვალსაზრისით, გამოდის რა მისი (ფონემის) აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური რაობიდან“ (ახვლედიანი 1999:263).

ფონემა აბსტრაქტია არ არის ამ სიტყვის პირიდაპირი მნიშვნელობით. იმავეს ამტკიცებენ „ფუნქციონალური ფონეტიკის“, როგორც ფონეტიკის ახალი მიმართულების ჩასახვის და თეორიის ჩამოყალიბების პიონერები: პ. უსლარი, ი. ბოლუენ დე კურტენე, ნ. კრუშევესკი, ლ. შჩერბა, მოგვიანებით გ. ახვლედიანი და ა. მარტინე.

ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო კურსებში დამკვიდრდა ტერმინი – „ფონეტიკა-ფონოლოგია“. ვფიქრობ, ამთავითვე უნდა განიხილებოდეს პრობლემა: არის ეს ტერმინთა დაპირისპირება, თუ არსებითად ერთი და იგივეა – რასაკვირველია, ერთი და იგივეა, ვინაიდან იგულისხმება სამეტყველო ანუ სოციალურად ღირე-

ბული ბგერის შესწავლის ორი ასპექტი: ფიზიკური (არტიკულაციურ-აკუსტიკური) და ფუნქციონალური (სოციალური), რაც, თავის მხრივ, შეიცავს: კოარტიკულაციას და მასთან დაკავშირებული შიდა და გარე „სანდჰის კანონთა“ გამოვლენას და ამ კანონთა მოქმედების შედეგს; ფონეტიკურ ტენდენციებს, რომელთა ქრონოლოგია და დინამიკა სცილდება პოზიციით განპირობებულ კოარტიკულაციურ ქმედებათა სფეროს და გლობალურია ენისთვის, რაც აისახება კიდევ პარადიგმატულ სისტემებში და ფონემატურ სტრუქტურებში; „ეკონომიის პრინციპი“ და ფონეტიკური ცვლილებები; ფონემატური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია; უნივერსალური ფონეტიკური კანონები და მათი შეზღუდვა დროითა და სივრცით; სხვა კანონის ჩარევა და კანონის რეინტერპრეტაცია; განსაზღვრავს თუ არა ფიზიკური და ფუნქციონალური ასპექტების თანაჟამიერი მოქმედება ენის ფონემურ და მორფოლოგიურ ჩამოყალიბებას, დაბოლოს ფონოტაქტიკა და სისტემის ელემენტთა დიაქრონიული ტრანსფორმაცია.

მაგალითად, ჰარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემის ჯგუფები მარკირებულია საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით (მაჭავარიანი 1965). ამავე დროს კანონიკურია ზანური (resp. მეგრულ-ჭანური) ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, რადგან სავსებით შეესაბამება ფონემათა შეერთების სტრუქტურულ კანონზომიერებას:

მეგრული

ბგ	ფქ/მქ	პკ	ბლ	ფხ/რხ	პყ
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

ლაზური

ბგ	ფქ	პკ	ბლ	პყ	
ბგ>მბგ>მგ	ფქ>მფქ>მქ		ბღ>მბღ>მღ	პყ>კ	
ბგ/მგ	ფქ>მქ		ბღ>მღ>ღ	პყ>პკ>კ; პყ>პ	
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

სისტემის მოდელის ჩამოყალიბება ექვემდებარება ფონოტაქტიკის წესებს, მაგრამ ფონეტიკური სუბსტანცია განიცდის დიაქრონიულ ცვლილებებს. ამიტომ ისმის კითხვა: მოგვეპოვება საკმარისი საფუძველი ლაბიალური რიგის ჰარმონიულ ჯგუფთა პოსტულირებისათვის მეგრულში; გავიტანოთ ფქ, ფხ კომპლექსები სქემის გარეთ?!

ზანური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, სისტემის წევრები განიცდიან ტრანსფორმაციას, მაგრამ ფონოტაქტიკური მოდელი სტაბილური რჩება ქართულის მიმართ, რაც უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ჰარმონიულ

კომპლექსთა ჯგუფები ჩამოყალიბდა ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში. ჰარმონიულ ჯგუფთა A და B სისტემები მყარია და დადასტურებულია ყველა ქართველურ ენებში და რასაკვირველია, ერთნაირი პარადიგმატული სიხშირით არ ხასიათდება. ამავე დროს ფონოტაქტიკის თვალსაზრისით მათი მატერიალური სუბსტანციის გარდაქმნები კანონიკური სტრუქტურის ფარგლებს არ სცილდება.

და მაინც, ისმის კითხვა, რატომ *არღვევს ფონოტაქტიკა*, რომელიც, ერთი მხრივ, ფონემათა შეგუება-შეუგუებლობის გარკვეულ წესებს ემყარება, ხოლო მეორე მხრივ, ენის შინაგანი ორგანიზაციით არის ნაკარნახევი და რეალურად არსებულ სტრუქტურებში ვლინდება, თავისთავად გამოძევაზე ვწეს?! ასეთ „დარღვევასთან“ გვაქვს საქმე A და B სისტემის ლაბიოველარულ ჯგუფებში ზანურში (რესპ.მეგრულ-ლაზურში). კანონიკური ჯგუფები ტრანსფორმირებული ფორმით არიან წარმოდგენილნი.

ლაზური: ბგ>მბგ>მგ; ბგ||მგ; ბლ>მბლ>მლ; ბლ>მლ>ლ;
ფქ>მფქ>მქ; ფქ||მქ; ფხ>მფხ>მხ; ფხ>მხ>ხ;
ჰყ>ჰჰყ>ჰ; ჰჰ>ჰ; ჰყ>ჰ;

მეგრული: ფქ/მქ; ფხ>რხ; ფქ>მქ;

რა შეიძლება ვივარაუდოთ, როდესაც ფონოტაქტიკის დადგენილი წესი პარადიგმის ფარგლებში ირღვევა? ის, რომ მოცემულ ფონემათა შეერთებები **რხ<ფხ, მქ<ფქ** კანონიკური სქემის გარეთ დარჩა (გულავა, გამყრელიძე 1981), თუ შესაძლებელია ვივარაუდოთ ლაბიალური კომპონენტის ტრანსფორმირება როტაციზმით ან მისი გასონორება ნაზალიზაციის გზით. არ არის გამორიცხული მეგრულში მოქმედი როტაციზმის ტენდენციის ჩარევა, ვინაიდან ფონეტიკური ტენდენციების მოქმედება არასამწერლო ენების სივრცეში შეუზღუდავია.

ფონეტიკური ევოლუციის პროცესში ფონოტაქტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს. როცა დადგინდება ყველა ქართველური ენის ფონოტაქტიკურ კანონზომიერებათა წესები, ჩვენ ვნახავთ, რომ სპონტანურ ცვლილებათა მთელი რიგი როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში ახსნას დაექვემდებარება. სინქრონიულ და დიაქრონიულ გარდაქმნათა ინტერპრეტაცია ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით გაცილებით უფრო ზუსტი და იოლი იქნება, ვიდრე ის ახლა არის.

ერთი რამ ცხადია – ჰარმონიულ კომპლექსთა სტრუქტურები მარკირებულია საერთო-ქართველურ დონეზე და ეს მეცნიერული სიზუსტით არის წარმოდგენილი გ. მაჭავარიანის შრომაში „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“. დღეს სრულიად ცხადია – თუ დარღვეული ჰარმონიული ჯგუფი მორფემათა გასაყარზე აღმოჩნდა, არ არის საჭირო ორი ან სამი ფონეტიკური კანონის მოხმობა იმისთვის, რომ აღდგენილი ჰარმონიული ჯგუფი ასიმილაციით ავხსნათ; გაცილებით უფრო ძლიერია კანონზომიერება, რომელიც ფონოტაქტიკას არეგულირებს.

ავილოთ ე.წ. ასიმილაციის უმარტივესი მაგალითი **ერთგული > ერდგული**, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტური ასიმილაცია. სულ ცოტა სამი ფონეტიკური კანონი უნდა ჩაგვერთო, რომ გ-სთვის ასიმილატორის სტატუსი მიგვენიჭებინა,

მაშინ როდესაც წინა პოზიციაში თ-ს სონანტი რ ემეზობლება. მორფემათა გასაყარზე წარმოქმნილი არაკანონიკური თგ უნდა გარდაქმნილიყო კანონიკურ ღგ-დ – ასეთია ფონემათა განაწილების კანონზომიერება ქართველურ ენებში.

ლიტერატურა

ახვლედიანი 1999: გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები (მეორე გამოცემა), თბილისი.

გუდავა, გამყრელიძე 1981: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმომავანთკომპლექსები მეგრულში, „თბილისის უნივერსიტეტი – აკაკი შანიძეს“, თბილისი.

მაჭავარიანი 1965: გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

Natela Kutelia

Phonotactics and Diachronical Transformation of the Elements of the System

(Part II)

Summary

Linguistics as a science, as well as all other sciences, is not a system of dogmas – methods change and, accordingly, the results change too.

“Phoneme” is a speech sound. It exists in reality and is the object of linguistic studies.

In the language, as a system, the material substance and function of the phoneme cooperate.

On the basis of organic merging of the material substance and function, the cooperation of various hierarchical levels of the language is possible. Consequently, it is a new understanding of “phoneme” as an abstract unit and not the opposition of phonetics and phonology as it is given in N. Trubetskoj’s works.

In the process of phonetic evolution phonotactics has a decisive role. When the rules of phonotactic regularities of all the Kartvelian languages are stated, the whole range of spontaneous changes both on synchronic and diachronic levels will be explained and the interpretation of synchronic and diachronic changes will become much easier and more exact by taking into account the phonotactics rules.

**პერიფერიული არაბული დიალექტების კვლევის
ძირითადი მიმართულებები**

შესავალი

პერიფერიულ არაბულს მიეკუთვნება არაბული სამყაროს მიღმა ან არაბული ქვეყნების სასაზღვრო რეგიონებში არსებული დიალექტები. მათთვის დამახასიათებელია ენობრივი კონტაქტებით განპირობებული ენობრივი თავისებურებები. გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს ამ ტიპის არაბული დიალექტების ენობრივ ურთიერთობებს სტრუქტურულად არაიდენტურ ინდოევროპულ და თურქულ ენებთან. სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია თურქეთ-სირიის სასაზღვრო ზოლში არსებული პერიფერიული არაბული, ასევე ირანის ხუზისტანის, ავღანეთისა და ცენტრალური აზიის დიალექტები, რომელთაგან ზოგიერთი, საუკუნეების განმავლობაში, მოწყვეტილი აღმოჩნდა არაბული სამყაროსგან. საყურადღებო ლინგვისტური სურათი მივიღეთ ამ დიალექტების განვითარების შედეგად. ერთი მხრივ, ისინი თანაარსებობდნენ, ენობრივ კონტაქტში იმყოფებოდნენ არასემიტურ ენებთან, ხოლო, მეორე მხრივ, მათი არაბული ლინგვისტური სისტემა მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა კლასიკურ არაბულთან და მის დიალექტებთან შეხების გარეშე. ამგვარად, არაბულმა ენობრივმა ქსოვილმა პერიფერიულ არაბულში განიცადა შიდა ევოლუცია, რაც ფასეულია არა მხოლოდ არაბული დიალექტოლოგიის, არამედ ზოგადსემიტოლოგიური თვალსაზრისითაც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პერიფერიულ არაბულში შემორჩენილი არაბული ენისათვის დამახასიათებელი ძველი ფორმები. მათი არსებობა განპირობებულია მრავალსაუკუნოვანი ენობრივი იზოლაციით. ისინი საყურადღებოა არაბული ენის ისტორიისა და, ზოგადად, სემიტური ენების განვითარების ტენდენციების შესასწავლად. ასევე ფასეულია ამ ტიპის მონაცემები არაბული ენის ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც.

პერიფერიული არაბული დიალექტების ენობრივ სისტემებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალური და სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორები. მათი გათვალისწინება შედის აღნიშნული რაგვარობის არაბული დიალექტების კვლევის პროგრამაში.

პერიფერიული არაბული დიალექტების კვლევისას, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, როგორ იყენებს ინდივიდი მშობლიურ არაბულთან ერთად არამშობლიურ, კონტაქტში მყოფ ენას (ან ენებს). არცთუ იშვიათად, უცხო ენის ზეგავლენა არაბულზე იმდენად დიდია, რომ მეტყველების დროს გარდაუვალი ხდება შეცდომები, რაც სისტემატური განმეორებადობის შემთხვევაში პერიფერიული დიალექტის ენობრივ ნორმად ყალიბდება. ამ მხრივ, საინტერესოა ენობრივი ნორმებიდან სისტემატური გადახვევის შედეგად გარკვეული წესების ჩამოყალიბება, რაც იძლევა ენობრივი კონტაქტების მოდელირების შესაძლებლობას. პერი-

ფერიული არაბული დიალექტების ხანგრძლივი თანაარსებობა განსხვავებული სტრუქტურის ენებთან დასაშვებს ხდის კონტაქტების შედეგად განპირობებული ენობრივი ცვლილებების განზოგადებას.

ამგვარად, ენობრივი კონტაქტები არაბულენოვან სამყაროში შეიძლება განვიხილოთ ხანგრძლივ პროცესად, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე თან ახლავს რაოდენობრივი ენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლა.

პერიფერიული არაბული დიალექტების ენობრივი ანალიზი, ასევე, შესაძლებლობას იძლევა, დავადგინოთ მათი ლექსიკურ-გრამატიკული სისტემების სიცოცხლისუნარიანობის ხარისხი. კრიტიკულ ზღვართან სიახლოვე ან სიმორე ამ მხრივ ნათლად იზომება დიალექტის ენობრივი სტრუქტურის ფარგლებში არსებული ფორმაწარმოების პოტენციალით, რაც პირდაპირპროპორციულია სიტყვაწარმოების სინშირესთან. იმ შემთხვევაში, თუ დიალექტში გრამატიკული ფორმაწარმოების უნარი დაქვეითებულია, კონტაქტში მყოფი ენები მზამზარეულ ფორმებს აწვდიან ენას. საპირისპირო ვითარების დროს ფიქსირდება კლასიკური არაბულის გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ფორმაწარმოება.

აღნიშნული საკითხები შეიძლება ჩაითვალოს არაბული დიალექტების კვლევის ეფექტურ მიმართულებებად. ვფიქრობ, არაბული დიალექტების შესწავლის თანამედროვე ეტაპზე, ენობრივი მასალის ანალიზის ახლებური მეთოდოლოგია უფრო ნათლად წარმოაჩენს პერიფერიული არაბული დიალექტების ენობრივ მახასიათებლებს, მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არაბული ენის ისტორიისა და ზოგადსემიტოლოგიური თვალსაზრისით. პუნქტების მიხედვით პერიფერიული არაბული დიალექტების კვლევის ძირითადი მიმართულებები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

I. დიალექტებში დაცული არაბული ენის (სემიტური ენების) ძველი ფორმების გამოვლენა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი კონსერვაცია დიალექტებში განპირობა მრავალსაუკუნოვანმა ენობრივმა იზოლაციამ, ზოგ შემთხვევაში კლასიკურ არაბულთან და მის დიალექტებთან ურთიერთობის არარსებობამ).

II. არაბული ენობრივი ნიშნების შიდა ევოლუცია კლასიკური არაბული ენისა და მისი დიალექტებისაგან ენობრივი იზოლაციის პირობებში (უნდა დადგინდეს არაბული ფონეტიკური, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური მასალის განვითარების ტენდენციები. ამ ნაწილში უნდა აღინუსხოს და გაანალიზდეს დამოუკიდებელი განვითარების შედეგად დროთა განმავლობაში არაბულ ენობრივ დონეზე ჩამოყალიბებული ახალი გრამატიკული ფორმები).

III. ენობრივი კონტაქტების შედეგად განვითარებული ცვლილებები (პერიფერიულ დიალექტებში ენობრივი კონტაქტებით განპირობებული სიახლეები ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე ფიქსირდება. ლინგვისტური ანალიზი ცხადყოფს ძირეულ ცვლილებებს, როგორცაა ფონოლოგიის სტრუქტურაში ახალი ფონემების გაჩენა, მორფოლოგიურ დონეზე სახელისა და ზმნის სტრუქტურაში სალიტერატურო არაბულისაგან განსხვავებული არაერთი წარმოების წესის დანერგვა, სინტაქსური კონსტრუქციები, წინადადების არაბულისათვის უჩვეულო წყობა და, რა თქმა უნდა, ლექსიკური ნასესხობების სიჭარბე. აქვე უნდა აღინიშნოს კოდის შეცვლა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული პერიფერიულ არაბულში).

IV. ექსტრალინგვისტური ფაქტორებით განპირობებული ენობრივი თავისებურებები (პერიფერიულ არაბულზე გავლენას ახდენს ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალური ფაქტორები, საყოფაცხოვრებო გარემო და რეგიონებში არსებული ენობრივი პოლიტიკა).

განვიხილავთ წარმოდგენილ კვლევით მიმართულებებს ცალ-ცალკე ცენტრალური აზიის არაბული დიალექტების მაგალითზე:

I. ძველი ფორმები, რომლებიც ფასეულია არაბული ენისა და, ზოგადად, სემიტური ენების ისტორიის თვალსაზრისით

1.0. მეორე ათეულის რიცხვით სახელთა სტრუქტურა ცენტრალური აზიის არაბულ დიალექტებში შემდეგნაირია: ათი + ერთეულის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი. ანალოგიური წარმოება მეორე ათეული რიცხვითი სახელებისათვის ფიქსირდება ეთიოპურში. არაბული ენის ბუნარული დიალექტი (ჩიქოვანი 2009:37). ასევე დამახასიათებელია იგი ფინიკიურისა და ნაბათეურისათვის (Ахвледiani 1985:47, Brockelmann 1908:489).

მაგალითი ბუნარულიდან:

dük ‘aşara ḥams miṣōr, i_buḥōro ḡāde

„იგი 15 წლის როცა გახდა, ბუნარაში წავიდა“.

მაგალითი კაშკადარიულიდან:

anā i_bruḥi i_ḥidma ‘aşar waḥsa iṣōr-tam

„მე 11 წელი ჯარში ვიმსახურე“.

1.1. კაშკადარიულ არაბულში ფიქსირდება მრავლობითი რიცხვის წარმოება mīm-ით.

adrūn ḥōyiṭ kisīr hamrayām kānat

„სახლში ბევრი ოქრო (ოქროები) იყო“ (კად).

ziklonāt hamrayām-tangayām ḥazuwa, ḡaduwa

„მათ აიღეს ოქრო-ვერცხლი [და] წავიდნენ“ (კად).

kokōyata kulla hamrāt ḥazuwa, kisatumāt-kisayām haṣuwa

„ძმებმა მთელი ოქრო [რაც იყო] აიღეს, ქისები გაავსეს“ (კად).

ḥazuwa, ḡaduwa და haṣuwa (შდრ. არაბ. ḥaṣa (ḥ)) III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებია (ḥazaw, ḡadaw, haṣaw). ნაცვალსახელოვანი სუფიქსის დართვის შედეგად ვღებულობთ ḥazuwa, ḡaduwa, haṣuwa-ს.

i_ḥoyḥōna kisīr mōṣīnām ademiyāt kānaw.

„ჩაიზანაში ბევრი გასართობად მოსული ადამიანი (მოსეირნეები) იყო“.

mōṣīnām იშლება შემდეგ ელემენტებად: mōṣ-īn-ām. ფიქსირებული ორმაგი მრავლობითიდან ერთი mīm-იანია.

naḥnāt madīna naḡade, pōṣō binta inṣūfa, salāsatnam naḡade,

fahadna hama bint noḥusa.

„ჩვენ ქალაქში წავალთ, ფაშას ქალიშვილს ვნახავთ,

სამივე მივალთ [და] ერთ-ერთი ჩვენგანი ამ მზეთუნახავს (ასულს) შეირთავს (ერთი ჩვენგანი[სათვის] იმ ქალიშვილს ავიყვანთ)“.

სიტყვაში salāsatnam m დართვის მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელოვან სუფიქსს. ეს შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ორმაგი მრავლობითის

გამომხატველი, ხოლო, მეორე მხრივ, მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსების ანალოგიით განვითარებული მაწარმოებელი ფორმანტი. ორივე შემთხვევაში საყურადღებოა მრავლობითობის გადმოცემა *mīm*-ით, რომლის ანარეკლს კლასიკურ არაბულში წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელოვან სუფიქსებში არსებული *m*: შდრ. -*kum*//*-hum*: *baytukum* “თქვენი სახლი“, *baytuhum* “მათი სახლი“.

zōka i_ḥsōt i_ḥaḥa 'abu 'umma isimumāt nasaḡa

“მან ხალიჩაზე თავისი დედ-მამის [მშობლების] სახელები ამოქსოვა“.

დიალექტში *ism*-ის მრავლობითი სალიტერატურო არაბულისგან განსხვავებული *isimumāt* ნაწარმოებია ორმაგი მრავლობითით. მაწარმოებელი ელემენტებიდან (*-um-āt*) ყურადღებას იპყრობს *-um*, რომელიც *mīm*-ს შეიცავს.

ugub il-ḥōyiḥ daḥalt, il-morti rōsa gaseyta,

il-bōyām qatalta, il-bētī maddeyt.

“შემდეგ სასახლეში შევედი, ჩემს ცოლს თავი მოვკვეთე, ბეც მოვკალი და სახლში დავბრუნდი“.

ამ წინადადებაში *il-bōyām* ფორმით მრავლობითია. მართალია, შინაარსით მხოლობითს გამოხატავს, მაგრამ საყურადღებოა წარმოების თვალსაზრისით. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა. იგი ინფორმანტის მიერ თხრობის პროცესში დაშვებულ უნებლიე შეცდომას წარმოადგენს.

zikhōnāt moyōtumāt ufragāt.

“მათ წყალი გაუთავდათ“.

mūy “წყალი“ მდებარეობითი სქესის სახელია. მისი მრავლობითის ფორმას *muyōt* < *muyāt* დაერთვის მრავლობითის მაწარმოებელი *mīm*-იანი სუფიქსი *-um*//*ūm*. ასეთი სახით ნაწარმოებ ორმაგ მრავლობითს ბოლოში კვლავ დაერთვის *āt*, ე.ი. ხდება სიტყვაში მაწარმოებელი ელემენტის დუბლირება. შედეგად ვღებულობთ მრავლობითის სამმაგ წარმოებას.

ბუნებრივად ისმება საკითხი კაშკადარიის არაბულ დიალექტში *mīm*-იანი მრავლობითის შესახებ. აღნიშნული საკითხი ჩემ მიერ ადრე იქნა განხილული და მოხსენების სახით წაკითხული ბუქარესტის პერიფერიული არაბული დიალექტისადმი მიძღვნილ კოლოკვიუმზე. *Some Peculiarities of Central Asian Arabic from the Perspective of History of Arabic Language* (Chikovani 2006-2007). მრავლობითი რიცხვის *mīm*-ით წარმოება დამახასიათებელია ჩრდილოდასავლური სემიტური ენების – უგარიტულისა და ებრაულისათვის. უგარიტულში მამრობითი სქესის სახელებს მრავლობით რიცხვში *status absolutus*-ში გააჩნიათ დაბოლოება *-m* [*-ūma*] სახელობითში და *-m* [*īma*] ნათესაობით-ბრალდებით ბრუნვებში (Cerept 1965:35).

1.2. ცენტრალური აზიის არაბულ დიალექტებში ზოგიერთ მორფოლოგიურ ელემენტს მოეძებნება პარალელი სხვა სემიტურ ენებში. აღსანიშნავია ამ მხრივ *māhu*/*/mōhu*, *māhi*/*/mōhi* ბუხარულში და *māhaw*, *māhay* კაშკადარიულში, რომელთაგანაც ფორმებს: *māhaw*-*māhay* მოეძებნებათ პარალელები ახალ არამეულ დიალექტებში. აღსანიშნავია ბუხარულში *halo* < *hal*. იგი ჩვენებითი ნაც-

ვალსახელია. მის სირიულ წარმომავლობაზე მიუთითებს გ. წერეთელი (Сере-тели 1941:140). სირიული წარმომავლობის უნდა იყოს აგრეთვე ბუხარულში არ-სებული ჩვენებითი ნაცვალსახელები: had, hadi, hat, hālān. ფორმა hālān-ს (<სირ. hālēn) სალიტერატურო არაბულში შეესიტყვება ha'ulā'i. იშვიათად hal ფორმის პარალელურად გვხვდება han. **hal ჩვენებითი ნაცვალსახელის არსებობა ცენტრალურაზიურ არაბულში საგულისხმოდ გვეჩვენება არაბულში, ზოგადად, განსაზღვრული არტიკლის გენეზისის თვალსაზრისით** (ჩიქოვანი 2009:86).

ძველი სირიული, ანუ იაკობიტური (დასავლურ სირიული), ფორმებია:

hāna (= არაბ. hāda)

hāde (-"- hādīhi)

hālēn (-"- ha'ulā'i)

hānūn (-"- dālika) ბუხარულში შეესატყვისება haw.

hānēn (-"- tilka) ბუხარულში შესაბამისი ფორმა hānēn.

had, hadi, hat, hal//han ჩვენებითი ნაცვალსახელები წარმოადგენენ შესა-ბამისი სირიული ნაცვალსახელების სახეშეცვლილ ფორმებს.


შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სირიული წარმომავლობის ფორმების არსებობა ბუხარულში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა არაბულ დიალექტში (მაგალითად, სირიის არაბულ დიალექტში), შედეგია ენობრივი ურთიერთობებისა არაბული დიალექტების განვითარების ადრეულ პერიოდში, როცა არაბული ენა შეერია (შეერწყა) ადგილობრივ ენებს და წარმოიშვა ესა თუ ის არაბული დიალექტი. ამგვარად, ასეთ დიალექტზე მეტყველებენ წარმოშობით არაარაბები. არაერთმა ხალხმა მიიღო და გაითავისა არაბული, თუმცა გარკვეულწილად შეინარჩუნა მშობლიური წინარე ენის ფორმები. გიორგი წერეთელი იზიარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვით „არაბული დიალექტები წარმოიშვნენ და ვითარდებოდნენ ორი სხვადასხვა მიმართულებით. თუ არაბეთის უდაბნოსა და მოსაზღვრე ველების ბედუნთა მეტყველება ისლამის წინააღმდეგელი მოსახლეობის ენის განვითარების შემდეგ საფეხურს წარმოადგენს, ე.წ. „არაბიდული“ დიალექტები, ე.ი. ერაყისა, სირიისა, პალესტინისა, ეგვიპტისა და არაბული აღმოსავლეთის სხვა მხარეების ძირითადი მოსახლეობის ენა წარმოადგენს შედეგს ძველი არა-ბული დიალექტების აღრევისას არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლე-ობის ენებთან“ (წერეთელი 1937:295). აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში ტერმინი „არაბიდული“ ი. ვილენჩიკ-მა დაამკვიდრა არაბულ დიალექტოლოგიაში (Vilenčik 1935:721).

ამრიგად, დასაშვებია, რომ ცენტრალურ აზიაში მოსულმა არაბებმა თან მო-იტანეს სირიულისთვის (არამეულისათვის) დამახასიათებელი ჩვენებითი ნაცვა-ლსახელის ფორმები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ მათ „არაბიდულ“ დია-ლექტში.

II. არაბული (სემიტური) ენობრივი მასალის შიდა ევოლუციით განპირობე-ბული ენობრივი ცვლილებები

2.0. ცენტრალური აზიის კაშკადარიის არაბული დიალექტის (კად) ხმო-ვანთა სისტემისათვის დამახასიათებელია ღიაობის სამი მდგომარეობა და მონო-ფთონგთა ტემპრული ცვლილებანი. ამ უკანასკნელისა და, აგრეთვე, დიფთონგთა

რედუქციის ხარჯზე კლასიკური სისტემა გაფართოებულია: (ai > e, aw > o). ხმოვნები სამკუთხედში შემდეგნაირად ნაწილდებიან:



კად-ში შეიმჩნევა ხმოვანთა სიგრძის არასტაბილურობა. გვხვდება გრძელი, მოკლე, საშუალო სიგრძის და ულტრამოკლე ხმოვნები. ხმოვანთა სიგრძის ცვალებადობა დამახასიათებელია არა მარტო კაშკადარიის, არამედ სხვა არაბული დიალექტებისთვისაც. ფონეტიკური ჩანაწერების საფუძველზე გამოიყოფა ხმოვანთა შემდეგი კლასები:

- გრძელი უმახვილო: /i/ /ī/ /ē/ /ē̄/ /ā/ /ā̄/ /ō/ /ū/ /ū̄/ /ū̄̄/
 გრძელი მახვილიანი: /ī/ /ī̄/ /ē̄/ /ē̄̄/ /ā̄/ /ā̄̄/ /ō̄/ /ū̄/ /ū̄̄/ /ū̄̄̄/
 ცვალებადი სიგრძის: /i/ /ī/ /e/ /ē/ /ā/ /a/ /o/ /u/ /ū/ /ū̄/
 საშუალო სიმოკლის: /i/ /ī/ /e/ /ē/ /ā/ /o/ /u/ /ū/ /ū̄/
 მოკლე: /i/ /ī/ /e/ /ē/ /a/ /ā/ /o/ /ō/ /u/ /ū/ /ū̄/
 ულტრამოკლე: /i/ /ī/ /e/ /ē/ /a/ /ā/ /o/ /ō/ /u/ /ū/ /ū̄/

იმას, თუ ხმოვნის რომელი ვარიანტი იქნება რეალიზებული, ხშირად განაპირობებს პოზიცია და კონტაქტი. მეზობლობა წინაენისმიერ, ველარულ, ფარინგალურ და ემფატიკურ თანხმოვნებთან გავლენას ახდენს მათ ტემბრზე. შეინიშნება გრძელი ხმოვნების დამოკლების ტენდენცია.

/e/-ს ვარიანტებია ē, ē̄ და a. e საშუალო რიგის ხმოვანია. იგი ხასიათდება რიგებში მონაცვლეობის უნარით და ბაგისმიერებთან მეზობლობაში განიცდის ლაბიალიზაციას. /e/-ს ერთ-ერთი ვარიანტი ē ვიწრო ხმოვანია. იგი i-ს უახლოვდება. ეს მოვლენა კად-ში მკვეთრად არის გამოხატული. მაგ., iṣ > eṣ „რა“. ასევე ხშირია გრძელი ē-ს ხმარების შემთხვევები: irdēna < ‘ardān „სახელოები (ორ. რ.)“.

ფართოდაა გავრცელებული ნეიტრალური a, რომელიც წარმოადგენს მოკლეს, უფრო ხშირად ძალიან მოკლეს, მინიმალური ღიაობის, ცვალებადი რიგისა და საშუალო აწეულობის ხმოვანს. a იცვლის ტემბრს ხმოვანთა ჰარმონიის ან მეზობელი თანხმოვნების გავლენით. ეგვიპტურ დიალექტში ეს ხმოვანი გვხვდება იშვიათად. მალრიბის დიალექტებში და, განსაკუთრებით, მაროკოს არაბულ დიალექტში თითქმის ყველა მოკლე ხმოვანი გადადის a-ში.

/o/-ს ვარიანტებია ō და o. იგი არის უკანა რიგის საშუალო ღიაობის ხმოვანი. უმეტესად გვხვდება გრძელი ō-ს სახით. ეს ფონემა მიღებულია ორი გზით: ერთი მხრივ, გრძელი ā გვაძლევს ō-ს: māṭ > mōṭ „მოკვდა“, ხოლო მეორე მხრივ, დიფთონგი aw გადმოიცემა ō-თი: nawm > nōm „ძილი“. o-ს ვარიანტი ō ძალიან ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით, დახურულ მარცვალში: kōhtil „ადგილი“. o უმეტესად ჩნდება სიტყვის თავში ან ბოლოში. იგი ფარინგალურებთან მეზობლობაში ან a ხმოვანთან ასიმილაციის შედეგად ხშირად იცვლის ტემბრს და გადადის a-ში: moḥmad > maḥmad „მუჰამედი“, zaraboh > zarabah „დაარტყეს მათ მას“.

ამრიგად, კად-ში წარმოდგენილია შემდეგი ხმოვანი ფონემები:

ფონემები	ალოფონები
/a/	/ä, ǟ, a, ǎ, ǎ̄/
/e/	/e, ē, ē/
/i/	/i, ī/
/o/	/ö, o/
/u/	/ü, Ü, u, ü, Ü/

გამოყოფილი 5 ძირითადი ერთეული არ განარჩევს ფონოლოგიურად სიგრძე-სიმოკლეს. ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს კად-ის ვოკალური სისტემის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. გრძელი ხმოვნების არსებობას სიტყვებში სხვადასხვა ფაქტორები უნდა განაპირობებდეს. ვფიქრობთ, უმთავრესი მათ შორის არის მასვილი. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, არაბულ სიტყვათა ტრადიციული წარმოქმნის შენარჩუნების ტენდენცია, რაც გაუცნობიერებლად გადაეცემა თაობიდან თაობას.

2.1. ცენტრალური აზიის ორივე დიალექტში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა კონსონანტურმა სისტემამ. განვითარდა ორი, სალიტერატურო არაბული ენისათვის უცხო, ფონემა: p და č. მათი გაჩენა მხოლოდ ტაჯიკური და უზბეკური ენების გავლენას არ უნდა მიეწეროს. ისინი შესაბამისი არაბული ბგერების განვითარების შედეგაცაა. ამიტომ გვხვდება p და č როგორც ტაჯიკური და უზბეკური წარმოშობის სიტყვებში, ასევე წმინდა არაბულ ლექსებშიც. მაგ., polišta „ბალიში“, čōi „ჩაი“, harap < harab „გაიქა“, uči < wačhī „ჩემი სახე“.

2.2. ძირის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია სახელებში და ზმნებში სამი თანხმოვნის აღდგენის ტენდენცია: kē avbar < ke ‘abar „ცხოვრობდა“, rowd < rōd „მიწა“, შდრ. ’arđ:

kāin ma kāin fi qadīmi waht esqe zamōn fad bōy ke avbar.

„იყო და არა იყო რა, ძველად (ძველ დროში) ერთი ბეი ცხოვრობდა“.

hat pōšō ki-sōr, ’ihād abū rowden pošoya insōir i-hankit ġe’ōniya misōr.

„[მაშინ, როცა] იგი ფაშა გახდა, მისი მამის ქვეყანაში შიმშილობა ჩამოვარდა“.

2.3. კად-ში პირის ნაცვალსახელებმა განიცადეს ძირეული ცვლილებები. ჩვენ მიერ დაფიქსირებული ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება სალიტერატურო არაბულის შესაბამისი ფორმებისგან.

	პირი	სქესი	რიცხვი
III მამრ. მხ.	haw//zōk	h-//z-	-aw// -ō
მდედრ. მხ.	hai//zika	h-//z-	-ai// -ī
მამრ. მრ	ziklōn	z	-ōn
	ziklōnāt	z	-ōnāt

		<i>zōkāt</i>	<i>z</i>	-	<i>-āt</i>
	მდღერ. მრ.	<i>ziklānna</i>	<i>z</i>	-	<i>-ānna</i>
II	მამრ. მხ.	<i>inta</i>	<i>int</i>	<i>-a</i>	-
	მდღერ. მხ.	<i>inti</i>	<i>int</i>	<i>-i</i>	-
	მამრ. მრ.	<i>intū</i>	<i>int</i>	-	<i>ū</i>
		<i>intuwāt</i>	<i>int</i>	-	<i>-uwāt</i>
	მდღერ. მრ.	<i>intinna</i>	<i>int</i>	-	<i>-inna</i>
I	მხ.	<i>anā</i>	<i>anā</i>	-	-
	მრ.	<i>naḥna</i>	<i>naḥn</i>	-	<i>-a</i>
		<i>naḥnāt</i>	<i>naḥn</i>	-	<i>-āt</i>

ბოლოკიდურ მორფემებს აქვთ ალტერნანტები: (a)-ს ალტერნანტებია (ē) და (ə). i-ს ალტერნანტად ხშირად გვევლინება (iə), ხოლო (u)-ს ენაცვლება (ōw). მაგალითები:

<i>intə zarab</i>	„შენ (მამრ., მხ. რ.) დაარტყი“
<i>intə ma tšūf</i>	„შენ (მამრ., მხ. რ.) არ გიყვარს“
<i>inti wēn inti?</i>	„შენ (მდღერ., მხ. რ.) სადა ხარ?“
<i>intōw kulū</i>	„თქვენ (მამრ. მრ. რ.) ჭამეთ“

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, პირის ნაცვალსახელებისათვის კად-ში დამახასიათებელია პარალელური ფორმების ფუნქციონირება. მაგ., III პირში მხ. რ-ში ასეთი ფორმებია: *haw//zōk* მამრ. სქესში და *hai//zika* მდღერ.-ში. *haw* და *hai*-ს ხმარების არეალი ძალიან შეზღუდულია. ისინი გვხვდებიან მხოლოდ უარყოფით ნაწილაკ *mā*-სთან ერთად: *mā haw*, *mā hai*.

მესამე პირში, მრავლობითი რიცხვში, მამრობით სქესში იხმარება ერთდროულად სამი ფორმა: *ziklōn*, *ziklōnāt* და *zōkāt*. ამათგან *ziklōnāt* ნაწარმოებია ორმაგი მრავლობითით, ხოლო *zōkāt* მიღებულია შესაბამისი მხოლობითის ფორმაზე მრავლობითობის მაწარმოებელი *āt* სუფიქსის დართვით. პირველ პირში ერთმანეთს ენაცვლებიან *nahna//nahnāt*. აღნიშნული ფორმების ვარიანტების არეალი კად-ში ძალზე ფართოა. ისინი ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს.

ამრიგად, კად-ის დამოუკიდებელი პირის ნაცვალსახელები მესამე პირში, როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით რიცხვში კლასიკური არაბულის *Zāka*-დან მომდინარეობენ. ეს მოვლენა მხოლოდ ცენტრალურაზიური არაბულისთვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, ფორმათა რაოდენობა, სალიტერატურო არაბულთან შედარებით, გაზრდილია, რაც ასევე განასხვავებს მას სხვა არაბული დიალექტებისგან.

2.4. თავისებურებებს ავლენენ ზმნები, რომელთა პირველი ძირეული თანხმოვანი გუტურალურია. აქ, იმპერფექტივში, პირველ და მეორე ძირეულ თანხმოვანს შორის, ნაცვლად სუქუნისა, ჩნდება ხმოვანი, ხშირად გრძელი ო. ამავე დროს, პერფექტივში შეიძლება სრულიად დაიკარგოს პირველი ძირეული თანხმოვანი. ძირითადად ეს მოსდის ჰამზას: *ḥaza-iōḥuz* „აიღო“.

ამ ჯგუფის ზმნის სრული პარადიგმა იმპერფექტივში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

	<i>მხ. რ.</i>	<i>მრ. რ.</i>
<i>III მამრ.</i>	<i>ihōğum</i>	<i>ihōğ^umūn</i> <i>ihōğ^umunāt</i>
<i>მდედრ.</i>	<i>ithōğum</i>	<i>ihōğ^umīnna</i>
<i>II მამრ.</i>	<i>ithōğum</i>	<i>ithōğ^umūn</i> <i>ithōğ^umunāt</i>
<i>მდედრ.</i>	<i>ithōğumīn</i>	<i>ithōğ^umīnna</i>
<i>I</i>	<i>ahōğum</i>	<i>ahōğum</i>

ამგვარად, მარტივი თემის სამთანხმოვნიანი ზმნის ფუძის სტრუქტურული მოდელი იმპერფექტივში არის CCVC. აფიქსების საშუალებით ხდება მისი ფუნქციონალური გაფორმება. ამ ფორმის ზმნისათვის დამახასიათებელია აბლაუტი, გუტურალური თანხმოვნებით გამოწვეული უღლების თავისებურება და ორივე ტიპის ზმნებში მაწარმოებელ ალომორფთა სიჭარბე.

III. ენობრივი კონტაქტებით განპირობებული ცვლილებები

3.0. ცენტრალურაზიურ არაბულ დიალექტებში დასტურდება არაბულ-ტაჯიკური და არაბულ-უზბეკური ენობრივი კონტაქტების ჭარბი შემთხვევები. ნაწილობრივ ფიქსირდება არაბულ-რუსული და არაბულ-თურქმენული ენობრივი ურთიერთობები. მაგალითად მოვიყვან შემდეგ წინადადებას:

anā ib-rūhi ademiyāt ‘amal asi afarmid.

„მე თვითონ ადამიანებს საქმეს ვაძლევ (ვასაქმებ)“.

ფორმა afarmid მომდინარეობს რუსული სიტყვიდან "оформляю". ხმოვანი a არაბულ ტექსტში ზმნის პირველი პირის მაწარმოებლად იქნა გაგებული. შედეგად მივიღეთ რუსული ზმნა არაბულ გრამატიკულ ყალიბში: afarmid = оформляю.

3.1. დროის კატეგორია კად-ში შემდეგი ჯგუფებით გამოიხატება:

- ა) დასრულებული ნამყო
- ბ) განუსაზღვრელი ნამყო
- გ) განუსაზღვრელი აწმყო
- დ) განსაზღვრული აწმყო
- ე) უბრალო მომავალი
- ვ) რთული (დაუყოვნებელი) მომავალი

დასრულებული და განუსაზღვრელი ნამყოს მნიშვნელობითი ოპოზიციაა: *šarabt* – „დავლიე“, *ma šaribni* – „არ დამილევია“. განუსაზღვრელი ნამყო იწარმოება აქტიურ მიმღებობაზე ნაცვალსახელოვანი სუფიქსის დართვით. იგი ემთხვევა ქართულ თურმეობითს:

	<i>მხ. რ.</i>
<i>III მამრ.</i>	<i>šāriba(h)</i>
<i>მდედრ.</i>	<i>šāribaha</i>

II მამრ.	<i>šāribak</i>
მდედრ.	<i>šāribek</i>
I	<i>šāribni</i>
მრ. რ.	
III მამრ.	<i>šāribhum</i>
მდედრ.	<i>šāribhin</i>
II მამრ.	<i>šāribkum</i>
მდედრ.	<i>šāribkin</i>
I	<i>šāribna</i>

განუსაზღვრელი ნამყოს არსებობა კად-ში უზბეკური ენის გავლენას უნდა მიეწეროს (Церетели 1941:142). ზმნური ფორმებისათვის თურქულ ენებში დამახასიათებელია აღნიშნული დრო, ამიტომ მისი განვითარება არაბულ დიალექტში ხანგრძლივი ენობრივი კონტაქტით უნდა აიხსნას. იგივე შეიძლება ითქვას განსაზღვრულ აწმყოზე, რომელიც განგძობით დროს გადმოცემს. აღნიშნული დრო კად-ში იწარმოება ზმნის იმპერფექტივის ფორმაზე დამხმარე ზმნის *nām* აქტიური მიმღეობის დართვით: *iṭbuḥ nāyim* – „ახლა აცხობს“, *nōkul nayiminni* – „ახლა ვჭამთ“.

3.2. ცენტრალურაზიურ არაბულში წარმოდგენილია ძირითადად უზბეკური და ტაჯიკური, ხოლო ნაწილობრივ – თურქმენული და რუსული ნასესხობები. უზბეკური ლექსიკა მოიცავს კაშკადარიელ არაბთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: *qaššaq* „ლატაკი“, *čüpōn* „მწვეფი“. იგივე შეიძლება ითქვას ტაჯიკური ნასესხობების შესახებაც: *ḥamsōya* „მეზობელი“, *darkōr* „საჭიროება“, *bōḡbōn* „ბალი“. დასტურდება პარალელური ფორმები. ერთი მნიშვნელობის გამოსახატავად იხმარება როგორც არაბული, ასევე ნასესხები სიტყვაც: *kisīr* არაბ. *kōn* უზბ. „მრავალი“, *gilīl* არაბ. *kōm* ტაჯ. „ცოტა“.

პარალელურ ფორმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნასესხები სიტყვები თანდათან იკავებენ დიალექტში არაბულ ლექსემათა ადგილს. ეს ეხება განსაკუთრებით უზბეკურ ნასესხობებს. შეინიშნება აგრეთვე პარალელურ ფორმათა ზრდის ტენდენცია, რაც დღითი დღე გზას უკაფავს დიალექტში ნასესხობებს.

IV. ექსტრალინგვისტური ფაქტორებით განპირობებული ცვლილებები

4.0. არაბული სამყაროსგან მრავალსაუკუნოვანმა იზოლაციამ, თურქულენოვანმა და სპარსულენოვანმა გარემოცვამ, ტაჯიკებთან და უზბეკებთან თანაცხოვრებამ, ცენტრალური აზიის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესზე გადასვლამ, შესაბამისმა საქმიანობამ და ინტერესებმა, უზბეკეთში არსებულმა ენობრივმა პოლიტიკამ ზეგავლენა იქონიეს რეგიონში არსებულ არაბულ დიალექტებზე.

შუა აზიის ბუნარისა და კაშკადარიის რეგიონებში ენობრივი სიტუაცია ავლენს კოორდინაციულ და სუბორდინაციულ დიგლოსიასა და ტრიგლოსიას (ჩიქოვანი 2002:13).

კორდინაციული დიგლოსიის ან ტრიგლოსიის დროს ბილინგვი (ტრილინგვი) თავისუფლად ფლობს ორ (ან სამ) ენას და სიტუაციის მიხედვით ახდენს გადართვას ერთი ენიდან მეორეზე, აუცილებლობის შემთხვევაში კი მესამეზეც.

სუბორდინაციული დიგლოსიის (ტრიგლოსიის) დროს კი არაბი ბილინგვი (ტრილინგვი) თავისუფლად ფლობს მხოლოდ ერთ, მშობლიურ ენას. ტაჯიკურის და უზბეკურის ცოდნის დონე ასეთ შემთხვევაში დაბალია და ბილინგვი (ტრილინგვი) მეტყველების პროცესში ცდილობს დაუქვემდებაროს უცხო ენა მშობლიური არაბულის ნორმებს. ასეთი ბილინგვები (ტრილინგვები) არიან, ძირითადად, ხანდაზმულები და ოჯახური ცხოვრებით შემოფარგლული ქალები. შუა აზიაში დავაფიქსირეთ სუბორდინაციული ორენოვნების საინტერესო შემთხვევები, როცა ახალი თაობის წარმომადგენლებმა მშობლიურ არაბულზე უკეთ იციან ტაჯიკური ან უზბეკური ენები და ოჯახში, უბანში, თანასოფლელებთან მეტყველების დროს უხვად იყენებენ ტაჯიკურ, უზბეკურ სიტყვებსა და გამოთქმებს. ეს განპირობებულია ცხოვრების თანამედროვე ტენდენციებით უზბეკეთის რესპუბლიკაში. ამასთანავე, ბუხარისა და კაშკადარიის არაბულენოვან ყიშლალეებში უცხო არ არის მონოლინგვიზმი. ვგულისხმობთ ღრმად მოხუცებულებს. განსაკუთრებით ძნელია მონოლინგვი ქალებისგან დიალექტოლოგიური მასალის ჩაწერა კარჩაკეტილი ცხოვრების გამო.

საყურადღებოა ანთროპოლოგიური დასკვნა შუა აზიელი არაბების შესახებ, რომელიც ლ. ოშანინს და ვ. ზეზენკოვას (Ошанин, Зезенкова 1953) ეკუთვნის. მათი მონაცემებით „კაშკადარიელი არაბები წარმოადგენენ ბრაქიტეფალურ წინა-აზიურ რასობრივ ტიპს, რაც ემთხვევა ჩრდილოეთ მესოპოტამიის არაბთა რასობრივ მახასიათებელს“ (Ошанин, Зезенкова 1953). ავტორებმა საფუძვლიანად გამოიკვლიეს შუა აზიაში გავრცელებული ტიპები. მათი დაკვირვებით, კარშის რაიონის არაბებმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს და დღემდე მოიტანეს თავიანთი არაბული წარმომავლობის დამადასტურებელი ანთროპოლოგიური ნიშნები. რაც შეეხება შუააზიელ არაბთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის მაჩვენებლებს, მეცნიერთა დასკვნით, კვალი ასეთი ანთროპოლოგიური შერევისა უკიდურესად უმნიშვნელოა. მიზეზად ავტორები ასახელებენ ყარშელი არაბების ძირითადი ნაწილის ერთ ადგილზე დამკვიდრებას, კერძოდ, ჯეინაუსა და კამაშის რაიონებში. აქ არ შეიძლება კვლავ არ აღინიშნოს ალ-ისტახარის უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა ნახშების (კარში) მიდამოებში არაბთა დასახლების შესახებ. იგი ასახელებს დასახლებულ პუნქტს, საცხოვრისს, სახელწოდებით „ნაუკად კურეიშ“, რაც მიუთითებს იქ მცხოვრებთა არაბულ წარმომავლობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუააზიელ არაბთა ისტორია, მათი რეგიონში დამკვიდრების ვადისა და თავდაპირველი საცხოვრისის დადგენა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დიალექტის სრულ და ამომწურავ გამოკვლევას. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან განსხვავებას არაბულ დიალექტებს შორის ხშირად საფუძვლად უდევს ზემოაღნიშნული ფაქტორები. შუა აზიის არაბული დიალექტები, მიუხედავად არაბული სამყაროსგან მრავალსაუკუნოვანი იზოლაციისა, არაბულ დიალექტოლოგიურ სისტემაში არიან მოქცეული.

დასკვნა

განხილული კვლევითი მიმართულებები თვალსაჩინოს ხდის პერიფერიული არაბულის მონაცემებს არაბული ენის ისტორიისა და მისი განვითარების ტენდენციების შესასწავლად. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი მკაფიოდ წარმოაჩენს ამა თუ იმ დიალექტს დიაქრონიასა და სინქრონიამი. ენობრივი მახასიათებლების აღნუსხვა, მათი დალაგება-დახასიათება ზემოთ ნახსენები ოთხი პრინციპით, არაბული დიალექტების კვლევის საქმეში ახლებურ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

პერიფერიულ დიალექტებში არაბული ენის ძველი ფორმების გამოვლენა-ფიქსაცია, არაბული სამყაროსგან მრავალსაუკუნოვანი იზოლაციის პირობებში არაბული ენის ფორმების შიდა ევოლუცია, მათი შედარება ერთი მხრივ სალიტერატურო არაბულთან, ხოლო მეორე მხრივ აღმოსავლურ და დასავლურ არაბულ დიალექტებთან, სტრუქტურულად არაიდენტურ თურქულ და ინდოევროპულ ენებთან ენობრივი კონტაქტებით განპირობებული ენობრივი კონტაქტების ანალიზი და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით განპირობებულ ცვლილებებზე ყურადღების გამახვილება გვაჩვენებს ამა თუ იმ დიალექტის ადგილს, როლსა და წვლილს არაბული ენის სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, სემიტური ენობრივი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

არაბული დიალექტების კვლევის ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია დაგვეხმარება დავადგინოთ ამა თუ იმ არაბული დიალექტის შიგნით ფორმალურმოების პოტენციალი და მისი მიმართება სიტყვაწარმოების სინშირესთან. ეს მოგვცემს საშუალებას სწრაფად და უშეცდომოდ შევაფასოთ დიალექტის ენობრივი სიცოცხლისუნარიანობის ხარისხი.

ლიტერატურა

- ჩიქოვანი 2002:** გ. ჩიქოვანი, შუა აზიის არაბული დიალექტები. კამკადარიული დიალექტი. ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა, თბილისი.
- ჩიქოვანი 2009:** გ. ჩიქოვანი, არაბული ენის ბუხარული დიალექტი, თბილისი.
- წერეთელი 1937:** გ. წერეთელი, შუა აზიის არაბული დიალექტები, წინასწარი ანგარიში, ენიმკის მოამბე, I, თბილისი.
- Ахведиани 1985:** Ахведиани В.Г., Бухарский арабский диалект, Тбилиси.
- Ошанин, Зезенкова 1953:** Ошанин Л.В., Зезенкова, В.И., Вопросы этногенеза народов Средней Азии в свете данных антропологии, Ташкент.
- Сегерт 1965:** Сегерт С., Угаритский язык, Москва.
- Церетели 1941:** Церетели Г.В., К характеристике языка среднеазиатских арабов, Труды второй сессии ассоциации арабистов, М.-Л.
- Brockelmann 1908:** Brockelmann C., Grundriss der Vergleichenden Grammatik der semitischen Sprache, Bd. I, Berlin.
- Chikovani 2006-2007:** Chikovani G., Some Peculiarities of Central Asian Arabic from the Perspective of History of Arabic Language, Romano-Arabica VI-VII.
- Vilenčik 1935:** Vilenčik J., Zur Genesis der arabischen Zweisprachigkeit, OLZ, Dezember.

The Main Objectives of the Study of Peripheral Arabic Dialects

Summary

The paper provides an overview of the tendencies of development of Peripheral Arabic Dialects and offers a new methodology in the research of Arabic dialects isolated from the Arab world for a long period of time.

The study of Peripheral Arabic Dialects takes the following directions:

- I. The oldest phonological, grammatical and lexical features of the Arabic language, preserved in the dialects – important from the prospect of the history of Arabic and, in general, Semitic languages.
- II. Internal development tendencies of Arabic language material isolated from the Arab World Arabic Dialects.
- III. Development of linguistic peculiarities as a result of contacts with non-kindred Indo-European and Turkic languages.
- IV. The role of extra linguistic factors in the development of Central Asian Arabic Dialects.

The article mainly deals with the materials of Central Asian Arabic dialects.

ალექსეი ლოსევის ლინგვოფილოსოფიური კონცეფცია

ალექსეი თევდორეს ძე ლოსევის ლინგვოფილოსოფიური კონცეფცია ენას განიხილავს ახალ, თეოანთროპოკოსმიურ კონტექსტში, რომლის თანახმად სწორედ ენაა ყოფიერების თვითგამოსახვის უმაღლესი წერტილი: „სახელი არის გააზრებული ყოფიერების მაქსიმალური დაძაბულობა“, „სახელითა და სიტყვებით შეიქმნა და ცოცხლობს სამყარო“, „ცოცხლობენ ხალხები“ (ლოსევი 1999ა: 152). რუსი მეცნიერი თავის ენის ფილოსოფიას ავითარებს ნაშრომებში „სახელის ფილოსოფია“ (1927), „საგანი და სახელი“ (1929), „ანტიკური კოსმოსი და თანამედროვე მეცნიერება“ (1927), „ენობრივი სტრუქტურა“ (1983), „ნიშანი. სიმბოლო. მითი“ (1982) და სხვ. ლოსევის თქმით, მისი კონცეფციის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა პლატონიზმმა, ნეოპლატონიზმმა (განსაკუთრებით პროკლესა და ქრისტიანი ნეოპლატონიკოსების ნაშრომებმა), ჰეგელისა და ჰუსერლის სისტემებმა და ასევე ისიქსტების მისტიკურმა სწავლებამ ღვთის სახელის შესახებ. თავისი ანალიზის დროს მეცნიერი იყენებს დიალექტიკურ მეთოდს, რომელიც ემყარება ურთიერთდაპირისპირებული ცნებების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ლოსევის სახელის ფილოსოფია ამგვარია:

არსებობს მხოლოდ არსი, რომელიც არის რაღაც ერთი, ერთიანი, დაუნაწევრებელი, მდგრადი, უცვლელი, განსაზღვრული. არსი ცხოვრობს თავისი შინაგანი ცხოვრებით, იგი შეუცნობელია, შეუძლებელია მასში ბოლომდე ჩაწვდომა და მისი შესწავლა. მაგრამ იმისთვის, რომ არსი ნამდვილად არსებობდეს, იგი უნდა განსხვავდებოდეს არ-არსისგან, სხვადყოფნისგან, მეონისგან, რომელიც, არსის საწინააღმდეგოდ, არის მრავლობითი, დანაწევრებული, არამდგრადი, ცვალებადი, განუსაზღვრელი. არ-არსი უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც რაიმე მატერია ან სუბსტანცია, რომელშიც არსი ვლინდება. სინამდვილეში იგი არაფერია, მეონს არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, იგი არის არსის ნაწილი, მისი სხვაგვარობის მომენტი. არსი რაციონალური საწყისია, რომელიც დიალექტიკურად მოითხოვს ირაციონალურ საწყისს – არ-არსს. ამრიგად, „არსი და არ-არსი დიალექტიკურად ერთიმეორესთანაა დაკავშირებული, უფრო სწორად, წარმოადგენენ რაღაც ერთობას“ (ლოსევი 1999ა:61), რადგან იმისათვის, რომ რაიმე კატეგორია იყოს დიალექტიკურად განსაზღვრული, აუცილებელია მისი დაპირისპირება ფონთან (ეს ფონი აღიქმება როგორც ამ კატეგორიისგან განსხვავებული, მისთვის უცხო) და შემდეგ მათი გაიგივება.

ლოსევის თქმით, სწორედ არსისა და არ-არსის ურთიერთქმედება წარმოადგენს სახელის ცენტრალურ პრობლემას. მათი ურთიერთობა იწვევს ქმნადობას. ამრიგად, ლოსევის ფილოსოფიის საყრდენი პრინციპია დიალექტიკური ტრიადა – ერთი, სხვა და ქმნადობა. მაგრამ ლოსევი მას უმატებს მეოთხე და მეხუთე კატეგორიას: მეოთხეა ის, რაც შეიქმნა, სუბსტანცია, ფაქტი, რომელშიც ხორ-

ციელდება პირველადი ტრიადა, და მეხუთეა ამ განხორციელების შედეგი – სახელი, სიმბოლო.

არსი იწყებს მეონში გარდამოსვლას ენერგიების სახით, რომლებიც არიან პირველსაწყისისგან განუყოფელი, მაგრამ განსხვავებული მისი შეუცნობელი, აპოფატიკური სიდრმისგან. ამავე დროს არსი და მოვლენა ერწყმიან ერთიმეორეს და ქმნიან რაღაც განუყოფელ ერთობას. თვითონ არსი შეუცნობელია, ხოლო მისი ენერგიების შემეცნება და გააზრება სავსებით შესაძლებელია.

თავიდან მეონთან გაიგივების შედეგად წმინდა ერთიანი ნაწევრდება, მრავლდება, იძენს სხვადასხვა ფორმას, ხელახლა იქმნება. ეს ქმნადობა ხორციელდება ჯერ არსის შიგნით, სადაც არსი გარდაიქმნება დაყოფილ და მრავლობით ერთად – რიცხვად. რიცხვი შობს ეიდოსს, რომელიც იძენს არსის ყველა თვისებას. არსი გვეკვლინება როგორც შესაძლებლობა, პოტენცია, ხოლო ეიდოსში იგი პოვებს სრულობას, მთლიანობას.

ეიდოსს ახასიათებს ხუთი კატეგორია: 1) ეიდოსი არის არსებული, არსი; 2) იგი სადაც განისვენებს, უძრავია; 3) მაგრამ, ამავე დროს, მასში არის მოძრაობაც, ვინაიდან მას გააჩნია აზრი; 4) რადგან არსი წარმოადგენს რაღაც ერთობას, მაშასადამე მას ახასიათებს იგივეობა; 5) მაგრამ ვინაიდან მასში თავსდება ურთიერთსაწინააღმდეგო კატეგორიები – მოძრაობა და უძრავობა – ეიდოსში ასევე არის განსხვავებულობის მომენტი.

ეს ყოველივე უფრო გასაგებია კონკრეტულ მაგალითზე: ყოველი საგანი (რომელიც წარმოიშვება სწორედ ეიდოსის მეონალური განხორციელების შედეგად) არის რაღაც ერთი, ერთიანი; მას აქვს განსაზღვრული მოხაზულობა, სახე (უძრავობა და იგივეობა), ამავე დროს იგი არის რაღაც ცვალებადი, მდინარი (მოძრაობა და განსხვავებულობა).

ამრიგად, გამოდის, რომ ეიდოსი არის „თვითიგივეობრივი განსხვავებულობის მოძრავი უძრავობის ერთეულადობა“ (ლოსევი 1999ა:98) და მასში ვლინდება არსი, რათა შემდეგ ენერგემების სახით განხორციელდეს სხვადაყოფნაში, მეონში. სწორედ ამ აქტის შედეგად იქმნება ყოველივე – ხილული და უხილავი სამყაროს მრავალფეროვნება. აქ აუცილებელია მეონში გამოვლენილი და პირველადი, არსობრივი ეიდოსის ერთიმეორისგან გარჩევა და ამავე დროს მათი გაიგივება, რადგან შინაგანი არსობრივი ეიდოსი აყალიბებს გარეგან გამოვლენილ ეიდოსს, რომელიც, თავის მხრივ, ზემოქმედებს მეონზე. ასე იქმნება სიმბოლო – არსისა და არ-არსის შეერთების ადგილი, სადაც მიედინებიან ეიდოსის ენერგიები და სადაც ყოფიერება იღებს ამა თუ იმ ფორმას. ამრიგად, ლოსევის თანახმად, სიმბოლო არის „არსისა“ და „მოვლენის“ შერწყმა, იგი კი არ აღნიშნავს რაიმეს, არამედ თვითონ არის ერთდროულად აღსანიშნიც და აღმნიშვნელიც, ანუ საგანიც და სახელიც. იგი წარმოადგენს „ენას, რომელზედაც არსი ელაპარაკება მის გარესამყაროს“ (ლოსევი 1999ა:97). და რადგანაც არსი და მოვლენა იგივედებიან, მაშასადამე, თვით „არსი არის სახელი, ამიტომ მთელი სამყარო არის სახელი და სიტყვა, ანუ სახელები და სიტყვები. მთელი ყოფიერება არის მეტად ან ნაკლებად ცოცხალი ან მკვდარი სიტყვები. კოსმოსი არის სიტყვიერების სხვადასხვა ხარისხის კიბე. ადამიანი სიტყვაა, ცხოველი სიტყვაა, უსულო საგანი სიტყვაა, რადგან ყოველივე ეს არის არსი და მისი გამოხატვა. სამყარო

არის სხვადასხვა ხარისხის ცოცხალი ან გაქვავებული სიტყვების ერთობლიობა. ყოველივე ცოცხლობს სიტყვით და მოწმობს მასზე“ (ლოსევი 1999ა:141).

იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიაა არსის მეონიზაციის დროს წინ წამოწეული, იცვლება არსის ენერგემები, რაც, თავის მხრივ, ცვლის მეონის გააზრების ხარისხებს. ამავე დროს, რაც მეტად აღწევს არსი მეონში, მით უფრო კლებულობს გააზრებულობა და პირიქით, რაც ახლოსაა მეონი პირველართან, მით უფრო აზრიანი და სრულყოფილია იგი.

არსი ასხივებს რამდენიმე სახის ენერგემას: ფიზიკურს, ორგანულს, სენსუალურსა და ნოეტიკურს. ენერგემა წარმოადგენს არსის ამა თუ იმ თვისების მატარებელ “სხივს”, რომელიც აღწევს მეონში და აზრს სძენს მას. ენერგემების სახეობები ერთიმეორისგან განსხვავდებიან უპირველესად თვითგააზრებულობის, თვითშეგნების, ინტელიგენციის ხარისხით; ისინი ქმნიან ინტელიგენციის ერთგვარ „კიბეს“ სრული უაზრობიდან და შეუგნებლობიდან ზეგონებრივ ექსტაზამდე.

არსის ფიზიკური ენერგემისა და მეონის ურთიერთობა წარმოადგენს ყველაზე პრიმიტიულ საფეხურს, რომლის შედეგად იქმნება „გაქვავებული სიტყვა“ (ლოსევი 1999ა:71) – ფიზიკური სივრცე, საგნები, უსულო ბუნება. ამ საფეხურზე მძლავრობს მეონის სიბნელე, დანაწევრება და სრული თავდავიწყება, თვითშეუგნებლობა. ბევრით მეონში განხორციელებული ფიზიკური ენერგემა შობს სიტყვის ბევრით გარსს, ფონემებს, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანური სიტყვის ყველაზე დაბალ, პრიმიტიულ მომენტს.

ფიზიკური თვალსაზრისით „სიტყვა არის რაღაც მსუბუქი და უხილავი, ჰაეროვანი ორგანიზმი, რომელსაც გააჩნია რაიმე განსაკუთრებულის აღნიშვნის, რაღაც განსაკუთრებულ სიღრმეებში შეღწევის და უდიდესი მოვლენების შეუმჩნეველად გამოწვევის მაგიური ძალა. ეს უშუალო შეგრძნებისთვის უწონო და უხილავი ორგანიზმები დაჰქრებიან თითქმის მყისიერად; მათთვის (უშუალო აღქმის თვალსაზრისით) არ არსებობს სივრცე. ისინი აღწევენ ჩვენი ტვინის სიღრმეში, ახდენენ იქ არნახულ რეაქციებს, და უკვე ამის გამო არის რაღაც მაგიური სიტყვის ბუნებაში, თუნდაც მხოლოდ ფიზიკური ენერგიების მხრივ“ (ლოსევი 1999ა:72).

არსობრივი გააზრების შემდგომი საფეხურია ორგანული ენერგემა, რომელიც წარმოქმნის გალიზიანების უნარის მქონე ცოცხალ მცენარეულ ორგანიზმს, ორგანულ თესლს. გალიზიანების განცდა გულისხმობს გარეგანი საგნის გარეგანადვე შეგნებას, საკუთარი თავის არცოდნასა და ამ ფაქტების შეუგნებლობას. სიტყვა მხოლოდ აქ იწყებს საკუთარი თავის გააზრებას.

გააზრების უფრო მაღალი საფეხურია სენსუალური ენერგემა, რომელიც იწვევს შეგრძნებას – საკუთარი თავისა და უცხოის შეგნებას ამ ფაქტის არცოდნის ფონზე. მეონთან ურთიერთობისას სენსუალური ენერგემა შობს ცხოველურ ორგანიზმებს, რადგან ცხოველს, მცენარისგან განსხვავებით, შეუძლია არა მხოლოდ გალიზიანება, არამედ შეგრძნებაც, თუმცა იგი ამას ვერ აცნობიერებს. ასე, ცხოველი განიცდის ტკივილს, მაგრამ არ იცის, რომ ეს ტკივილია და იგი მას გრძნობს. სენსუალური ენერგემის საფეხურზე ბევრა არის ცხოველური ყვირილი, ჯერ ისევ უაზრო, მაგრამ მეტად გააზრებული, ვიდრე ორგანულ საფეხურზე. ხოლო ადამიანურ სიტყვაში სენსუალურ ენერგემას შეაქვს გრძნობის მომენტი.

ნოეტიკური ენერგემის შედეგია ადამიანური საფეხური, გონიერი აზროვნება, რომელიც არის „საკუთარი თავის ცოდნა და ამ ფაქტის ცოდნა, ანუ თვითცნობიერება“ (ლოსევი 1999ა:78). მას შეესაბამება გააზრებული, დანაწევრებული მეტყველება. ამის გარეშე „ადამიანი ცხოველი იქნებოდა, ვერ განარჩევდა თავის თავს სხვისგან“, რადგან „მხოლოდ თვითშეგნების შედეგად შეუძლია ადამიანს შეიმეცნოს მისგან განსხვავებული“ (ლოსევი 1999ა:78). სწორედ ნოეტიკური ენერგემის წყალობითაა შესაძლებელი გააზრებული აღქმის, მეხსიერების არსებობა. აღქმის შედეგად გონებაში წარმოიქმნება ხატოვანი წარმოდგენა, რაც ქმნის პოეტური შემოქმედების საფუძველს. არსთან უფრო მეტი მიახლოების შემდეგი საფეხურია წმინდა აზროვნება, როდესაც აზროვნების სუბიექტი და ობიექტი გაიგივებულია, ანუ სუბიექტი ისევე აღიქვამს აზროვნების ობიექტს, როგორც საკუთარ თავს. წმინდა აზროვნება გულისხმობს მეონისგან, შეგრძნებისგან, გრძნობადობისგან სრულ განთავისუფლებას. ადამიანისთვის იშვიათადაა დამახასიათებელი წმინდა აზროვნება – იგი ნაწილობრივ აზროვნებს და ნაწილობრივ შეიგრძნობს.

წმინდა აზროვნების კატეგორია დიალექტიკურად მოითხოვს კიდევ ერთ საფეხურს – სადაც შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი თავის ცოდნა, სხვის ცოდნის გარეშე. ეს არის ზეგონებრივი აზროვნება, ექსტაზი, გალიზიანების სრული პირისპირობა, ყოველივეს ერთობა და დაუნაწევრობა. გონიერი ექსტაზის „თვითშეგნების შუქი უსაზღვროა და წარმოადგენს საკუთარ თავში სრულ შთაფვლას, ანუ უსასრულოდ ნათელ სიბნელეს“ (ლოსევი 1999ა:89). ამ საფეხურზე სახელი თავისუფლება ყოველგვარი მეონალური გარსისგან და ბრწყინავს თავის პირველქმნილ სიდიადეში – იგი გარდაიქმნება ზეგონიერ სახელად.

ამრიგად, ფიზიკური, ორგანული და სენსუალური ენერგემები ბადებენ ბგერას, ორგანულ – ფიზიოლოგიურ ბგერას და ცხოველურ ყვირილს. მათ არ გააჩნიათ საკუთარი თავისა და სხვის დანაწევრებული ცოდნა და ამიტომ ვერ შობენ სახელს. ონომატიკური შესაძლებლობა მხოლოდ ნოეტიკურ ენერგემს გააჩნია. ადამიანური სიტყვა მოქცეულია ამ იერარქიის შუა საფეხურებზე – იგი არის გონიერი იდეა, რომელიც სხვადასხვა სტადიაზე იძენს მეონალურ თვისებებს, როგორებიცაა ბგერითი სხეული, განსხვავებული ფსიქოლოგიური ვარიაციები, უშუალო მნიშვნელობა და ა.შ.

თვითონ ეიდოსის შიგნით გამოიყოფა სხვადასხვა შრეები: 1) სქემატური ფენა – საგნის იდეალურ-მათემატიკური დახასიათებების ერთობლიობა; ეიდოსის ხუთი კატეგორია აქ მოცემულია როგორც მოძრავი უძრაობა. 2) მორფული, ტოპოლოგიური ფენა – ეიდოსის სქემის იდეალურ-ხარისხობრივი მაჩვენებლები; აქ წინ წამოწეულია თვითიგივეობრივი განსხვავებულობის კატეგორია. 3) ეიდოსის იდეალურ-საგნობრივი (კატეგორიალური) განსაზღვრულობის მომენტი, ანუ ეიდოსი სიტყვის ვიწრო გაგებით – დანიშნულება; ამ შემთხვევაში გამოყოფილია ერთეულადობის კატეგორია.

მაგალითად, თუ გვაქვს ხმლის ეიდოსი, მისი სქემა იქნება ხმლის მათემატიკური მახასიათებლები, მორფე – ხარისხობრივი, თვისებრივი განსაზღვრულობა, ეიდოსი ვიწრო გაგებით – ხმლის დანიშნულება. მაგრამ ხმალს შეიძლება ჰქონდეს უფრო ფართო, 4) სიმბოლური მნიშვნელობა, ასე ბერძნები მისი სახით

ზეგს წარმოსახავდნენ. ამ შემთხვევაში ვლინდება ხმლის ეიდოსის აპოფატიკური მომენტი, ის, რაც ბოლომდე შეუცნობელი და ილუმალი რჩება მასში.

რაც უფრო ძლიერია ეიდოსის აპოფატიკური მომენტი, მით უფრო მეტია განხორციელებულ სახელში სიმბოლური გამოხატულება. ხოლო სიმბოლოს სრული გამოხატვაა 5) მითი – პიროვნული შინაარსით დატვირთული სიმბოლო. ამრიგად, სახელს ლოსევი განსაზღვრავს როგორც მითიურ სიმბოლოს.

მაშასადამე, არსი ვლინდება ეიდოსში, ეიდოსი – მეონში; ეიდოსი აყალიბებს მეონს, ანიჭებს მას აზრს, აერთიანებს, ანუ წარმოადგენს ერთგვარ ყალიბს, ნიმუშს. გაერთიანების, გააზრების მთელი ეს პროცესი ატარებს ფორმალურ-ლოგიკურ ხასიათს. ასე ჩნდება ლოგოსის ცნება: ლოგოსი არის ქმნადობის „პრინციპი და მეთოდი, კანონი“ (ლოსევი 1999ა:117). ყოველ ეიდეტიკურ ტიპს შეესაბამება სხვადასხვა ლოგიკური კატეგორია და გამოხატულების ფორმა, რაც ასევე აისახება სახელის სტრუქტურაზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორია ეხებოდა სახელის საგნობრივ სტრუქტურას, ანუ იმ მხარეს, სადაც სიტყვა ჯერ ისევ საგანია და არ ჩამოყალიბებულა ადამიანურ სიტყვად. მაშ რაში მდგომარეობს ლოსევის მიხედვით ადამიანური სიტყვის, სახელდების არსი?

როგორც თვითონ ადამიანი, მისი სიტყვაც არის „ყველა ენერგემის შედეგი“ (ლოსევი 1999ა:154), ანუ ფიზიკური, ორგანული, სენსუალური, ნოეტიკური ენერგემების ერთდროული მოქმედების ნაყოფი. ურთიერთქმედებისას ისინი იცვლებიან და ქმნიან „ადამიანური სუბიექტის და ადამიანური სიტყვის საერთო ენერგემას“ (ლოსევი 1999ა:154). ადამიანური სიტყვის საფეხურია სენსუალურ-ნოეტიკური, მასში წარმოდგენილია ეიდოსი (სქემით, ტოპოსით, ვიწრო ეიდოსით, სიმბოლოთი და მითით), აპოფატიზმი და ლოგოსი, ეიდოსის ინტელიგენტური ენერგეები თვითმეგნების სახით, ანუ არსის ყველა მომენტი ერთდროულად ხორციელდება ყოველ წარმოთქმულ ცალკეულ სიტყვაში.

ლოსევი ეწინააღმდეგება ადამიანური სიტყვის საყოველთაოდ მიღებულ განმარტებას – რომ იგი არის „ბეგრითი კომპლექსი, გაერთიანებული რაიმე მნიშვნელობით“. „განა ხველა, ცხვირის მოხოცვა, ყეფა, კნავილი, ჭეჭა-ქუხილი, კარის ჭრიალი, თუთიყუშებისა და მაიმუნების დანაწევრებული ბეგრები და ათასი ამგვარი მოვლენა არ შეიძლება განისაზღვროს როგორც მნიშვნელობის მქონე ბეგრითი კომპლექსი?“ – ამბობს იგი (ლოსევი 1999ა:56). ლოსევი თვლის, რომ ადამიანური სიტყვა იქმნება საგნის არსისა და ადამიანის ცნობიერების ურთიერთქმედების სინერგიული აქტის დროს, როდესაც არსი აგრძელებს გარდამოსვლას და ხორციელდება ადამიანის ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ სუბიექტში. სიტყვაში ვლინდება საგნობრივი არსის მხოლოდ ერთი მხარე, მაშინ როდესაც მეორე მხარე რჩება სიტყვის გარეთ საგნის კონსტრუირების მიზნით, რათა სიტყვის ცვალებადობისას საგანი უცვლელი დარჩეს. არსი თვითონ ასახელებს თავის თავს, და აკეთებს ამას, მიუხედავად იმისა, აღიქვამს მას ვინმე თუ არა, სახელი არის არსის თვითგამოხატულება, თვითდასახელება. სახელდებისას ადამიანის ცნობიერებაში ფიქსირდება არა საგანი, არამედ ადამიანის მიერ დანახული და გაგებული საგნობრივი არსი, ის, რაც არის „მთლიანი, ერთიანი და საგნისთვის დამახასიათებელი“ (ლოსევი 1999ა:159) და არ იცვლება საგნის

ცვლილებებისას. ადამიანთან ურთიერთობისას საგნობრივი არსი ხელახლა იქმნება მის ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ სუბიექტში. ამასთან ადამიანი ამახინჯებს ეიდოსს, რადგან ზოგიერთ მის მხარეს იგი კარგად ხედავს, ზოგს კი ცუდად, ანუ ხდება მისი სხვადასხვა ხარისხით ინტერპრეტირება.

მაშასადამე, სიტყვაში არის ადეკვატურად და სპეციალური მნიშვნელობით გაგებული საგნობრივი არსი. სიტყვაში ადეკვატურად ასახული საგნობრივი არსი ქმნის მის იდეას, ხოლო ადგილისა და დროის გათვალისწინებით გამოვლენილი ადეკვაციის ხარისხები – ნოემას. ამრიგად, ნოემა არის იდეის შემდგომი მეონიზაციის შედეგი. „სიტყვის ერთი და იგივე საგნობრივ შინაარსს სხვადასხვა ხალხები განსხვავებულად აღიქვამენ, ერთი ერის სფეროში – განსხვავებულად აღიქვამენ სხვადასხვა ინდივიდები, ინდივიდუმების სფეროში – აღქმა განსხვავდება სხვადასხვა დროითი მომენტებით და პირობებით“ (ლოსევი 1999ა:63). საგნობრივი არსის აღქმის ეს საფეხურები ქმნიან ნოემებს, ხოლო თუ ეს მრავალფეროვნება მოიხსნება, დარჩება იდეა. ასე, ბერძნულ სიტყვაში ἀλήθεια „ჭეშმარიტება“ ამ სიტყვის განყენებული და ზოგადი მნიშვნელობის გარდა (როგორც ლათ. veritas, რუს. истина, ქართ. ჭეშმარიტება), არის კიდევ ბერძნული მსოფლალქმის ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელი მომენტი, რადგან სიტყვასიტყვით იგი ნიშნავს „დაუვიწყარს“, ანუ „მარადიულს“. ასეთივე სპეციფიკა აქვს ამ ცნებას სხვა ენებშიც. მაშასადამე, „ჭეშმარიტების“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა წარმოადგენს მის იდეას, ხოლო თითოეული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა – მის ნოემას.

ეიდოსის შემდგომი მეონიზაციის საფეხურზე სიტყვა იძენს ბევრით გარსს, იგი განზორციელებს ბევრით სუბსტანციაში. სიტყვის ამ შრეს ეწოდება სემემა – გააზრებული ბევრითი კომპლექსი, რომელშიც მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ ბევრათა მნიშვნელობებს. სემემა აერთიანებს რამდენიმე სახეობას: ფონემატური სემემა (სიტყვაში შემავალ ბევრათა მნიშვნელობა); ეტიმოლოგიური სემემა, ანუ ეტიმონი (სიტყვის ძირი, ელემენტარული ბევრითი ჯგუფი, რომელსაც გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა); მორფემა (სიტყვის სახეცვლილება მის ბრუნვისა ან უღლების დროს); სინტაგმა (წინადადებაში შემავალი ყოველი ცალკეული სიტყვის კავშირი დანარჩენ სიტყვებთან); პოიემა (სიტყვათა მნიშვნელობის ცვლა წინადადებაში მათი განლაგების მიხედვით). სიტყვის ამ მნიშვნელობების გამოხატვას მოცემულ დროსა და კონტექსტში ლოსევი უწოდებს სიტყვის პირველ სიმბოლურ ერთობას. პირველ სიმბოლონს მოსდევს მეორე სიმბოლონი – სრული სიმბოლური ერთობა, სიტყვის საერთო მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს მის მნიშვნელობათა ყველა ცალკეულ გამოვლინებას. სწორედ ამ დონის შემდეგ თავისუფლდება სიტყვა ბევრისგან.

დაბოლოს, სიტყვის უმდაბლეს დონეზე მდებარეობს ყველაზე უმნიშვნელო – ფონემა, ბევრითი შემადგენლობა, რომელიც მთლიანად მატერიალურ სამყაროს განეკუთვნება და აღარავითარი კავშირი არა აქვს მის არსთან. ფონემური გამოხატვა ასევე შეადგენს სიტყვის რამდენიმე მომენტს: ჟღერადობა, ადამიანის ხმა, დანაწევრებული ბგერა, დანაწევრებულ ბგერათა ერთობლიობა, გამოთქმის თავისებურებები. რაც უფრო ღრმად შედის ეიდოსი მეონში, მით უფრო კლებულობს იგი მნიშვნელობის სრულ გაქრობამდე და სიტყვის უაზრო, უსულო ბგერად გადაქცევამდე.

ამრიგად, ლოსევი სიტყვის აგებულების დიალექტიკური ანალიზის შედეგად გამოყოფს მის 67 მომენტს, რაც ქმნის სიტყვის საგნობრივ და წინა-საგნობრივ სტრუქტურას.

სიტყვის, როგორც არსის, გაგრძელებისა და გამოვლენის გააზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ქრისტიანობასთან დაკავშირებით, რადგან თუ სახელი არის არსი, მაშინ ღვთის სახელიც არის თვით ღმერთი. ეს სწავლება XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული იყო რუსული სამღვდლოების ნაწილში, რომლებიც თავის თავს „სახელის მადიდებლებს“ უწოდებდნენ. თავდაპირველად სახელის მადიდებლობა (ИМЯСЛАВИЕ) პოპულარული გახდა ათონის მთის რუსულ სამშობლოში (ანტონი ბულატოვიჩის მეთაურობით) მამა ილარიონის წიგნის „კავკასიონის მთებზე“ (1907) გამოვლენის შემდეგ, რომელიც კავკასიონზე მოღვაწე განდევნილების ცხოვრების აღწერასთან ერთად შეიცავდა ტრადიციულ მართლმადიდებლურ სწავლებას იესოს ლოცვის შესახებ. ლოსევის მტკიცებით, რომელიც მხარს უჭერდა ამ სწავლებას, სახელის განდიდების ტრადიცია მრავალ საუკუნეს ითვლის. იგი სათავეს იღებს აღმოსავლეთის ბერობის მისტიკურ მოძღვრებაში ღმერთთან შეერთების შესახებ მისი სახელის მეშვეობით – მარხვით, ღუმლით და იესოს ლოცვის შეუწყვეტელი გამეორებით მიიღწეოდა სულიერი განათლების სხვადასხვა საფეხური: სიტყვიერი ლოცვიდან გულითად ლოცვამდე. „ღვთის სახელი გვეკვლინება ჯერ სიტყვაში, როდესაც აზრები ჯერ გაფანტულია და ღვთის სახელზე კონცენტრაცია არასაკმარისია; შემდეგ ლოცვაში თანდათან ებმევა ხორხი, მკერდი და გული. ხოლო როდესაც გული იწყებს ცემას ლოცვის რითმში, ადამიანი აღწევს გონიერი ექსტაზის მდგომარეობას, როდესაც ადამიანი მთლიანად მონაწილეობს ლოცვაში თავისი გულის ყოველი დარტყმით, ყოველი ამოსუნთქვით“ (ლოსევი 1999ბ:229). სულიერი აღმასვლის მწვერვალზე „იესოს სახელი ბრწყინავს შინაგან ადამიანში მთელი თავისი სინათლით და სიდიადით“ (იქვე).

იესოს ლოცვის წარმოთქმის სისტემა შეიმუშავეს ბიზანტიაში, XIV საუკუნეში, ისიქასტებმა (ბერძნ. ἰσιχάστας – მღუმარება; ბერები, რომლებმაც მღუმარების აღთქმა დადეს), თუმცა, ლოსევის თქმით, „სახელის განდიდების“ ფესვები მიდის ძველი აღთქმისა და ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, და ეს ტრადიცია არასოდეს არ შეწყვეტილა.

XIV საუკუნეს მიეკუთვნება ასევე ცნობილი კამათი თაბორის ნათელის თაობაზე, რომლითაც გაცისკროვნდა მაცხოვარი თაბორის მთაზე ფერისცვალების დროს. იესოს ლოცვის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ამ ნათელს ხედავდნენ ლოცვისას და რომ ამ სახით თვით იესო ეცხადებოდათ მათ. მათი მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებდნენ, რომ თაბორის ნათელი არ არის ხელთუქმნელი და ამიტომ არანაირად არ შეიძლება იყოს ღმერთი. 1351 წელს შეკრებილმა საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ თაბორის სინათლე არც ღვთიური არსია და არც ღმერთის ქმნილება, არამედ იგი არის ღვთიური არსის ენერგია, რომელიც, ღვთიური არსისგან განსხვავებით, არის შეცნობადი. და რადგან ენერგია განუყოფელია არსისგან, მაშასადამე იგი არის ღმერთი.

ღვთის სახელთან და თაბორის ნათელთან ლოსევი ასევე აკავშირებს VIII საუკუნის ხატმებრძოლობას ბიზანტიაში, რომლის დროსაც ხატების მოწინააღ-

მდევნი ამტკიცებდნენ, რომ ღმერთის შეცნობა და აღწერა შეუძლებელია და ამიტომ მის ხატს არანაირი კავშირი არა აქვს მასთან. ამავე დროს, ხატთაყვანისმცემლები ეთაყვანებოდნენ ხატებს როგორც ღვთიური არსის გამოვლენას.

ლოსევის თქმით, ყველა ამ კამათს ღვთის არსსა და მისი ენერგიების შესახებ ერთი საფუძველი აქვს – ეს არის დაპირისპირება სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ რელატივიზმსა და ობიექტურ იდეალიზმს, ანუ პლატონიზმს, შორის. რაღა თქმა უნდა, ეს არ არის წარმართული პლატონიზმი (ეკლესიის მიერ სამჯერ ანათემას გადაცემული), რომელიც ქადაგებდა მარადის მყოფ, დაუსაბამო მატერიას, სულების გადასახლებას, პოლითეიზმს და ა.შ., არამედ პლატონიზმი, როგორც განყენებული სქემატური დიალექტიკური სისტემა (რაიმე კონკრეტული ისტორიულ-კულტურული შიგთავსის გარეშე). პლატონიზმი აქ გააზრებულია ქრისტიანული თვალთახედვიდან.

საუკუნეების განმავლობაში კამათი ღვთის არსსა და მისი ენერგიების თაობაზე აღარ განახლებულა, მაგრამ ახალი ძალით იფეთქა ათონის მთაზე ზემოხსენებული მოვლენების შემდეგ. რუსულმა ეკლესიამ „სახელის მადიდებლობა“ პანთეისტურ მწვალებლობად ჩათვალა, ხოლო ილარიონის წიგნი „კაკკასიონის მთებზე“ აკრძალა. წმ. სინოდს შემდეგი არგუმენტები მოჰყავდა: ღვთის სახელი წმინდა და თაყვანსაცემია, რადგან იგი სიტყვიერად აღნიშნავს მაცხოვარს; ლოცვაში (განსაკუთრებით იესოს ლოცვაში) ღვთის სახელი და თვით ღმერთი აღიქმებიან განუყრელად, იგივეებიან. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ლოცვაში და მხოლოდ ჩვენს გულში. სინამდვილეში კი ღმერთის სახელი არის მხოლოდ სახელი და არა თვით ღმერთი ან მისი თვისებები, საგნის დასახელება და არა თვითონ საგანი, ამიტომ იგი არ შეიძლება ვცნოთ ან დავასახელოდ ღმერთად, არც ღვთაებად, რადგან იგი არც ღვთის ენერგიაა. ხოლო ღვთის სახელით ჩადენილი სასწაულები აღესრულება წმინდა ეკლესიის ლოცვისა და მლოცველის შინაგანი რწმენის შედეგად და არა ღვთის სახელის ძალით.

1913 წელს ზაფხულში, წმ. სინოდის გადაწყვეტილებით, საბერძნეთში გაიგზავნა რამდენიმე სამხედრო ზომალდი „ბერების ბუნტის“ ჩასახშობად. ჯარისკაცებმა შტურმით აიღეს წმ. პანტელეიმონის მონასტერი, სადაც ბერები იმყოფებოდნენ, და, მიუხედავად იმისა, რომ ბერები შეუიარაღებლები იყვნენ და წინააღმდეგობას არ უწევდნენ სამხედროებს, მრავალი მათგანი მოკლული ან დაჭრილი იქნა. 1700 რუსი ბერიდან 1000-ზე მეტი ჩაიყვანეს რუსეთში, ზოგი ციხეში ჩასვეს, უმეტესობა კი გაკრიჭეს და გადაასახლეს. მოძრაობის მეთაური ანტონი ბულატოვიჩი გადაასახლეს თავის მამულში ლუტიკოვკაში, სადაც იგი 1919 წელს მოკლეს მძარცველებმა.

1914 წლიდან მოხდა სახელის მადიდებელთა ნაწილის რეაბილიტაცია და მათ დართეს საეკლესიო საქმიანობის გავრძელების ნება. თუმცა საბოლოოდ სახელის მადიდებლობის საკითხი მაინც ვერ იქნა გადაწყვეტილი და დახურული, რადგან 1917 წელს შეკრებილმა კრებამ ვერ მოასწრო თავისი მუშაობის დასრულება რევოლუციის გამო.

რევოლუციის შემდეგ სახელის მადიდებელთა ნაწილი გამოეყო რუსეთის პატრიარქალურ ეკლესიას და შეუერთდა ე.წ. კატაკომბურ ეკლესიას, რომელიც არ თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის ათეისტურ ხელისუფლებასთან. მრავალი მათგანი კაკკასიაში დასახლდა, პიატიგორსკისა და სოხუმის მიდამოებში,

მაგრამ 20-30-იან წლებში ბერების უმეტესობა დახვრიტეს. მცირერიცხოვანი გადარჩენილები კი პატარ-პატარა თემებს ქმნიდნენ და სექტანტებით ცხოვრობდნენ. 90-იან წლებში ისინი ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ აფხაზეთის მაღალმთიან რაიონებში.

ძლიერი იყო სახელის მადიდებლობა ემიგრანტულ ეკლესიაში, სადაც მის პროპაგანდას ეწეოდა მღვდელი და ფილოსოფოსი სერგი ბულგაკოვი, რომლის წიგნი „სახელის ფილოსოფია“ 1953 წელს გამოიცა პარიზში.

რუსეთში კი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამ სწავლებას ავრცელებენ ილუმენები გრიგორი ლურიე და თეოფანე არესკინი.

სახელის მადიდებელთა საქმეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა რუსული ინტელიგენციის მხრიდან. 1922 – 1925 წლებში მოსკოვში არსებობდა „სახელის მადიდებელთა წრე“, სადაც შედიოდნენ ა. ლოსევი, მღვდლები პაველ ფლორენსკი და სერგი ბულგაკოვი, მათემატიკოსები (მოსკოვის მათემატიკური სკოლის დამაარსებლები) დ. ეგოროვი და ნ. ლუზინი, მ. ნოვოსიოლოვი, პ. პოპოვი და სხვები.

თვითონ ლოსევისა და მისი მეუღლის ვალენტინა ლოსევა-სოკოლოვას მოძღვარი იყო არქიმანდრიტი დავითი, ათონიდან გამოძევებული ერთ-ერთი ბერი. 1929 წელს მამა დავითმა მეუღლეები ფარულად მონაზვნებად აღკვეცა.

სახელის მადიდებელ ბერთა ბედი გაიზიარეს ასევე მოსკოვური წრის წევრებმა: 1930-იან წლებში მათი უმეტესობა დააპატიმრეს და დახვრიტეს. ერთ-ერთი მათგანი – მ. ნოვოსიოლოვი – 2000 წელს წმინდანად შერაცხეს.

1930 წელს ლოსევი და მისი მეუღლე დააპატიმრეს და მიუსაჯეს შესაბამისად 10 და 5 წელი გამოსასწორებელ ბანაკებში – ლოსევს ბელომორკანალის, მეუღლეს კი ციმბირის ერთ-ერთ ბანაკში. მაგრამ 1933 წელს ორივე გაათავისუფლეს და ლოსევს შესაძლებლობა მიეცა, გაეგრძელებინა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა.

სწორედ მოსკოვური წრის მოღვაწეობის წლებში ჩამოყალიბდა ლოსევის, ფლორენსკისა და ბულგაკოვის სახელის ფილოსოფია, სადაც ისინი ეწინააღმდეგებიან ნომინალიზმსა და პოზიტივიზმს, ხოლო დასახელების თეორიას, კონკრეტულად ღვთის სახელის მაგალითზე, აკავშირებენ სწავლებასთან სინერგიის შესახებ, რომლის მიხედვით შესამეცნი და შემეცნებელი (ადამიანი და სამყარო) ერთიანდებიან სიმბოლოში (ანუ სახელში, სიტყვაში). ამგვარ პოზიციას ლოსევი უწოდებს „აბსოლუტურ სიმბოლიზმს“ – სწავლებას, რომელშიც მიუწვდომელი ღვთიური არსი ვლინდება ხატებების სახით. ლოსევი მას უპირისპირებს, ერთი მხრივ, აგნოსტიციზმს (ღვთაებრივი არსი სრულიად შეუცნობელია და არანაირად არ ვლინდება) და, მეორე მხრივ, რელიგიურ რაციონალიზმს (ღვთაებრივი არსი ბოლომდე ვლინდება და მასში არაფერია შეუცნობელი). ლოსევის აზრით, ორივე გზა რელიგიის უარყოფამდე და ათეიზმამდე მიდის. ხოლო აბსოლუტური სიმბოლიზმი გულისხმობს ადამიანის ზიარებას ღმერთის არსისადმი მისი ენერგიების გავლით, რომელიც ყველაზე სრულყოფილად სწორედ ღვთის სახელში გამოიხატება. ამრიგად, იქმნება შეხედულება მთელს სამყაროზე, როგორც სახელზე, რომელიც ლამობს ღვთის სახელთან მიმსგავსებას.

ლიტერატურა

- Гогтишвили Л.А.*, Платонизм в Зазеркалье XX века, или вниз по лестнице, ведущей вверх // Лосев А.Ф., Очерки античного символизма и мифологии, Москва 1993.
- Еп. Иларион (Алфеев)*, Священная тайна церкви. Введение в историю и проблематику имяславских споров, Алетейа, Петербург 2002.
- Лосев 1999а*: Лосев А.Ф., Философия имени // Лосев А. Ф. Самое само. Сочинения, ЭКСМО – Пресс, Москва.
- Лосев 1999б*: Лосев А.Ф., Имяславие // Лосев А.Ф. Личность и Абсолют, Мысль, Москва.
- Лосев А.Ф.*, Имяславие и платонизм // “Вопросы философии”, 2002, №9, с. 102-129.
- Лосев А.Ф.*, Античный космос и современная наука, Москва 1927.
- Лосев А.Ф.*, Вещь и имя // Лосев А.Ф. Бытие. Имя. Космос, Москва 1993.
- Постовалова В.И.*, Философия языка А.Ф. Лосева. Типологический лик. Генетические истоки. Основные идеи и подходы // Гуманитарная наука в России, Москва 1996.

Ketevan Dzidziguri

Aleksei Losev’s Conception of Language

Summary

The article is a consideration of the philosopher Aleksei Losev’s conception of language. This conception concerns the tendency of philosophy of language “onomatodoxy” (imiaslavie) which arose in Russia at the beginning of XX century. Onomatodoxy – the identification of the Name of God and the divine essence – was the important branching of the Russian pale of the church. First, it spread among the Russian brotherhood of Mount Athos, and the official church declared it hereby.

After the forcible return home of the Russian monks, the teaching about Jesus name found a lot of followers not only among the clergy, but also among the Russian intelligentsia. In the 20th century, the Moscow Circle of Name-worshippers was founded and the philosophers P. Florenski, S. Bulgakov and A. Losev took an active part in it. The conceptions of these three intellectuals are connected with the teaching on language as an expression of being.

Word, name is made by means of a synergetic act of self-revelation of the primary essence and its creative perception by human being. The most perfect expression of the essence is the Name of God. That is why, onomatodox philosophers believed that the Name of God is God Himself.

In Losev’s philosophy language is described in its widest context as the exposition of any inner idea outwardly. So, according to Losev, everything that exists, animate and inanimate, is a name, a kind of stairs of words where live and dead words are placed. Thus, the objects of the world make the language by means of which the essence presents itself. The human being is also a name and he creates human word, speech, which is the quintessence of human being’s world-view.

Thus, the axis of mentality is made – God, World, Human being – which creates a new, “theoanthropocosmic” paradigm of linguistics and philosophy, in general.

ახალი წიგნები

Steffi Chotiwari-Jünger, Damana Melikischwili, Lia Wittek, Georgische Verbtabelle, Helmut Buske Verlag GmbH, Hamburg, 2010, 160 S.

ქართული ენის ყველაზე დიდ სირთულედ სამართლიანად ითვლება ზმნა და მისი კატეგორიები. უცხოელებს ყოველთვის უჭირდათ მის ლაბირინთებში გარკვევა, თითქმის გადაულახავ დაბრკოლებად მიაჩნდათ ზმნების სწორად უღლება და ამა თუ იმ უღლებადი ფორმის გამოცნობა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წერდა გერმანელი მეცნიერი ადოლფ დირი, რომ ქართული ზმნა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და ბევრ საკვანძო საკითხზე ერთმანეთში გრამატიკოსებიც ვერ შეთანხმებულან (ჩხენკელი 1958:XXXI).

ზმნების უღლებად ფორმებში გარკვევას დიდად უწყობს ხელს ზმნათა კლასიფიკაციის მწყობრი და თანამიმდევრული სისტემა, ინდექსირებული ჩამონათვალი, რომ არაქართველმა ადვილად შეარჩიოს შესაბამისი უღლების ტიპი.

ამ საკითხისადმი ახლებური მიდგომით განსაკუთრებით საყურადღებოა გერმანიაში ახლახან გამოსული წიგნი „ქართული ზმნების ტაბულები“, რომლის ავტორებიც არიან შტეფი ხოტივარი-იუნგერი, დამანა მელიქიშვილი და ლია ვიტეკი.¹ ვფიქრობთ, ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის ის დიდი შენაძენია. ნაშრომის თეორიულ საფუძვლად იქცა დამანა მელიქიშვილის წიგნი „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ (მელიქიშვილი 2001) და ჟურნალ „გეოგრაფიაში“ გამოქვეყნებული სტატიები (მელიქიშვილი 1978; მელიქიშვილი 2006), რომელთა მიხედვით, ქართული ზმნები იყოფა სამ ჯგუფად ანუ დიათეზად. დიათეზა კი ემყარება როგორც ზმნის ფორმას – სტრუქტურას, ისე მის ვალენტობას – კონსტრუქციას, ამასთანავე, მოიცავს გვარს, ვერსიას, კონვერსიასა და ინვერსიას, ზმნათა სტატიკურობა-დინამიკურობას, ითვალისწინებს აქტანტთა ბრუნვაცვალებადობასა და სემანტიკასაც. ამით შესაძლებელი ხდება ბევრი წინააღმდეგობისა და შეუსაბამობის თავიდან აცილება, რაც ძალიან ართულებდა უცხოელებში ქართული ზმნური ფორმების გაგებას და აბნევდა მათ.² ამიტომაც უწოდა თავის რეცენზიაში დანიელ ჰამფრისმა დ. მელიქიშვილის ნაშრომს („ქართული ზმნის უღლების სისტემა“) საეტაპო და სისტემას – რეკოლუციური, რომლის მნიშვნელობა შეადარა 1936 წელს აკაკი შანიძის მიერ დროის კატეგორიის შეცვლას მწკრივის კატეგორიით (ჰამფრისი 2006:132-133).

„ქართული ზმნების ტაბულებში“ დიდი დაკვირვებითა და საქმის ღრმა ცოდნითაა შერჩეული 800 ზმნა, თარგმნილი და ინდექსირებულია (მითითებულია უღლების შესაბამისი ტიპი ანუ დიათეზა და პარადიგმა). ბოლოს მოცემუ-

¹ აღსანიშნავია, რომ დამანა მელიქიშვილის წიგნის საფუძველზე ჰამფრისისა და ყუფუნის თანაავტორობით ამერიკაშიც გამოიცა წიგნი (იხ. მელიქიშვილი, ჰამფრისი, ყუფუნია 2008).

² 2006 წელს ჰამბურგში გამოიცა ლია აბულაძისა და ანდრეას ლუდენის სახელმძღვანელო, რომელშიც ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპად ასევე აღებული იყო სამი დიათეზა (აბულაძე, ლუდენი 2006).

ლია უღლების ნიმუშები პარადიგმების მიხედვით, რის შედეგადაც შესაძლებელია არა მარტო მოცემული ფორმების, არამედ სხვა ზმნისწინებით ნაწარმოები მსგავსი აგებულების ზმნების სწორად უღლება.

შტეფი ხოტივარ-იუნგერის მიერ დიდი დაკვირვებითაა შედგენილი წიგნის შესავალი, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტიპოლოგიური დაკვირვებანი ქართულ და გერმანულ ზმნებზე (მათ შორის, საწყისისა და ინფინიტივის მსგავსება-განსხვავება, ზმნათა მორფოლოგიური აგებულება, ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები, სუბიექტის ბრუნვაცვალებადობა, კაუზატივთა წარმოება და სხვ.).

ნაშრომის ძირითადი ნაწილი მოიცავს ზმნურ ტაბულებს (ხოტივარი, მელიქიშვილი, ვიტეკი 2010:30-95): გერმანულად თარგმნილია 800 ქართული ზმნა, მითითებულია მასდარი, ძირითადი დროითი ფორმები (აწმყო, წყვეტილი და I თურმობითი), ლოგიკური სუბიექტის ბრუნვა და ინდექსი (დიათეზა და პარადიგმა).

წიგნის მესამე ნაწილში მოცემულია ზმნების უღლება დიათეზებისა და პარადიგმების მიხედვით (ხოტივარი, მელიქიშვილი, ვიტეკი 2010:95-137).

I დიათეზის ზმნებიდან (პარადიგმა 1-34) ნაუღლებია: ვწუხვარ, ვყეფ, ვფრენ, ვჩქმეტ, ვიცინი, ვბღავი, ვუჩივი, ვყვინთავ, ვჩურჩულებ, ვტრიალებ, ვიძინებ, ვამთქნარებ, ვუღუტუნებ, ვცხვორობ, ვპატრონობ, ვმოდრაობ, ვლოცულობ, დავსეირნობ...

II დიათეზის ზმნებიდან (პარადიგმა 35-52): ვიწერები/ვეწერები, ვიდრიკები, ვირყევი, ვიჭრები, ვიზრდები, ვიგზავნები, ვიხატები, ვსველდები, ავეყვრდები, ვეჯიბრები, ვთბები, ვწყრები...

III დიათეზის ზმნებიდან (პარადიგმა 53-66): მაცვია, შემიძლია, მომწონს... უყვარს, სცივა, ამთქნარებს, ემღერება, ეპატარავება, ენატრება, ავიწყდება...

ბოლო ნაწილში თავმოყრილია 50 ხშირად ხმარებული და ძნელად გამოსაყენებელი ზმნის უღლება (ხოტივარი, მელიქიშვილი, ვიტეკი 2010:137-160): მოაქვს, მოჰყავს, მივდივარ, ვკითხულობ, ვეკითხები, მიხარია, ვაძლევ, მაქვს, მყავს, მესმის, ვღებ, ვაწვენ, მიყვარს, ვხედავ და სხვ.

დ. მელიქიშვილის ნაშრომის 9000 ზმნიდან ამ ტაბულებში მოხვდა 800 ზმნა, რომლებიც დალაგებულია გერმანული ეკვივალენტების ანბანურ რიგზე. როცა გერმანული ზმნა პოლისემიურია, ქართულში მოცემულია ყველა ძირითადი მნიშვნელობა. მაგალითად, გერმანულ ზმნას bestehen ქართულში ექვსი შესატყვისი აქვს და ყველა სხვადასხვა პარადიგმას განეკუთვნება: bestehen (Gefahr) დაძლევს, სძლევს (დაძლია, დაუძლევია) – 22; bestehen (Prüfung) ჩაბარება (აბარებს, ჩააბარა, ჩაუბარებია) – 28; bestehen (aus) შედგომა (შედგება, ის შედგებოდა, ის შედგენილა) – 29; bestehen (seit) არსებობა (არსებობს, ის არსებობდა, არსებულა) – 14; bestehen (auf etw.) მოთხოვნა (სთხოვს, მოსთხოვა, მოუთხოვია) – 18; bestehen (darin, dass...) საქმე ისაა (საქმე ის არის, საქმე ის იყო, საქმე ის ყოფილა) – I; ზმნას bestellen ორი მნიშვნელობა აქვს: bestellen (etw./jmdn) შეკვეთა (უკვეთავს, შეუკვეთა, შეუკვეთია/შეუკვეთავს) – 26; bestellen (Grüße) გადაცემა (სალამს გადასცემს, სალამი გადასცა, სალამი გადაუცია) – I და ა.შ.

გარდაუკალი ausziehen (იგივე wegziehen) ზმნის მნიშვნელობა ქართულში არის გადასვლა (გადაღის, გადავიდა, გადასულა); გარდამავალ ausziehen (etw.)-ს შეესაბამება იხდის (გაიხადა, არ გაუხდია), ausziehen (jmdn.)-ს – ხდის (გახადა, არ გაუხდია); უკუქცევითი ausziehen, sich გამოიხატება ზმნით იხდის (გაიხადა, არ გაუხდია) და აშ.

წიგნის პრაქტიკული დანიშნულება რომ უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, განვიხილოთ, როგორ შეიძლება პარადიგმის გამოყენება. მაგალითად, **bestehen** ზმნის პირველ მნიშვნელობასთან მიწერილია პარადიგმა 22. ტაბულაში მოცემულია იმავე ტიპის ზმნის უღლებების ნიმუში: I დიათეზის 22-ე პარადიგმაში ნაუღლებია ზმნა **აღწევს**, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია **დაძლევს** ზმნის უღლებაც. bestehen (Prüfung) ჩაბარება კი მიეკუთვნება 28-ე პარადიგმას, რომლის ნიმუშადაც ნაუღლებია **აშენებს** ზმნა.

ვფიქრობთ, წიგნში სწორედ ზმნური პარადიგმებია ძალზე მნიშვნელოვანი. თითოეულში შერჩეული ზმნები ერთგვარი მოდელია, რომლის მიხედვითაც ინდექსების საშუალებით შესაძლებელია ვაუღლოთ სხვა ზმნებიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წიგნის მნიშვნელობა უაღრესად დიდია, ასეთი ნაშრომების გამოცემა კი – უდავოდ მისასალმებელი.

გვაქვს მხოლოდ ორიოდე რჩევა შემდეგი გამოცემებისათვის: ჩვენი აზრით, ტაბულები კიდევ უფრო სასარგებლო იქნება, თუკი ზოგიერთ რელატიურ ზმნასთან (მაგალითად, ჰყავს, მოსწონს, უყვარს...) მიეთითება უღლების მთელი პარადიგმა – როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობა (მომწონს, მოგწონს და მოგწონვარ, მომწონხარ; მიყვარს, გიყვარს და გუყვარვარ, უყვარხარ...), რადგან მხოლოდ მანის რიგის მიხედვით უღლება ვერ მისცემს უცხოელს სრულ წარმოდგენას ამ ტიპის ზმნებზე. ასევე კარგი იქნება, რომ ტაბულებს ახლდეს ზმნების ანბანური საძიებელი ქართულადაც, რომ ინფორმაცია უფრო ამომწურავი იყოს.

დარწმუნებული ვართ, რომ „ქართული ზმნის ტაბულები“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო მასალად იქცევა ქართული ენით დაინტერესებული უცხოელებისათვის.

არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ ტიპის წიგნები შედგენილიყო სხვა ენებზეც, რადგან ქართული ზმნების ინდექსირებული საძიებლისა და უღლების პარადიგმების გამოცემა საშური საქმეა.

რუსუდან ზეკლაშვილი

ლიტერატურა

აბულაძე, ლუდენი 2006: Abuladze L., Ludden A., Lehrbuch der georgischen Sprache, Helmut Buske Verlag GmbH, Hamburg.

მელიქიშვილი 1978: Melikischwili D., Das System der Konjugation des transitiven Verbs im modernen Georgisch: Georgica (Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens), S. 17-23.

მელიქიშვილი 2001: დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, ლოგოს პრესი, თბილისი.

მელიქიშვილი 2006: Melikischwili D., Zu den Prinzipien der Klassifikation und Qualifikation konjugierter Formen des georgischen Verbs (Zur Anwendung logischer Prinzipien in der Grammatik): *Georgica* (Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens), 29 Shaker Verlag, Aachen, S. 23-36.

მელიქიშვილი, ჰამფრისი, ყუფუნია 2008: Melikischwili D., Humphries J. D., Kupunia M., *The Georgian Verb. A Morphosyntactic Analysis*, Hyattsville.

ხოტივარი-იუნგერი, მელიქიშვილი, ვიტეკი 2010: Chotiwari-Jünger St., Melikischwili D., Wittek L., *Georgische Verbtabelle*, Helmut Buske Verlag GmbH, Hamburg.

ჩხენკელი 1958: Tschenkéli K., *Einführung in die georgische Sprache*, Erstauflage in zwei Bänden, I. Theoretischer Teil/ II. Praktischer Teil, 1.316 Seiten, Amirani-Verlag in der Schweiz.

ჰამფრისი 2006: დ. ჰამფრისი, რეცენზია დამანა მელიქიშვილის წიგნზე (ქართული ზმნის უღლების სისტემა): ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი, გვ. 132-134.

* * *

ლეილა გეგუჩაძე, ქართული ენა, სინტაქსის საკითხები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, 404 გვ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის გრიფით დაიბეჭდა ლეილა გეგუჩაძის შვიდნაკვეთიანი „ქართული ენის“ ბოლო სამი ნაწილის შევსებული ვარიანტი, რომელიც მხოლოდ სინტაქსის საკითხებს მოიცავს.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ლეილა გეგუჩაძის ნაშრომში დაუნჯებულია ამომწურავი ინფორმაცია ჩვენი მშობლიური ენის სინტაქსზე, მის თავისებურებებზე, რასაც ავტორი დაკვირვებული მკვლევრის შესაშური ალლოთი გვაწვდის: სადად, ამომწურავად, წინამორბედთა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო წვლილის გათვალისწინებით. ავტორს ესა თუ ის საკვლევი საკითხი შევეჩერებული აქვს ამ თემაზე არსებული პუბლიკაციების ავტორთა ნააზრევთან.

უეჭველია მისი ერუდიცია საკვლევ თემატიკაში. წიგნის დამაზუსტებელი სათაურია **სინტაქსის საკითხები**. ამ დროს კი ავტორს განუხილავი არ რჩება ქართული ენის წინადადებათა არც ერთი სტრუქტურა. მკვლევარი არ სჯერდება ძირითადი ტიპების მიმოხილვას და წარმოაჩენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის წინადადებათა მრავალსახეობებს.

წიგნში აკუმულირებულია ის თეორიული ბაზისი, რომელზედაც აგებულია ნაშრომი. მასში თანაშემოქმედებითად არის გადმოცემული ქართული ენის სინტაქსის შესახებ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევა.

ავტორი უაღრესად საინტერესო და ყურადსაღებ კონცეპტუალურ სვლებს გვთავაზობს. კერძოდ, ანდაზებისეული სტრუქტურები მის მიერაა ინტერპრეტირებული როგორც განზოგადებულპირიანი წინადადება, რომლის ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი მეორე პირის ფორმა (შენ) ხან სუბიექტია:

ისეთი ხიდი გადე (შენ), შენმა შეილიშვილმაც ზედ გაიაროსო,

ხანაც – გრამატიკული ირიბი ობიექტი: *ავი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდაო (შენ)* (გვ.188-189).

ჰიპოპოტაქსურ კონსტრუქციათა სახეობებში ლეილა გეგუჩაძე გამოყოფს თანამიმდევრული დაქვემდებარების წინადადებებს, როდესაც დამოკიდებული წინადადებები სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციისანი არიან (გვ. 361). ამ სახეობას იგი სქემატურადაც წარმოადგენს (გვ. 361-367).

ოლენ ლ. გეგუჩაძის კვლევის სფეროა მწკრივთა შესაძლო შეფარდებები და დროთა თანამიმდევრობა რთულ თანწყობილსა (გვ. 280-281) და ქვეწყობილ წინადადებაში (გვ. 348-350). რთულ ქვეწყობილ წინადადებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა არჩევანი თავისუფალი არ არის: მთავარი წინადადების ამა თუ იმ მწკრივს დამოკიდებულში შეესაბამება რამდენიმე, მაგრამ არა ნებისმიერი მწკრივის ფორმა (გვ. 348):

არც მაშინ შეუნიშნავს ვინმე, როცა ხის ძირში დაჯდა.

ამ დროისგარემოებითდამოკიდებულებიანი რთული ქვეწყობილი სტრუქტურის მთავარ წინადადებაში I თურმეობითის მწკრივი გვაქვს, დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი წყვეტილის მწკრივითაა გადმოცემული. გარდა წყვეტილისა, I თურმეობითთან შეიძლება ყოფილიყო უწყვეტელი: *არც მაშინ შეუნიშნავს ვინმე, როცა ხის ძირში ჯდებოდა.* შეიძლება ყოფილიყო I თურმეობითიც:

არც მაშინ შეუნიშნავს ვინმე, როცა ხის ძირში მჯდარა.... მაგრამ ხომ ვერ გიტყვიო:

არც მაშინ შეუნიშნავს ვინმე, როცა ხის ძირში დაჯდებოდა (ან დაჯდებოდეს, ან დაჯდეს)... (გვ.349).

რთული ქვეწყობილი წინადადების თითოეული ტიპი განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს: ის, რაც ერთი სახის ქვეწყობილი წინადადებისათვის ბუნებრივია, შესაძლოა მეორე სახეობისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ან საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდეს. ამიტომ მწკრივთა და დროთა შესაძლო თანამიმდევრობის საკითხს ავტორი წინადადების თითოეული ტიპისათვის ცალ-ცალკე განიხილავს და ასკენის, რომ ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეეფარდებიან ძირითადად ერთი გრამატიკული დროის ფარგლებში, თუმცა ეს დრო შესაძლებელია სხვადასხვა მწკრივით იყოს გადმოცემული (გვ. 349).

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე მწკრივს სხვადასხვა სახის წინადადებაში, იმის მიხედვით, მთავარშია იგი თუ დამოკიდებულში, ამა თუ იმ მწკრივთან ურთიერთობისას შესაძლოა განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. ლ. გეგუჩაძისეული კვალიფიციური ანალიზი სარწმუნოდ ხდის მის დებულებებს. წიგნი ღირსშესანიშნავია ერთი რამითაც: იგი უშეცდომოა!

ყველა გადატანილი სიტყვა ტრადიციული ქართული მართლწერის წესების ფარგლებშია, რასაც დაკაბადონების ავტომატური სისტემის შემოღების შემდეგ აგრერიგად ვართ დანატრებული.

ნაშრომი ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი კვლევაა და რჩება ქართველოლოგიური საენათმეცნიერო ლიტერატურის ცნებებისა და მასალის ფარგლებში.

მარია ჯიქია

შინაარსი

<i>ჯემშიდ გიუნაშვილის რჩეული სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია</i>	5
<i>თამარ აბულაძე, ელენე გიუნაშვილი</i> , საქართველოს სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები: ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის ასპექტები	15
<i>Tamar Abuladze, Helen Giunashvili</i> , Persian and Georgian-Persian Historical Documents of Georgia: Aspects of Linguistic-Philological Studies	19
<i>მარინა ალექსიძე</i> , პირდაპირი ნათქვამის როგორც შინაგანი მეტყველების გამოსახვის ფორმათა ნაირსახეობა	20
<i>Marina Aleksidze</i> , Direct Speech as a Type of Expression of Inner Speech	29
<i>ფატი ანთაძე-მალაშხია</i> , ქართულში შემოსული სამი ორიენტალიზმის შესახებ („ზირაკ ძირაკ“ „ზირა“ „ძირა“; „კაბუნ“-ი; „მანძილ“-ი)	30
<i>Fati Antadze-Malashkhia</i> , On Three Oriental Loan Words in Georgian („ზირაკ ძირაკ“ „ზირა“ „ძირა“; „კაბუნ“-ი; „მანძილ“)	42
<i>ნათია არაბული</i> , კატეგორიზაციის პრინციპები: ხილისა და ბოსტნეულის კონცეპტუალური კატეგორიები სკოლამდელი ასაკის ბავშვების წარმოსახვაში	44
<i>Natia Arabuli</i> , Principles of Categorization: Conceptual Categories of Fruit and Vegetables in the Imagination of Preschooler Children	62
<i>რუსუდან ასათიანი</i> , წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: „გათიშული“ (cleft) კითხვები მეგრულსა და ლაზურში	63
<i>Rusudan Asatiani</i> , Information Structures of a Sentence: Cleft Questions in Megrelian and Laz	69
<i>ზურაბ ბარათაშვილი</i> , ირეალისი შუმერულ ენაში	71
<i>Zurab Baratashvili</i> , Irrealis in the Sumerian Language	78
<i>Habib Borjian</i> , Shemiran Dialect Group	79
<i>ჰაბიბ ბორჯიანი</i> , შემირანის დიალექტური ჯგუფი	90
<i>Jost Gippert</i> , Onomastica Irano-Iberica I. The Name of Vakh tang Gorgasali’s Persian Wife	91
<i>იოსებ ვიპერტი</i> , ირანულ-ქართული ონომასტიკა I. ვახტანგ გორგასლის სპარსული ცოლის სახელი	98
<i>ნათია დუნდუა</i> , ზეციური არსებების ამსახველი ტერმინები ბიბლიაში	99
<i>Natia Dundua</i> , The Terms of Heavenly Beings in the Bible	116
<i>Д.И. Эдельман</i> , К названиям больших кожаных сосудов (бурдюков) в иранских языках	117
<i>ჯოი ედელმანი</i> , დიდი ტყავის ჭურჭლების (ტიკების) სახელწოდებები ირანულ ენებში	124
<i>ნინო ეჯიბაძე</i> , ბილინგვური განათლება და მულტიგლოსია ეგვიპტურ საზოგადოებაში	125
<i>Nino Ejibadze</i> , The Bilingual Education and Multiglossia in the Egyptian Society	129

<i>მარინე ივანიშვილი</i> , მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში: ნარდი, ნარდიონი	130
<i>Marine Ivanishvili</i> , The Plant Names in the Georgian New Testament: <i>Nard, Nardion</i>	133
<i>В.Б. Иванов</i> , Двухфокусные согласные в иранских языках	134
<i>ვლადიმერ ივანოვი</i> , ორფოკუსიანი თანხმოვნები ირანულ ენებში	141
<i>ვახტანგ იმნაიშვილი</i> , საკუთარ სახელთა ბრუნების ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ქართულში	142
<i>Vakhtang Imnaishvili</i> , One Specific Case of Declension of Proper Names in Contemporary Georgian	150
<i>მანანა კვაჭაძე</i> , ლინგვოკულტურული ინტერფერენციის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს (გომბორელ ლაიჯთა მაგალითზე)	151
<i>Manana Kvachadze</i> , Towards the Linguocultural Interference in Language Contacts (As Exemplified by Gomborian Layijis)	159
<i>Gilbert Lazard</i> , Note sur le sens du morphème Persan – <i>râ</i>	160
<i>ჯილბერ ლაზარი</i> , შენიშვნები სპარსულ მორფემა – <i>râ</i> -ს შესახებ	163
<i>ვლადიმერ ლეკიაშვილი</i> , ალტერნატიული სამყაროები და პარამეტრიზებული სემანტიკა	164
<i>Vladimer Lekiasvili</i> , Possible Worlds and Parameterized Semantics	169
<i>ლამარა მარგველანი</i> , <i>გიორგი ჩიკოიძე</i> , სხვა ენებიდან შემოსული ე.წ. „ნასესხები“ ლექსიკის შესახებ	170
<i>Lamara Margvelani, Giorgi Chikoidze</i> , On Loanwords from Foreign Languages	173
<i>ქეთევან მეგრელიშვილი</i> , <i>თავანის</i> წარმომავლობისა და ომონიმიზაციისათვის ქართულში	174
<i>Ketevan Megrelishvili</i> , On the Origin and Homonomization of the Word “Tavani” in Georgian	181
<i>ირინე მელიქიშვილი</i> , <i>ნანა გამყრელიძე</i> , <i>ივანე ლეჟავა</i> , <i>ლუიზა ლორთქიფანიძე</i> , <i>ქეთევან მარგიანი</i> , <i>იზაბელა ქობალავა</i> , გლოტალიზებული ფონემები (ეიექტივები) ქართველურ ენებში	183
<i>Irine Melikishvili, Nana Gamkrelidze, Ivane Lezhava, Luiza Lortkipanidze,</i> <i>Ketevan Margiani, Isabella Kobalava</i> , Glottalized Phonemes (Ejectives) in Kartvelian Languages	201
<i>მარინა მეფარიშვილი</i> , პროტოსემიტური ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმირება ცალკეულ სემიტურ ენებსა და შტოებში	203
<i>Marina Meparishvili</i> , Modified Systems of Proto-Semitic Phonemes in Different Semitic Languages	210
<i>ლილი ჯორჯოლიანი</i> , ზაჰის მამის სახელის შესახებ	211
<i>Lili Zhorzholiani</i> , On the Name of Zahak’s Father	214
<i>მაია სახოკია</i> , ძველი სპარსულის ფორმები და ფუნქციები: დიაქრონიულ-ტიპოლოგიური მიმოხილვა	216
<i>Maia Sakhokia</i> , Forms and Functions of Old Persian: Diachronic-Typological Review	239

<i>Bernard Outtier, Que sont devenus les manuscrits des Géorgiens de Fereidan?</i>	241
<i>ბერნარ უტიე, რა ბედი ეწიათ ფერეიდნელ ქართველთა ხელნაწერებს?</i>	243
<i>Sonja Gippert-Fritz, Anthroponyme im nördlichen Kaukasus</i>	244
<i>სონია ვიპერტი-ფრიცი, ჩრდილოკავკასიური ანთროპონიმები</i>	256
<i>ლალი ქეცბა-ხუნდაძე, ეპისტემური კონტექსტუალიზაციის გერმანული</i> <i>თეორია დისკურსის ლინგვისტიკაში</i>	257
<i>Lali Ketsba-Khundadze, Bedeutung der epistemischen Kontextualisierung</i>	264
<i>ნათელა ქუთელია, ფონოტაქტიკა და სისტემის ელემენტთა</i> <i>დიაქრონიული ტრანსფორმაცია</i>	265
<i>Natela Kutelia, Phonotactics and Diachronical Transformation of the</i> <i>Elements of the System</i>	268
<i>გურამ ჩიქოვანი, პერიფერიული არაბული დიალექტების კვლევის</i> <i>ძირითადი მიმართულებები</i>	269
<i>Guram Chikovani, The Main Objectives of the Study</i> <i>of Peripheral Arabic Dialects</i>	281
<i>ქეთევან ძიძიგური, ალექსეი ლოსევის ლინგვოფილოსოფიური კონცეფცია</i>	282
<i>Ketevan Dzidziguri, Aleksei Losev's Conception of Language</i>	291

ახალი წიგნები

<i>Steffi Chotiware-Jünger, Damana Melikischwili, Lia Wittek,</i> <i>Georgische Verbtabelle, Helmut Buske Verlag GmbH,</i> <i>Hamburg, 2010, 160 S. (რუსუდან ზეჯალაშვილი)</i>	292
<i>ლეილა გეგურაძე, ქართული ენა, სინტაქსის საკითხები,</i> <i>თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, 404 გვ. (მარიკა ჯიქია)</i>	295

გამომცემლობის რედაქტორები:

ცირა ჯიშკარიანი

ნანა კატაბავა

კომპ. უზრუნველყოფა

ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Tsira Jishkariani

Nana Katchabava

Compositor

Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32)2251432

www.press.tsu.ge